

SALMARIS – საგანკური თქვენი თმისთვის



ფორმულის საფუძველზე, რომლის შემადგენლობაშიც შედის მკვდარი ზღვის მინერალების, მარილებისა და ვიტამინების კომპლექსი. Salmaris-ის შამპუნებში აღმოაჩენთ ყველა ტიპის თმისთვის შესაფარის ვარიანტს. მაგალითად, ასორტიმენტი არის სამკურნალო-მინერალური შამპუნი, რომელიც შექმნილია თმის ცვენის საწინააღმდეგოდ და ეფექტურად უმკლავდება მას. Salmaris-ის შამპუნებში აღმოაჩენთ ისეთ ფორმულასაც, რომელიც ალაღვენს და იცავს თმას მავნე გარემო ფაქტორების ზემოქმედებისგან, არის ასევე ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი, რომლის ეფექტურობა დადასტურებულია კლინიკურად. Salmaris-ის კოლექციაში შეხვდებით შამპუნს მშრალი თმისათვის, ქოქოსის შეუდარებელი არომატით. ამავე კოლექციაში აღმოაჩენთ აღმოსავლური ვარდის შამპუნს ცხიმიანი თმისათვის და კონდიციონერს ყველა ტიპის თმისათვის. „ისრაელის კოსმეტიკურ ჯგუფი“, რომელიც Mon Platin-ის პროდუქციის ექსკლუზიური დისტრიბუტორია საქართველოში, თავის ერთგულ მომხმარებელს მომავალში კიდევ უფრო მეტ სასიამოვნო სიახლეს ჰპირდება და გაიზრდება როგორც შამპუნების, ასევე ტანის მოვლის, მათ შორის დასაბანი საშუალებების ასორტიმენტი.

Mon Platin — მკვდარი ზღვის მინერალებითა და წყალმცენარეებით გამდიდრებული კოსმეტიკური საშუალებების ფართო ასორტიმენტი. Mon Platin-ის კოსმეტიკური პროდუქცია მზადდება ისრაელში, მაღალი სტანდარტებით და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს არის „პრემიუმ კლასის“ პროდუქცია, რომელიც ცივადგამონურვის მეთოდით არის დამზადებული და შენარჩუნებული აქვს ყველა სასიკეთო თვისება. ეს უნიკალური კოსმეტიკური პროდუქცია მოსახლეობის ყველა სოციალურ სეგმენტზე გათვლილი და ხელმისაწვდომ ფასად იყიდება. Mon Platin-ის კოსმეტიკის ერთ-ერთი ხაზია მრავალფეროვანი შამპუნები სახელწოდებით — შალმარის. ეს კოსმეტიკური პროდუქციაც დამზადებულია ისრაელში პროფესიონალური

ისრაელის
კოსმეტიკური
ჯგუფი
მის: თბილისი;
თევდორე მღვდლის
№15. ბინა 17
ტელ : 222-69-90
www.icg.com.ge
www.nbcosmetic.com



როლენი – წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება! მისი ღრუბული მიღება თავიდან აგასილებთ წონაში მატებასს ლაიალით თვალი 9 კილოგრამა!

- ⊗ ახლოობიჩად საფთა, ბანაბიჩვი ჰილოდახი
- ⊗ ხალს უხილს ნახიჩხეცაბის სხიდაბში ბადასვანს
- ⊗ ხალს უხეობს სხიდაბის ბოლოდა დაწვას
- ⊗ აწვიითაბს დადას ანახიჩის მოდაბაბის ფონა
- ⊗ ნოხადადა დაწყავს სიბსაინის ჰოხიომი დაწბინი და ქოდასხიჩინი
- ⊗ მოხანიზმიდან ბამოაწვს ზადეახი სითსა და შინაბი
- ⊗ ანახიჩაბს საჭმის მობეადაბად სისხაბას

როლენი



მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„ავარსის“-ს, „ფი ვი სი“-ს სააფთიაპო ქსალს,
და სხვა ქალაქის აფთიაპებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე
293 19 87; 230 97 52
მობ: 595308405;

მიღების წინ გაცანით ინსტრუქციას, გვარდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ამის

e-mail - promoita@mail.ru
nikosaniltd@mail.ge

ბონიხ ბუნოსთან ერთად ამინდი სწრაფად იცვლება



ქაველი გაგვიღება

ქაველი გაგვიღების ფუნქცია სწრაფი გაგვიღებისთვისაა შექმნილი. მაღალი სიჩქარის გილი და ძლიერი ჰაერის ნაკადი უბრალოდ 30 წუთის განმავლობაში, სანამ ოთახის ტემპერატურა 18°C ან მიაღწევს.



ნაკლებმაუხიანი საჰაერო სისტემა

ჰაერის მილის ოპტიმალური ზომისა და გადამყვითი ვენტილატორის ფაქტორი იცავს სიჩქარის სწრაფობის ხმაურის მინიმუმამდე დაყვანილი, ხაც ქმნის მშვიდსა და კომფორტულ გარემოს.



ენეჯის ეკონომიის ფუნქცია

ენეჯის ეკონომიის ფუნქცია მოქმედებს ავტომატურად და უზიარებელია სანამ ოთახი ატმოსფეროს.



ჩართვა ენის დაბალი ძაბვისას

ენის ისეთი დაბალი ძაბვის შემთხვევაშიც კი, ჩართვა 187 ვოლტი, კონდიციონერის ჩართვა და მუშაობა სხუიად უსაფრთხოსა.

*187-ვოლტიან ძაბვაზე ჩართვა დასაშვებია გახუთი 48°C-მდე ტემპერატურის შემთხვევაში.

BEKO

ლაზოლექსი®

კანის ინფექციების სამკურნალო საშუალება

1 ანტივირუსული 2 ანტისოკოვანი 3 ანტიბაქტერიული



ბელი

კაკლის ესტრატჰტი



სწრაფად აძრობს ქავილს, წვიბს და ტკივილის შეგრძნებას



ამოიწმენს კერატინიზაციის პროცესს ანქარებს ეპითელიზაციას



საბრუნოვალ ამცირებს რეციდივების სისხშირეს და მათ ხასიათს



ივერიაფარმა
Nature - Technology - Health



ბამოყენების ჩვენებაები

კანისა და ლორწოვანი ბარსების ვირუსული ინფექციები

- მარტივი ჰერპესი (ლაბიალური და გენიტალური ფორმები)
- სარტყლისებრი ჰერპესი (ჰერპეს ზოსტერი)

კანის სოკოვანი დაავადებები

- დერმატოფიტოზები (ვაიმოჭკეული Trichophyton, Epidermophyton და Microsporum სახეობებით)
- სხედასხვაფერი პიტირიაზი
- კანდიდოზი
- ონიკომიკოზი

კანის ბაქტერიული ინფექციები

- სტაფილოდერმიისა და სტრეპტოდერმიის ნებისმიერი ფორმები
- აკნე



ბამოყენებისას ბაქტერიული ინფექციის, კანრიცხვის მიხედვით შესაბამის ლაზოლექსი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ მკვლევარს. მოუხილო შეურაცხველობის ვადები მოცემულია საშუალოდ ინდივიდუალურ შემთხვევაში ვადა უნდა განისაზღვროს კლინიკური მანერებლის დინამიკის მიხედვით.

მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად

ქ. თბილისის მერიის კატრონაჟით



თბილისი ბანკი TBC BANK დაფინანსებით

ჩაბარება 2012 წლის დეკემბერი

მუხანაზოვის პროექტის ონლაინ კონტროლი

გურამიშვილის 78

მთავარი ოფისი:
თბილისი,
გუდიაშვილის 7

238 44 33
577 777 077
579 770 026

www.saba-jgupi.ge



რა გახდა ბრიტანეთში საპროტესტო გამოსვლების მიზეზი

„ჩემი სახლის კენ მიმავალი ქუჩა გადაკეტილი იყო და გზად ტოტენჰემის პოლიციის განყოფილებასთან გავიარე, სადაც ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული“.

10



მის უსაყვარლეს მამაკაცად სამუდამოდ დარჩა...

მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთმანეთის შურდათ, მთელი ცხოვრება სასტიკ შეურაცხყოფას აყენებდნენ ერთმანეთს. ლოურენსი გიუს ეძახდა; ვივიენი ჰომოსექსუალობას სწამებდა, მაგრამ აღიარებდა, რომ ლოურენსი მისი ცხოვრების საუკეთესო მამაკაცი იყო..

23



ცხოვრება

კონფლიქტის ზონაში დაწყებული სიყვარულის ამბავი



ქართულ-აფხაზურმა წყვილმა ერთმანეთი კონფლიქტის ზონაში გაიცნო. მათი შვიდწლიანი ფარული ურთიერთობა დაოჯახებით დაგვირგვინდა. კონფლიქტის ზონაში დაბადებულ-გაზრდილი 28 წლის მათი უკვე პატარა ვაჟკაცის დედაა.

34



- **მინიატიურები** 5
კოტე და ქეთოები ანუ დაკრძალვის აკრძალვა
- **ჭკალი მსოფლიო** 6
- **თარიღი** 8
რადიო „პალიტრის“ მოკრძალებული „იუბილე“
- **ბივილი** 10
- **პრობლემა** 12
- **კვალი** 14
- **დემოკრატი** 15
ლონდონი „მიგრაციული კატასტროფის“ ზღვარზეა
- **საზონი** 16
თბილისში „ჩარჩენილი“ ცნობილების საზაფხულო გეგმა
- **ამაღუა** 18
მანიკა ასათიანი ზაფხულის დღეებს სამშობიაროში ატარებს
- **სტუმარი** 20
ქართველი მამაკაცებით მოხიბლული უკრაინელი
- **კონკურსანტი** 22
კიდევ ერთი პრიზი ქართველს ერგო
- **LOVE STORY** 23
მის უსაყვარლეს მამაკაცად სამუდამოდ დარჩა
- **არღაღებები** 26
სად აყრიდა ამიკო ჩოხარაძე ხალხს თავზე მიხაკებს?



მზა გენილები

როგორ დავამარცხებ მოწინააღმდეგე



„როცა ვიცოდი, რომ შინ მთელი დღის განმავლობაში მარტო ვიქნებოდი, გიგას შევუთანხმდი და დასახვედრად მოვემზადე. ხილი, ნამცხვარი და კონიაკი ვიყიდე და მოუთმენლად ველოდი მის გამოჩენას...“

64

■ შეშოქველი	28
თურქეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორის გულისტკივილი	
■ თაფილა	30
რეპრესირებული ადამიანები სასამართლოს განაჩენს ელიან	
■ ნაგვნილი აგვაპი	33
„ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაო!..“	
■ ერთი მიწის შვილები	34
კონფლიქტის ზონაში დაწყებული სიყვარულის ამბავი	
■ ოსტატი	36
რატომ ყიდულობენ უცხოელები „ნატვრის ხეს“	
■ თინეიჯერული პონტები	37
მზითვიანი და უმზითვო თინეიჯერები	
■ ისტორიის ლაბირინთები	40
იტალიელი, რომელიც ქართველმა პარტიზანმა გადაარჩინა	
■ ავტო	43
■ ერულიტი	44
სად იპარავდა ივა კუზანოვი წიგნებს	
■ სხანის ვიღა	46
სიმღერა „პატარა ქალზე“ და განაწყენებული ცოლები	
■ ტაქარი	47
თაბორის ნათელი იყო გამოვლინება საღვთო ნათლისა	
■ ანტიდეკრესანტი	50
■ ჯანმრთელობა	50
■ წვეთი პოეზია	52
■ რჩეული	53
ჩემი პირველი მსაჯული	
■ ქართული დეზაქტივი	56
რუსუდან ბერიძე. ურჯუკი (გაგრძელება)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
■ გონიერი მკითხველი	67
■ ყველა ერთისათვის	68
■ მოგილიწასია	70
■ რეპორტაჟი თუშეთიდან	74
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	80
■ სქანვორდი	81

საყვარო



როგორ ვიმკურნალოთ თიხით

მინერალური ნივთიერებების შემცველობის მიხედვით, თიხა რამდენადმე სჯობნის ბოსტნეულსა და ხილს, ხოლო არაჩვეულებრივი აბსორბციის უნარის წყალობით ადამიანის ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებები გამოაქვს.

50

ბიბლუსი



ურჯუკი

უცბად ყველაფერი დატრიალდა და... აღარაფერი მახსოვს... რომ გამოვფხიზლდი, ოთახში ბნელოდა და იქ, ჩემ გარდა, აღარავინ იყო. ავადმყოფების გასასინჯვ ვინრო ტახტზე სრულიად შიშველი ვინეკი...

56

ტაიმ-აუტი



იქ, სადაც გაყავსული იწყება ივნისი

მინდორზე სახელდახელო სუფრა გაშალა, — ალაზანში მობიბინე კალმასს, ჭიუხებში მონავარდე ჯიხვებს, სალოცავებში ამოსულ მომლოცველებს, მოკლედი, ხინჭრიკოიან (სიპ ქვევს

ნიშნავს) თუშეთს გაუმარჯოს თავისი ბუნებითა და სტუმრებით!

74

საზომბადმოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, სუთუბაბათოში გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ანა უთურგაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

ყოფე და ქეთოები ანუ დაყრდნობის აყრდნობა



შესავლის ნაცვლად აღარ ვაპირებ დღეს პრეზიდენტზე საუბარს,

თორემ უკვე მართლა უხერხულია — ბოლო რამდენიმე „პროვოკაცია“ პირადად მას „მივუძღვენი“... მხოლოდ ერთ ამბავს გავისხენებ, რომელიც გასული კვირის უმნიშვნელოვანეს მოვლენას — ბათუმში „ქეთო და კოტეს“ ახალი ვარიანტის პრემიერას ეხება, უფრო სწორად — იმ შენობას, სადაც ეს პრემიერა შედგა (ოღონდ კარგად ვერ გავიგე — ზოგან „ბათუმის ოპერის თეატრად“ მოიხსენიებენ, ზოგან — „კულტურისა და ხელოვნების ცენტრად“, თვითონ ბათუმელები კი უკვე „მიშაიეს ოპერას“ ეძახიან). მოკლედ, ასე ყოფილა: 14-ში რომ პრემიერა იყო დაგეგმილი (დაგეგმილი რა, სულ გრიალ-გრიალით ჩაიარა), 12-ში მშენებლებს მიეჭრა (კოს-მეტეკურ სამუშაოებს ამთავრებდნენ), შენობის წინ ჩაამწყობვა და მოკლე „ლექცია“ ასე დაასრულა:

— აქ „ქეთო და კოტეს“ პრემიერაა დაგეგმილი. იცოდეთ, თუ ზეგ ყველაფერი მზად არ იქნება, მე კოტე ვიქნები და თქვენ ყველანი — ქეთოები!!!

მორჩა, აღარაფერს ვამბობ მიშაზე („მასზე საქმენი მისინი ლალადებენ“ — მაგალითად, სიკოსა და ნიკოს კინტაური თეთრი შარვალ-ხალათებით)...

მოდით, ახლა ლეიბორისტებზე ვისაუბროთ — დაისვენეს და გამოჩნდნენ. რაც მთავარია, პრინციპებს არ ლალატობენ: ორი პრესკონფერენცია „გლიჯეს“ ორ დღეში და ორივე „სკანდალური“ თემით: ჯერ ბავშვებს მოუწოდეს, — სანამ ხელისუფლება ქართული ენის დისკრიმინაციას არ შეწყვეტს, მანამდე ინგლისურის გაკვეთილებზე არ იაროთო! ანუ ქართულს ისინი არ გასწავლიან, ინგლისური თქვენ დაიკიდეთ და ჩვენაირები გახდითო...

მაგრამ რომ შეატყვეს, მთლად სასურველი ეფექტი ვერ მოვახდინეთო, მეორე დღეს მთლად „დაისიცხნენ“: გამოვიდა, შატბერაშვილი რომ ჰყავთ (არადა, ექიმი ყოფილა თვითონ), ნორმალურად ჩაცმულ-დახურული, არც ყვიროდა, არც ქვას ისროდა, ისე, ჩვეულებრივი ადამიანივით, ოღონდ ასეთი რამ „სთქო“:

— თბილისის მერია ამტკიცებს ახალ წესს, რომლის მიხედვითაც იკრძალება მიცვალებულების ბალზამირება, მისი სამ დღეზე მეტხანს სახლში გაჩერება (აქ შეატყო, რომ ჟურნალისტური „პუბლიკა“ ვერ აიყოლია და ბოლომდე „შეუბერა“) და დაკრძალვა! დიას, მზადდება კანონპროექტი, რომ შემოღებულ იქნეს საქართველოში კრემაცია დაკრძალვის სანაცვლოდ! აი, ასეთ მზაკვრულ გეგმას ამზადებს ჩვენი ხელისუფლება და ვინც ამას არ შეასრულებს, დაჯარიმდება 1.000-დან 2.000-მდე ლარი-ით! (<http://www.palitravt.ge/akhali-ambebi/politika/>)

ბოდიშს გიხდით, რომ ამხელა „ციტატა“ მოვიყვანე

„ორიგინალიდან“, მაგრამ ისეთი „ბაჯალლო სიბრიყვეა“, რომ არ შემეძლო, რამე გამომეტოვებინა: თავიდან რომ იწყებს, თბილისის მერია ამტკიცებს ახალ წესსო, ვიფიქრე, — ჯანდაბას, მაინც დაბარებული მაქვს, გურიასი დამმარხონ და იქ მაინც მიტირებენ მამაპაპურად-მეთქი; ბალზამის გარეშეც გაძლებს კაცი (თანაც, იქნებ გამიმართლოს და მაინცდამაინც ზაფხულში არ ჩავბარდე პატრონს), მაგრამ მერე „სრულიად საქართველოს მასშტაბზე“ გავიდა: ქვეყნის ხელისუფლება კანონით აკრძალავს დაკრძალვას (ვა, „ლამაზად“ გამოვიდა: „დაკრძალვის აკრძალვა“) და კრემაცია იქნებაო! ოღონდ ერთი ვერ გავიგე: თუ არ დაემორჩილები, რას ნიშნავს? ანუ, სასაფლაო მაინც იარსებებს, ოღონდ მხოლოდ „დაუმორჩილებლებისთვის“? ე.ი. უბრალოდ, დაკრძალვის გადასახადი იზრდება. ეგრე თქვით, რა, თქვე დალოცვილებო, თორემ გამისკდა გული — მკვდარი თუ არ დაგვემორჩილებათ, დავაპატიმრებთო, ესაო, ისაო... ვარლამ არავიძის არ იყოს...


არადა, ჯერ კიდევ როდის ვამბობდი: „ასფალტი ვჭამოთ?!“ მალე სუნთქვასაც აგვიკრძალავენ, ფილტვებზე „სოჩიკებს“ დაგვიყენებენ!

აჰა, ხომ გამართლდა?! სუნთქვას რა უჭირს, სიკვდილსაც კი გვიკრძალავენ!

იფ! ვენაცვალე ლეიბორისტებს! ხასიათზედ მოველ! მესამე თვე იწყება, პრეზიდენტის გარდა, სისულელებს არავინ ამბობდა, ყველა დასასვენებლად იყო წასული და ანი რალა მიჭირს — მალე ალბათ კუკავები, დავითაშვილები,

ბი, ძიდიგურები და სხვებიც ჩამოვლენ! მიშა ხომ არის და არის ყოველთვის „ფორმაში“! მოკლედ, იწყება ჩემო „ბაირამობა“, რა დროს სიკვდილია?!

ე, მართლა, ამას წინათაც ვიკითხე: ეს ნოლიდელი სად დაიკარგა?! რამე არ უჭირდეს ბიჭს...



P.S. მიშას „კოტეობის“ და იმ მუშების „ქეთოობის“ (ვააა! ესეც „ლამაზად“ გამოვიდა: მიშა-მუშა) ამბავი არ ვიცი, როგორ დამთავრდა, მაგრამ პრემიერის შემდეგ ყველა არხმა გაუშვა პრეზიდენტის ინტერვიუ, სადაც ამბობს, ეს შენობა სასწაულია, მაგრამ დასამთავრებელია რალაცებიო! დასამთავრებელიაო!!! ანუ ვერ მოუხსნიათ „ქეთოებს“...

- P.P.S. დაკრძალვაზე გურული ეკითხება ჭირისუფალს: — მიცვალებულს „გალსტუკი“ რეიზა არ უკვითა? — არ უყვარდა საწყალს... — ბალზამზე გიჟდებოდა ალბათ, ისე უყვარდა.

პროვოკატორი



ქვეყანა


ალექს ბოლდუინი პოლიტიკაში მიდის



პოლიტუდის ვარსკვლავმა მაგისტრატურაში ჩაბარება გადაწყვიტა, რათა 2013 წელს ნიუ-იორკის მერის არჩევნებში თამამად მიიღოს მონაწილეობა. 53 წლის ბოლდუინი პოლიტოლოგიისა და მართვის შესწავლას აპირებს. „უნივერსიტეტში სწავლა მერის მოვალეობების კარგად გაცნობაში დაემხმარება“, — განაცხადა მსახიობმა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლდუინი აშშ-ში ყველას უყვარს, მაინც ფიქრობს, რომ პოლიტიკაში მოსვლით საკმაოდ სარისკო ნაბიჯს დგამს, რომელსაც შესაძლოა, უსიამოვნო შედეგები მოჰყვეს.

გერმანელმა გადაკოსნა აკრძალეს

გერმანიის პროფესიული ეთიკის საბჭომ სხვადასხვა სამსახურის თანამშრომლებს გან უამრავი საჩივარი მიიღო. თანამშრომელთა პროტესტის მიზეზი, სამსახურში ერთმანეთის გადაკოცნა აღმოჩნდა. ერთ-ერთი ორგანიზაციის თავმჯდომარის, ჰანს-მიხელ კლაინის თქმით, ასეთი ქმედება გერმანელების ნერვებზე უარყოფითად მოქმედებს, ვინაიდან მათთვის კოცნა ეროტიკასთან ასოცირდება. საქმიანი ეტიკეტის თანახმად, თანამშრომლები ერთმანეთს 60 სმ დისტანციაზე, მხოლოდ ხელის ჩამორთმევით უნდა ესაუბრობდნენ.



თუთიყუში მიტუ ორ ენაზე ლაპარაკობს



ბრიტანეთის ერთ-ერთ ოჯახში ორ ენაზე მოლაპარაკე თუთიყუში ბინადრობს. ჩიტი-ბილინგვა ინგლისურ და ურდუს ენაზე მეტყველებს, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლია როგორც ინგლისელებს, ასევე ინდოელებსა და პაკისტანელებს „ეზაბასოს“. ნაცრისფერი შეფერილობის თუთიყუშმა მიტუმ მუსლიმანური მისალმებაც იცის, მის წარმოთქმულ „ასალამ ალეიქუმსა“ და „ბისმილაჰს“ მუსლიმანი მნახველები ალტაცებაში მოჰყავს.

მიტუ 2 წლისაა. მისი ნიჭიერება მხოლოდ „ენების ცოდნით“ როდი გამოიხატება: თუთიყუშს ხმების მიბაძვაც კარგად გამოისდის. „შეუძლია, ძალღვივით იყეფოს, ძალიან კარგად გამოსცემს მაცვივრის ხმასაც, — ამაყად ამბობს ფრინველის მეპატრონე ჯაფარ ახმედი.

კადროვის პარამოცვას მონათა ჰარამხანები ემსახურება

„ჩვენთვის რამდენიმე საიდუმლო ჰარამხანაა. რამზან კადროვის ნებართვით, მისი გარემოცვის წევრები ჰარამხანებში უამრავ ქალს მონურ მდგომარეობაში ამყოფებენ და სექსუალურ მომსახურებას აიძულებენ“, — ამ ინფორმაციას ბრიტანული გამოცემა **The Sunday Times** ავრცელებს. გამოცემა სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ მონა-მეძავეს სასტიკად ეპყრობიან, თითქმის ყოველდღე სცემენ და აუპატიურებენ. ერთ-ერთი წყარო, რომელსაც ბრიტანული ჟურნალი ცერდნობა, ჩეჩენი უფლებადამცველია. იგი თავად შეხვდა ერთ-ერთ ქალს, ზალინა ისრაილოვას, რომელიც მოგვიანებით მოკლული იპოვეს.

ინფორმატორების თქმით, მონებად იმ ჩეჩენ გოგონებს ირჩევენ, რომლებსაც ისლამური კანონი „შერცხვენილად“ აცხადებს, მაგალითად — მარტოხელა დედებს. ისრაილოვა თავადაც მარტოხელა დედა იყო. ზალინას საყვარელი — კადროვის ხელისუფლების მაღალჩინოსანი აღმოჩნდა გოგონა სწორედ მისი განვარდულებით გაიტაცეს და მონა-მეძავედ აქციეს. ისრაილოვა ერთ-ერთ მოძალადეს შეებრაღა და გაქცევაში დაეხმარა. გოგონამ საზღვარგარეთ გაღწევა შეძლო, მაგრამ მოგვიანებით მას ძმა დაუკავშირდა, ჩეჩენთი დაბრუნება სთხოვა და უსაფრთხოებაც აღუთქვა. გოგონას ძმის ნდობა ძვირად დაუჯდა: გარკვეული ხნის შემდეგ ის მოკლული იპოვეს.





აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი გარდაიცვალა

ქართველი მეცნიერი და აკადემიკოსი შოთა ნადირაშვილი 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქართული ფსიქოლოგიური სკოლის გამორჩეული წარმომადგენელი და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს. შოთა ნადირაშვილი ასევე იყო დიმიტრი უზნაძის სახელობის პრემიის ლაურეატი; ჰუმანიტური ფსიქოლოგიის ამერიკის საერთაშორისო ასოციაციის დამფუძნებელთა საბჭოს წევრი; სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დამფუძნებელთა საბჭოს წევრი; ფსიქოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე (გერმანია, საფრანგეთი, ავსტრალია, მექსიკა) განწყობის ფსიქოლოგიის სიმპოზიუმების თავმჯდომარე; მრავალი საერთაშორისო ფსიქოლოგიური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი; დიმიტრი უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი (1985-2006 წწ); განწყობის ანთროპული თეორიის ავტორს 12 მონოგრაფია და 250-ზე მეტი სამეცნიერო შრომა აქვს შექმნილი. მუშაობდა ზოგად, პედაგოგიურ და სოციალურ ფსიქოლოგიაში აღქმის, აზროვნების, განწყობისა და აღზრდის საკითხებზე და იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

საკვები პროდუქტების ფასი მთელ მსოფლიოში იზრდება

მსოფლიოში საკვებ პროდუქტებზე ფასი, შარშანდელ ივლისთან შედარებით, 33%-ით გაიზარდა. ამის შესახებ მსოფლიო ბანკის მორიგ ანგარიშშია ნათქვამი. ამავე დოკუმენტის მიხედვით, საკვებ პროდუქტებზე ფასმა 2008 წლის პიკს მიაღწია. საშინაო ბაზრებზე ფასები წარმოუდგენლად მერყეობს: ზოგიერთ ქვეყანაში სიმინდის ფასი 100%-ით გაიზარდა, სხვაგან კი — მხოლოდ 19%-ით. მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, სიმინდზე ფასმა, საშუალოდ, 84%-ით მოიმატა, შაქარზე — 62%-ით, ხორბალზე კი — 55%-ით. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა ავლანეთში. ანგარიშის თანახმად, 12 მილიონზე მეტ ადამიანს სასწრაფო ჰუმანიტარული დახმარება სჭირდება. „სახელმწიფოთა მთავრობებმა ყველა სოციალური, პოლიტიკური ფაქტორი თავდა უნდა გაანონასწორონ, რათა სამომავლოდ, მოსახლეობის ყველაზე ღარიბი ფენების დაცვა მოახერხონ“, — ნათქვამია ანგარიშში.

ქალაქი 14 წლის შვილი პოლიციას ჩააბარა

მანჩესტერში მცხოვრებმა ქალბატონმა საკუთარი შვილი პოლიციაში სალექტი რეზინის მოპარვის გამო მიიყვანა. ინგლისელმა ქალბატონმა დანაშაულის ამსახველი კადრები შემთხვევით ნახა და ქურდებს შორის საკუთარი შვილი ამოიცნო. როგორც აღმოჩნდა, 14 წლის ბიჭმა მალაზიის თაროზე ყველაზე იაფი — 1 გირვანქა სტერლინგად ღირებული სალექტი რეზინი ამოარჩია და ჯიბეში ჩაიდო. დედა შვილის საქციელმა აღაშფოთა და ბავშვი სასწრაფოდ პოლიციის განყოფილებაში წაიყვანა. „ბიჭმა დანაშაული აღიარა და თავის საქციელს ნანობს. ის მშვენივრად სწავლობს სკოლაში, არის კომუნიკაბელური და კარგად აღზრდილი. დედა კი უბრალოდ შოკირებულია ქვეყანაში მომხდარი უკანასკნელი მოვლენების გამო და სწორედ ამიტომ მიიჩნია შვილის საქციელი საშინელ დანაშაულად“, — ამბობს ოჯახის მეგობარი დომინიკ უოკლერი. 14 წლის ბიჭუნა ციხეს გადაურჩა, მაგრამ 9-თვიან პირობით პატიმრობაში იმყოფება, ჯარიმის სახით კი 85 გირვანქა სტერლინგის გადახდა დაეკისრა.



რუბრიკა მოამზადა **საბუნა ბახტურიძემ**
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ **ambebi.ge-ს** მასალები

ვისტამედი
VistaMedi

აქცია თქვენთვის!
მოსახსნელი ჰიოთაუნი
90 ცახიდან
სწრაფად და ხარისხიანად

წინსწახი რასტრით!

შოპოსი ქ. #14
ტელ.: 218 33 18
291 72 10
(5 99) 541 547
www.vistamedi.ge



„რომ იღბე, უნდა ირბინო“ ..

რადიო „პალიტრის“ მოხრატებული „იუბილა“

ის ძალიან პატარაა, მაგრამ დიდი გამოცდილება აქვს. ყოველთვის იცის, სად რა, როგორ და რატომ ხდება. თანაც, არასდროს იტყუება... რადიო „პალიტრას“ 3 წელი სულ ახლახან, 17 აგვისტოს შეუსრულდა, მაგრამ ხალხის ნდობა და სიყვარული უკვე კარგა ხანია, მოიპოვა. როგორ? როგორ და, მიუკერძოებელია, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს რეალურად აშუქებს, არც ფავორიტები ჰყავს, არც — შერისხულები. მისი კარი ყველასთვის ღიაა — როგორც პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეებისთვის, ასევე რიგითი მოქალაქეებისთვის. რადიოში სტუმრად მოსულ ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს ნათელია შეუძლიათ საკუთარი პოზიციებისა და მოსაზრებების გამოხატვა.

სათუნა პახტურიძე

„ჩინელებს ერთი ასეთი ანდაზა აქვთ: „რომ იღბე, უნდა ირბინო“. ჩვენ სულ დავრბივართ, სულ მოძრაობაში ვართ და ამიტომაც ვდგავართ ძალიან მყარად. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ის არის, რომ რადიო „პალიტრა“ ცხოვრობს ქვეყანაში არსებული ვითარების შესაბამისად, არაფერს ალაპაზუებს, არც აზვიადებს. ჩვენ არც ერთ მხარეს არ წარმოვადგენთ, რაც ჩემი აზრით, პროფესიული და მორალური გამარჯვებაა“, — მითხრა საზოგადოებრივი პროგრამების დირექტორმა **თამარ ცაგარეიშვილმა**. მისივე თქმით, ტელეფონისა და ინტერნეტის საშუალებით რადიო „პალიტრას“ ყოველდღიურად უამრავი ადამიანი უკავშირდება. ზოგიერთი მათგანი საკუთარ პოზიციას გამოხატავს, ზოგი მონვეულ სტუმარს უსვამს კითხვას, ზოგიც რადიოს შემოქმედებით ჯგუფს რჩევას აძლევს, საყვედურობს ან მადლობას უხდის. „პალიტრელები“ რჩევებსა და საყვედურებს ითვალისწინებენ, მადლობა კი, რა თქმა უნდა, სიამოვნებით...

რადიო „პალიტრასთან“ დაკავშირებით საკუთარი პოზიციის გამოხატვა რიგით მსმენელებს ვთხოვე. აი, რას პასუხობენ ისინი ჩემ მიერ დასმულ კითხვას — რატომ უსმენთ რადიო „პალიტრას“?

ნანა ქაშოკლიძე, 46 წლის:

— რადიო „პალიტრას“ იმიტომ ვუსმენ, რომ მრავალფეროვანი საავტორო გადაცემებია და წამყვანები არ არიან მიკერძოებულნი. გარდა



ამისა, მაქვს საშუალება, კითხვა დავსვა პირდაპირ ეთერში; ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მირაზ სარიბა, 32 წლის:

— გარდა იმისა, რომ ამ რადიოს საშუალებით სანდო, გადამოწმებულ ინფორმაციას ვიღებ, ძალიან ხშირად ვისმენ დებატებსა და ანალიტიკურ საუბრებს ჩემთვის მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. ძალიან მომწონს „რეზიუმე“ და „კავკასიური პალიტრა“.

ქათინა მუხამეილი, 44 წლის:

— მე გადაცემა „მკურნალს“ ვუსმენ დიდი ინტერესით. ძალიან სასარგებლო ინფორმაციას ვიღებ, რაც ცხოვრებაში ხშირად მადგება. აქტიურობით არ გამოვირჩევი და პირდა-

უამრავი სერიალი და ტრაგედია რეტული, ორსიტყვიანი საინფორმაციო გადაცემა ჩემს ცნობისმოყვარეობას და ინტერესს წამდვილად ვერ აკმაყოფილებს. „ვარდების რევოლუციამდე“, პოლიტიკური ტოქშოუ ძალიან ხშირად გადიოდა და ეს მომწონდა. ამ ხელისუფლებამ რატომაც გადაწყვიტა, რომ საზოგადოება აპოლიტიკური უნდა იყოს. ვითომ რატომ? ჩვენ აღარაფერს გვეკითხებიან?.. რადიო „პალიტრა“ სწორედ იმიტომ მომწონს, რომ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე ხშირად იმართება მსჯელობა. ძალიან მომწონს გადაცემები: „აქ და ახლა“, „ცენტრი“, „კავკასიური პალიტრა“...

თაზო რაჰიშვილი, 28 წლის:

— „პალიტრა“ მართლა კარგი რადიოა, ყველაფერს შეგიძლია მოუსმინო — გასართობიდან დაწყებული, შემეცნებითი გადაცემით დამთავრებული, თანაც იცი, რომ სიმართლეს ისმენ, არც ის ყურნალისტები გაღიზიანებენ, რომლებიც თავიანთ აზრს გამოთქვამენ.

რადიო „პალიტრამ“ საკუთარ იუბილეზე, რედაქციაში შემოსული ზარების მიხედვით, ორი,

ყველაზე აქტიური მსმენელი გამოავლინა და ტუბილულით დაასაჩუქრა. ერთ-ერთი მათგანი — 70 წლის ნანა ბერენიკაშვილი გახლავთ. როგორც გაირკვა, ის „პალიტრას“ პირველივე დღიდან ერთგულად უსმენს.

— **ქალბატონო ნანა, მაინც რთი არის განმარტებული რადიო „პალიტრისადმი“ თქვენი ასეთი დიდი სიყვარული და ერთგულება?**

— აკაკი ბაქრაძე და მურმან ლებანიძე ჩემი მეგობრები იყვნენ. ერთხელ მურმანმა აკაკის ჰკითხა, — ადამიანების ნდობის მოპოვებას ასე ადვილად როგორ ასერხებო? ბაქრაძემ უპასუხა, — როგორ და, არასდროს ვიტყუებო. რადიო „პალიტრაც“ ასეა — არასდროს იტყუება.

რადიო „პალიტრა“ სწორედ იმიტომ მოგონს, რომ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე ხშირად იმართება მსჯელობა

პირ ეთერში არ ვრეკავ, მაგრამ წამდვილად ერთგული მსმენელი ვარ.

ლალი კოხლაძე, 50 წლის:

— ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ტელევიზია უინტერესო გახდა.

ზოგჯერ რაღაც წვრილმანი თუ გაიპარება, მომდევნო გადაცემაში ამის შესახებაც გვატყობინებენ და ბოდიშს გვიხდინან.

— **როგორ გახდით ამ რადიოს მსმენელი?**



— აგვისტოს ომი სულ რამდენიმე დღის დამთავრებული იყო. საზოგადოება ჯერ დაზაფრული, შეშინებული იყო და გამუდმებით ახალი ამ-

დან ეთერში ტოქსოუ „სახალხო დარბაზი“ გავა, სადაც თამარ ცაგარეიშვილი რადიომსმენელს მოიწვევს და „დარბაზობას“ გამართავს.

მაში ლაშა გაბუნია მოგვითხრობს წარმატებული ბიზნესმენების ცხოვრებასა და მათ მიერ შექმნილ ბრენდებზე. შაბათ-კვირას დილის ეთერში ბატონი რამაზ იოსელიანი მოზარდებისთვის განკუთვნილ გადაცემაში დიდი ქართველების ბიოგრაფიებზე ისაუბრებს. გარდა ამისა, უკვე მოქმედ გადაცემებშიც იგეგმება ცვლილებები: შეიცვლება რუბრიკები, გაიზრდება ქრონომეტრაჟი, ზოგიერთი მათგანი კი სხვა ფორმატით გავა. ქალბატონი ნინო გვარნაშენებს, რომ სიახლეები ამით არ ამოიწურება და სხვადასხვა გემოვნებისა და ასაკის მსმენელს კიდევ რამდენიმე საინტერესო გადაცემას შესთავაზებს. ისლა დაგვრჩენია, კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ ბევრი ადამიანისთვის საყვარელ რადიო „პალიტრას“!

...ნავაყდი რადიო „პალიტრას“. პირველივე საინფორმაციო გამოშვების მოსმენისას მიხვდით, რომ არ გვატყუებდა

ბის მოლოდინში იმყოფებოდა. მალე მივხვდი, რომ სამთავრობო ტელევიზიები ცრუინფორმაციას გვანვდიდნენ. გადავწყვიტე, რადიოსთვის მომესმინა და სხვადასხვა სიხშირის „დათვალიერება“ დავიწყე. სწორედ მაშინ ნავაყდი რადიო „პალიტრას“. პირველივე საინფორმაციო გამოშვების მოსმენისას მივხვდი, რომ არ გვატყუებდა. შეიძლება, ტელევიზიების ხელმძღვანელებმა ეს არ იციან, მაგრამ ხალხი ძალიან ადვილად გრძნობს, როდესაც ატყუებენ.

საუბრის თემას თავად მსმენელი შეარჩევს და მისი განსჯის პროცესში მთავარი მოქმედი პირიც თავად იქნება. შეიქმნა ასევე ახალი გადაცემა „რადიობლოგერი“, რომელსაც ურუნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები გაუძღვებიან. ნამყვანები შეარჩევენ კვირის აქტუალურ თემას და საუკეთესო ბლოგერებთან ერთად განიხილავენ ეთერში. კიდევ ერთ ახალ გადაცე-

— ძირითადად, რომელ გადაცემებს უსმენთ?

— დილის პროგრამიდან დაწყებული, თითქმის ყველაფერს ვუსმენ. მხოლოდ მუსიკას არ ვუსმენ: ელექტრონერგიის ხარჯის გაზრდას ვერიდები, თორემ მაგასაც მოვუსმენდი. საკმაოდ კარგი მუსიკალური ნომრებია.

— როგორც ვიცი, რადიოს ღია ეთერში სწირად რეკავთ; თქვენ მიერ დასმულ კითხვებზე ამომწურავ პასუხებს თუ იღებთ?

— კი, ჯერჯერობით არ მქონია კითხვა, რომელზეც პასუხი არ მიმიღია. აშკარად ჩანს, რომ ურუნალისტები მაყურებელს პატივს სცემენ. ზოგჯერ მაყურებელი არაკორექტულ კითხვას სვამს და ილანძვება კიდევ, მაგრამ ურუნალისტები ნონასწრობიდან არ გამოდიან, შეურაცხყოფას არავის აყენებენ და ამომწურავ, განონასწორებულ პასუხებს სცემენ. ამ მხრივ განსაკუთრებულად გამორჩეული — კოტე ჟღენტია, ეს კაცი ნამდვილი დიპლომატია. არ მახსოვს, რომელიმე მსმენელისთვის ეთერი გაეთიშოთ. ეს ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ხელისუფლებასა და ჩვენ შორის ყრუ კედელია აღმართული. ისინი არც გველაპარაკებიან და არც გვისმენენ. აი, რადიო „პალიტრა“ კიდევაც გვისმენს და იმ საკითხებზეც გველაპარაკება, რომლებიც გტკივა და გვანუხებს.

როგორც რადიო „პალიტრის“ დირექტორი **ნინო ქვარიაანი** ამბობს, მსმენელს შემოდგომიდან უამრავი სიახლე ელის: *სექტემბრი-*

ქ. ფოთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის
საკათედრო ტაძარი

გაბთი	200355
ჯეოსელი	700555
ბილაინი	700555

ბთხოვთ დარეკოთ

წმიდა ანდრია
პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი

გაბთი	200320
ჯეოსელი	700305
ბილაინი	700333



„ხელისუფლებამ გასანადგურებლად გაგვიჩირა, სოცხლად გვასამარებენ“...

სასტუმრო „აფხაზეთში“ 1990 წელს ცხინვალის რეგიონიდან დევნილი 270-მდე ოჯახი შეასახლეს. სამწუხაროდ, 21 წლის შემდეგ ისინი კვლავ უსახლკაროდ დარჩნენ.

მთავრობამ გამოაცხადა, რომ ზაფხულში, თბილისში არსებული 36 თავშესაფრის ევაკუაციას გეგმავს და იქ მცხოვრებ დევნილებს ალტერნატიულ საცხოვრებელს ქალაქიდან მოშორებით სთავაზობს — „აფხაზეთში“ ნაცხოვრებ თითოეულ ოჯახს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ, კომპენსაციის სახით, 10.000 დოლარი ან ქალაქ რუსთავში საცხოვრებელი ფართობი შესთავაზა.

ნიუ ჯაჰანიშვილი

„იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონის“ მეხუთე მუხლში გარკვევით წერია: „საქართველოს შესაბამის ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპლექტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დევნილებთან იდება წერილობითი შეთანხმება ან გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილების საყოფაცხოვრებო პირობები“. მიუხედავად ამისა, 15 აგვისტოს სასტუმრო „აფხაზეთი“ დევნილებისგან, მათი ნება-სურვილის სანაღმდეგოდ, მაინც დაიცალა. შენობის დაცლამდე დევნილებმა საპროტესტო აქციები გამართეს, თუმცა სასურველი შედეგის მიღწევის იმედი არც ჰქონიათ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ამგვარი პროტესტი მაინც ძალისმიერი მეთოდებით მათი გამოსახლებით დამთავრდებოდა...


ნიუ, 38 წლის:

— 10.000 დოლარს გვთავაზობენ თითოეულ ოჯახს — არა აქვს მნიშ-

ვნელობა, რამდენი ნევრისგან შედგება; არც იმას ფიქრობენ, ამ ფულით რამეს ვიყიდით თუ ღია ცის ქვეშ დავრჩებით. მშობლები და დაქორწინებული ბიჭები, რომლებიც ცალცალკე ცხოვრობდნენ, ერთ ოჯახად გააერთიანეს, რომ ნაკლები თანხა გადაგვისადონ.

— რუსთავში გთავაზობენ საცხოვრებელ ფართობს; იცით, რაზეა საუბარი?

— არაფერი ვიცი. როგორც ამბობენ, ჯერ დასამთავრებელია და მისი კეთილმოწყობა 3 თვეში დას-




ლად კომპენსაციას გადალევენ და ჩვენ უარს ვამბობთ. სიცრუეა. გუშინ ლტოლვილთა სამინისტროსა და გაეროს წარმომადგენლები ბრძანდებოდნენ და როდესაც ამ უკანასკნელთ ვკითხეთ, რითი დაგვეხ-

ბავშვები გვაუბნებია, — ახლა ჰვძლიან, რასაც განიცდიდით, ცხინვალის იძულებით რომ წამოგვადით

რულდება. ის 3 თვე სად უნდა ვიცხოვროთ?! ერთხელ ისიც გვითხრეს, რომ რუსთავში მოგვექმნა ბინები — ერთი თვის ქირას, 300 ლარს ხელზე მოგცემთ და გადაიხადეთ. მაგის იმედიც არა გვაქვს, მოგვატყუებენ. გვეუბნებია, ნათესავები ხომ გყავთ, ისინი შეგიფარებნენო. კი, ბატონო, მაგრამ ჯერ ერთი, ყველას არ ჰყავს ახლობელი და თანაც, 4 და 5-სულიანი ოჯახებს ვინ შეგიფარებს თვეობით?! საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გამოაცხადეს, თითქოს გარემონტებულ ბინებსა და ფუ-

მარებოდნენ, გვიპასუხეს: ჩვენ, უბრალოდ, ვაფიქსირებთ იმას, რაც ხდება, სხვა ვერაფრით დაგვემარებოთ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ დევნილების სახელით სასამართლოში სარჩელი შეიტანა და საქმის განხილვამდე გამოსახლების პროცესის შეჩერება მოითხოვა, მაგრამ როგორც თავად მოისმინეთ, სარჩელზე უარი გვეთქვა. ის დრო, რაც აქედან წასასვლელად მოგვეცეს, ძალიან მცირეა. თანაც თანხმობის შემთხვევაშიც დაპირებულ 10.000 დოლარს მაშინვე კი არა, შენობის დაცლის შემდეგ მოგვეცემენ. მანამდე ხომ უნდა მოვძებნოთ რაიმე საცხოვრებელი, რომ მოხუცებთან და პატარა ბავშვებთან ერთად ღია ცის ქვეშ არ დავრჩეთ?! ბავშვები გვეუბნებია, — ახლა





ვხვდებით, რასაც განიცდიდით, ცხინ-
ვალთან იძულებით რომ წამოხ-
ვედითო. მაგრამ იქიდან ოსებმა
გამოგვადგეს და ახლა კი ჩვენი
არჩეული მთავრობა გვერის ქუჩა-
ში. ისედაც როგორ ვცხოვრობთ:
შეიძლება, 22-ლარიანი კომპენსაცი-
ით იარსებოს ადამიანმა?! როცა
გაგვასახლებენ, ალბათ ამ დახმარე-
ბასაც მოგვიხსნიან, რადგან სწორედ
იმიტომ სურთ აქა-იქ სოფლებსა და
რაიონებში ლტოლვილების დაქსაქს-
ვა, რომ ლტოლვილის სტატუსი აღარ
გვექონდეს და თვითონ მშვიდად
იყვნენ. აღარ გვინდა ეს „პირდალე-
ბული“ სტატუსი, მაინც მოგვიხსნიან.
ნორმალური ცხოვრების საშუალება
მოგვცვენ და თავი დაგვანებონ. ხელი-
სუფლებამ გასანადგურებლად გაგ-
ვნირა, ცოცხლად გვასამარებენ. ერის
მოძულე და კაცთმოძულე ადამიანებს
კი რა უნდა ელაპარაკო?!

**— კობა სუბელიანთან შეხვე-
დრა თუ სცადეთ?**

— სუბელიანი თვალთაც არ
გვენახვება. ვიდრე მინისტრი გახდე-
ბოდა, ბევრ რამეს გვეპირებოდა,
მაგრამ „ნ-იანის“ შემოხაზვის შემ-
დედ ვველაფერი დავეწყებას მიეცა.
ასია ჩვენზე.. ახლა რომ დავანერ-
ეთ ტრანსპარანტებზე: „დევნილე-
ბო, გამოფხიზლდით, რას გვიმერე-
ბა სუბელიანი“, ამას ადრევე უნდა
მივმხვდარიყავით...

ლალი, 41 წლის:

— ხალხს ეზინია და ზოგი უკვე
ბარგს ალაგებს, რომ დალენვას
მინისტრს გადაარჩინოს ის, რაც საკუ-
თარი შრომით უყიდა. ჩემმა შვილ-
მაც წიგნები ჩაალაგა, — ესენი
რომ დამეკარგოს, ვერ გადავიტანო...
საკუთარი მინისტრი ხალხს რომ
დაემალება, რაღაზე უნდა ილაპარ-
აკო?! ისე სამარცხვინოდ გაიპარნენ
სამინისტროს უკანა გასასვლელიდან
პასუხისმგებელი პირები, რომ მე
შემრცხვა მათ მაგივრად.

**— მაინც რას აპირებთ და-
პირებული თანხით?**

ნანა, 44 წლის:

— ვფიქრობთ, ბინა დავიგირავ-
ოთ, მაგრამ ფასები ისეა გაზრდილი,
რომ ესეც შეუძლებელია. უმეტესო-
ბა მუშაობს და აქედან წასვლით
იმ სამსახურსაც დაკარგავს, რითიც
ოჯახს არჩენს. მეც, ხან ძიხად
ემუშაობდი, ხან დამლაგებლად. აბა,
რა მექნა?! 24 წლის ვიყავი, ორი
პატარა ბავშვით რომ ჩამოვედი.
ორმხრივ სროლაში გამოვალნიეთ
უვნებლად... წლების წინ საკუთარი
კუთხის დატოვება ერთი წუთითაც

არ მინანია: ვფიქრობდი, თუ ეს
ჩემს ქვეყანას სჭირდებოდა, დაე,
ასე მომხდარიყო, ყველაფერს გა-
ვუძლებდი. მაშინ პატივყარილები
და ღირსებაშელახლები მაინც არ
ვყოფილვართ. ახლა კი აქედან ასე
ძალღებვით რომ გვერიან ქუჩაში,
გამწარებული და ღირსებაყარილი

ეთ-იქით წანწალი?! სასწაული რომ
მოხდეს და ცხინვალში დაბრუნება
შეიძლებოდეს, აქ ერთი წუთითაც
არ გავჩერდებოდი.

ნანა, 44 წლის:

— სულ სიზმარში ვხედავ ჩემს
სახლს, ისე მენატრება და ისე მიყ-
ვარს იქაურობა...

**სტრასის ქვე ოზრღაოღნენ ჩვანი შვიღაბი
ღა ახღაც სასონარაჟვითიღაბი არიან**


ვარ! ერთადერთი, ღმერთის იმედს
არ ვკარგავ და მჯერა, არ გაგვწირავს
და რამე გზას გვიჩვენებს ყველას.

აიბარი, 61 წლის:

— წასასვლელი არსად მაქვს და
ღღე და ღამე ვტირი. 31 წლის
ბიჭი, რძალი და პატარა შვილიშ-
ვილი მყავს. სად წავიდეთ, მითხ-
არით? ვის მივადგეთ მთელი ჩვე-
ნი ბარგით?! ბებო, სახლი არ წაგ-
ვართვანო, — ჩვენი შემხედვარე 3
წლის ბავშვიც ტიროდა. მე მიყ-
ვარს ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი,
მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, საკ-
უთარ ხალხს ასე თუ განწირავდნენ.
ცხინვალელები, ფაქტობრივად,
შევეწირეთ მაშინდელ პოლიტიკურ
მოვლენებს... ალბათ ვიღაცის სარ-
ღაფში სამადლოდ ცხოვრება მო-
მიწევს. რა მჭირდა საამისო?!
მეც და ჩემს ქმარსაც კარგი სამ-
სახური გვექონდა, აქ კი ვიღაცის
სახლებს ვალაგებ და ტუალეტებს
ვწმენდ. ეს სამუშაოც სანატრელი
გამიხდება, სადმე გადაკარგულში
თუ მოგვიწევს დასახლება... 16 წლის
წინ სასტუმროში ხანძარი რომ გაჩ-
და, მაშინ დაიღუბა ჩემი ქმარი და
შვილი მარტომ გავზარდე. იცით, რა
სიმწრით დავზარდე შვილები?! ისე
გადიოდა ზაფხული, რომ ხილსაც
ვერ ვყიდულობდით ბავშ-
ვებისთვის, ყველაფერი
გვენატრებოდა. ერთხელ,
პატარა რომ იყო, ჩემმა
ბიჭმა მკითხა: დედა, მე
ხომ ცოლად არავინ გა-
მომყვებო? — რატომ-
მეთქი? — გამიკვირდა. —
იმიტომ, რომ დევნილი
ვარ, არაფერი გვაქვს და
ვინ შემიყვარებსო?! სტრე-
სის ქვეშ იზრდებოდნენ
ჩვენი შვილები და ახ-
ღაც სასონარკვეთილები
არიან. რით ვერ დამ-
თავრდა დევნილების აქ-

ამის თქმისას თვალზე ცრემლე-
ბი მოადგა... თავი რატომღაც დამ-
წანაწანედ ვიგრძენი, ძველი ტკივილი
რომ განეუახლე და გავერიდე.

განსახლებისა და ლტოლვილთა
სამინისტროს ხელმძღვანელებისთვის
რამდენიმე კითხვის დასმა მინდო-
და და პრესსამსახურს ვთხოვე, მინ-
ისტრთან ან მის მოადგილესთან
დავეკავშირებინე. მითხრეს, კითხ-
ვები ელექტრონული ფოსტით გა-
მოგვიგზავნეთო. ასეც მოვიქეცი.
პარასკევს უქმეები მოჰყვა, უქმეებს
— ორშაბათი, სამშაბათი... დღემდე
ველოდები პასუხს ორად ორ კითხ-
ვაზე: სად უნდა წავიდნენ „აფხ-
აზეთიდან“ გამოსახლებულები მან-
ამდე, ვიდრე კუთვნილ 10.000 დოლა-
რს მიიღებენ და საცხოვრებლად
რაიმე ფართობს მოძებნიან და რა
პრინციპზე დაყრდნობით სთავა-
ზობენ 2-სულიან და 4-სულიან
ოჯახებს ერთსა და იმავე კომპენსა-
ციას ან ქალაქ რუსთაველში საცხოვ-
რებელ ფართობს, რომლის კეთილ-
მოწყობაც, მათივე თქმით, რამდენ-
იმე თვეში დასრულდება?! როგორც
ჩანს, ეს უმარტივესი კითხვები
ლტოლვილთა და განსახლების სამი-
ნისტროსთვის მეტისმეტად რთული
აღმოჩნდა...



**რადიო
თავისუფლება**

**უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!**

**რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!**

**ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.**

radiotavisupleba.ge



გაქვირებული ზოოპარკი და ბრანდიოზული ბებები

ვერეს ხეობაში გაშენებული ზოოლოგიური პარკი ბევრი თბილისელისათვის განტივრთვისა და ბავშვების გართობისათვის ასე თუ ისე, ნორმალური ადგილია. საფასურიც ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო და ახლომასლო მცხოვრებნი პატარებს თითქმის ყოველდღე ასეირნებდნენ. 1-ელი აგვისტოდან კი ტერიტორიაზე შესასვლელი ბილეთის ფასი 2 ლარი გახდა — ანუ ოთხჯერ (!) გაიზარდა, რამაც ბევრი ადამიანის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ თემასა და თბილისის ზღვაზე ახალი ზოოპარკის გაშენების საკითხზე სასაუბროდ, დირექტორს, ზურაბ ბურჩილაძეს ვენვიეთ:

თავითა დაღუპული

— ბატონო ზურაბ, რატომ გაქვირდა ზოოპარკში შემოსვლის საფასური?

— 50 თეთრი მიზერული თანხა იყო, ასე იაფი დღეს არაფერი ღირს. ორგანიზაციას ნორმალური შემოსავალი უნდა ჰქონდეს, რომ ახალი კოლექცია შეიძინოს, ვოლიერები ააშენოს და ა.შ. მსოფლიოს ზოოპარკებს შორის, 2 ლარი ალბათ ყველაზე დაბალი ფასია.

— ფასის მომატების შემდეგ, დამთვალიერებელთა რაოდენობა ხომ არ შემცირდა? მით უმეტეს, ახლა, როცა ქალაქი საგრძნობლად დაცარიელებულია.

— ფასისმატებას დამთვალიერებელთა რაოდენობაზე არ უმოქმედია. როგორც წესი, აგვისტოში შედარებით ცოტა ხალხია, ძირითადად, მაისი, ივლისი და სექტემბერია ყველაზე დატვირთული.

— ეს ტარიფი ყველასთვის ერთია თუ რაიმე შეღავათებიც გაქვთ დანესებული?

— ყველაფერი კანონის მიხედვითაა დარეგულირებული და ჩვენც შესაბამისად ვმოქმედებთ. სოციალურად დაუცველებისთვის შემოსვლა უფასოა; ფასი დიფერენცირებულია: 3 წლამდე ბავშვებისთვის შემოსვლა უფასოა, 3-დან 12-მდე — 1 ლარი, ხოლო 12-დან — 2 ლარი. კინოში როცა მიჰყავთ 3-4 ბავშვი, რაიმე შეღავათი აქვთ? ასევეა ჩვენთან. თუ სურთ, რომ ბავშვებს ზოოპარკი დაათვალიერებინონ, უნდა გადაიხადონ.

— ფასები ატრაქციონებზეც ხომ არ გაიზარდა?

— არა, მაგრამ არც ატრაქციონები და არც სანაყინე, ზოოპარკს არ ეკუთვნის, კერძოა.

— თუმცა იჯარის საფასურს იხდიან, ხომ ასეა? ეს შემოსავალიც ხომ ზოოპარკს ერიცხება?

— რა თქმა უნდა.

— ეს თანხები არ იყო საკმა-

რისი იმისათვის, რომ ცხოველებიც და გარემოც უკეთესად ყოფილიყო მოვლილი?

— ვფიქრობ, რომ ისინი ყოველთვის კარგად არიან მოვლილი და არ მესმის, ვინ შეიძლება იყოს ამით უკმაყოფილო. ცხოველებს მათთვის დამსახვრათებული სუნი აქვთ და ამას ვერაფერს ვუზამთ, მათი სუნის გამოყოფა ჯირკვლებს ამპუტაცია ჩაუტაროთ?! მაგალითად, სპილოსთან ახლოს ხალხს არ ვუშვებთ, რადგან უსიამოვნო სუნი აქვს. ალბათ ცხოველებსაც ექნებოდათ პრეტენზია დამთვალიერებლების მიმართ, რომლებიც გარემოს აბინძურებენ. ყველა ცხოველი უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი პირობებით, რაც სჭირდება.

— მინები რომ ქუჩყიანია, ზოგან გაბზარულიც და შიგნით ცხოველის ან ფრინველის დანახვა ძნელია, ამაზე რას იტყვიან?

— ესეც ჩვეულებრივი ამბავია. როცა ცხოველები თათებით ეხებიან, მინები შიგნიდან ბინძურდება. გაბზარვა და დაზიანება კი დამთვალიერებლის ბრალია.

— ფაქტია, რომ შემოსავალი 50-თეთრიანი ტარიფის დროსაც იყო და მსგავსი დეტალების მოგარება პრობლემური არ იქნებოდა.

— ვინაიდან ძველი ტარიფი საკმარისი არ იყო, იმიტომაც გაიზარდა საფასური და როცა ზოოპარკს შემოსავალი აქვს, ყველაფერი უკეთესად მოწესრიგდება.

— საერთოდ, რა ჯდება ცხოველების გამოკვება და მოვლა?

— მაგალითად,

ერთი ლომი დღეში 10 კილოგრამ ხორცს მიირთმევს; ყოველდღე ამას რა თანხა სჭირდება, ალბათ ნათელია. შარშან, ევროპის აკვარიუმისა და ზოოპარკების ასოციაციის წევრი გავხდით, ამას საკმაოდ ხანგრძლივი შემომება უძლოდა წინ და რომელიმე საკითხში სტანდარტებს რომ არ ვაკმაყოფილებდეთ, ის პროფესიონალები აუცილებლად აღნიშნავდნენ და ამ სტატუსს ვერ მივიღებდით.

— რამდენი თანამშრომელი ჰყავს თბილისის ზოოპარკს და როგორია მათი მინიმალური ხელფასი?

— დაახლოებით 100 თანამშრომელია; ხელფასის ოდენობას კი ზეპირად ვერ გეტყვი, მინიმუმი ალბათ 500 ლარი იქნება.

— ბოლო პერიოდში პარკი რით განაახლეთ?

— ახლახან სამხრეთ აფრიკიდან თეთრი ვეფხვები ჩამოვიყვანეთ, თითოეულის ფასი — 40 ათასი ევროა, ჩვენ კი ისინი უფასოდ მივიღეთ, გვაჩუქეს. დაახლოებით 2-წლიანი მუშაობა დაგვჭირდა იმისათვის, რომ მოგვეპოვებინა თეთრი მარტორქის აქ ყოლის უფლება, რომელსაც სექტემბერში ჩამოვიყვანთ და ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოოპარკებს შორის პირველები ვიქნებით, ვისაც ეს ცხოველი ეყოლება. გვინდა ასევე მივიღოთ ნებართვა, ვიყოლიოთ გორილა, პანდა და სხვა ძნელად შესანახი ცხოველები. ჩვენთან არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც ზოგიერთს ჰგონია.

— გადაშენების პირას მყოფი და იშვიათი ჯიშის ცხოველებიდან რომელი გვხვდება თბილისის ზოოპარკში?

— ასეთი ბევრია. მაგალითად, თეთრი ლომები, რომლებიც გასული საუკუნის 70-იან წლებში ველურ ბუნებაში მთლიანად გაქრნენ.



სამხრეთ აფრიკიდან თეთრი ვეფხვები ჩამოვიყვანეთ, თითოეულის ფასი — 40 ათასი ევროა, ჩვენ კი ისინი უფასოდ მივიღეთ, გვაჩუქეს



ფოქრობ, რომ ისინი ყოველთვის კარგად არიან მოვლილი და არ მესმის, ვინ შეიძლება იყოს ამით უკმაყოფილო

მშობელი ბავშვს, მაგალითად, მაიმუნის გალისთან ან მგლის ვოლიერთან ახლოს აყენებს, რომ სურათი გადაუღოს. ეს დაუშვებელია, რადგან ყველა ცხოველი პოტენციურად სახიფათოა. დაახლოებით თვეში ერთხელ გვინევს საინფორმაციო დაფების გამოცვლა, რადგან სმირად ამტვრევენ.

— ახალი პარკი რა ფართობზე გაშენდება და დაახლოებით რამდენ წელიწადში გაიხსნება?

— ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, რადგან დაპროექტება არ დასრულებულა. არსებული ზოოპარკის ფართობს დაახლოებით 5-6-ჯერ აღემატება. ზღვაზე იგი ნაძალადევის მხარეს გაშენდება. ყველაფერს მინიმუმ 3-4 წელიწადი დასჭირდება, მანამდე კი ჩვენ უფრო განვივითარდებით.

— ატრაქციონები იქაც იქნება?

— არა, სხვა ტიპის გასართობებს გავაკეთებთ, ტრადიციული კარუსელები არ იქნება. მაგალითად, გვექნება „პონი-კლუბი“, რომელიც აქაც გვაქვს. ზოოპარკში ნებისმიერი აქტივობა და „თამაში“ ცხოველებთან უნდა იყოს დაკავშირებული, ამის დიდი გამოცდილება არსებობს, რასაც ჩვენ უბრალოდ გავიზიარებთ.

ზოოპარკში ყოფნისას რამდენიმე დამთვალიერებელსაც გამოველაპარაკე და შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვე.

გვყავს გიბონები, სიეტა, სპილო, უსურის ვეფხვი. საერთოდ, ზოოპარკი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ადგილია. აქ მუშაობა საკმაოდ რთულია და ჩემი თხოვნა იქნება, კიდევ უფრო ნუ გაგვირთულებთ. ყველაზე მეტად, დამთვალიერებლების აზრი გვინტერესებს, თუ რა ცხოველის ნახვას ისურვებდნენ; ბევრი ადამიანი თავის შთაბეჭდილებებს „ფეისბუქის“ გვერდზე გვიზიარებს.

— ის ორგანიზაცია, სადაც განვრდიტ, რჩევებსა და შენიშვნებს თუ გაძღვეთ ხოლმე?

— დიას. ბუნებრივია, ყველაფერი იდეალურ წესრიგში ვერ იქნება, მაგრამ ვცდილობთ. ჯერჯერობით, 5 წლის მანძილზე კანდიდატები ვიქნებით. დანიშნული გვყავს ე.წ. მენტორი, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს. ჩვენი ძირითადი საზრუნავი და პრობლემა — ცხოველების ჯანმრთელობაა, ის, თუ როგორ და რა ინტენსივობით გამოკვებოთ ისინი და ა.შ.

— თბილისის ზღვაზე ახალი ზოოპარკის გაშენების საკითხი ამჟამად რა ეტაპზეა? ევროპული დონის და სტანდარტების იქნება?

— მოქმედი ზოოპარკიც ევროპული სტანდარტებისაა, სხვანაირად შეუძლებელია. ზღვაზე კი თანამედროვე, საერთაშორისო კლასის ზოოპარკი გავკეთდება. მნიშვნელოვანი ისაა, თუ რა ცხოველები გვეყოლება, ასევე — ბარიერების დიზაინი, რაც თვალში საცემია. ბარიერის მოწყობისას ძირითადი აქცენტი იმაზე კეთდება, რომ დამთვალიერებელმა არ დააზიანოს ცხოველი და არა — პირიქით. სამწუხაროდ, ზოგი მათგანი ვოლიერებში შეღწევას ცდილობს ხოლმე, მაგრამ ვაკონტროლებთ, რომ ასეთი რამ არ მოხდეს. სმირად

ირაკლი ჯიჯავაძე:

— ბათუმელები ვართ და თბილისში 5 დღით ჩამოვედით. ზოოპარკი ბათუმშიც გვაქვს, მაგრამ გვინდოდა, ცხოველები აქაც გვენახა.

— რა განსხვავებაა თბილისურ და „ნ მისის პარკს“ შორის?

— რა გითხრათ, თითქმის ერთნაირია. რომ ვიცოდე, აფრიკაში როგორ გამოიყურებიან ეს ცხოველები, უკეთეს დასკვნებს გავაკეთებდი. ალბათ თავისუფლად უნდათ სიარული.


— საფასურის გაზრდაზე რა აზრის ხართ?

— ალბათ ეს თანხა ცხოველებს მოხმარდება და გასუქდებიან (იკინის). **დინან ფუტხარაძე:**

— ჩვენ დევნილები ვართ და უფასოდ შემოგვიშვებს, მაგრამ საერთოდ, რა თქმა უნდა, ძნელია, როცა მაგალითად, 3 შვილი გყავს და ყველაფრის გადასახადი იმატებს.

თბილისის ზოოპარკს ბოლოს გაზაფხულზე, მეგობრებთან ერთად ვესტუმრე, რომელთაც გერმანელი სტუმრები ახლდნენ თან. ამ სეზონზე ცხოველებს ბენვი სცვივით; წვიმიანი დღე იყო და ბალანსაცვენილი, სუნიანი და ტალახში ამოსვრილი ბინადრები სტუმრებს, როგორც შევატყვე, არ მოეწონათ და ტაქტიანად აღნიშნეს კიდევ, თუ რაოდენ დიდი განსხვავებაა თბილისურ და ევროპულ ზოოპარკებს შორის...

იმედია, გაზრდილი ტარიფის წყალობით ცხოველებისა და ფრინველების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება და სანამ ახალი და გრანდიოზული ზოოპარკის გახსნას წითელი ლენტის გაჭრით ვიზეიმებთ, დირექცია, დაპირებისამებრ, ბევრ საინტერესო სიახლეს შესთავაზებს პატარებსა და მათ მშობლებს.



თალიზი
თმის გადანერგვის კლინიკა

თბილისი ქ. 27 ტელ: 214-15-15
www.talizi.ge



„ვადაყოფ, რომ ის დღეები გვირად დაგადახული ადამიანის გვირდით გავატარე“...

წინაპრების სისხლი არ მასვენებსო, — ეუბნებოდა დედას და ასეც იყო: ჯერ კიდევ პირტიტველა ბიჭმა — ალექსანდრე თანდაშვილმა საქართველოს უახლეს ისტორიაში ხალხის ყველა განსაცდელი გადაიტანა. 1989 წლის 9 აპრილის ღამეს ვერც რუსი ჯარისკაცის ნიჩაბს გადაურჩა და გაზითაც მოინამლა; მერე, 90-იანი წლების ქართულ-აფხაზურ ომში დაიჭრა, მაგრამ სამხედრო საქმიანობაზე მაინც არ აუღია ხელი... 2008 წელს კი რუსეთ-საქართველოს ომს შეენირა. 8 აგვისტოს რუსული ავიაციის დაბომბვაში მოყოლილი ორი უახლოესი მეგობრის — ალექსანდრე თანდაშვილისა და ერეკლე ყულოშვილის ცხედარი რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს...

ლალი პაპასკირი

ალექსანდრე (ალიკა) თანდაშვილის მიერ ღირსეულად გავლილ გზაზე ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე ვრცლად უკვე მოგიხსრობდით, ახლა კი კვლავ ვუბრუნდებით, რადგან 19 აგვისტოს, ფერისცვალებას, მას 40 წელი შეუსრულდებოდა.

სერჟანტი რეზო გაბიტაშვილი ერთ-ერთი იმთავანი იყო, ვინც საბედისწერო დაბომბვამდე ალიკას გვერდით იმყოფებოდა. ის მძიმედ დაიჭრა, მაგრამ სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა. დაბომბვის შედეგად დაღუპულ მეომრებს შორის კი, სხვებთან ერთად, ალიკა და მისი სამხედრო ნაწილის უფროსი ერეკლე ყულოშვილი ამოიცნეს...

რეზო გაბიტაშვილი იხსენებს:

— ომი რომ დაიწყო, IV ქვეითი ბრიგადის არტილერიაში ვმსახურობდი. ალიკა ჩვენს ბრიგადაში მანამდე 2 თვით ადრე გადმოვიდა. სხვაგან სთავაზობდნენ სამსახურს, მაგრამ მან პირად შემადგენლობაში ყოფნა არჩია... მალე ომიც დაიწყო და იმ 5 დღის განმავლობაში სულ ერთად ვიყავით. ალიკა თავისი საქმის პროფესიონალი იყო. აფხაზეთის ომი გამოვლილი ჰქონდა, ერაყის სამშვიდობო მისიაშიც იყო ნამყოფი. ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო. მას და ჩვენი ნაწილის მეთაურს, ერეკლე ყულოშვილს ერთმანეთი ერაყში გაუცნიათ, იქ დამეგობრებულან... აგვისტოს დაბომბვამდე რამდენიმე დღით ადრე მე და ალიკა მოწინააღმდეგის არტილერიის დაბომბვაში

მოვეყვით, მაგრამ გადავრჩით: პატარა ორმო დაინახა და იქ ჩავხტით... მე ომში პირველად მომიწია

კი დაბომბვის ხმას გაიგონებ, სადმე ორმოში ჩახტი; შეიძლება, კონტუზია მიიღო, მაგრამ აუცილებლად გადარჩებო. მისი სიტყვები დღემდე ყურებში მიდგას... მე მეკავშირე ვიყავი და ერთად მოგვინია ყოფნამ. როცა იმ უმძიმეს 5 დღეს ვიგონებ, ვფიქრობ, რომ ასეთი გმირების იმედზეა საქართველო... 8 აგვისტოს ჩვენი ასეული ცხინვალის შესასვლელთან იდგა. ალიკა, როგორც კი სროლის ხმას გაიგონებდა, ტყვიამფრქვევით ხელში პირველი გარბოდა და გზას „ასუფთავებდა“. თავი-

როგორც კი სროლის ხმას გაიგონებდა, ტყვიამფრქვევით ხელში პირველი გარბოდა და გზას „ასუფთავებდა“

ყოფნამ და როგორც ჩანს, სახეზე მენერა, რომ ძალიან ვნერვიულობდი. ახალბედებს გვეშინოდა, გვეგონა, თითოეული სიგარეტის მოწევა უკანასკნელი იქნებოდა... ძნელია, სიტყვებით გადმოსცე ის, რაც იმ დღეებში გამოვიარეთ. ალიკა მანყნარებდა, — ნუ გეშინია, როგორც

სი სიმამაცით სხვებს მაგალითს აძლევდა.

— **ვიცი, რომ თქვენ თვალწინ დაიღუპა...**

— დიახ. როცა დაბომბვა დაიწყო, დავიფანტეთ. მე ძალიან მძიმედ დავიჭერი, მუცლის ღრუ, თავი და ხელფეხი დაზიანებული მქონდა (ახლაც სამკურნალო შევებულებაში ვიმყოფები)... გონს რომ მოვედი, აფეთქებისგან დაგლეჯილი მეომრების სხეულები და ძირინანად მოთხრილი ნაქვები დავინახე... მერე გავიგე, რომ ალიკა და ჩვენი ნაწილის უფროსი ერეკლე ყულოშვილი ერთად დაღუპულან.

— **სამხედრო საქმიანობას აგრძელებთ?**

— დიახ. ფიზიკურ დატვირთვას ვერ ვიტან, მაგრამ სამხედრო სამსახურში მუშაობას ვაგრძელებ. ეს ჩემი საქმეა, რომელსაც უნდა ვემსახურო. დღემდე მახსოვს ალიკას დარიგებები და ვადაყოფ, რომ ის მძიმე დღეები გვირად დაბადებული ადამიანის გვერდით გავატარე.



ალექსანდრე თანდაშვილი ერაყში ყოფნისას



ლალი პაპასკირი

ირაკლი ცაგურია:

— მეცხრე წელია, ლონდონში ვცხოვრობ. სადაზღვევო კომპანია „ფენიქსის“ აგენტი ვარ. საკმაოდ კარგი სამსახური მაქვს, მაგრამ ბოლო დროს დაძაბული ვითარების გამო, არასტაბილურობის განცდა გამიჩნდა... ინგლისელები, ერთი შეხედვით, ფრანგებს ჰგვანან. ძალიან ცივი და ჩაკეტილი ხალხია, მაგრამ თუ პატიოსანი ადამიანის ავტორიტეტს შეიქმნი, თავისიანად მიგიღებენ და გაგიშინაურდებიან. ეს ეტაპი როგორღაც გადავლახე. ადაპტაციაში აქაური კანონები დამეხმარა: ინგლისის კანონმდებლობაში გათვალისწინებულია იმიგრანტებისა და ტურისტების ინტერესები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ბიუროკრატია სუსტია. ლონდონში ჩამოსვლიდან 7 დღის განმავლობაში ყოველდღე მიწვედა უბნის პოლიციაში სარეგისტრაციოდ მისვლა. ქალაქში მილიონობით სტუმარი ჩამოდის, მაგრამ ყველა მათგანი მკაცრი კონტროლის ქვეშ არის აყვანილი... აქაური ცხოვრების წესს რომ გაეცნობით, მიგვადებთ, რომ ინგლისს დემოკრატიაზე მართლაც ბევრი აკლია. ამას არც ის ინგლისელები უარყოფენ, ვისაც ამერიკაში, საფრანგეთში ან იტალიაში უცხოვრია. ბოლო დროს ბრიტანელებისგან ხშირად მოისმენთ, — ეს ქვეყანა, თავისი ბიუროკრატით, თანდათან რუსეთს ემსგავსება...

ირაკლი, ახლა ბოლოდროინდელ არეულობას მივუბრუნდეთ...

— დავინწყით იმით, რომ არეულობამდე ლონდონი ძალიან შეცვლილი იყო. ადგილობრივებმა ნელ-ნელა გაიაზრეს, რომ მათი სტუდენტები და საერთოდ, მოქალაქეები უმუშევარი რჩებიან. ლონდონი იმიგრანტების ქალაქად იქცა და ინგლისელები ამბობენ, რომ კატასტროფის ზღვარზე დგანან. არაერთხელ მომისმენია ჩემი ხელმძღვანელობისგან, — კარგი იქნება, თუ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობა მიგრანტებისთვის ვიზის გაგრძელების წესს გადახედავს... ბოლო დროს სამუშაოს პოვნა გაჭირდა, კომფორტის მოყვარული ინგლისელებისთვის კი ეს დიდი სტრესის მომტანია...

ანუ უკმაყოფილების მთავარი მიზეზი — სამუშაო ადგილების შემცირება?

ლონდონი „მიგრაციული კატასტროფის“ ზღვარზეა

რუ ბახდა ბრიტანეთში სპროტასტო გამოსვლების მიზეზი

რამდენიმე დღეა, ლონდონი მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ოფიციალური ინფორმაციით, არეულობა ერთ-ერთ ლარბ უბანში მას შემდეგ დაიწყო, რაც პოლიციის თანამშრომელმა 29 წლის მარკ დუგანი სასიკვდილოდ დაჭრა. მაგრამ შემდეგ ქუჩაში გამოსული ხალხის უკმაყოფილება საყოველთაო არეულობაში გადაიზარდა... ქართველი ემიგრანტების თქმით, ვითარება გაცილებით ადრე დაიძაბა. აი, რას ჰყვებიან ლონდონში მცხოვრები ქართველები იქ შექმნილ სიტუაციაზე.



საშინელი სანახავი იყო. შენობაში რომ ვერ შეაღწიეს, პოლიციის მანქანებს ბოთლები დაუშინეს, შემდეგ კი ცეცხლი წაუკიდეს

— დიას, ოლონდ უზარმაზარი იმიგრაციის მიზეზით. ზოგადად, ინგლისელები მშვიდი ხალხია, მაგრამ ეტყობა, ბოლო დროს დაგროვილმა პრობლემებმა ამოხეთქა. თბილისში არაერთი აქციის მომსწრე ვყოფილვარ. ბოლოდროინდელ ამბებსაც აქტიურად ვადევნებ თვალს, მაგრამ ასეთი გაღიზიანებული ხალხი არ მინახავს. ერთ დღეს სამსახურიდან

ჩემი სახლისკენ მიმავალი ქუჩა გადაკეტილი იყო და გზად ტოტენჰემის პოლიციის განყოფილებასთან გავიარე, სადაც ხელჩართული ბრძოლა იყო გამართული. გააფთრებული აქტივისტები შენობაში შეჭრას ცდილობდნენ, მათ პოლიციის ოფიცრები აკავებდნენ. საშინელი სანახავი იყო. შენობაში რომ ვერ შეაღწიეს, პოლიციის მანქანებს ბოთლები დაუშინეს, შემდეგ კი ცეცხლი წაუკიდეს.

ღიმიტრი ნითაზვილი:

— თავის დროზე, სამშობლოში გაუსაძლისი პირობების გამო, ინგლისში არალეგალურად ჩამოვედი. მაშინ 4 შვილი გყავდა, მერე კიდევ ორი შეგვეძინა... ლონდონში ჩამოსვლის შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში კონტროლის ქვეშ ვიმყოფებოდი; მერე დაგვაბინავეს და სოციალური დახმარებაც გამოგვიყვეს. ძალიან მკაცრი კანონები აქვთ, რაც იმიგრანტებისთვის ცოტა ძნელი შესას-

ინგლისელთა მთავარი მიზეზით, რომ ხალხი უფლებას მართებს, მეტი სიფხიზლი გამოიჩინოს იმიგრანტების მიმართ, რადგან ბოლო წლების განმავლობაში ქალაქი შიშვალა

სახლში მანქანით მოვდიოდი, როცა მათი ერთი ტალღა შემომხვია და მანქანის მინები ჩამიმტვრია. გარშემო ყველაფერს ლენავდნენ, შენობებს, მანქანებს, მალაზიებსა და სარეკლამო ბანერებს ცეცხლს უკიდებდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ქალები. არც სახანძრო მანქანებს ინდობდნენ და მათკენ ინევდნენ. ვერ წარმომიედგინა, თუ მშვიდ ინგლისელებს ასეთი აგრესიის გამოხატვა შეეძლო.

რულებელია, მაგრამ ინგლისელებისთვის კანონის უზენაესობა ყველაფერზე მაღლა დგას. თუ დაინახავენ, რომ მათი ქვეყნის ცხოვრების წესს პატივს სცემ, ყველანაირად მოგიმართავენ ხელს. ლონდონში ჩამოსვლიდან რამდენიმე ხნის განმავლობაში არ ვმუშაობდით, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ჩემს შვილებს ნორმალური ცხოვრების პირობები ჰქონოდათ...



თუმცა ბოლო დროს მართლა შეიცვალა ვითარება. სამსახურის პოვნა გართულდა და უსაფრთხოების მხრივაც გარკვეული პრობლემები გაჩნდა.

ელენე ნიკლაური, 35 წლის:

— 5 წელია, ინგლისში ვცხოვრობ. მუშაობის პარალელურად, ასტროფიზიკის ინსტიტუტში ვსწავლობდი და შეიძლება ითქვას, თავდაუზოგავად ვმუშაობდი. ბოლოს როდის გამოვიძინე, აღარც კი მახსოვს. ასეთ რიტმში ცხოვრობს მთელი ლონდონი



ლონდონში ჩამოსვლიდან რამდენიმე ხნის განმავლობაში არ ვმუშაობდი, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმისთვის, რომ ჩემს შვილებს ნორმალური ცხოვრების პირობები ჰქონოდათ...

ნი და ამას შეჩვეული ვართ... ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ძალიან შემაშინა. ადგილობრივები ამბობენ, რომ პოლიციასა და საზოგადოებას შორის ასეთი მწვავე და მასშტაბური დაპირისპირება 1985 წლის შემდეგ არ ყოფილა, როცა ქუჩაში მეშახტეები გამოვიდნენ.

— თვით პოლიციაზე რას იტყვით?

— ლონდონის პოლიციით აღფრთოვანებული ვარ. პოლიციის ფორმაში ჩაცმულ ადამიანებს ქუჩაში ვერსად შენიშნავთ. ხანდახან თუ ჩაივლიან, ცხენებზე ამხედრებულები, რასაც უფრო „დეკორატიული“ დატვირთვა აქვს; მაგრამ როგორც კი საჭიროება დადგება, წამებში ადგილზე ჩნდებიან. ქალაქის ქუჩებს ძირითადად, ვიდუკამერების საშუალებით აკონტროლებენ და ჩვეულებრივ, სამოქალაქო ტანსაცმლით დადიან. როგორც წესი, ყველაზე დიდი ხალხმრავლობა პარლამენტსა და ბიგ-ბენთან არის, მა-

გრამ ორივე შენობის შესასვლელში მხოლოდ ორ-ორი პოლიციელი დგას. თავად არ მინახავს, მაგრამ ლონდონის გარეუბნებშიც არის ენ. „შავი უბნები“, სადაც შესვლას ვერაფერს ბედავს; ძირითადად, ნიგერიელები ცხოვრობენ და იქაურობას მუდმივად სამხედრო პოლიცია აკონტროლებს... ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, პოლიციის ფორმაში ჩაცმულები სშირად მხედვებიან...

— ინგლისელებს იმიგრანტების მიმართ რა დამოკიდებულება აქვთ?

— არც ისე კარგი. სშირად მოისმენთ, რომ ლონდონი თანდათან „შფოთიან და უნესრიგო სავაჭრო ცენტრად ქცეულ მოსკოვს“ ემსგავსება... სტატისტიკური მონაცემებით, ავტომანქანით საავარიო სიტუაციას ყველაზე სშირად, ჩამოსულები ქმნიან. მათვე მიაწერენ საგზაო წესების დარღვევებსაც, რის გამოც ქუჩებში საცობები იქმნება და ადამიანებს გადაადგილება უჭირთ. ეს სერიოზული პრობლემაა, რადგან იქაურებისთვის სამსახური პირველ ადგილზე დგას და დაგვიანების გამო, შესაძლოა, გაათავისუფლონ კიდევც... თითქმის ყველგან, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას არის გაკრული მონოდება იმიგრანტებისადმი: „გთხოვთ, გამოიჩინოთ კეთილსინდისიერება და ადგილობრივ ადმინისტრაციულ კანონმდებლობას პატივისცემით მოეპყრათ“... ინგლისელებს მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებას მართებს, მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს იმიგრანტების მიმართ, რადგან ბოლო წლების განმავლობაში ქალაქი შეიცვალა. ბევრგან სამუშაო ადგილებიც უცხოელებმა დაიკავეს. ინგლისელები ამბობენ, რომ ტურისტებად ჩამოსული ადამიანების უმეტესობა საცხოვრებლად რჩება... სოციალური პირობების გაუარესების ფონზე, გახშირდა თვითმკვლელობა. ბონდ-სტრიტზე, რომელიც პრესტიჟულ უბანში მდებარეობს, ერთი თვის განმავლობაში თვითმკვლელობის 4 შემთხვევა დაფიქსირდა... რამდენიმე მეტროსადგურში ჩვენი სარეკლამო კომპანიის მიერ მომზადებული ბანერიც კი განათავსეს ნარწერით: „გაუფრთხილდით სიცოცხლეს!“ ზაფხულის ბოლოსთვის ინგლისელთა ფსიქოემოციური მდგომარეობა მძიმდება; სექტემბერ-ოქტომბერი ყველაზე დეპრესიული დროა ინგლისში: სტატისტიკურად, დეპრესიულთა რიცხვი იზრდება, რადგან წინ ელით გრძელი და ცივი ზამთარი, რომელსაც თითქოს ბოლო არ უჩანს...

თუ მოკლანაპილი

რატი დურგლიშვილი:

— ძირითადად, საქართველოს ტერიტორიაზე ვისვენებ. ვცდილობ, სხვადასხვა კუთხეში მოვხვედ. ჩემთვის ზაფხული ბათუმის გარეშე არ ჩაივლის და ცხადია, იქ წელსაც ვიყავი, შემდეგ კი ბაზალეთზე, კახეთშიც გახლდით... ახლა ევროპაში მივმგზავრები.

— კერძოდ, რომელი ქვეყნის მონახულებას აპირებ?

— საბერძნეთსა და იტალიაში მივდივარ.

— კონცერტებს გამართავ?

— არა, უბრალოდ, საგზური მაჩუქქს.

— ვინ გაჩუქს?

— არიან ადამიანები, რომლებიც სიკეთეს აკეთებენ...

— ასეთ სასიამოვნო საჩუქრებს სშირად იღებ?

— კი, სშირად და ამ ადამიანების მადლობელი ვარ.

— უცხოეთში სშირად მოგზაურობ?

— არა, რადგან საამისოდ დრო არა მაქვს. სხვა ქვეყნების ნახვისას დიდ სიამოვნებას ვიღებ, მაგრამ უცხოეთში მაქსიმუმ, 8 დღე ვძლებ.

— როგორც ვიცი, ნამზერი მოგწონს. უკვე კარგად გაირუჯე?

— უბრალოდ, ცურვა მიყვარს ძალიან და გავირუჯე კიდევც.

— ზაფხულის ცქელ დღეებს თბილისში როგორ ატარებ?

— აუზზე ვგრილდები. იმ მეგობრებსაც ვნახულობ, ვინც თბილისშია და ქალაქიდან ცოტა ხნით გავდივართ ხოლმე... თან, საქმეს ვაკეთებთ.

— რატო, შენთვის განსაკუთრებულად კარგი რომელი ზაფხული იყო?

— ჩემთვის ყველა ზაფხული განსაკუთრებულია: ამ დროს საინტერესო რაღაცები ხდება, ახალ ნაცნობებს ვიძენ...

— გოგონებს?



საბერძნეთსა და იტალიაში მივდივარ



თბილისში „ჩარჩანილი“ სნობილების საზაფხულო გეგმა

„ჩამი სახარობო რომანი სერიოზულ გრძნობაშიც გადახრდილა“

ზაფხულში, როცა დედაქალაქის მოსახლეობის უმეტესობა დასასვენებლად გაემგზავრა, გასაკვირი არაა, რომ პასიური დასვენების მოყვარულთათვის თბილისი კომფორტულ ადგილად იქცა, თუმცა მათ საზაფხულო გეგმებში ქალაქგარეთ გამგზავრება მაინც შედის...



დილით აუზზე მივიღარ, შემდეგ შინ ვბრუნდებით და საქმეებს ვაგვარებ

— კი, თუმცა ჩვეულებრივი მეგობრებიც ვიგულისხმებ.

— **ოდესმე შენი საკურორტო რომანი სერიოზულ გრძნობაში თუ გადაზრდილა?**

— კი, 3-ჯერ მოხდა ასე ანუ ძირითადად, ჩემი სასიყვარულო ურთიერთობა საკურორტო რომანით დანსყებულა.

— **ამჟამად, შენი გული თავისუფალია?**

— ისე, რა (იციინს)...

ლიკა ძორია:

— ჯერჯერობით თბილისში ვარ, მაგრამ მალე ბათუმში გავმგზავრები და იქ თვის ბოლომდე დავრჩები.

— **თუ გახსოვს, პირველად დასასვენებლად დამოუკიდებლად როდის წახვედი?**

— მთელი ოჯახი ერთად მივემგზავრებით ხოლმე. საზღვარგარეთ მარტო კი წავსულვარ, მაგრამ დასასვენებლად — არა.

— **განსაკუთრებულად კარგად სად და როდის დაისვენე?**

— ყოველ წელს უფრო და უფრო კარგად ვისვენებ, თითქმის ყველა ზაფხული კარგად მახსენდება.

— **ამჟამად თბილისში დროს როგორ ატარებ?**

— სამეგობრო წრიდან, დედაქალაქში მხოლოდ მე, ანი და ჩვენი ერთი მეგობარი ვართ. არ მეგონა, წელს თბი-

ლისში ასეთი სიწყნარე თუ იქნებოდა და ასე დავისვენებდი... აქ ბევრი ხალხი არაა და შესაბამისად, ქუჩებში თავისუფლად ვმოძრაობ.

— **ზაფხულის სიციხეს თავს სად არიდებ?**

— დილით აუზზე მივიღარ, შემდეგ შინ ვბრუნდები და საქმეებს ვაგვარებ, საღამოს კი მეგობრებთან ერთად ვატარებ. სექტემბრამდე „დიდ ზაფხულს“ ვგეგმავ. „გოლდენ ტალანტის“ ფესტივალს აუცილებლად დავესწრები და ქართველ კონკურსანტს ვუგულშემატკივრებ. ბათუმში ჩატარებული კონცერტებით აღფრთოვანებული ვარ: ჯაზფესტივალთ, სტინგის კონცერტით...

— **ენივე იღვქისას კონცერტსაც დაქანარი?**

— არა. მართალია, ძალიან კარგი, ნიჭიერი მომღერალია და ამას ვაღიარებ, მაგრამ მე სხვა მუსიკალურ მიმართულებას ვუსმენ. მირჩევენია, ბათუმში წასულმა სიამოვნება მივიღო...

— **დასასვენებლად ძალი და კატა არ მიგყავს?**

— ძალის — ტაშოს წაყვანა მინდოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მგზავრობას ვერ იტანს. სპეციალური საშუალებებით მისი დაძინებაა საჭირო. არ მინდა, ასე ვანვლო, ამიტომ დედაჩემს დავუტოვებ.

ანიკო სოლოლაშვილი:

— თბილისში ვარ „ჩარჩანილი“, ვერსად წავედი და ძალიანაც მოვიწყინე.

— **რამეს საქმიანობ?**


— საქმეც არაფერი მაქვს. დასასვენებლად წასვლას ვაპირებ, ოღონდ — სად, ჯერ არ ვიცი.

— **დასვენებას სად ავიჯობინებ?**

— ძირითადად — მთაში, რაჭაში.

— **ყველაზე კარგად რომელი ზაფხული გაატარებ?**

— თეატრალური სკოლა-



თბილისში ვარ „ჩარჩანილი“, ვერსად წავედი და ძალიანაც მოვიწყინე

სტუდიიდან მეგობრები ურევში გავემგზავრეთ. ის პერიოდი ყველაზე კარგად მახსენდება... უკვე 5-6 წელია, გონიოში ვისვენებ.

— **პასიურად?**

— დიახ, პასიური დამსვენებელი ვარ.

— **ღამის კლუბები არ გიზიდავს?**

— არა. არც ზაფხულში და არც — ზამთარში, ხალხმრავლობა არ მიყვარს...

— **თბილისში სად გროლდები?**

— სახლში კონდიციონერი მაქვს...

უჩრდოლი „ისტორიანი“ ნარკომიღვანეთ! ტომი VI

ყველა დროის საუკეთესო ისტორიული რომანი. სრული ვერსია 8 ტომად შეასრულა საჭოთა სანუარის მიერ. ამოღებულია მონაქვეთავით

ქონსტანტინე გამსახურდია

ტომი 6

„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, დევენი ერთხელ შეტყობთ შეიძინეთ „დავით აღმაშენებლის“ თითო ტომი (ნიგნის ფასი 3 ლარი) უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ ნიგნის მაღაზიებში



სასხე

მანიკა ასათიანი ზაფხულის დღეებს სამუშაოპროექტი ატარებს

ეთო ყორღანაშვილი

მოდელი და ყოფილი ტელე-ნამყვანი — მანიკა ასათიანი ახლახან გოგონას დეიდა გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ლიზა ჯერ რამდენიმე დღისაა, ექიმებმა აღნიშნეს, მანიკას ჰგავსო. ექიმების აზრს მანიკაც ეთანხმება.



ტელევიზია
ძალიან
მენატრება

— ულამაზესი ლიზას დაბადებით ძალზე ბედნიერი ვარ!.. მშობიარობის პროცესსაც დავესწარი.

— **ეგ რამ გადაგანწყვეტინა?**

— ჩემი დის სურვილიც იყო, მის გვერდით ვყოფილიყავი. ზოგადად, მშიშარა არ ვარ და მშობიარობაზე დასწრება არ გამიჭირდა. ლიზას დაბადება ჩემთვის უბედნიერესი წუთები იყო! ეს 3 დღის არსება უკვე ისე მიყვარს, რომ ლამის გაგვიყუდე! დეიდობა ძალიან მაგარია!..

— **თბილისში დისშვილის გამო ხარ?**

— დისშვილის გამოც, რა თქმა უნდა. გარდა ამისა, ჩემს მეუღლეს ვარჯიში დაეწყო. მთელი აგვისტოს განმავლობაში თბილისში ყოფნა მიწევს — დასასვენებლად მარტო წასვლა არ მინდა, თუმცა აქ თავს ცუდად არ ვგრძნობ. ვარჯიშის შემდეგ ბეჭა შინ მოდის. უნდა ვაჭამო, მივხედო... საღამოს მეგობრები გვსტუმრობენ ხოლმე. სულ მხიარულება გვაქვს. გარეთ ხშირად არ გავდივარ, თუმცა ბოლო 4 დღე სულ „ჩაჩავაში“ ვარ. 5 წუთით შინ მივირბენ და ისევ უკან ვბრუნდები...

— **შენს კარიერაში რა ხდება?**

— ეს პერიოდი სამოდელო სფეროშიც „მკვდარია“... სექტემბრისთვის რაღაც გეგმები მაქვს.

— **„რუსთავი 2“-დან შენი წასვლის მიზეზი მხოლოდ დილით ადრე ადგომა იყო?**

— არა. უბრალოდ, პაუზა გავაკეთე, რომ საკუთარი თავისთვის, ოჯახისთვის მიმეხედა. მიმანჩია, რომ ამ ეტაპზე ასე იყო საჭირო — ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად დღე-ღამის განმავლობაში 3 საათი ძილი საკმარისი არაა, თუმცა ტელევიზია ძალიან მენატრება.

— **ამინდის პროგნოზის წაკითხვა ასე დამილღვლია? „გაფორმების ეკონომიკურ ზონაში“ მუშაობაც ხომ განაგრძე?**

— არა, „გეზ-ში“ მუშაობა არ გამიგრძელებია. ამინდის პროგნოზის წაკითხვა ძნელი არ იყო, მაგრამ ღამე გვიან ვიძინებდი, დილით კი ადრე ვდგებოდი...

— **ახლა თავს როგორ გრძნობ?**

— კარგად. ვისვენებ... ჯერ 18 წლის ვარ, ყველაფერი წინ მაქვს.

— **როცა „გეზ-ის“ საიმიჯო პროგრამაში ცნობილი სახეები ჩაერთო, იქ მუშაობის გაგრძელებაზე ერთუზიანებით ლაპარაკობდით. საბოლოოდ, მუშაობა რატომ არ განაგრძე?**

— ოთხივემ ასე გადავწყვიტეთ, რადგან ეს ჩვენი საქმე არ იყო. საიმიჯო პროგრამით მუშაობა დროში არ გვზღუდავდა: რეალურად ვმუშაობდით, მაგრამ ყოველდღიურად — არა. შესაბამისად, დამილღვლი არ იყო. სამსახურის გაგრძელების შემთხვევაში, დილიდან საღამომდე ვიმუშავებდით.

— **„გეზ-ში“ მუშაობისას რა გევალებოდა?**

— საინფორმაციო და საბუთებთან დაკავშირებული საკითხები.

— **როგორ ფიქრობ, იქ მიღებული გამოცდილება ცხოვრების რომელიმე ეტაპზე გამოგადგება?**

— ის 3 თვე ძალიან კარგად მახსენდება. ოდესმე მსგავს სამსახურში მუშაობა თუ მომიწევს, საქმეს თავს იოლად გავვართმევ.

— **როცა „გეზ-დან“ შეთავაზება მიიღე, დიდხანს იფიქრე, დათანხმებული იყავი თუ არა?**

— ამ პროექტის შესახებ დები ქორქიებისგან ვიცოდი. ლიკსა და ანისთან ვმეგობრობ და ვიცი, მათთვის შეუფერებელ ადგილზე სამუშაოდ არც თვითონ წავიდოდნენ და არც მე შემომთავაზებდნენ. ასე რომ, მათ წინადადებას ულაპარაკოდ დავთანხმდი, თუმცა მანამდე ყველაფერი გავარკვიე.



მუსიკალური კლიპების გადაღებას არასოდეს ვაპირებდი

ჯერიც დადგეს, თუმცა, ყელის გამო, სიმღერას ვერ შევძლებ...

— სექტემბერში დასასვენებლად წასვლას სად აპირებ?

— ალბათ, ჩემი ქმარი „ზბორებზე“ აჭარისკენ წავა. შეიძლება, მეც აჭარაში დავისვენო ან — თურქეთში. ჯერ არ ვიცი. ზღვა მინდა და მზე.

— შენი კანის ფერის გამო, გარუჯვა ხომ არ გიჭირს?

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან თეთრი ვარ, მზეზე არ ვინვეები: ძალიან კარგ, შოკოლადისფერ ნამზეურს ვიღებ. წელს გარუჯვა ჯერ ვერ მოვასწარი.

— თბილისში გასაგრილებლად სადმე, მაგალითად, აუზზე არ დადიხარ?

— არა.

— დღეს როგორ ატარებ?

— მეგობრებთან ერთად კაფეში დავჯდები, საღამოს ჩემთან მოვლენ... აუზზე, ძირითადად, გასარუჯად მიდიან. სიმართლე გითხრა, თბილისის მზე არ მიყვარს, მით უმეტეს, რომ წელს ძალიან რადიაციულია, მე კი — თეთრი კანი და უღალი თმა მაქვს. ძლიერი რადიაციის მქონე მზის სხივების ქვეშ ყოფნა ჩემთვის ყველაზე ნაკლებად სასურველია.

— „გეზოში“ თქვენი დანახვისას ხალხს როგორი რეაქცია ჰქონდა?

— ძირითადად, ყველას უხაროდა. ვაიმე, თქვენ აქ რა გინდათ?! — ბედნიერი სახეებით გვეკითხებოდნენ. ვისაც საქმე არ ჰქონდა, ისინიც კი მოდიოდნენ (იციინს). ერთი უსიამოვნო შემთხვევაც კი არ მახსენდება.

— შეიძლება, შენი საქმიანობისგან განსხვავებულ რომელიმე სფეროში კიდევ გიხილოთ?

— კარგი შეთავაზება თუ მექნება, დავთანხმები. მსგავსი „პიარაქციები“ უცხოეთში ხშირად ტარდება.

— არის რომელიმე სფერო, რომლის „პიარსაც“ არ დათანხმდები?

— რა შეიძლება იყოს (ფიქრობს)?.. არა მგონია. ასეთ აქციებში მონაწილეობა სახალისოც კია.

— მანკა, გადაცემა „მელომანიაში“ „ჯეოსტარელები“ აქტიურად ჩართეს. შეთავაზება შენც ხომ არ მიიღე?

— ჩემი ქმრის ერთ-ერთ თამაშზე იმდენი ვიყვირე (ვგულშემატიკივობდი), რომ სასიმღერო ხმა სულ ჩამიწყდა. უკვე 7 თვეა, ასეა. ოდესმე სიმღერა თუ მომინდა, ოპერაცია უნდა გავიკეთო. ჯერჯერობით, სიმღერაში პაუზა მაქვს აღებული. საქართველოში კარგი ვოკალური მონაცემები ძალიან ბევრს აქვს. მე მოყვარულის დონეზე ვმღერი. ისეთი მონაცემები არ მაქვს, რომ ვარსკვლავი გავხდე. მუსიკალური კლიპების გადაღებას არასოდეს ვაპირებდი. „ჯეოსტარში“ 2 წლის წინ ფონაწილეობდი, „მელომანიაში“ ჯერ ახალი თაობა მღერის. შეიძლება ჩემი

აპკისტოს ნომერი

ბეაუმონდი

BEAUMONDE

აპკისტოს 2011 №8
ფასი 5 ლარი

ინა ჰოვალია

TRAVEL

სილაგაზისთვის
გაღებული
მსხვერპლი

SUMMER
PASSION

starring Shirena Begashvili
by SASHA PRISHVIN
PHOTOGRAPHY

ISSN 1987-510X
9771987510001

ახი ბემობხჩეთ!



ქართული მაგაკაზებით მოხილული უკრაინელი ივანა ზღვისპირეთში რესტორნის ყიდვას აპირებს

უკრაინელი მომღერალი ივანა მელნი უკვე 4 თვეა, საქართველოში ცხოვრობს და ჩვენი ქვეყნით მოხილბული, ალბომზე მუშაობს, რომელსაც ამერიკელი მსმენელისთვის ამზადებს. ალბათ ქართველებს არაერთხელ გვინახავს ჩვენი ქვეყნით აღფრთოვანებული და მასზე შეყვარებული უცხოელები, მაგრამ ივანა მათ შორის ალბათ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „საქართველოს ფანია“. როგორც მისმა პიარ-მენეჯერმა ნინი დედალაშვილილა მითხრა, ივანა ჩვენს ქვეყანას უკრაინაში ძალიან დიდ რეკლამას უკეთებს. ამას გარდა, ამზადებს გადაცემას საქართველოზე, რომელიც უკრაინული ტელეკომპანია „პიკის“ ეთერით გადაიცემა.

ელენა ბასილიძე

— საქართველოში პირველად თებერვალში ჩამოვედი — მესტიაში გამართულ კონცერტში ვმონაწილეობდი. თქვენი ქვეყნით აღფრთოვანდი! უკრაინაში დაბრუნების შემდეგ კი „პიკის“ ხელმძღვანელობამ შემომთავაზა, გამეკეთებინა გადაცემა საქართველოს შესახებ. როდესაც ამ წინადადების განსახილველად აქ ჩამოვფრინდი, გამიჩინა შეგრძნება, რომ საჭირო დროს საჭირო ადგილზე ვიმყოფებოდი. ბოლო დროს ხალხს თითქოს დაავინყდა, რომ ტუსოვეების, დისკოთეკებისა და კლუბების გარდა არსებობს ისეთი ჭეშმარიტი ურთიერთობები, როგორც ქართველებმა იციან. კლუბები, მეგა-მუსიკა, მეგამანქანები, ტანსაცმელი, მაგარი პონტები, რა თქმა უნდა, არაფერია იმ თვისებებთან შედარებით, რაც ქართველ ადამიანებს გენეტიკურად მოსდგამთ. მოხარული ვარ, რომ შეგიძლიათ ჭეშმარიტი მეგობრობის, მშვიდობის დაფასება, სტუმრის მიღება... ამან შთაბეჭდილია, რომ უკრაინელებისთვის მომეთხრო ხალხზე, რომელიც მიუხედავად ბევრი გაჭირვებისა, წინ მიიწევს და ცდილობს, „აღდგეს“.

— როცა საქართველოში მოდიოდით, თუ გქონდათ წარმოდგენა, როგორი ქვეყანა დაგხვდებოდა?

— რაც დამხვდა, ეს გაცილებით მეტი იყო, ვიდრე წარმომედგინა. აქ ყველაფერი მეგობრობაზეა აგებული. ჩემს ქვეყანაში მეგობრობის გამო ძალიან იშვიათად თუ გააკეთებს ვინმე



შესაძლოა, წინა ცხოვრებაში საქართველოში ვცხოვრობდი

რამეს. როცა საქართველოში მეორედ ჩამოვედი, შუალამისას ქალაქში ვსეირნობდი და ვამბობდი, — არ მჯერა, რომ აქ ვარ-მეთქი... თბილისი ახლა უკვე ჩემი ქალაქიცაა. ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება არც ერთ სხვა ქალაქს არ მოუხდენია. ბათუმში ხომ საოცრებაა. მჯერა, რომ სულ მალე იგი ასულათასობით ტურისტს მოიზიდავს. როცა უკრაინაში ჩავდივარ, პირზე სულ საქართველო მკვერია, ყველას ვეუბნები, თუ რა არაჩვეულებრივი ქვეყანა გაქვთ. მიმაჩნია, რომ ადამიანისთვის ის ქვეყანა კი არაა მშობლიური, სადაც დაიბადა, არამედ ის, სადაც თავს კომფორტულად გრძნობს.

— თქვენ შესახებ მოგიყვით.

— მე დასავლეთ უკრაინაში, იმიერ კარპატში დავიბადე. ჩემს ქალაქში დიდი პოპულარობით ვსარგებლობდი. 17 წლის ვიყავი, როცა კიევში ჩავედი და ჩემი კარიერული აღმასვლა დაიწყო. როგორც კი 18 წლის გახვდი, მილიონდოლარიან კონტრაქტს მოვანერე ხელი, კლიპებში გადამიღეს, ტელეარხის წამყვანი გახვდი. ჩემს პროგრამას საკმაოდ დიდი რეიტინგი ჰქონდა... შარშან შემოდგომაზე კი მივხვდი, რომ რაღაც მაკლდა. ხშირად ხელოვანებს უდგებთ დრო, როცა საკუთარი მიღწევები ეცოტავენათ...

სულ მალე კი კონცერტის ჩასატარებლად საქართველოში ჩამოვედი. სვანეთში თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს საკუთარ სახლში ვიმყოფებოდი. ბუნებაც ძალიან ჰგავდა კარპატის მხარის გარემოს. მანქანით რომ მივედიოდი, მეგონა, ნუთი-ნუთზე ჩემს მშობლებს ვნახავდი...

— შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში იდგება და მუხტს ეძებთ, რომელიც კარიერაში წაგადგებათ...

— არა მხოლოდ ვეძებ, ვიპოვე კიდევ. ვიცი, რა უნდა ვიმღერო, რა მოუნონება ხალხს... შესაძლებელია, აქაური კომპოზიტორებისა და „სანო სტუდიის“ მემშვეობით ისეთი მუსიკა შევქმნათ, რომელიც ამერიკაში ძალიან პოპულარული გახდება. ჯერ კიდევ 1 წლის წინ მივიღე მინჯვა ლოს-ანჯელესის ჩამწერი სტუდიიდან — „არისტა რეკორდს“ — ჩემით დაინტერესდნენ და ალბომის ჩაწერა შემომთავაზეს. იმედი მაქვს, ჩემი ნიჭისა და ქართველი მეგობრების დახმარებით, ისეთი პროდუქციის შექმნას შევძლებ, რომელიც მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდება.

— საქართველოში ამერიკელი მსმენელისთვის განკუთვნილ ალბომს წერთ?

— დიას, ვცდილობთ, თითოეული სიმღერა ისე ჩაწეროთ, რომ ამერიკელებმა მათი გადაკეთება და თავის ჭკუთზე „მორგება“ არ მოისურვონ. სხვათა შორის, ძალიან მინდა, ქართული სიმღერაც ჩაწერო. ეს ჩემთვის საამაყო იქნება.

— ქართული ენის სწავლა ხომ არ დაგინწყიათ?

— არა. რამდენიმე ფრაზა ვიცი, მაგრამ საოცარი ისაა, რომ ქართულად ნათქვამი ყველაფერი მესმის. არ ვიცი, ეს ფაქტი როგორ აეხსნა. ამას წინათ ერთ-ერთ სუპერმარკეტში გოგონა დიდი ხნის განმავლობაში მესაუბრებოდა, მე კი ვუპასუხე, — არა, თქვენი პლასტიკური ბარათი არა მაქვს-მეთქი, — რამაც ჩემი მძლოლის აღფრთოვანება გამოიწვია. იმ გოგონას საუბარი არაჩვეულებრივად გავიგე (იცინის). ახლაც, როცა თქვენ ქართულად ლაპარაკობთ, მესმის. შესაძლოა, წინა ცხოვრებაში საქართველოში ვცხოვრობდი.



— ქართველებით აღფრთოვანებული ხართ, ქართველ მამაკაცებზე რას მეტყვი?

— ამას წინათ ნინო ქათამაძემ მითხრა, — მოდი, ქართველ კაცს გაჰყვი ცოლადა... გავიკვირე, — ვის-მეთქი?! — ვის და, რა თქმა უნდა, ქართველსო, — მიპასუხა (იცი-ნის). მართალია, ჯერჯერობით გათხოვებას არ ვაპირებ, მაგრამ ქართველი მამაკაცები ძალიან მომწონს. ძლიერი ხასიათით გამოირჩევიან, ქალის მოხიბვლა შეუძლიათ და რაც მთავარია, ნამდვილი მამაკაცები არიან და არა — ალფონსები. მთელი ცხოვრების განმავლობაში სულ შავგერემანი მამაკაცები მომწონდა (ილიმის). ქართველი მამაკაცები ჩემს გემოვნებას შეეფერებიან.

— აქ თავყანასმცემლები თუ გყავთ?

— საქართველოში მხოლოდ მეგობრები მყავს. თუმცა არიან ადამიანები, რომლებსაც შესაძლოა, ჩემთან მეგობრობაზე მეტი სურდეთ, მაგრამ ამაზე არასოდეს მიფიქრია.

— როგორც ვიცი, უკრაინაში გამართულ მოჯოს კონცერტზე მისი დიდი სიმპათია დამსახურეთ. ამის შესახებ უკრაინული პრესაც წერდა. სულ მალე მოჯო საქართველოს ესტუმრება. მისი ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი თქვენ სომ არ ხართ?

— მოჯოს კონცერტზე „ბუდა ბარში“ მიმინვიეს. მის წინ მაგიდასთან ვიჯექი და შევაძინე, რომ დაყინებით მიყურებდა. ცეკვის დროს კონცერტი შეწყვიტა და სცენიდან გამეცნო, როდესაც კონცერტს ასრულებდა: ბოლო სიმღერაო, — გამოაცხადა. მე კი ვთხოვე, კიდევ ემღერა. მანაც მთელი დარბაზის გასაგონად გამოაცხადა, — ულ-ამაზესი გოგონასთვის, ჩემი ლედისთვის, ივანასთვის ჟღერს მომდევნო სიმღერაო. ძალიან თბილი ადამიანია, კონცერტის შემდეგ 4-5 საათი ესაუბრობდით, ყველა თემა მიმოვიხილეთ, ხოლო როცა მის მომდევნო კონცერტზე მივედი, პირდაპირ სცენიდან მელაპარაკებოდა, თითქოს ეს კონცერტი მხოლოდ ჩემთვის იყო გამართული. მას შემდეგ ერთმანეთს ვხვდებით. არ ვიცოდი, თუ საქართველოში ჩამოდიოდა. მან კი იცოდა, რომ უკვე დიდი ხანია, აქ ვცხოვრობ.

— საქართველოში დაფუნებაზე სომ არ გიფიქრიათ?

— ჩემს მშობლებს უკრაინაში რესტორნებისა და სასტუმროების ქსელი აქვთ. მას შემდეგ, რაც

საქართველოდან უკრაინაში დავბრუნდი, მშობლებს ვკითხე, მზად იყვნენ თუ არა, რომ ერთ დღეს საქართველოში ზღვის პირას რესტორანი მეყიდა და დაფუნებულიყავი? მამამ მიპასუხა, — თუ უფალი ასე გადაწყვეტს და შენ იქ ოჯახი გეყოლება, რა თქმა უნდა, ჩვენც შენთან ერთად ვიქნებითო. დედისერთა ვარ. ჩემი მშობლები მზად არიან, ჩემი გულისთვის თავი გადადონ და მათი გულისთვის თავგანწირვა მეც შემიძლია. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ წარმატებისათვის მიმეღწია. სხვათა შორის, მამაჩემი ქართველ მამაკაცებს ძალიან ჰგავს ხასიათით.

— ივანა, იმ გადაცემაზეც ვი-საუბროთ, რომელსაც საქართველოს შესახებ უკრაინული ტელევიზიისთვის ამზადებ.

— ერთი უკრაინელი გოგონა მოუყვება თავისი ერის ადამიანებს, თუ როგორია საქართველო. საუბარი იქნება ისტორიის, კულტურის, სამზარეულოს, ქართული მოდისა და თითქმის ყველაფრის შესახებ. მსგავსი გადაცემა მომზადდება აზერბაიჯანის, იტალიის, სომხეთის, ესპანეთის, ჩეხეთის შესახებაც. მოვივლით ყველა იმ ქვეყანას, რომელიც მიგაჩნია, რომ საზოგადოებამ უნდა გაიცნოს.

— საქართველოს შესახებ მხოლოდ ერთი გადაცემა მომზადდება?

— პირველი გადაცემა უკვე გავიდა ეთერში. მასში ქეთა თოფურიაც მონაწილეობდა, რომელთანაც საინ-

ტერესო ინტერვიუ ჩავენერე. ვაპირებთ, თქვენს ქვეყანას გადაცემათა ციკლი მივუძღვნათ. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია როგორც საქართველოსთვის, ასევე უკრაინისთვისაც. მიხარია, რომ შემიძლია გავაკეთო რალაც ისეთი, რაც ქართველებისა და უკრაინელების დამეგობრებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

— ამჯერად როდემდე აპირებთ აქ დარჩენას?

— ჩემი დაბრუნების დრო ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. დეკემბრამდე ჩემი საქმეები უნდა დავასრულო. რაც შეეხება ტელეგადაცემას, მის მომზადებას გაცილებით მეტი დრო დასჭირდება. ჯერჯერობით რეალური გრაფიკი არა გვაქვს შედგენილი. მე და ნინი ხშირად ვხუმრობთ, დღე-ღამეში რატომ არ არის 48 საათი?! ხომ უფრო მეტ რამეს მოვასწრებდითო!

— თქვენი პარ-მენჯერო, ნინი დედალამაზიშვილი როგორ იპოვეთ?

— როცა საქართველოში ჩამოსვლა გადაწყვიტე, სრულიად სხვა პიარ-სპეციალისტი მირჩიეს, მაგრამ ვამჯობინე, თავად ამერჩია ჩემი გუნდის წევრები. დღეს ჩემი პროდიუსერი — ოლიკო გაბელაიაა, რომელიც არაჩვეულებრივი ადამიანია. როცა ნინი გავიცანი, მაშინვე სამომავლო გეგმებზე დავინყეთ საუბარი; მაშინ არც კი ვფიქრობდით, რომ სულ მალე ერთად ვიმუშავებდით. რეჟისორი ზაზა ორამვილიც ჩემი გუნდის წევრია. ოჯახის წევრებით ვართ, ერთიმეორის პრობლემებს ვიზიარებთ. ისინი მუდამ მზად არიან, მხარში ამომიდგნენ, მათთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა.

— ქართველი მომღერლები თუ გაიცანით?

— კი, რა თქმა უნდა! უკვე თითქმის ყველასთან ვემგობრობ. ვერც კი ვიფიქრებდი, რომ სულ რალაც 2-3 თვეში არაჩვეულებრივ ადამიანებს გავიცნობდი და დავუახლოვდებოდი. მინდა, მთელ საქართველოს და ჩემს ქართველ კოლეგებს დიდი მადლობა გადავუხადო. თქვენი ჩემდამი დამოკიდებულება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მინდა, ხელი შევუწყო ნიჭიერ ახალგაზრდებს გზის გაკავშირებაში. იმედი მაქვს, სულ ცოტა ხანში თქვენთვის ძალიან ბევრი ამბავი მექნება მოსაყოლი.

— დიდი მადლობა, ივანა!

— გმადლობთ თქვენ, რომ ასეთი კარგები ხართ.



ქართველი მამაკაცები ძალიან მომწონს



კიდეც ერთი პრიზი ქართველს ერგო

ბელორუსიის ქალაქ ვიტებსკში მეოცედ გაიმართა საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „სლავიანსკი ბაზარი“. მართალია, ჟიური მკაცრი იყო ხოლმე ჩვენი მომღერლების შეფასებისას, მაგრამ ქართველები საპრიზო ადგილებს მაინც იღებდნენ. 2010 წლის პირველი ადგილის მფლობელიც ლაშა რამიშვილი გახდა.

კაა ლოშია

ამჯერად საიუბილეო ფესტივალზე ალექსანდრე ბასილიას კონცერტის ყოფილმა წევრმა ზვიად აბაშიძემ საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა, მაგრამ ტელეკომპანია „მირის“ სპეციალური პრიზი „გლობუსი“ და პრემია — 2.000 დოლარი კი ერგო წილად. ამ მომღერალსა და მსახიობს კარგად იცნობს ქართველი მაყურებელი. გადაღებულია ცნობილ ტელესერიალებში, მათ შორის — „ცხელ ძაღლსა“ და „შუა ქალაქში“.



„მირის“ ხელმძღვანელობას ჩემზე შეუხერხებია არჩევანი

ვიტებსკიდან დაბრუნების შემდეგ ზვიად აბაშიძე ფესტივალის შესახებ გვესაუბრება:

— მოგესხენებათ, ფესტივალს „სლავიანსკი ბაზარი“ ჰქვია და კულუარებში ამბობდნენ, არასლავური ქვეყნების მონაწილეებმა გამარჯვებაზე არც უნდა იოცნებონო. უფრო მეტიც — თითქმის ყველამ ვიცოდით, რომ ბელორუსი გოგონა მიიღებდა პრიზს. არც რუს მომღერალს ერგო არაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ფესტივალი რუსული კაპიტალით დაფინანსდა. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა და ჟიური ძველებურად არაობიექტური და არაკორექტული იყო. მეტიც, ჟურნალისტებიც კი ვერ ფარავდნენ აღშფოთებას იმის გამო,


რომ ჟიურის ზოგიერთი წევრი კალკულატორით ითვლიდა, ვის რამდენი ქულა ერგო და ვისთვის რამდენი უნდა დაეკლოთ. პრიზზე ფიქრი ასეთ ვითარებაში მეტიც-მეტი იყო. ამიტომ ერთგვარი სიურპრიზი იყო, როდესაც ტელეკომპანია „მირმა“ თავის ფავორიტად დამასახელა. ჩემი კონკურენტები ბალტიისპირელი და ყაზახი მომღერლები ყოფილან, მაგრამ როგორც ტელეკომპანიის თანამშრომელმა მითხრა, „მირის“ ხელმძღვანელობას ჩემზე შეუხერხებია არჩევანი. ეს არის პრიზი მუსიკალური ტრადიციების შენახვისა და მისი ოსტატურად გადმოცემისთვის. ცხადია, ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— რა მოგცა ამ პრიზმა და საერთოდ, ფესტივალში მონაწილეობამ?

— მომცა პერსპექტივა, რომ ცნობილ მომღერლებთან ერთად ჩაწერო სიმღერები და, როგორც საპატიო წარმომადგენელი, შემდეგ ფესტივალზე მიმინვიონ. როგორც ჩემმა პროდიუსერმა მამუკა სააკაშვილმა და პედაგოგმა ნანა ჟღერიამ მითხრეს, ცნობილ ბელორუს მომღერალთან, პიოტრ ელფიმოვთან ერთად უნდა ჩაწერო დუეტი, სადაც მე ბელორუსულად ვიმღერებ, პიოტრი კი — ქართულად. სიმღერა ტელეკომპანია „მირის“ ეთერში გავა. მსმენელის განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია „სულიკომ“, ერთი სტროფი ბელორუსულად ვიმღერე. საოცრად გულთბილად შემხვდნენ ბელორუსი და რუსი კოლეგები. დასანანია, რომ თქვენთან ომი და რუსეთთან დაძაბული ურთიერთობააო. ვუსხნიდი, რომ ჩვენთან მშვიდობაა. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნისთვის ასეთ პრესტიჟულ ფესტივალში მონაწილეობა იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ვუცვლით ინფორმაციას. „სლავიანსკი ბაზარი“ იმითაც იყო



პოპულარული, რომ ცნობილი, მიხაილ ფიშბერგის ორკესტრი უკრავდა და ეს ჩემთვის დიდი პატივია. იმედაია, ქართველი მომღერლები დიდხანს არ ვიქნებით უცხოურ ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის იმედად. საქართველოში შოუბიზნესი არ არსებობს და ვშიშობ, რომ თუ ასეთი უძრაობა იქნება, დიდხანს ან საერთოდ ვერ განვითარდება. მხოლოდ დროდადრო გამართული ადგილობრივი ფესტივალები უკეთესი მომავლის იმედს ვერ იძლევა.



მიხაილ ფიშბერგის ორკესტრი უკრავდა და ეს ჩემთვის დიდი პატივია



მის უსაყვარლეს მამაკაცად სამუდამოდ დარჩა...

მთელი ცხოვრების განმავლობაში ერთმანეთის შურდათ, მთელი ცხოვრება სასტიკ შეურაცხყოფას აყენებდნენ ერთმანეთს. ლოურენსი გიჟს ეძახდა; ვივიენი ჰომოსექსუალობას სწამებდა, მაგრამ აღიარებდა, რომ ლოურენსი მისი ცხოვრების საუკეთესო მამაკაცი იყო. ერთად 20 წელი იცხოვრეს. ერთმანეთი უყვარდათ...

ვივიენთან მუშაობა ყველა რეჟისორს უჭირდა. ალბათ მასთან ერთად ცხოვრებაც რთული იყო, თუმცა თავდაპირველად ისეთი სათნო თვალებით იმზირებოდა...

ლოურენსი კი თავიდანვე ბრწყინვალე იყო — შესპირის მომავალი გმირი, იდეალური ქმარი და საყვარელი, იდეალური პარტნიორი...

როდესაც გოგონა ადრეული ბავშვობიდან მონასტერში იზრდებოდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ მომავალში მსახიობობას მოისურვებს. ინგლისის წმინდა გულის მონასტერში კი ორი ცნობილი მსახიობი აღიზარდა — მორინ ოსალივანი და ვივიენ ლი, რომელსაც ბავშვობაში ვივიან ჰარტლის სახელით იცნობდნენ.

19 წლის ასაკში გათხოვდა და ქალიშვილი გააჩინა. ამასთან, დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემია დაამთავრა და ბოლოს და ბოლოს, შეძლო ეთქვა — „საქმე კარგად მიდის!“ სწორედ ასე ერქვა ფილმს, რომელშიც მსახიობ ვივიენ ლის კინოდებიუტი შედგა.

თეატრის სცენაზე, სპექტაკლში — „სათნოების სკოლა“ შეუდარებელმა ლოურენს ოლივიემ შეამჩნია. ერთმანეთი მაშინვე მოეწონათ. ვივიენმა მისთვის დამახასიათებელი წინასწარმეტყველური უნარით განაცხადა — ამ კაცის ცოლი გახდებიო! ეს ავანტიურას ნაგავადა, რადგან ვივიენი გათხოვილი იყო, ოლივიე კი ცოლიანი, მაგრამ თქვა და დასახულ მიზანს მტკიცედ გაჰყვა. ხელსაყრელი შემთხვევაც მალე მიეცა. ფილმში — „ხანძარი ინგლისის თავზე“ — ვნებბიანი საყვარლების როლები ითამაშეს. მათი სიყვარულის ხანძარი ვერანაირმა ეთიკურმა ბარიერმა ვერ ჩააქრო და შეურაცხყოფილი მეუღლეების სუსტი წინააღმდეგობის მიუხედავად, წყვილმა ერთად ცხოვრება დაიწყო, რაც ექვსი წელი გაგრ-



ძელდა. ლოურენს ოლივიე წარმატებით დგამდა სპექტაკლებს, ვივიენი კი მათში წარმატებულად მონაწილეობდა. „ჰამლეტის“ ოფელია პირველი შემოღობილი პერსონაჟი იყო მის მრავალრიცხოვან როლებს შორის. სწორედ ამ პერიოდში შეამჩნია ოლივიემ ვივიენში ერთგვარი უცნაურობა. ერთხელ, როდესაც ლოურენსს ნაცნობი როლიდან ჯერ ერთი ფრანზაჟი არ ჰქონდა წარმოთქმული, ვივიენი უცრად გარდაიქმნა, განითლდა, ფეხები დააბაკუნა და საყვარელ ადამიანს ამაზრზენი ხმით დაუყვირა. ოლივიე გაშეშდა — მის შეყვარებულს ამ საშინელ ქალთან საერთო არაფერი ჰქონდა. უმიზეზო სიშმაგის შეტევა მალე ჩაცხრა და უცნაური გარინდებითა და უმოძრაობით დასრულდა. მშვენიერი ლურჯი თვალები ერთ წერტილს მიშტერებოდა, ჰაერში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. სათნოების შელახული ნილაბი საგრიმიორო ოთახის ბნელ კუთხეში „ეგდო“...

მარგარეტ მიტჩელის წიგნი „ქარნალეზული“ ვივიენმა ორ ღამეში წაიკითხა. მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სკარლეტის როლს მხოლოდ იგი ითამაშებდა და ამაში ჟურნალისტების დაარწმუნა, ლოურენსის შესახებ კი კვლავ წინასწარმეტყველურად შენი-

შნა — ლარი რეტ ბატლერის როლს არ ითამაშებსო.

სკარლეტის როლის პრეტენდენტებს მთელი ამერიკა აქტიურად განიხილავდა. პოლეტ გოდარი, ჯინ არტური თუ ჯონ ბენეტი? მაგრამ ცხვირაპრეხილმა, ნაბლისფერთმიანმა პატარა, ინგლისელმა ქალმა იმდენად დამაჯერებლად შეაბიჯა გადასაღებ მოედანზე, რომ ყველა ეჭვი უცრად გაქრა. ვივიენ ლი! რა თქმა უნდა, მხოლოდ ვივიენი!

ამასობაში ლოურენსმა დიდინის ოცნება აისრულა და ამერიკაში გადაღებებზე გაემგზავრა. ვივიენი მის გვერდით ყოფნასა და ფილმში — „ქარნალეზული“ მონაწილეობაზე ოცნებობდა და რა თქმა უნდა, მიზანს მიაღწია.

გადაღებები მძიმე იყო. გვიან ღამემდე პროექტორების სინათლეზე მუშაობა ნებისმიერ ადამიანს ჭკუაზე შემლის. ვივიენი საშინლად იღლებოდა და საღამოობით საგრიმიორო ოთახის კუთხეში მიყუჟული ჩუმად კვნესოდა, ხოლო კანონიერი ქმრის, ჰოლმანისადმი გაგზავნილ წერილებში, რომელსაც ძველებურად ძალზე აფასებდა, წერდა: „მძულს ჰოლივუდი! მძულს გადაღება!“ — მაგრამ ნაღველი, დაღლილობა და ჩუმი სიძულვილი რაღაც მშვენიერში გარდაიხსნა, რამაც კინოაკადემია აიძულა, ფილმი მიეღო და სკარლეტის როლი „ოსკარის“ ღირსად ეცნო.

ამასობაში განქორწინებებიც გააფორმეს და ბოლოს და ბოლოს, ოფიციალურად დაქორწინება შეძლეს. მეტად მოკრძალებული საქორწინო ცერემონია სანტა-ბარბარაში შედგა და სტუმრებიდან მხოლოდ ორნი — კუტრინ ჰუპბერნი და გარსონ კანინი ესწრებოდნენ. დანარჩენი სამყაროსთვის ეს მშვენიერი წყვილი დიდი ხნის ცოლ-ქმარი იყო.

„ბუნებით — კომედიანტი, პროფესიით — ტრაგიკოსი“, ასე უწოდებდნენ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ ლოურენს ოლივიეს. დემონური გარეგნობით არ გამოირჩეოდა, არც უწმი იყო და არც ლამაზი, ცხოვრებაში ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული კაცი იყო და არაფ-



რისმთქმელი მზერა ჰქონდა. იძულებული იყო, გრიმი დიდხანს და გულდასმით ეკეთებინა, რათა სცენაზე შესპირის გამირებისთვის ხორცი შეესხა. პარიკები, ხელოვნური კუხები და სამხრეები ძალიან უყვარდა.

მიაჩნდათ, რომ მარლონ ბრანდო, პოლ სკოფილდი და ჯონ გილგუდი მასზე ნიჭიერები იყვნენ. კრიტიკოსებს ხშირად უჩნდებოდათ კითხვა: „რატომ იყო, რომ სწორედ ლოურენს ოლივიე ალიარეს XX საუკუნის საუკეთესო მსახიობად? იმიტომ, რომ ეს მას სურდა, იმიტომ, რომ ტრიუმფამდე გატაცებამ, განათლებამ, შრომისმოყვარეობამ, სიმამაცემ და მტკიცე ხასიათმა მიიყვანა“.

აი, როგორი იყო ვივიენის მეუღლე. მრავალი წლის შემდეგ, 1982 წელს, ლოურენს ოლივიემ მემუარული „მსახიობის აღსარება“ გამოსცა. სრულიად საღად განსაჯა, რომ ჯობდა, მას მოეთხრო, ვიდრე სხვას... რადგან „რა არის მსახიობის თამაში, თუ არა სიცრუე და რა არის კარგად თამაში, თუ არა — დამაჯერებელი

ვენეციის საერთაშორისო ფესტივალის მთავარი პრიზი მიიღო.

სურათში „ლედი ჰამილტონი“, ლოურენსმა ადმირალ ნელსონის როლი, ვივიენმა კი — ემა ითამაშა. სიყვარულის ამბავი იმდენად შთამაგონებლად იყო განსახიერებული, რომ დიდი ხნის განმავლობაში ორივე კონტინენტზე ყველაზე პოპულარულ კინომოთხრობად დარჩა. ამერიკაში კლასიკურ ფილმად მიიჩნევდნენ, საბჭოთა კავშირში კი უზადო სიყვარულის ეტალონად. უინსტონ ჩერჩილმა ფილმის დახურული ჩვენება მოაწყო, რომელზეც ფრანკლინ რუზველტი მიიწვია. უძლიერესი მოკავშირე სახელმწიფოს მეთაურისთვის ინგლისური კინოინდუსტრიის საუკეთესო ნიმუშის გაცნობა პრემიერ-მინისტრს ძალზე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. იმ დღიდან ლოურენს ოლივიე და ვივიენ ლი უინსტონ ჩერჩილის უსაყვარლესი მსახიობები გახდნენ, ვივიენი კი ოდნავ შეუყვარდა კიდევც...

აუხდენელი სიყვარულის სევდიანი ამბავი — „ვატერლოოს ხიდი“ ვივიენის უსაყვარლესი სურათი იყო. შეუძლებელია თავდაპირველად იმედით, შემდეგ იმედგაცრუებითა და ბოლოს მომაკვდინებელი სევდით აღსავსე თვალების დავინყება... ამ პერიოდში ვივიენი მძიმედ დაავადდა. ექიმებმა მას ტუბერკულოზი აღმოუჩინეს და საკმაოდ მძიმე, მაგრამ იმ დროისთვის ერთადერთი სწორი მკურნალობის კურსი ჩაუტარეს.

ქმარს ევედრებოდა, საავადმყოფოდან წაეყვანა, კლეოპატრას როლზე ოცნებობდა და ოლივიემ, რომელიც იმ დროს ლონდონის საიუბილეო ფესტივალისთვის ემზადებოდა, შექსპირისა („ანტონიუსი და კლეოპატრა“) და ბერნანდ შოუს („კეისარი და კლეოპატრა“) პიესების შეჯერებული ვარიანტის დადგმა გაბედა. ორი კლეოპატრა ოთხი თვის განმავლობაში სცენიდან არ ჩამოსულა. კრიტიკის მსგავსად, მასურებელსაც მიაჩნდა, რომ ოლივიე კეისარისა და ანტონიუსის როლებს მის შესაძლებლობაზე სუსტად თამაშობდა იმისათვის, რომ ვივიენის თამაში უფრო მომგებიანად წარმოეჩინა.

ცხოვრებასა და სცენაზეც ერთმანეთის მხარდამხარ უნდა ევლოთ...



პაგარა, ინგლისელმა ქალმა იმდენად დამაჯერებლად შეაბიჯა გალასალე მთელანზე, რომ ყველა ვკვირვალად გაქრა

1947 წელს ლოურენს ოლივიე რაინდად აკურთხეს, ვივიენი ლედი ოლივიე გახდა და ეს ტიტული სკანდალური განქორწინების შემდგომაც შეინარჩუნა.

„პირქუში მოგზაურობა“ — ასე ეწოდება ფილმს, რომელშიც ვივიენმა 1937 წელს ითამაშა. ეს წელი მართლაც რომ პირქუში იყო, ულამაზეს ქალს პირქუში დაავადება შეუჩნევლად უახლოვდებოდა.

40-იან წლებში ვივიენს ღრმა დეპრესია სულ უფრო ხშირად ეუფლებოდა. გაოგნებულ ქმარს უმიზეზოდ ესხმოდა თავს და ხშირად ხელჩართულ ჩხუბს იწყებდა.

პირველ ქორწინებაში შექნილ ქალიშვილს ბებია ზრდიდა. ვივიენს ლარისთან სურდა შეიღების გაჩენა, მაგრამ ბედისწერის გამო, ვერც ერთი ორსულობა ბოლომდე ვერ მიიყვანა. ან შვილის გაჩენას და გაზრდას როგორ შეძლებდა, როდესაც უკანასკნელ ძალეს დამქანცველ გადაღებებს სწირავდა.

კოლ-ქმარს შორის სკანდალი იმდენად გახშირდა, რომ სპექტაკლის დაწყების წინაც კი ჩხუბობდნენ, მაგრამ უკვე შეჩვეულნი იყვნენ. კულისებში ერთმანეთს სილას ულანუნებდნენ, შემდეგ კი, ვითომც აქ არაფერი იყო, სცენაზე გადიოდნენ და სიყვარულს თამაშობდნენ.

ლოურენს ოლივიემ ტენესი უილიამსის პიესის — „ტრამპვი, რომელსაც „სურვილი“ ჰქვია“ — დადგმა განახორციელა. ვივიენმა ბლანშ დიუბუას ტრაგიკული როლი ითამაშა. გაუბატიურების შესახებ მინიშნებამ,



არც უშო იყო და არც ლამაზი, ცხოვრებაში ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული კაცი იყო

სიცრუე?“ რამდენი სიცრუე ითქვა მათი კავშირის შესახებ! რამდენი კრიტიკა გამოითქვა შექსპირის პიესების მათ მიერ განხორციელებული დადგმების გამო!

სამაგიეროდ, 1948 წელს ფილმი „ჰამლეტი“, რომელშიც ოლივიე მთავარ როლს თამაშობდა, პირველი ბრიტანული „ოსკაროსანი“ ფილმი გახდა; პრიზი მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ლოურენს ოლივიემ მოიპოვა და ამავე წელს სურათმა



ჰომოსექსუალიზმმა და თამამმა სცენებმა ლირსული პუბლიკა შოკში ჩააგდო, მაგრამ ვივიენ ლის ხელოვნება ნებისმიერ კრიტიკაზე მაღლა იდგა.

სამასი ბრწყინვალედ ნათამაშები სპექტაკლის შემდეგ ვივიენმა ამავე პიესის მიხედვით გადაღებულ ფილმში მარლონ ბრანდოსთან ერთად ითამაშა. ბრანდოს გვერდით თავს შესანიშნავად გრძობდა, ამასთან, სუფთა ბრიტანული გარეგნობის მიუხედავად, ვივიენი უცნებურო სიტყვებსა და სიგარეტის მოწევის არ ერიდებოდა. ამბობენ, რომ რეჟისორ ელია კაზანთან, იმ პერიოდში საერთოდ ყველასთან და პირველ რიგში — ქმართან ძალზე არასასურველი ურთიერთობა ჰქონდა. ბლანშის როლი მის არსებობას იმდენად შეერწყა, რომ საბოლოოდ გამოვიტა. „ცხრა თვის განმავლობაში ბლანშ დიუბუა ვიყავი და იგი დღემდე მმართავს“, — აღიარა მსახიობმა. ამ როლმა ვივიენს მეორე „ოსკარი“ და უმძიმესი ფსიქიკური აშლილობა მოუტანა.

1953 წელს ცვილონზე გადაღებების დროს, ვივიენს ჰალუცინაციები დაეწყო. გადაწყვიტეს, ინგლისის საუკეთესო ფსიქიატრიულ კლინიკაში მოეთავსებინათ. ფრენის დროს საშინელი შეტევა დაეწყო. ტანსაცმელი შემოიგლიჯა და თვითმფრინავიდან გადახტომაც კი სცადა.

ნაზ, ნატივ მსახიობს შოკური თერაპიის კურსი ჩაუტარეს. ყინულიან ზენარში ახვედნენ და მხოლოდ უმი კვერცხებით კვებავდნენ, მაგრამ ყველაზე საშინელი ელექტრონული მუხტით მკურნალობა იყო. ვივიენს ნებისმიერი წამებისთვის უნდა გაეძლო, რათა სახლს, ლარის, სცენასა და ეკრანს დაჰბრუნებოდა.

კლინიკიდან სრულიად სხვა ქალი დაბრუნდა — დათრგუნვილი, სუსტი... ძალზე ნელა მოეგო გონს, მაგრამ ძველი ვივიენი აღარასდროს დაბრუნებულა...

„მსახიობს, ოქროს თევზის მსგავსად, აკვარიუმში ამწყვდევენ, ჩემთვის ეს მუდამ შეურაცხყოფელი იყო“, — ამბობდა ოლივიე. მას ბევრი რამ აღიზიანებდა. ჭირვეული და გაუნონასნორებელი მეუღლე მსოფლიო ვარსკვლავი გახდა, მასზე კი, როგორც ვივიენ ლის ქმარზე, ისე საუბრობდნენ. ოლივიეს თვალში რომ არ მოხვედროდა, ვივიენი „ოსკარის“ ქანდაკებებსაც კი მაღავედა — ქმრის ზედმეტად გაღიზიანება არ უნდოდა... იმ წლებში რამ გადაარჩინა? როგორც ამბობენ, იუმორის გრძობამ და მეგობრებმა... ვივიენს ხმაურიანი კომპა-

ნია და მოლხენა უყვარდა, ბევრს სვამდა და დღეში ოთხ კოლოფ სიგარეტს ეწეოდა, თითქოს დაავადების ჯიბრზე, სიცოცხლეს შეგნებულად იმოკლებდა. ამგვარი ცხოვრების სტილი მისი საკუთარი ანტიდეპრესანტი იყო — ბნელი, სექსუალური და დამღუპველი...

50-იანი წლების ბოლოს ლოურენს ოლივიემ ახალგაზრდა მსახიობის ჯოან პლოურაიტი გაიცნო. ვივიენი თავდაპირველად ვერაფერს ხვდებოდა, ვერც კი წარმოედგინა, ცხოვრებამ როგორი მახე დაუგო. როდესაც ოლივიესა და ჯოანის კავშირის დაფარვა შეუძლებელი გახდა, განქორწინება გარდაუვალი აღმოჩნდა. სასამართლო პროცესი მშვიდი და წყნარი ვერ იქნებოდა და მართლაც, პუბლიკამ ყველაზე სკანდალური ვარსკვლავური განქორწინების პროცესი იხილა...

ვივიენს ლარის ფოტოსურათი ტელეტის მაგიდიდან განქორწინებიდან მრავალი წლის განმავლობაში, გარდაცვალებამდე არ აუღია. ლოურენს ოლივიე მის უსაყვარლეს მამაკაცად სამუდამოდ დარჩა.

ვივიენ ლი 1967 წელს, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა...

ლოურენს ოლივიემ ჯოანთან და სამ შვილთან ერთად კიდევ დიდხანს, ბედნიერად იცხოვრა. 82 წლის მსახიობი 1989 წელს, ონკოლოგიური დაავადებით გარდაიცვალა. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე საკუთარი ეფიტაფია შეთხზა: „სახალისო ადამიანი იყო“.

ვივიენთან ურთიერთობა მუდამ ჰქონდა, მის ფილმებს ხშირად უყურებდა, განსაკუთრებით ხშირად კი — „ვატერლოოს ხიდის“ ფინალს... ■

მოამზადა ნატო მანჩაშვილი

მსოფლიო არსებობის მოთხოვნები არსებობს უბრალოდ!

შურნალ „რეპინგტონ“ ერთად

წაიკითხე წიგნები - უწყვიტად იკნებები!

წიგნი ბრაუნი

22 აპრილი - თბილისი №31

მთხრობელი - რეპინგტონი

ფასი ... 2 ლარი!!!

29 აპრილი
თბილისი №32 - ხორხე ლუის პორხესი

უკვე გამოცემული ბოლოები უკვე იქნა გამოცემული წიგნის მაღაზიებში.



სანამ სოცხალი ხარ, პოპულარული ხარ და შეგიძლია — იმღერე, ისეკვე, გაერთო, გაასინო და გახედიერდი

სად აყრიდა აზიკო ჩოხარაძე ხალხს თავზე მიხაჩებს?

ამიკო ჩოხარაძეს მოგზაურობა, ახალ-ახალი ქვეყნების მონახულება და დასვენება ძალიან უყვარს. მისი საოცნებო ქვეყანა ამერიკა იყო, რომელიც უკვე მონახულა. წელს, მიუხედავად იმისა, რომ დასვენება ვერ მოახერხა, ბედს არ უჩივის. ამერიკულ ამბებსა და დასვენებაზე სასაუბროდ იუმორისტი რედაქციაში გვეწვია.

ელენე კასილიძე

— პირველ რიგში, რა გჭირდება სამოგზაუროდ წასასვლელად?

— ფული (იკინის). ფული პირველი „რეკვიზიტი“, რომელიც სამოგზაუროდ წასასვლელად აუცილებელია. თუ ფული მაქვს, შესაძლოა, სამოგზაუროდ პირადი ნივთებიც კი არ წავიღო და გზადაგზა ვიყიდო ყველაფერი. ისე, გააჩნია, სად მიდიხარ სამოგზაუროდ. რიოში თუ მიემგზავრები, შორტები და „შლოპანცები“ საკმარისია. აი, „პახოდში“ წასასვლელად ასე იოლად ვერ გადარჩები — უფრო მეტი რამ გჭირდება.

— სად ისვენებ ხოლმე?

— 3-4 წელია, არსად დამისვენია. სამსახურიდან 20-25 დღე შვებულება მაქვს, მაგრამ ამ დროს საქმეების მოსაგვარებლად ვიყენებ. ივენთების, კონცერტების დაგეგმვას ვინყებ, აგერ უფრონა „გზას“ ვსტუმრობ... ბოლოს დასასვენებლად იცი, სად ვიყავი (ფიქრობს)? აუჰ, ამიკო, გასახსენებლად გაქვს საქმე?! ა, გამახსენდა, თანამშრომლებთან ერთად ამერიკაში ვიყავი. მართალია, იქ დასვენებასთან ერთად ვმუშაობდით კიდევც, მაგრამ ეს ჩემთვის ყველაზე მაგარი და შთაბეჭდავი დასვენება იყო. დღემდე იქაური შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ და ალბათ იმდენ ხანს გამყვება ის მოგონებები, სანამ კიდევ არ წავალ. უმაგრესი ქვეყანაა, ხომ ამბობენ, ამერიკელები 40-50 წლით არიან ჩვენზე წინო?! არა, შენი ჭირიმე, რას ლაპარაკობ, რა 50 წელი?! 50 საუკუნით წინ არიან! სიახლეების და თავისუფლების ქვეყანაა, არავინ გიყურებს, არავის აინტერესებს, რა ფერი ხარ, რა ფერმის ტელეფონი გაქვს, რა გაცვია... ქართველებს სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა რომ გვახსიათებს, იქ ამისგან დავისვენე. თავად ქვეყანაც ულამაზესია! 11 საათი მარტო გზაში ვიყავით, ორშაბათს გაფრინდით საქართველოდან, მთელი ორშაბათი გზაში

ვიყავით და რომ ჩავვდით ამერიკაში, ისევ ორშაბათი იყო! ჩვენ შორის ხომ 9 საათია დროში სხვაობა და 3 დღე ორშაბათი იყო ჩვენთვის (იკინის).

— მოსაწყენად არ გეცლებოდათ, როგორ ერთობოდით?


— საქართველოში კლუბში თუ არ დადიხარ, შესაძლოა, ვერ გაერთო. იქ კი ნებისმიერი კატეგორიის ადამიანისთვის მოიძებნება გასართობი ადგილი. იდგმება ისეთი ზღაპრები, რომელსაც ბავშვთან ერთად უფროსებიც დიდი სიამოვნებით უყურებენ. არის ერთი კაფე, სადაც თუ შეხვალ, შესაძლოა, იქ მსხდომი 40 ადამიანიდან მხოლოდ შენ იყო კლიენტი, დანარჩენი კი მომსახურე პერსონალი. შესაძლოა, უცებ ჩხუბი ატყდეს და შენც მოყვე ამ ჩხუბში. რა თქმა უნდა, ხელით არავინ შეგეხება, გაქცევა რომ მოგიხდეს, არავინ გაგიშვებს... ანუ, ეს იქნება დადგმული სპექტაკლი, რომლის მონაწილეც შენ იქნები და ბოლოს გაგიმხელენ, რომ ეს ყველაფერი დადგმული იყო. ნიუ-იორკში დევიდ გეტს „ფართი“ იყო. სამწუხაროდ, პასპორტი სასტუმროში დამრჩა და დაცვამ არ შემეშვა, 17 წლის იქნებო... არადა, სასტუმროში რომ წავსულიყავი და ისევ მანჭეტენზე დაებრუნებულყავი, მინიმუმ 100 დოლარი მჭირდებოდა. მეტროთი კი ალბათ 2 დღე მოუწნებოდი ბრუკლინიდან მანჭეტენამდე მისვლას. ამერიკაში ერთი „სიჩუმის კლუბი“ ვერ ვნახე, თორემ ყველანაირი მუსიკალური მიმდინარეობის კლუბი არსებობს. სახალისო იყო, რომ იქ ჩასვლიდან 2-3 დღის განმავლობაში ამერიკელი ვერ ვნახეთ. ბრუკლინში ვცხოვრობდით და გარშემო სულ რუსები და ქართველები გვეხვივნენ. ჩასვლისთანავე რესტორან „ბაქოში“ წავგიყვანეს, მერე სხვა-

გან წავიდეთო, გვითხრეს მასპინძლებმა და რესტორან „ფიროსმანში“ მიგვიყვანეს (იკინის). ბოლოს, მანჭეტენზე მისვლამ დილის 5 საათზე მოგვინია. მეტროდან გარეთ რომ გამოვედი და ცათამბჯენებს ავხედე, თავი ფილმში მეგონა. რაც ყველაზე მთავარია, ძალიან გამახარა ადამიანების თავისუფლებამ: მეტროში ერთმა ამერიკელმა რეპი წავიკითხა, ვილაც ადგა და ლედი გაგასა და ბიონსეს რეპერტუარი შეასრულა... ხალხი იმას აკეთებს, რაც მოსწონს და უნდა. საქართველოში ასეთ ადამიანებს გიჟებს ეძახიან. საერთოდ, შაბათ-კვირას ყველა ისვენებს და თუ ვინმე „შარვალ-კოსტუმიანი“ დაინახეთ, ე.ი. ქართველია.

— ბიჭები ხუმრობდნენ, ამერიკაში რამდენიმე დღე ლილოს ჩანთებით დავდიოდითო. იშობნგეთ?

— (იკინის) არა, მე არ მივლია ლილოს ჩანთებით. ისე, მალაზიაში ხშირად დავდიოდით, რომ აქ დარჩენილი მეგობარ-ახლობლებისთვის საჩუქრები ჩამოგვეტანა. საქმე ისაა, რომ სიარულისა და ყიდვის პროცესი არ მიყვარს. როცა ვიცი, სად რა არის, მივალ და ვყიდულობ. ძენისა და ვაჭრობის პროცესი არ მიყვარს, იქ კი იძულებული ვიყავი...

— რამდენად მონქსრიგებული



აუჰ, ამიკო, გასახსენებლად გაქვს საქმე?!



მოგზაური ხარ? ნასაღები ნოვების სია გზადგება ხომ არ გახსენდება?

— არა, საკმაოდ მონენსრიგებული მოგზაური ვარ. პატარა-პატარა რამეები კი მრჩება, მაგრამ „სერიოზული

— ანუ აქტიური დასვენების მოყვარული ხარ, არა?

— ასე ვერ ვიტყვი. შესაძლოა, ერთ დღეს თავზე დავიმხო ყველაფერი, მეორე დღეს კი სახლში ფილმს ვუყურო მთელი დღე და დავისვენო. ისე, ყველაზე კარგად ზღვაზე ვისვენებ. ეს ის ადგილია, სადაც ყველაზე კარგად ვერთობი. პლაჟი, მზე, კლუბი, გოგონების თვალიერება...



იქ ხალხს ყვავილებს ვაყრიდი და უხაროდათ

რაღაცები“ არასოდეს დამეინყნია. ხშირად წარმომიდგენია, როგორია ყველაზე მაგარი დასვენება და ბოლოს დავასკვენი: კარგია, როცა ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარემოცვაში ვისვენებ, მთაც იქვეა, ზღვაც, მდინარეც და ჰამაკიც... მიუხედავად იმისა, რომ ბათუმელი ვარ, ჰაერის უკმარისობას ვერ ვიტან და ამიტომაც მიყვარს მთა. თუ ცხელა, ვიგუდები და ან წყალში უნდა ვიყო, ან სიცხეს გავერიდო. მართალია, „პახოდებში“ არ მივლია, მაგრამ დიდი სურვილი მაქვს წავიდე და იმედი მაქვს, რომ ამ საქმისთვის გამოვდგები. იცი, რას დავავკირდი? რამდენჯერაც საქართველოს ფარგლებს გარეთ წავედი, ძალიან მაგარი დასვენება გამომივიდა. ამას წინათ, „კომედი შოუს“ ბიჭებთან ერთად საბერძნეთში ვიყავით, სადაც მეგობარმა რესტორანში წაგვიყვანა. ის რესტორანი საქართველოში რომ ყოფილიყო, კლუბი ერქმეოდა. სცენაზე ძალიან დიდი ეკრანი იყო დამონტაჟებული და ხალხი ისე ერთობოდა, ლამის შემშურდა. დარბაზში ლანგრით მიხაკებს დაატარებდნენ და ამ მიხაკებს კლიენტები ერთმანეთს ესროდნენ. გარშემო იმდენი ყვავილი იყო, თავი დაკრძალვამდე მეგონა (იციინის). ხალხი მაგიდებზე ცეკვავდა. იმ რესტორანში მაგრად გავერთე, არ ვიცოდი რატომ ვისროდი მიხაკებს, თბილისში მიხაკი კი არა, ვინმეს თვალში თუ არ მოუხვედდი, შეიძლება, ცუდ დღეში აღმოჩნდე. იქ ხალხს ყვავილებს ვაყრიდი და უხაროდათ.

— ერთხელ აღნიშნე, ადრე კლუბში გოგონას თუ გავცეკვებოდი, ხშირად ზედაც არ მიყურებდნენ და ახლა თავად მოდიანო...

— ჰო, ქართველ გოგონებს მსგავსი რამ ახასიათებთ. მათ არაფერში ვადანაშაულებ. გოგო რომ ვყოფილიყავი, შესაძლოა, მეც ასევე მოვცეუფლიყავი. ადრე ზოგჯერ კლუბშიც კი არ მიშვებდნენ, ახლა აქეთ მირეკავენ, რომ ამა თუ იმ ფართის დავესწრო, როგორც საპატიო სტუმარი.

— ბათუმში ჩასვლას თუ ახერხებ?

— ძალიან მინდა, მაგრამ ბათუმშიც ვერ ვახერხებ დასასვენებლად ჩასვლას. თუ ჩავედი, გართობას ვერ ვახერხებ. თითქმის მთელი ბათუმი ჩემი ნათესავია და რაც ტელევიზიით

გამოჩნდი, ნათესავების რიცხვმაც იმატა, რაც ძალიან მახარებს და ერთ ჩასვლაზე ვცდილობ, ყველა მოვიკითხო და მოვინახულო. ამას კი იმდენი დრო მაქვს, არათუ გართობისთვის, სახლში მისასვლელადაც არ მცალია. ოჯახის წევრები სულ მსაყვედურობენ, ცოტა ხანს მაინც გაჩერდი სახლშიო... წამოსვლისას ზღვაში ფხვების დასველება თუ მოვასწარი, ეს უკვე კარგია! დასვენების დროს ხალხთან ურთიერთობასაც ვახერხებ, ვხვდები ადამიანებს, რომლებსაც ჩემი დანახვა ძალიან ახარებთ. ცნობილი ადამიანები ხშირად წუწუნებენ ხოლმე, ვაიშე, აღარ შეგვიძლია ამდენი ფოტოების გადაღებო... სანამ ცოცხალი ხარ, პოპულარული ხარ და შეგიძლია — იმღერე, იცეკვე, გაერთე, გააცინე და გაბედნიერდი. პოპულარობა რთული მოსაპოვებელია, მაგრამ უფრო რთული მისი შენარჩუნებაა.

— საოცნებო ადგილი თუ გაქვს, სადაც სამოგზაუროდ წახვიდოდი?

— ერთი ოცნება მქონდა — ნიუ-იორკში მინდოდა მოგზაურობა და უკვე ავიხდინე. ამჯერად რიონში მინდა წასვლა, კარნავალს მინდა დავესწრო. ყველაფერი შესაძლებელია, მთავარი მონდომებაა.

— დაბოლოს, რამე სიახლეს ხომ არ გვთავაზობს „თქვენი შოუ“ ახალ სეზონზე?

— რა თქმა უნდა?! სექტიმბრიდან „თქვენი შოუ“ ისევ დაბრუნდება სიახლეებითა და სიურპრიზებით, ჯერ არაფერსაც არ გაგიმხელთ, ასე ხომ სიურპრიზი აღარ გამოვა (ილიმის)?!

ყოველ პარასკევს, ყურნად „საბავშვლო ქართულთან“ ერთად, დიდი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

მაღე გამოვა:

- 17 დავით სარაჯიბიული
- 18 ავაკი წერეთელი
- 19 ტიმიტრი უზნაძე
- 20 ქაქუცა ჩოლოყაშვილი
- 21 ნატო ვაჩნაძე
- 22 მეფე ერეკლე II
- 23 პეტრე მელიქიბევილი
- 24 გიორგი ბრწყინვალე და სხვა დიდი ქართველები

წიგნის ფასი: 2.50 (ყრნალთან ერთად 3.50)

შემდეგი

დავით საჩაჩიშვილი

სულხან-საბა ორბელიანი

გამოჩენილი აღმინაების ბიოგრაფიები წიგნების სერია ბავშვებისთვის

საბავშვო ბიბლიოთეკა №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15



ცხოვრება

თურქეთში მოღვაწე ქართველი რეჟისორის გულისტკივილი

„მინდა, სამყარო ქართულად ღაჳინახო“

კარგა ხანა, მეუღლესთან, „მზიურელ“ თამრიკო ხორავასთან ერთად თურქეთში ცხოვრობს. შევიტყვე, საზაფხულოდ საქართველოშია ჩამოსული, „მესხეთის თეატრში“ სპექტაკლს დგამსო და მეც ახალციხეს მივამურე. პრემიერამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი და ლამის თეატრში ცხოვრობდა, მესხეთის თეატრის დასთან ერთად. არც ეს თეატრი და არც მსახიობთა ნაწილი მისთვის უცხო არ გახლდათ...

ახალციხეში „მესხეთის თეატრის“ ხელმძღვანელად 1987 წელს წასულა. „იმხანად მესხეთ-ჯაფახეთი სასაზღვრო ზონა გახლდათ და ანჭურთან სპეციალური საშვის გარეშე არც გაგატარებდნენ. მაგრამ ახალციხე, თავისი უძველესი თეატრით, ცოცხლობდა და ძალიან კარგი მაყურებელიც ჰყავდა“, — იხსენებს ჩემი რესპონდენტი. სიმბოლური იყო, რომ რეჟისორ ზურაბ სინბარულიძეს ამდენი წლის შემდეგ იმავე თეატრში შევხვდი.

ირმა ხარშილაძე

— თბილისის თეატრალური ინსტიტუტის (ახლანდელი თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი. — ავტ.) სამსახიობო ფაკულტეტი 1973 წელს დავამთავრე. ლევან (რეზო) მირცხულავას ჯგუფში ვსწავლობდი. მიზნობრივი — ბათუმის ჯგუფი იყო (დღესაც არის მიზნობრივი ჯგუფები) და რასაკვირველია, ყველანი ბათუმის თეატრში წავედით. იქ 2 წელიწადს დავყავი, მაგრამ გულით მინდოდა რეჟისორობა და კვლავ თბილისში დავბრუნდი. სამწუხაროდ, არ მიმიღეს — მისაღებ გამოცდაზე ჩამჭრეს, მაგრამ სიჯიუტე გამოვიჩინე და თბილისში დავრჩი რეჟისორობის იმედით, თან მსახიობობა განვაგრძე ჯერ — მოზარდ მაყურებელთა, შემდეგ — მეტეხის, მარჯანიშვილის და კიდევ რამდენიმე თეატრში.

— **გახსოვთ, ვინ ჩაგჭრა?**

— ისევ ჩემმა პედაგოგებმა — რეზო მირცხულავამ და შალვა განურელიამ. აბა, სხვა ვინ ჩამჭრიდა (იციინის)?!. მსახიობობის პარალელურად, ბატონმა რეზომ თავის ასისტენ-

ტადაც ამიყვანა და პედაგოგობა დამანყებინა. ასე გაგრძელდა რამდენიმე წელიწადს, ამასობაში ასაკი მომემატა და ისევ და ისევ რეზო მირცხულავამ, რომელიც ჩემთვის სულიერი მამაც იყო, მეგობარიც და პედაგოგიც, ბატონ ვასილ კიკნაძესთან (ბატონი ვასო ახლაც პრორექტორია თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში) მიმიყვანა და უთხრა: — ბერდება ეს კაცი და მიიღეთ სარეჟისორო ფაკულტეტი. მოკლედ, 34 წლისა, უკვე პედაგოგი, დამსვენს დიმიტრი ალექსიძის ჯგუფში, მეორე კურსზე. პირველ სექტემბერს აუდიტორიაში რომ

შევედი, ბავშვები ფეხზე წამომიდგნენ — პედაგოგი ვეგონე (იციინის). ეს „ბავშვები“ დღეს ცნობილი რეჟისორები — ანდრო ენუქიძე, გიორგი შალუტაშვილი და სხვები იყვნენ. მე, ანდრო და გიორგი დღემდე ვმეგობრობთ. დავამთავრეთ სარეჟისორო ფაკულტეტი და რეზო მირცხულავამ ამჯერად, სამუშაოდ ფოთში წამიყვანა.

— **მსახიობად კვლავ მუშაობდით?**

— იმ პერიოდში აღარც მსახიობი ვიყავი, აღარც — პედაგოგი.

— **და მაინც, ამ გადასახედიდან რომ დაუკვირდეთ, რა უფრო გიადვილდებოდათ: მსახიობობა, მსახიობის ოსტატობის სწავლის სწავლება თუ რეჟისორობა?**

— საქმე ისაა, რომ „სამსახიობოს“ მეორე კურსზე ვსწავლობდი, როცა რეჟისურამ დამაინტერესა. ისიც ბევრმა შემნიშნა, რომ მსახიობობისას რეჟისორებს უჩვეულოდ ბევრ კითხვას ვუსვამდი და ბევრ მოთხოვნას ვუყენებდი, ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ ჩემში ნელ-ნელა მწიფდებოდა არამსახიობური მისწრაფებები, რაც მსახიობს ძალიან უშლის ხელს: არ შეიძლება, როლს ასრულებდე და პარალელურად, ყველაფერს აანალიზებდე. მსახიობი მხოლოდ „მაცხოვრებელია“ — თავის გმირის ცხოვრებით ცხოვრობს. ჩვენში არცთუ იშვიათია მსახიობი-რეჟისორები, მაგრამ მე ასე არ შემეძლო: ერთ-ერთისთვის უნდა მემსახურა, რადგან მსახიობობა და რეჟისორობა — ორი სხვადასხვა ვნების სამსახურია ჩემთვის და მეც რეჟისურა ვირჩიე... ფოთში ორ წელიწადს ვიმუშავე, სადიპლომოც იქ გავაკეთე და კულტურის სამინისტროდან დავალება მივიღე: ახალციხის „მესხეთის თეატრისთვის“ უნდა მეხელმძღვანელა. 1987 წელს გიორგი შალუტაშვილთან ერ-



თამრიკო თუ „მზიურელი“ იყო, არც ვიცოდი, ეს მხოლოდ ახალციხეში, სპექტაკლის შემდეგ შევიცხვე



თად, ახალციხეში ჩამოვდი. 1991 წლამდე აქ ვიყავი, მერე მე წამოვდი, გიორგი კი დარჩა. თუმცა თურქეთში გამგზავრებამდე ყოველ წელს ჩამოვდიოდი ახალციხესა და ფოთშიც და ვდგამდი სპექტაკლებს. თურქეთიდანაც კი ჩამოვდიოდი ხოლმე, ოღონდ ბოლო 10 წელია, არც ჩამოვსულვარ, აგერ ახლა კი, ხედავთ, კვლავ დავბრუნდი, რათა „მესხეთის თეატრის“ რეპერტუარს კიდევ ერთი სპექტაკლი შევმატო.

ბატონო ზურა, არა მგონია, საქართველოდან კარგ და ლალ ცხოვრებას გაშტეტვით თურქეთში...

— რასაკვირველია, არა. 1993 წელს კოსტავას თეატრში სპექტაკლის დადგმა მთხოვეს — თეატრი კი არსებობდა, მაგრამ სპექტაკლი არავის დაედა. მოკლედ, სეზონი თუშურ თემაზე დანერვილი, გიორგი ცოცხანძისა და რაფიელ მამულაშვილის ერთობლივი პიესით გახსენით. 1996 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის ჯგუფთან ერთად (ხელმძღვანელი გახლდით) და იმ მხარის გუბერნატორის, შალვა ოგბაიძის დახმარებით, მცხეთაში სამხარეო თეატრი დავაარსეთ. უხეფასოდ ვმუშაობდით, მცხეთელების „შემონირულობებით“: ვის შეშა მოჰქონდა, ვის — ქსოვილები კოსტიუმებისთვის და ა.შ. ძალიან სწყუროდათ თეატრი. ორ წელიწადში ორი სპექტაკლი დაგვდით და დარბაზი მუდამ საგლე იყო, მერე კი ოგბაიძე მოხსნეს, ვინმე გიორგაძე დანიშნეს, რომელმაც ჩემთან შესახვედრად ვერაფრით მოიცალა, ბოლოს ძლივს მიმიღო და რომ შევახსენე, — სამხარეო თეატრის 25-კაციან დასს ხელფასი სჭირდება-მეთქი, იცით, რა მიპასუხა? — სად გეცალია თეატრისთვის? აგერ, მინის ქარხანა გვაქვს გაჩერებული და ის უნდა ავაშუშაოთ... ამასობაში ზაფხულიც მოვიდა. თურქეთიდან ანდრო ენუქიძე ჩამოვიდა და მითხრა, — პედაგოგი სჭირდებათ და ხომ არ წამოხვალთ? უყოყმანოდ დავთანხმდი. მოვკიდე ხელი ჩემს ახალშერთულ ცოლს და ბილკენტის უნივერსიტეტში გავემგზავრე. მე და თამრიკომ იქ 9 წელიწადს დავეყავით და 5 წელია, უკვე სტამბოლის „ბაღჩი შიპირის“ ანუ „ბაღის ქალაქის“ უნივერსიტეტში ვართ.

— ისე ის მიძიმე, 90-იან წლები თქვენთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა: სწორედ იმხანად შეხვდით თქვენს სტუდენტს, ყოფილ „მზურელ“ თამრიკო ხორავას, რომელიც მცხეთის თეატრის დასის ერთ-ერთი წევრი და თქვენე მუფლვე გახდა.

— თამრიკო თუ „მზიურელი“ იყო, არც ვიცოდი, ეს მხოლოდ ახალციხეში, სპექტაკლის შემდეგ შევიტყვე; სიყვარული

კი მოგვიანებით, მცხეთის თეატრის გახსნისთვის მზადებისას გავუმუღანე.

და არ დაგაბრკოლათ ასაკობრივმა სხვაობამ? თქვენ ხომ თამრიკოზე ბევრად უფროსი ხართ.

— ამან თამრიკო არ დააბრკოლა და მე რატომღა დამაბრკოლებდა (იცინის)?.. ისე, არც კატასტროფულად უფროსი ვარ: მხოლოდ 11 წელიწადია სხვაობა. პატარა გოგონა არც თამარი იყო, უკვე 14-15 წლის ქალიშვილი ჰყავდა. სოფოს ჩვენი სიყვარულის ამბავი რომ გავუმხილე, მითხრა, — თუ დედა ბედნიერი იქნება, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თუ — არა, ყველაზე დიდი მტერი მე გეყოლებითო. მერე კი, მახსოვს, როცა სოფო გაიბარა და მალევე ვაჟი — ნიკაც შეეძინა, ვიცინოდი: მეგონა, პატარა გოგო შევირთე ცოლად და ბებია კი შემრჩა ხელში-მეთქი (იცინის). მე და სოფო დღემდე დიდი მეგობრები ვართ, ნიკა კი თავისთავად, ჩემი შვილიშვილია.

თურქეთის როგორ შეწყვეთ?

— ანდრო ენუქიძემ კი წამიყვანა თურქეთში, მაგრამ ერთ წელიწადში საქართველოში დაბრუნდა და მისი ჯგუფები მე დამრჩა. მთვის განმავლობაში, ვიდრე სხვა რეჟისორები ჩამოვიდოდნენ, ბილკენტის უნივერსიტეტში კვირაში 50-60 საათს ვმუშაობდი. თურქული არ ვიცოდი და უდიდეს დახმარებას მიწევდა თარჯიმანი, ბატონი გურამ აფხაზავა, რომელმაც მოგვიანებით თურქული შემასწავლა. ასე რომ, ლექციებს უკვე თურქულად ვატარებ.

ძალიან ბევრი სპექტაკლი დადგით საქართველოსა და თურქეთშიც.

— დიას, ასეა. თურქეთის მუნიციპალურ და სახელმწიფო (იქ ასეა დახარისხებული) თეატრებში, ჩვენგან განსხვავებით, ყველაფერი მაღალ დონეზე აქვთ მოწესრიგებული. შემოქმედებითად, ჩვენი თეატრების ორგანიზება, რაც საბჭოთა კავშირის დროს დაარსდა, აბსოლუტურად მართებული იყო, ოღონდ სხვა პრობლემა ჰქონდა: მსახიობებს შორის ჯანსაღი კონკურენცია არ არსებობდა, თუმცა მინც აშკარად ჩანდა, რომ რუსთაველის თეატრი სხვა განზომილების იყო, ახალციხის — სხვა, ფოთის კიდევ — სხვა და ა.შ. იმხანად ქართულ თეატრებში ძალიან ბევრი პროფესიონალი მუშაობდა, არაპროფესიონალები კანტიკუნტად თუ გამოეროდნენ, დღეს კი პირიქითაა: პროფესიონალებს არაპროფესიონალები სჭარბობენ!

შორიდან მცქერლის თვლით რას ფიქრობთ — რატომ მოხდა ასე?

— რატომ — შორიდან? მე აქ არა ვარ? ჩემი ერთი მეგობარი — კაკო შანშიაშვილი მეუბნება ხოლმე, — რა გენაღვლება, ტურისტები ხარო. — რა ტურისტი ვარ? შენ თუ აქ გისკდება გული, მე ცხრაჯერ მეტად მისკდება იქ გული იმის გამო, რაც აქ ხდება, განსხვავება კი ისაა, რომ ყოველთვის ვერ ვარ შენ გვერდით-მეთქი, — ვპასუხობ.

თურქეთში მუშაობისას რა პრობლემები გექმნებათ?

— არანაირი. თურქებისგან „ბატონოსა“ და „შენი ჭირიმეს“ მეტი არაფერი გამიგონია; რასაც ვითხოვ, წამში მისრულებენ. საოცრად მშრომელი და მონდომებული, მოფუსფუსე ხალხია.

იქაურ მსახიობებს ინდივიდუალიზმი ახასიათებთ?

— ეს გლობალური პრობლემაა. ვერ

წიგნების სერია

„ახალი ქართული ლიტერატურა“

შურნალ „ლიტერატურულ აალიბრასთან“ ერთად

ყოველთვა

ერთი თანამედროვე ავტორი

ავტორსონ ნომრისთან ერთად

ჩვენ 4 - დავით ქარაივას მიძევება

„იყო სტამბო, იყო ფიქს“

წიგნის ფასი 3 ლარი. (შურნალთან ერთად 5 ლარი.)

უპრო ბაიუსული ტოპიანი: დათო ტურაბილი, თაზრი ფსააკაი, რაბი აბალოზაბი შიბიქიანი შიბიქიანი წიგნის ბაღაჩიანი



ატყობთ, რომ ინდივიდი, ინდივიდუალური ქმედებები ყველგან დაიკარგა? თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირში იყვნენ ინდივიდები, დღეს კი თითქმის აღარ არიან. რა, ვერ ატყობთ? ეს მართო თეატრში ხომ არ ხდება?! თეატრი ზუსტად იმას ასახავს, რაც გარეთ ხდება. ვთქვათ, რაც ხდება დღეს ახალციხეში, ის მდგომარეობაა აქაც, „მესხეთის თეატრში“ და ეს არც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, ლია სულუაშვილის ბრალია და არც მსახიობების.

— **ძველი მსახიობებიც ხომ დაგზდნენ აქ?**

— ძალიან ცოტა. ზოგი გარდაიცვალა, ზოგი დაბერდა და წავიდა თეატრიდან, ზოგმა კი სულ სხვა მიზეზით დატოვა აქაურობა, მაგრამ არავინ ჩაენაცვლა მათ ბუნებრივად, რაც ადრე ხდებოდა. ხორავასა და ვასაძის შემდეგ ქართულმა თეატრმა დიდი ცვლილება იგრძნო? მართალია, აღარ იყვნენ აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, მაგრამ იყვნენ ოთარ მელვინეთუშუცესი, თენგიზ არჩვაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სალარაძე ანუ ის მსახიობები ბუნებრივად ჩაანაცვლა ახალმა თაობამ... დღეს მოიჭრა რაღაც და ახალი არ დაირგო; კიდევ მოიჭრა, დაირგო ახალი, მაგრამ ვერ არ გაზრდილა ანუ ბუნებრივი, თანამიმდევრული ჩანაცვლება აღარ მოხდა. ახლა, როცა ყველანი მოგვდით, ამბობენ, — გავცოცხლდეთო, მაგრამ რეანიმაცია ასე არ ხდება, ამას დრო სჭირდება. რა თქმა უნდა, ვიდრე ჩვენი ერი იარსებებს, რეანიმაციაც შესაძლებელია, მაგრამ თუ ერთად ყოფნა აღარ გვინერია და უნდა გავქრეთ, მაშინ ტყუილად ვლაპარაკობთ. მე ქართულ ენაზე ვმეტყველებ და მინდა, სამყარო ქართულად დავიწახო...

— **ბატონო ზურაბ, ახალციხურ პრემიერაზე გვიამბეთ.**

— „მესხეთის თეატრში“ თურქი მოაზროვნისა და პოეტის, ნაზიმ ჰიქმეთის პიესა — „არის ყოფნა თუ არ არის ყოფნა?“ — დავდგი. ტრაგიკომიკური პიესაა თეატრისა და მსახიობის ცხოვრებაზე. მე სპექტაკლისთვის გამოვიყენე მისი მეორე სათაური: — „მოუხედავად ყველაფრისა“. სპექტაკლს კი ვდგამ, მაგრამ აქ ძალიან ცუდი ტენდენციაა: სპექტაკლები იდგმება, მაგრამ არ ნარჩუნდება; რომელიმე ახალგაზრდა მსახიობი დაჰკრავს ფეხს და წავა, მისი შემცველი კი აღარ ჰყავთ და ამდენი შრომა წყალში იყრება.

— **შეიტყვე, მალე საბოლოოდ აპირებთ საქართველოში დაბრუნებას.**

— რაც წავიდე, მას მერე ვაპირებ. შინ მინდა ყოფნა...

რეპრესირებული ადამიანები სასამართლოს განაჩენს ელიან



რა ხარკები აქვს მიღებულ ხანონს?

საბჭოთა პერიოდში ბევრი ქართველი გახდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი და უმძიმესი, ჯოჯოხეთური წლები გაწვდა მოუხდა. სამწუხაროდ, ბევრი უმონყალოდ დახვრიტეს და ოჯახებს მათი ცხედრებიც არ ღირსებია. დღემდე ყველას უმძიმს იმ ავადასხენებელი წლების გახსენება. ბუნებრივია, მიყენებულ ტკივილს მათ ვერანაირი თანხა ვერ აუნაზღაურებს, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ, სახელმწიფომ ვალდებულეა აიღოს, მათ მორალური ზიანისთვის კომპენსაცია გადაუხადოს.

თბა სურსილაპა

19 აპრილს, საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა. „პირს, რომელმაც რეპრესია განიცადა თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების, გასახლების, სპეციალური დასახლების ადგილას გამწესების, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსების სახით, ან გარდაიცვალა პოლიტიკური რეპრესირის შედეგად და აღიარებულია პოლიტიკური რეპრესირის მსხვერპლად, შეიძლება ფულადი კომპენსაცია მიეცეს. პირის გარდაცვალების შემთხვევაში ფულადი კომპენსაცია შეიძლება მიეცეს მის პირველი რიგის მემკვიდრეს“, — ნათქვამია კანონში.

ამ ცვლილების შემდეგ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას დახმარებისთვის მრავალმა რეპრესირებულმა ოჯახმა მიაკითხა და იქ რიგებიც კი დადგა. იურისტები მათ სასარჩელო განცხადების მომზადებაში ეხმარებიან. რიგები იდგა შს სამინისტროს არქივშიც, საიდანაც რეპრესირებულ-

თა ცნობების გამოთხოვნა ხდება. ბევრი იმედოვნებს, რომ სახელმწიფოსგან სოლიდურ კომპენსაციას მიიღებს. ჯერჯერობით უცნობია, თბილისის საქალაქო სასამართლო რა გადამწყვეტილებას გამოიტანს ათასობით საჩივარზე და საბოლოოდ, სახელმწიფოს რა თანხის გაღება მოუხწევს.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი უშუალოდ რეპრესირებულმა ან მისი პირველი რიგის მემკვიდრემ უნდა შეიტანოს. ასოციაციას დახმარებისთვის ცნობილმა პირებმაც მიმართეს. მათ შორის არიან მწერლები — ჭაბუა ამირეჯიბი და ნიკო სამადაშვილი. სასამართლოში დიდი მწერლის, მიხეილ ჯავახიშვილის ოჯახის საჩივარიცაა შესული: საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, თუ როგორ სადისტურად გაუსწორდნენ მას. „დიდხანს ვფიქრობდით, შეგვეტანა თუ არა სარჩელი. ვერანაირი ფულადი კომპენსაცია ვერ ანაზღაურებს ჩვენს ტკივილსა და ტრაგედიას, მაგრამ ვფიქრობთ, ის თანხა მამას მუზეუმს მოვასმაროთ. ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ვნახოთ, რა იქნება“, — გვითხრა მწერლის ქალიშვილმა რუსუდან ჯავახიშვილმა.



რას ითვალისწინებს აღნიშნული კანონი, რა პროცედურების გავლა უნევთ რეპრესირებულებს და რა პრობლემის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ისინი? — ამ ყველაფრის გასარკვევად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ვუწვივ.

პანა კოჟორიძე, ასოციაციის იურისტი:

— კანონი პარლამენტმა 1997 წელს მიიღო. იმ ადამიანების რეაბილიტაცია და მსხვერპლად აღიარება მოხდა, რომლებმაც საბჭოთა პერიოდში პოლიტიკური რეპრესიები განიცადეს. მაშინ მათთვის დანესდა სოციალური შეღავათები კომუნალურ გადასახადებზე და ზოგიერთს პენსიაც დაენიშნა. მიღებულ კანონში აღნიშნული იყო, — ამ ადამიანებს უნდა აუნაზღაურდეთ როგორც ქონებრივი ზიანი, ასევე გარკვეული ფულადი კომპენსაცია უნდა მიეცეთ, — მაგრამ განვირვი არ იყო კონკრეტული გეგმა, თუ რომელ სახელმწიფო ორგანოს ან რა რაოდენობის თანხა უნდა გაცვა. მაშინ ისიც ითქვა, რომ პარლამენტი ახალ კანონს მიიღებდა, მაგრამ წლები ისე გავიდა, პარლამენტს კანონში ცვლილება არ შეუტანია. არსებული კანონის საფუძველზე მოქალაქეები სასამართლოს რომ მიმართავდნენ და ფულად კომპენსაციას ითხოვდნენ, სასამართლოები მათ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდნენ იმ მოტივით, რომ კანონი არ იყო მიღებული.

— ამდენი წლის შემდეგ ამ კანონის მიღება რამ განაპირობა?

— ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ამ საკითხით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც ძმებმა — კლაუს და იური კილაძეებმა საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დავის შესაძლებლობა ამოწურეს. ისინი სახელმწიფოსგან კომპენსაციას ითხოვდნენ. ჩვენი ორგანიზაციის დახმარებით, სარჩელი სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში 2006 წელს გაიგზავნა. კილაძეების მშობლები რეპრესიის მსხვერპლნი გახდნენ, ამიტომ მათ მიმე ცხოვრების გავლა მოუხდათ. ბავშვთა სახლებში გაიზარდნენ. ფაქტობრივად, ძმებიც მსხვერპლად ითვლებიან. 2010 წელს სტრასბურგის სასამართლომ მათ სარჩელზე გადაწყვეტილება მიიღო. ის ფაქტი, რომ პარლამენტს ნაკისრი ჰქონდა შესაბამისი კანონის მიღება, მაგრამ 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში არ მიიღო, სტრასბურგის სასამართლომ არაკანონიერად მიიჩნია. რამდენი წელი უნდა ელოდოს ადამიანი კანონის მიღებას? მით უმეტეს, ბევრი მათგანი ხანდაზმული იყო და ამასობაში გარდაიცვალა.

სტრასბურგის სასამართლომ ზოგადი, მაგრამ ძალიან კარგი გადაწყვეტილება მიიღო და ამით არა მარტო იმ ორ ადამიანს დაეხმარა, არამედ სახელმწიფოს დაავალა, რომ ეს ხარვეზი სასწრაფოდ, 2010 წლის დეკემბრამდე აღმოეფხვრა და ამ კომპენსაციის ანაზღაურების დეტალური მექანიზმი შემუშავებინა. ცხადია, სტრასბურგის სასამართლოს სახელმწიფოსთვის არ განუსაზღვრავს, კონკრეტულად, რა თანხა უნდა მიეცა რეპრესირებულისთვის (ეს თვით სახელმწიფოს გადასაწყვეტია), მაგრამ დაადგინა: თუ სახელმწიფო 2010 წლის დეკემბრამდე ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებას ვერ უზრუნველყოფდა, მაშინ ძმებისთვის, თითოეულისთვის — 4 ათასი ევრო უნდა გადაეხადა. სახელმწიფომ ეს ვადა ვერ დაიცვა და შესაბამისად, კილაძეებისთვის ამ თანხის გადახდა მოუხდა. ჩვენმა ორგანიზაციამ კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტი შეიმუშავა. რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ ცვლილებებიც შევიდა, მაგრამ — არა იმ ფორმით, როგორც სწორად და უფრო სამართლიანად მივიჩნევდით. მარტო თბილისის საქალაქო სასამართლოს მიეცა უფლება, გამოიტანოს გადაწყვეტილება და ფულადი კომპენსაცია მისცეს იმ პირებს, ვინც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლდაა აღიარებული.

— კონკრეტულად ვის მიეცება ფულადი კომპენსაცია?

— თავად რეპრესირებულს და რეპრესირებული პირის პირველი რიგის მემკვიდრეს. კანონის თანახმად, პირველი რიგის მემკვიდრედ ითვლებიან შვილები, მეუღლე და მშობლები. შვილიშვილი პირველი რიგის მემკვიდრედ იმ შემთხვევაში მიიჩნევა, თუკი მისი მშობელი რეპრესირებულის გარდაცვალების მომენტისთვის ცოცხალი არ იყო.

— მოქალაქეები იმედს ამყარებენ სასამართლოზე და ფიქრობენ, რომ სოლიდურ კომპენსაციას მიიღებენ. თანხის მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია?

— ძალიან ბევრი ჭორი გავრცელდა. ისიც ითქვა, — ამ თანხებს რომელიღაც საერთაშორისო ორგანიზაცია გასცემსო; თითქოს გერმანიის მთავრობაზეც იყო ლაპარაკი. გამდიდრების

მოლოდინი მართლაც დიდია. ბევრმა წინასწარ ოცნების კოშკიც აიგო... ცხადია, ეს თანხები ჩვენი ბიუჯეტის გადასახდელია. ბიუჯეტის წინააღმდეგ სასამართლოში მოქალაქის დავას დიდი პერსპექტივა არა აქვს. იმის გათვალისწინებით, რომ რეპრესირებული და მისი პირველი რიგის მემკვიდრე ბევრია, არ მაქვს ილუზია, რომ ადამიანები გამდიდრდებიან. კანონით, კომპენსაცია ყველას უნდა მიეცეს და იმედია, ეს არ იქნება ძალზე მცირე თანხა. თანხის ოდენობა კანონში მითითებული არ არის; ნათქვამია, რომ ეს განისაზღვრება დანაშაულის ხასიათითა და სიმძიმით. ბუნებრივია, ერთი და იმავე თანხას ვერ მიიღებენ ისინი, ვინც 1 წელი გაატარა გადასახლებაში და ვინც 25 წელი იყო იქ ან ვისი მშობელიც დახვრიტეს. პირის ასაკს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას, სოციალურ სტატუსსა და ასევე, სხვა ობიექტურ გარემოებებს სასამართლო განიხილავს.

— რა შენიშვნები აქვს თქვენს ასოციაციას?

— ვფიქრობდით, ეს საქმეები მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს არ უნდა განეხილა და რაიონებსაც უნდა მისცემოდათ აღნიშნული უფლება. რაც ყველაზე მთავარია, კანონში თანხებთან დაკავშირებით კონკრეტული მითითება უნდა ყოფილიყო. ჩემი აზრით, ეს ნაწილი ძალიან ბუნდოვანია.

— კილაძეების სასარგებლოდ სახელმწიფოს 4-4 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა. ხომ არ ვარაუდობთ, რომ სასამართლო ამ გადაწყვეტილებით ინტელმდგანელებს?

— ეს თანხა სახელმწიფოს დაეკისრა



ბუნებრივია, ერთი და იმავე თანხას ვერ მიიღებენ ისინი, ვინც 1 წელი გაატარა გადასახლებაში და ვინც 25 წელი იყო იქ ან ვისი მშობელიც დახვრიტეს



არა რეპრესიის საკომპენსაციოდ, არამედ იმის გამო, რომ მან ვერ შეიმუშავა ეფექტიანი მექანიზმი და კანონში ცვლილების შეტანა დააგვიანა. ცხადია, კომპენსაცია რეპრესიისთვის ამ თანხაზე ნაკლები არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი ადამიანი ისევ ევროპის სასამართლოში იჩივლებს და საკუთარი უფლების დაცვას იქ შეეცდება.

— კლაძეებს სასამართლოში რეპრესირებულის კომპენსაციის მოთხოვნა ისევ შეუძლიათ?

— მშობლების რეპრესიისთვის მათ შეუძლიათ, აქ ისევ იდაონ და თანხა მოითხოვონ.

— რეპრესირებულ ოჯახებს სასამართლოში კონკრეტული მტკიცებულებების წარდგენა მოუწევთ, არა?

— ბევრი მტკიცებულება შემონახული არ არის. მათ არა აქვთ ნუსხა — თუ რა რაოდენობის ქონება წაართვეს. 25 წელი გადასახლებაში რომ გაატარა, თითოეული დღე რა სიმძიმის იყო — ამის დამტკიცებაც რთულია. ამ ადამიანებისგან ისეთ ამბებს ვისმენთ, რომ გაოგნებულები ვართ. ერთია, როცა ამას წიგნში წაიკითხავ,

მა შეიძლება, ბევრი გაუგებრობა წარმოშვას და სასამართლოს ამიტომაც შევთავაზეთ, ყოველგვარი ბუნდოვანების აღმოსაფხვრელად დამატებითი ცვლილებები შეგვეტანა. სამწუხაროდ, თანამშრომლობაზე არ წამოვიდნენ. კანონში წერია, — როცა სარჩელი პირველი რიგის მემკვიდრეს შეაქვს, მან რეაბილიტაციის ცნობას მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა დაურთოს. გაჩნდა კითხვა, რა არის ეს დოკუმენტი? პრაქტიკოსი იურისტების აზრით, მემკვიდრეობის დამადასტურებელი დოკუმენტი სამკვიდრო მონუმბაა, რომელიც ნოტარიუსის მიერ გაიცემა. კანონით განსაზღვრულია სამკვიდროს გაცემის ვადები. კანონით, მემკვიდრემ ამ მოთხოვნის შესახებ მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში უნდა განაცხადოს და მერე ნოტარიუსი გასცემს ცნობას ან ფაქტობრივი ფლობით უნდა მიიღოს ქონება, მაგრამ უმრავლესობას მემკვიდრეობის ცნობის აღება არ შეუძლია: 1937 წელს, მამა რომ დაუხვრიტეს, მისი დახვრეტიდან 6 თვეში, ვთქვათ, 2 წლის

ერთი თუ ორი ლარიც მნიშვნელოვანია, რომელიც წასვლა-მოსვლაში უნდა დახარჯოს. ზოგჯერ ჩვენ მიმართაც აქვთ პრეტენზია: რატომ არ იცით, ეს დოკუმენტი დამჭირდება თუ არაო?!

— ამბობთ, რომ თანხის განსაზღვრის დროს ბევრ ნიუანსს მიეცევა ყურადღება. რეპრესირებულებს სასამართლოში მონაგების წარდგენაც ხომ არ მოუწევთ? ალბათ, ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება, არა?

— კანონში პირდაპირ ნათქვამი არ არის, მაგრამ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით ეს პროცედურაც გათვალისწინებულია. თუ პირი ამბობს, რომ 10 წელი გადასახლებული იყო, იმყოფებოდა სამინგო მდგომარეობაში, მოსამართლემ შესაძლოა, მონუმის წარდგენა მოითხოვოს. იმედი მაქვს, სასამართლო ამ ხალხს პროცედურებს გაუმარტივებს და მდგომარეობას არ გაურთულებს.

— წართმეული ქონების ანაზღაურებაც უნდა მოხდეს?

— ამის დამადასტურებელი დოკუმენტები იშვიათად აქვთ. კანონით, ეს ცვლილებები ჩამორთმეული ქონების კომპენსაციას არ ეხება, ეს არის მხოლოდ მორალური ზიანის კომპენსაცია. ქონებრივ კომპენსაციაზე პარლამენტმა კანონი უნდა მიიღოს, მაგრამ მიიღებს თუ არა, ეს არავინ იცის. ხელისუფლების თქმით, მათ წართმეული ქონება რომ დაუბრუნონ, არეგ-დარეგვას გამოიწვევს, რადგან დღეს იმ ქონებას კუთვნილი ინდივიდის შემქმენი ფლობს და მისი ინტერესი არ უნდა შეილახოს. ადამიანი ამას გაგებით მოეკიდება, მით უმეტეს, თუ მას ალტერნატივას შესთავაზებ. დღესდღეობით მიწების 90% დაურეგისტრირებელია, სახელმწიფოს საკუთრებაშია და თავისუფლად შეუძლია, მათ ეს მიწა გადასცეს.

— მაინც, რა თანხები მოითხოვთ სასარჩელო განცხადებებით?

— როცა პირველი სარჩელი შევიტანეთ, 70 ათასი ლარი მოვიტხოვეთ. ამ ადამიანის ცხოვრებამ და გადატანილმა ტანჯვამ შეგვძრა. წლებია, არავის ელაპარაკება. ძალიან მორწმუნე ადამიანია... ვნახოთ, რა გადამწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო.

P.S. მომდევნო ნომერში რეპრესირებული გიორგი სარალიძის უმძიმესი ცხოვრების შესახებ მოგიტყვობთ. შეიტყობთ, სტუდენტი ბიჭი უმიზეზოდ როგორ გადაასახლეს, იქიდან დაბრუნებულმა რატომ გადაწყვიტა დადუმებულიყო, რატომ ცხოვრობდა წლების განმავლობაში სპეციალურად გათხრილ მიწურში და მწ წლის მოხუცი რატომ არ ლაპარაკობს დღემდე...

სასამართლოს მიეცა უფლება, გამოიბანოს გადაწყვეტილება და ფულადი ჰომენსაცია მისცას იმ ჰირებს, ვინც ჰოლიბიური რეპრესიის მსხპრვლადაა აღიარებული

მაგრამ უშუალოდ ამ ადამიანების მოსმენა სულ სხვა, საოცარ ემოციას იწვევს... საშინელი დღეები აქვთ გამოვლილი. ბევრს იმედი გაუჩნდა და თუ ეს იმედიც გაუცრუვდებათ, მორალურად ცუდ დღეში აღმოჩნდებიან.

— თქვენს ასოციაციას დახმარებისთვის რამდენმა ადამიანმა მიმართა?

— მარტო იენისში თბილისის ოფისის 1500-ზე მეტმა ადამიანმა მოგემართა. ანალოგიური სიტუაციაა სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ამ თემამ რამდენჯერმე გადააჭარბა სხვა საკითხებს, ერთად აღებულს. დამატებით თანამშრომლები დავიქირავეთ, მაგრამ საქმეს მაინც ვერ აუღდივართ. ჩვენი კონსულტაციები გაგრძელდება მანამ, სანამ მოთხოვნა იქნება. სარჩელის შეტანის ვადა 2014 წლამდეა, მაგრამ ყველა ჩქარობს, ყველა ხანდაზმულია და თვალეში შემოგვციცინებს; ზოგს ჰგონია, რომ კონკრეტული თანხა გამოყოფილი და ის რომ ამოიწურება, მერე მას აღარაფერი უნებდება. ცხადია, ეს გაუგებრობები კანონის გაუმართაობამ გამოიწვია. სასამართლოს მიდგომაც არაერთგვაროვანია. ხარვეზიანმა კანონ-

ბავში ნოტარიუსთან ხომ არ მივიდოდა სამკვიდრო მონუმბის ასაღებად?! დღეს ნოტარიუსი მას ეტყვის, რომ დადგენილი ვადა გასულია, ამიტომ სასამართლოს გზით უნდა იდაოს. საბედნიეროდ, ზოგიერთი ნოტარიუსი ამ საკითხს გაგებით მოეკიდა და გასცა ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მონუმბა, სადაც წერია, რომ ის არის ამა და ამ ადამიანის მემკვიდრე. ზოგიერთი ნოტარიუსი მსგავს ცნობას არ იძლევა და ადამიანებს პრობლემა ექმნებათ. ზოგი მოსამართლე სამკვიდრო მონუმბას ითხოვს, ზოგი — არა; ზოგი დაბადების მონუმბას ითხოვს, ნოტარიალურად დამონუმბულს, ზოგი კი არ ითხოვს... სასამართლო ერთნაირად უნდა მოექცეს ყველა ადამიანს. დღეს ბევრი რამ ბუნდოვანია, ამიტომ ხალხს ვერ ვცემთ კონკრეტულ პასუხს უბრალო კითხვაზე — დამონუმბოს თუ არა დაბადების მონუმბა? ყველაფერი თანხებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ხალხს მაინც, დამატებით ვანვალეობთ, რადგან შეიძლება, ეს ცნობა სასამართლოში მოსთხოვონ. არადა, ამ ადამიანებს გადაადგილებაც უჭირთ, ზოგისთვის ის



„ნუ დასცინი სხვასაო, გადაგხდება თავსაოი..“

ინგა ჯაყელი

თენგოს კაცობის შესაფასებლად თავისი კრიტიკიკები აქვს და ცდილობს, საკუთარი ნააზრევი ყველას მოახვიოს თავს:

— კაცის გუნება-განწყობას, ბუჯო, მისი გამოხედვით უნდა გეტულობდეს ქალი და თვალთ რომ ანიშნებს, უხმოდა უნდა შეუსრულოს ყველა კაპრიზი. აბა, ხმის აწევა თუ დასჭირდა ოჯახში და ქალმა ენა უტლიკინა, მაგია კაცობა?! — იტყოდა ზოგადად და მერე კონკრეტულ მაგალითებზე გადავიდოდა: — ზურეც იტყვის, აბა, კაცი ვარო — გუშლამ ხალიჩების რეცხვა-ფერთხვაში ეხმარებოდა ცოლად და თეთრეულიც ქე გამოფინა აივანზე...

— რა ქნას, აბა, 9 თვის ორსული ჰყავს ცოლი და არ შეიცოდოს?! — შეეპასუხა გიზო.

— ქალი უნდა იყოს ორსულათ, აბა, მე ხო არ დავორსულდები, შე კაცო?! — ნაშინით თენგო. — შენ ხო არ აპირობ მაგფერ სასნაულს?..

გიზოს კამათის სურვილი ეკარგება, თენგო კი ახლა სხვა საკბილოს პოულობს: — ეს ზაზაზე მთლა გამოთავყანდა, სიდედრს ბაზარში დაყობა, ის კი კალათებს ათრაქიებს ჯორივით...

— სუსტი ქალია ზაზას სიდედრი, თან მძიმე ოპერაცია გადვიტანა ცოტა ხნის წინ! — ახლა ბადრიმ იკისრა დამცველის ფუნქცია.

— თუ კვდებოდა, ვერ აცალა მერე, ბუჯო?! — უშნოდ იკრიჭება თენგო. — სიდედრის საამქვეყნოს მობრუნება იქნება?! მასე რომ ანებივრებდა სიდედრს რეზოიე, მიტომ დარჩა რქებდადგმული — გეპარა თურქეთში და იქინე გათხოვდა ბებურ თურქზე... მაგი რომ სიდედრმა გამიბედლოს, იმასაც მოვკლავ და თავსაც მევიკლავ.

...თენგო დაახლოებით, 40 წლის კაცია. ცოლი ნადრევად შერთო და ახლა ორი გასათხოვარი გოგოს მამაა: ნინი და ნანუკა სტუდენტები არიან, მაგრამ ისინი დღემდე ისევე მიჰყავს უნივერსიტეტის ეზომდე, როგორც წლების წინ, ბაღში მიაცილებდა ხოლმე:

— გოგოს პატრონს სახლში მშვიდად რავა უნდა გეძინოს, ბუჯო... სულ უნდა გრძობდეს შვილი კონტროლს და იცოდეს, რომ ვერაფერს გამოგაპარებს, თვარა ხელათ დაგასხამს თავლაუს: ან შენი გოგოსავით, 14 წლის გევიკდება ვინცხა უსაქმურს... — თვალებით გაბურღა ბადრი. — ან დომენტის ინგასავით გოგოსავით იმშობიარებს, დღემდე რომ ვერ დაადგინეს

ბალანის მამა...

ნინი და ნანუკა სახლშიც დროზე ბრუნდებიან და ზედმეტად ეზომიც კი არ ჩადიან:

— სასცალიათ, ბუჯო, სასიეროდ, ნიგნებს აკლავენ თავს! — კატეგორიულია თენგო...

სიდედრთან არ ცხოვრობს, მაგრამ რაც მამა გარდაეცვალა, დედასაც უშრობს სისხლს:

— ვინ გეგონა ქვრივი ქალის ქუჩა-ქუჩა ნანწალი და მეზობლებთან ჭორაობა?! მეიხვიე შავი თავსაფარი და

იტირე. ღმერთს შეეფერნე, მალე ნაგიყვანოს ქმართან! — ლამის ცოცხლად მარხავდა ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდას, რომელსაც 60 წელიც არ შესრულებოდა...

თენგოს თითქოს ყველა ემორჩილებოდა და ცხოვრებაც თავის გემოზე ჰქონდა აწყობილი, მაგრამ ერთ საღამოს, ნივილ-კვილით მოვარდნილი „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადამ სწორედ მისი სახლის მისამართი იკითხა და საკაცზე გამოტყობილი, მიკროინფარქტის დიაგნოზით საავადმყოფოში გადაქანეს. მისი ერთადერთი ჭირისუფალი ცოლი იყო:

— შეილები და დედამისი სად არიენ?! — კითხულობდნენ მეზობლები.

— ოუკრძალა ალბათ სახლიდან ფეხის გადგმა, — ბოროტად იხუმრა მისგან მრავალჯერ გამწარებულმა ბადრიამ.

— მეიცა, შე კაცო, რა დროს სამაგიეროს გადახდა, კვებდა კაცი! — დაირაზმნენ კაცები ბატონივით და საავადმყოფოში მიაკითხეს მეზობელ-მეგობარს...

— შეილები და დედამთილი სად გყავს?! — ყველა ერთსა და იმავეს ეკითხებოდა თენგოს თვალცრემლიან ცოლს, რომელიც ამ კითხვებზე პასუხის გაცემას თავს არიდებდა, მაგრამ მერე ვეღარ მოითმინა, გული ამოუჯდა და მოთქმა დაიწყო:

— გაიპარნენ... გათხოვდნენ... ამ ელდამ გოუხეთქა გული თენგოოოს...

— ორივე ერთად?! — გაიკვირვებს კაცებმა და ბუნებრივია, ნინუცა და ნანუკა იგულისხმეს.

— სამივე?! — ტირილს უშავა შორენამ.

— ვინ სამივე, შე ქალი?! — კიდევ უფრო გაიკვირვებს.

— დედამისიც გათხოვდა, ჩემი დედამთილიი...

— რაიო?! — ერთმად დაიგმინეს კაცებმა, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქალმა დარდისგან რაღაც აურია...

არადა, მარტო შეილები კი არა, დედაც მართლა გათხოვბია უბედურ



თენგოიას, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ თუ ქალებს შინ გამოკვებდა, მის „ბედნიერებასა და უსაფრთხოებას“ არაფერი დაემუქვებოდა. საფრთხე კი კომპიუტერიდან „მოსულა“, რომელიც გოგონებს საძინებელში ედგათ და ბებიასაც სწორედ მათ ასწავლეს მისი მოხმარება.

მოკლედ, სამივეს კომპიუტერით გაუცნია თავისი მომავალი საქმრო და პეკმანზეც ერთად მიდიოდნენ თურმე: მოიმიზებდა ბებია „ქმრის საფლავზე“ გასვლას და ატორილიალებოდნენ შვილიშვილები: მარტო ხომ არ გავუშვებთ? თანაც, ბაბუა ჩვენც გვენატრებაო...

სასაფლაო ერთადერთი ადგილი იყო, სადაც თენგო ოჯახის წევრებს ყოველთვის უპრობლემოდ უშვებდა და ამით ამყოფდა კიდევ:

— მამაჩემისნაირი ჭირისუფალი და გულშემატკივარი ვის ჰყავს ქვეყანაზე?! არ თქვათ, არ თქვათ!

სინამდვილეში, სასაფლაოზე მისვლა აღდგომიდან აღდგომამდე არ ახსენდებოდათ არც ბებიას და არც — შვილიშვილებს...

დედა დედაქალაქში გაუთხოვდა თენგოს — ცნობილ პროფესორს გაჰყავა. ერთი გოგო ბათუმში გაეკიდა „ვინცხა აჭარელს“, მეორე კი სულაც, მოსკოვში გადახვეწილ ქართველს გაჰყავა.

— ვერ ჩამოადგამენ ფეხს ქუთისში! — მგლოვიარე კაცივით, შავი ქსოვილით გაიკრა შუბლი საავადმყოფოდან გამოწერილმა თენგომ და სირცხვილით, კარგა ხანს აღარ გამოჩენილა ბირჟაზე.

— ახია მაგაზე აბა, რას გამოგვჭამა გული თავისი განსაკუთრებული კაცობით?! — არ ეცოდებოდათ ბიჭებს.

— არ გოუგონია მაინც: ნუ დასცინი სხვასაო?.. — ნიშნს უგებდა დომენტი.

— აბა, აბა! — კვერს უკრავდნენ დანარჩენები.

— ან ის არ გოუგია, — ქალმა თუ გეინიაო?.. თენგოიე ჭირიანი დოუდგებოდა წინ სამ ქალს?!



კონფლიქტის ზონაში დაწყებული სიყვარულის ამბავი

„აფხაზს სიკვდილის ისე არ ეშიენა, როგორც რუსთან დანათესავების“

„ყველაფერი წამართვეს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გარდა. წამართვეს მშვიდობა, უსაფრთხოება, სიყვარული, სიხარული, უკეთესი მომავლის პერსპექტივაც... შენ იცი, ჩაკეტილ სივრცეში ცხოვრება რას ნიშნავს?! დემრთმა ნუ განგაცდევინოს ისეთ ქვეყანაში ყოფნა, სადაც ყოველი დღე ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს; როცა ტყვიისფერ ცაზე ომდანახული მშვიდობის მოყვარული მტრედები დაფრინავენ, როცა ყოველდღე დაღუპულ ნათესავზე, ახლობელზე გიყვებიან და მუდმივად ჩაგძახიან, რომ არ უნდა დათმო, არ უნდა აპატიო — ეს ის ჯოჯოხეთია, რომელიც უდესლაც უღამაზესი, ახლა კი დანგრეული, გაპარტახებული, მაგრამ მაინც მიწიერი სამოთხის მოსახლეობა ვიტანთ და ვეგუებით. მხოლოდ შენზე ფიქრებით ვცხოვრობ ამ ქალაქში, სადაც ომი არ არის, მაგრამ არც მშვიდობაა“, — ეს გახლავთ ნანყვეტი ქართველ ბიჭზე შეყვარებული აფხაზი გოგონას წერილიდან. ქართულ-აფხაზურმა წყვილმა ერთმანეთი კონფლიქტის ზონაში გაიცნო. მათი შვიდწლიანი ფარული ურთიერთობა დაოჯახებით დაგვირგვინდა. კონფლიქტის ზონაში დაბადებულ-გაზრდილი 28 წლის მაია უკვე პატარა ვაჟუცაცის დედაა. ის ერთ დღეში შეცვლილი საკუთარი ცხოვრების შესახებ გვიყვება.

ლალი პაპასკირი

— მე და დედა ბიჭვინთაში ვცხოვრობდით. მამა არ მყავს. დედამ საკუთარი ძმების დახმარებით გამზარდა. სანათესავოში ერთადერთი გოგო ვარ და ცხადია, მთელი ყურადღება ჩემზე ჰქონდათ გადმოტანილი. ჩემებს ეშინოდათ, ვინმე რუსს არ გადავკიდებოდი და ცხოვრება არ ამრეოდა. არ დაიჯერებო, მაგრამ აფხაზს სიკვდილის ისე არ ეშინია, როგორც რუსთან დანათესავების. აფხაზეთში ყოველწლიურად, ასობით დასანიშნი რუსი სამხედრო ჩამოდის, მაგრამ რუსულ-აფხაზური ოჯახი ძალიან იშვიათად იქმნება.

— თქვენი აზრით, ეს რისი ბრალია?

— არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, წლების განმავლობაში რუსებსა და აფხაზებს შორის რაღაცნაირი, ბატონყმური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. რუსები ჩვენი ხალხის ნახევრად ველურ ტრადიციებს ვერ იტანენ, აფხაზებისთვის კი მათი ზღვარგადასული სითამამე და თავისუფლებაა მიუღებელი...

— ალბათ ვერაფერს იფიქრებდა, რომ არჩევანს ქართველზე შეაჩერებდით...

— დიას. მით უმეტეს, რომ ქართველებთან ურთიერთობა არასდროს მქონია. ომი რომ დაიწყო, ბიჭებმა ტყვარჩელში გაგვიხიზნეს... მამა-

ჩემი მხატვარი იყო, მაგრამ ომის დაწყებამდე ფსიქიკური პრობლემები შეექმნა. ერთხანს თბილისში მკურნალობდა, მერე კი, ვითომდა უკეთესი შედეგისთვის, მოსკოვში წაიყვანეს, მაგრამ ექიმმა, რომელიც წლების განმავლობაში მამას პირადი მკურნალი იყო, თქვა: — ეს დაავადება გენეტიკურია და მკურნალობას არ ექვემდებარება; ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ იყოსო... მას შემდეგ, მამა ხან სახლში გყავდა, ხანაც, სუბონური შემოტევების დროს, სოხუმის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში... ომის დროს მამას არავინ ერჩოდა, რადგან ყველა იცნობდა — „მხატვარ გიუს“ ეძახდნენ და პატარა ბავშვივით, სახატავ ფურცლებს, ფერად ფანქრებს ჩუქნიდნენ და ისიც, ტყვიების ზუზუნში, გარეთ დაეხეტებოდა, იმ ადამიანების საცხოვრებლებს მიადგებოდა, ვისგანაც საჩუქრებს ელოდა. მეზობლები ხუმრობდნენ, — როცა ხატავს, ისეთი შთაგონებული სახე აქვს, ვერც იფიქრებ, გიჟი თუაო...

— ხატავდა თუ უბრალოდ, თავისთვის ერთობოდა?

— არა, თბილისში ნიკო ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და საკმაოდ კარგად ხატავდა... სოხუმის დაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ქალაქში დაბრუნებულმა ახლობელმა მამა გარდაცვლილი იპოვა. ის ფსიქიატრიულ საავ-

ადმყოფოში, თავის პალატაში, ტყვიით მოკლული უნახავთ. მის სიკვდილს ქართველებს ვერ დავაბრალებ, რადგან ჩემი სომეხი მეზობელი ჰყვებოდა: სოხუმის დაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩაში შემხვდაო... ეტყობა, აფეთქებების დროს მამამ მისთვის „საიმედო ადგილას“, ფსიქიატრიული საავადმყოფოს იმ პალატას შეაფარა თავი, სადაც ცხოვრობდა. ამ დროს ქალაქში არეულობა იყო. ალბათ, იქ ვილაც დაბნეული აფხაზი მეომარი შევიდა და უცხო ადამიანზე ხელი ნაუცდა. ჩემს აფხაზ ნათესავებს მამის სიკვდილში ქართველები არასდროს დაუდანაშაულებიათ, მაგრამ არც აფხაზი მეომრების „დაუდევრობაზე“ ლაპარაკობდნენ...

სკოლა რომ დავამთავრე, ჩემს ოჯახში ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, სოხუმის უნივერსიტეტში უნდა ჩაბარო. რუსულ ენა-ლიტერატურასა და ისტორიაში ბიჭვინთაში ცნობილ ქართველ პედაგოგთან ვეზაბედოდი ქალბატონი მზიას (ასე ჰქვია ჩემს მასწავლებელს) ქართული წარმომავლობის შესახებ ყველამ იცოდა, მაგრამ რუსული სულისკვეთებით აღზრდილს ქართველობას ვერავინ „წამოაძახებდა“. ამასთან, საკუთარი საქმის კარგი სპეციალისტი იყო და ყველა პატივს სცემდა; ხუმრობით, „ბარონესასაც“ ეძახდნენ. ცოტა უცნაური ოჯახი ჰქონდა: ქართველი ქმარი და ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ მუდმივ რუსეთში ცხოვრობდა. ცოლთან გაყრილი არ იყო, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ცოლად რუსი ქალი შეერთო. მისგანაც ჰყავდა შვილები, მაგრამ პირველ ოჯახს ყურადღებას არ აკლებდა. მასწავლებელი მიყვებოდა: რომ მითხრა, — რუს ქალთან ფიქციური ხელმოწერისთვის შენი თანხმობა მჭირდებაო, კინალამ გავგიჟდი, მაგრამ თანდათან ყველაფერს შევეგუე; მერე ომიც დაიწყო და მასზე საფიქრად აღარც მეცალაო. ძლიერი ქალი იყო... მასთან არასდროს მინახავს სტუმარი, მით უმეტეს, ქართველი, მაგრამ ერთ დღეს მისი ბინის კარი მალაღმა, შავგვრემანმა მამაკაცმა გაძილა. ვიფიქრე, — ალბათ ქალბატონი მზიას შვილია-მეთქი. მან სახლში თავაზიანად შემიპატიჟა და მითხრა: მამიდა ახლავ მოვა, მანამდე კი ყავას მოგართმევთო. მიჭ-



ვდი, ჩემს მასწავლებელს ქართველი მძისშვილი ესტუმრა და დავიძახე. როგორც გითხარით, ოჯახის წევრებმა ისე აღმზარდეს, უცხო კაცთან პირისპირ დარჩენილს თავის აწვევას მერიდებოდა.

— თქვენი დანახვისას ისიც დაიბნა?

— არა, დაუსრულებლად ლაპარაკობდა, რალაცებს მიყვებოდა, ბოლოს, საუბარში მეც ჩამითრია და როცა მზია მასწავლებელი მოვიდა, უკვე გამინაურებული ვიყავი. იმ დღეს არც გაკვეთილზე მიფიქრია და არც უნივერსიტეტში სწავლაზე... საღამოს, როცა სამეცადინოდ დავჯექი და რვეული გადავშალე, ფურცელი გამდოვარდა. მივხვდი, რომ მასზე დაწერილი ლამაზი სიტყვების ავტორი ახალგაზრდობილი ბიჭი, ლევანი იქნებოდა.

— რას გწერდათ?

— შექსპირის ერთ-ერთი სონეტიდან იყო ნაწყვეტი... მომდევნო გაკვეთილზე დაბნეული მივედი. ლევანი შინ არ დამხვდა და მის მოლოდინში თვალები წამდაუნუმ კარისკენ გამირბოდა. მკაცრ მასწავლებელს ეს არ გამოჰპარვია და შენიშვნა მომცა, — თუ არ გინდათ, ეს თქვენი უკანასკნელი სტუმრობა იყოს, ყურადღებით იყავითო (იმდენად ოფიციალური იყო, მეც კი თქვენობით მომმართავდა)... იმ დღეს ლევანმა სახლამდე მიმაცილა, გზაში ტელეფონის ნომრები გაცვავლეთ. მალე იძულებული გახვდი, მეცადინეობა შემეწყვიტა, რადგან ქალბატონი მზია ჩვენი ურთიერთობის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ის კი არა, ლევანს მისი სახლიდან წასვლა უბრძანა და მასაც კარგა ხანს, ბიჭვინთის პარკში ეძინა. მოკლედ, მან თავი დამაკარგვინა. საკუთარი წარმოშობიდან დაწყებული, ყველაფერი მალიზიანებდა. ვინც ქართველზე ცუდს იტყოდა, ყველას მტრული თვალით ვუყურებდი. ლევანის წერილების კითხვაში ვათენვალამებდი (დღემდე ყველა შენახული მაქვს). ჩემი სიყვარულის ერთადერთი გამზიარებელი რუსი ქალი იყო, რომელიც ჩვენთან დასასვენებლად ჯერ კიდევ ომამდე ჩამოდიოდა და ოჯახის წევრებით გვყავდა. მას ნოუთბუკიც ჩამოჰქონდა ხოლმე და ცხადია, ამ შანსს ხელიდან არ ვუშვებდი — ლევანს ინტერნეტის საშუალებით ვეკონტაქტებოდი... ერთ დღეს, პლაჟზე ყოფნისას, ჩემი სტუმარი გაძარცვეს და ის „სანუკვარი“ ნივთიც მოჰპარეს. ისე განვიცადე, აღარც ზღვა მაინტერესებდა, არც მეგობრები და არც — გართობა... ქუჩაში მხოლოდ მაშინ გავდიოდი, როცა ლევანი ჩამოდიოდა. ის საოცარ სიურპრიზებს მიკეთებდა. მაგალითად: მამა-

ჩემის საფლავზე მოლბერტთან ფუნჯით ხელში მდგარი მხატვრის სტატუეტი დადგა...

— ბიჭვინთაში ჩამოსვლას როგორ ახერხებდა?

— ფსოუდან შემოდიოდა და რამდენიმე საათის განმავლობაში საზღვარზე, რიგში იდგა...

— დედათქვენი ვერაფერს ხედებოდა?

— ხედებოდა, რომ შეყვარებული ვიყავი და რადგანაც ლევანის შესახებ არაფერს ვუყვებოდი, იფიქრა, ალბათ რუსი შეუყვარდაო. ჰოდა, გამაფრთხილა: — თუკი ასეთ არჩევანს გააკეთებ, ჩათვალე, რომ დედა არ გყავსო. მეც დავიფიქვე, რუსს ცოლად არასდროს გაცვებო-მეთქი. მოგვიანებით, სომეხზეც იგივე მითხრა და ცხადია, ჩემგან იგივე პასუხი მიიღო. ბოლოს და ბოლოს, გამოფუტყვი: ქართველზე ვარ შეყვარებული-მეთქი და, ცუდად გახდა, მაგრამ ერთ კვირაში დამშვიდდა, — ერთადერთი შვილი მყავს და ხომ არ დავკარგავო?!. ერთხელაც ლევანმა ცოლობა მთხოვა, მაგრამ იქვე დასძინა: ჩემები, განსაკუთრებით მამიდა, ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი იქნებიან, ამიტომაც სოჭში ვიცხოვრებთო. მაშინ ერთი პატარა, გაუბედავი გოგო ვიყავი და უარი ვუთხარი.

— ვისი შეგეშინდათ? დედათქვენმა ხომ ყველაფერი იცოდა...

— ნათესავების შემეშინდა... ლევანისთვის ასეთი პასუხი მოულოდნელი აღმოჩნდა და ვიჩხუბეთ. გაბრაზებულმა წამომამახა, — შენ გამო აქ სიცოცხლის რისკის ფასად ჩამოვდივარ; ნუთუ გინდა, რომ ერთ დღესაც უკან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდეთ?.. მიუხედავად ყველაფრისა, დავმორდით და 7 თუ 8 თვე ერთმანეთს არც კი შეეხმინებოვართ. დეპრესიაში ჩავვარდი, სახლიდან არ გამოვდიოდი. მისი მორთმეული ყველა საჩუქარი, მათ შორის — ვარდები, იასამნის ტოტიც კი შენახული მქონდა და მათთან ერთად ვიძინებდი და ვიღვიძებდი...

— უნივერსიტეტში ჩაბარება გადაიფიქრეთ?

— არა, დაუსწრებელზე ჩავაბარე. ერთხელაც სასწავლებელში ლევანის მეგობარი მოვიდა და ყველა საჩუქარი, რაც კი მისთვის ოდესმე მიმიცია, უკლებლივ მომიტანა... მივხვდი, ის ახალი ცხოვრების დაწყებას აპირებდა და თითქოს ჩემთვის ყველაფერი

დამთავრდა. სასწრაფოდ, ინტერნეტ-კაფეში წავედი და რასაც ვფიქრობდი, ყველაფერი მივწერე... ის დღედა. დედა მეხვეწებოდა: შენს სიკვდილს ნუ მაყურებინებ, იმ ბიჭს რამე კიდევ მისწერე ან მითხარი, როგორ დაფუტყვი-მირდე და თავად შევეხმინებო. ვფიქრობდი, — საბოლოოდ დამივიწყა-მეთქი, მაგრამ ერთ დილას სახლის კიბესთან იასამნების დიდი თაიგული დამხვდა. მივხვდი, ეს ჩემი ბედნიერების ბოლო შანსი იყო... დედამ სადგურამდე მიმაცილა და ქართველ სასიძოს ატირებულმა უთხრა, — შევლის გამო სასტიკი ნათესავების შემოტევებსაც ავიტან; მთავარია, ბედნიერები იყოთო.

— ლევანმა სიღვდრის იმედი გააპრილა?

— 3 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და ძალიან ბედნიერები გახლავართ... ჩემს არჩევანს ბიჭვინთაში დიდი ამბები მოჰყვა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ჩანყნარდა. აფხაზების რისხვას ყველაზე მეტად, ქალბატონი მზია გადაურჩა — ამ ქალის მიმართ პატივისცემა დღემდე შემორჩათ და ზედმეტი ვერაფერი აკადრეს... შარშან გავბედე და ბიჭვინთაში ჩავედი. აფხაზური პასპორტი მაქვს, მაგრამ „პროპუსკის“ ალება მაინც დამჭირდა. თავიდან მე და ჩემს შვილს კეთროვანივით გვიყურებდნენ, მაგრამ შემდეგ შეგვეჩვივნენ.



გაბრაზებულმა წამომამახა, — შენ გამო აქ სიცოცხლის რისკის ფასად ჩამოვდივარ; ნუთუ გინდა, რომ ერთ დღესაც უკან ცოცხალი ვეღარ დავბრუნდეთ?..

ლევანი აფხაზეთში ჩასვლისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. შარშან ენგურის ხილამდე მიგვაცილა, იქ კი აფხაზი ნათესავები დაგვხვდნენ. წელსაც ვაპირებთ წასვლას. მართალია, ჩამკვდარ ბიჭვინთაში ჩასვლა მიძინელება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს იქ ყველაფერი შეიცვლება...



რატომ ყიდულობენ უსხოვლები „ნატვრის ხეს“

ფატი კობახიძე ბისერებით მშვენიერ აქსესუარებს ქმნის. ის ასევე, ქსოვს, ქარგავს, თექაზე მუშაობს და საკუთარი შრომით 7-სულიან ოჯახს ინახავს. „თითოეული ჩემი ნამუშევარი ძალიან მიყვარს და სიმართლე გითხრათ, მათი გაყიდვა მენანება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იძულებული ვარ, მათ შეველიო — ეს ჩემი ოჯახისთვის ერთადერთი შემოსავლის წყაროა, თავს ამით ვირჩენ“, — მიიხრა ქალბატონმა ფატომ.

„მარჯვე ხელების წყალობით 7-სულიან ოჯახს ვინახავ“

მარჯვე ხელების წყალობით

— იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელში — არგვეთაში დავიბადე და გავიზარდე. ყოველთვის ცნობისმოყვარე ვიყავი. ჩემს მეზობლად ცხოვრობდა გოგო, რომელიც ჩემზე 10 წლით უფროსი იყო და ქსოვას სწავლობდა. ჰოდა, როგორც კი სახლში დავიგულბედი, იმწუთას მასთან გავრბოდი, რათა მეყურებინა, რას და როგორ აკეთებდა, მერე კი შინ დაბრუნებული ვცდილობდი, მეც მომექსოვა. აი, ასე ვისწავლე ქსოვა, მერე ქარგვაც ავითვისე, ბოლოს კი ბისერებზე მუშაობამ გამიტაცა.

ნამუშევრების გაყიდვა რამ გადაგანწყვეტინათ?

— ადრე გავთხოვდი, 3 შვილი გავაჩინე და ცხადია, ხელსაქმისთვის დრო აღარ მრჩებოდა, მაგრამ მას მერე, რაც ბავშვები წამოიზარდნენ, ჩხირკედლელობა დავიწყე. თავიდან ყველაფერს მხოლოდ ოჯახისთვის, საკუთარი სიამოვნებისთვის ვაკეთებდი. იმ პერიოდში ჩემი ქმარი მუშაობდა და თავის გატანა არ გვიჭირდა, მაგრამ მერე სოფელში სახლი დაგვენგრა, თან — ბავშვები თბილისში სწავლობდნენ და გადავწყვიტეთ, საცხოვრებლად ჩვენც დედაქალაქში წამოვსულიყავით. მეუღლეს მუშაობის დაწყება გაუჭირდა, მატერიალური პრობლემა შეგვექმნა და სწორედ მაშინ გამიჩნდა ნამუშევრების გაყიდვის იდეა. თავიდან ძალიან ვნერვიულობდი, არ მეგონა,

ჩემი შემოქმედებით ვინმე თუ დაინტერესდებოდა, მაგრამ პირველსავე დღეს ყველაფერი გაიყიდა და მივხვდი, რომ ოჯახის რჩენის შესაძლებლობა მომეცა. ამან სტიმული მომცა და ახლა, ჩემი მარჯვე ხელების წყალობით 7-სულიან ოჯახს ვინახავ, თან — ბინის ქირასაც ვიხდი...

თქვენი კლიენტები ვინ არიან?

— ძირითადად, უცხოელები. მათ ფასს რომ ვეუბნები, ძალიან უკვირთ — ასე იაფად რატომ ყიდითო? იციან, ხელნაკეთი ნივთების დამზადებას რამდენი დრო და ენერგია სჭირდება. სხვათა შორის, მათ ძალიან მოსწონთ ბისერებისგან დამზადებული პატარა „ნატვრის ხეები“.

დღეში დაახლოებით, რამდენ ნამუშევარს ყიდით?

— სიმართლე გითხრათ, ზოგჯერ ვერაფერსაც ვერ ვყიდი, მაგრამ არის დღეები, როცა თითქმის ყველა ნამუშევარი იყიდება. მაგალითად, 8 მარტს შინ 115 ლარი მივიტანე.

ოჯახის წევრები არ გეხმარებიან?

— ამ საქმეში უკვე ყველა გავ-



რიე, განსაკუთრებით კი ჩემი რძალი აქტიურობს. მას მარჯვე ხელები და კარგი ფანტაზია აქვს. ჩვენ თითქმის ყველაფერს ვაკეთებთ, რისი გაკეთებაც ხელითაა შესაძლებელი. ზამთარში ძირითადად, ვქსოვთ, რადგანაც ხელით ნაქსოვ ნივთებზე, კაშნებზე, ქუდებზე დიდი მოთხოვნაა.

როგორც ვხედავ, ძირითადად მაინც, „ნატვრის ხეებს“ აკეთებთ. საინტერესოა, თავად რა ნატვრა გაქვთ?

— როგორც ყველასთვის, ჩემთვისაც მთავარი მშვიდობაა: როცა ქვეყანაში სიტუაცია დალაგებულია, თუ ზარმაცი არა ხარ, ცხოვრების აწყობას აუცილებლად მოახერხებ. მინდა, ყველა ჩემიანი კარგად იყოს... კიდევ ერთი ოცნება მაქვს: მსურს, ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოვანყო, შემოსული თანხით კი სიამოვნებით დავეხმარებოდი ბავშვთა სახლს. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული და ნატვრის ახდენა ამიტომაც ვერ მოვახერხებ.





მზითვიანი და უმზითვო თინეიჯერები

„მზითვიანი რომ არ მაქვს, ანტიკომპუტერული ვაუტისოვარი“

სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, დღესდღეობით ვინმე შვილის მზითვეზე თუ ფიქრობდა, მაგრამ როგორც ჩანს, შევცდი. ეს თემა დღესაც ისეთივე აქტუალური ყოფილა, როგორც წლების წინ. ჩვენ ჩავატარეთ გამოკითხვა არა მხოლოდ თინეიჯერებს შორის, არამედ მათ მშობლებთანაც და როგორც გაირკვა, საზოგადოების უმეტესობა მიიჩნევს, რომ გოგოსთვის მზითვის ქონა ლამის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანზე კია, თუ რატომ, ამას ჩვენი რესპონდენტებისგან შეიტყობთ.

ლიკა ქაჯანი

ელენე, 19 წლის:

— მართალია, ჩემები მზითვეს არ მიგროვებენ, მაგრამ მამა მეუბნება, — როცა გათხოვდები, ავტომობილს გიყიდი და გაგატანო. იმედია, ამ დაპირებას ამისრულებს.

— არ გინდა, მზითვეში საოჯახო ნივთები გაგაყვანონ?

— იმედია, ისეთ ლატაქს არ გავყვები, რომელსაც სახლში ავეცი არ ექნება. საოჯახო ნივთებს, დავიჯერო, ავტომობილი არ სჯობია? ისე, მამას ისე უყვარვარ, იმსაც მეუბნება: უშენოდ მოკვდები და ალბათ ამიტომაც, მზითვეში მეც გამოგყვებიო. ხო აზრზე ხარ, მამა ყოთში რომ ჩაჯდეს და ეს სიურპრიზი ჩემმა მომავალმა დედამთილმა რომ აღმოაჩინოს, რა დაემართება (იკინის)?!

— როგორ მოიქცევი, დედამთილმა რომ გისაყვედუროს, — შენმა მშობლებმა საოჯახო ნივთები რა-

ტომ არ მოგიტანესო და თან, თავის ქვეშაგებზე დანოლა რომ აგიკრძალოს?

— რას ვიზამ და მის შვილს ვეტყვი, დედამისი აზრზე მოიყვანოს, მაგრამ თუ ჩემი მეორე ნახევარი ჩემს დასაცავად არაფერს მოიმოქმედებს, მათი სახლიდან დაუფიქრებლად წამოვალ.

ბიო, 17 წლის:

— ნუ, ახლა, მზითვეი თუ არ ექნება, სახლიდან არ გავადგებ, მაგრამ თუ ხელს რამეს წამოაყოლებს, ამაზეც არ ვიტყვი უარს.

— მაინც, რა გინდა, რომ შენს მომავალ მუშავეს მზითვეში მოჰყვებოდა?

— მანქანა და აგარაკი — ეს უკეთეს შემთხვევაში, მაგრამ თუ მის მშობლებს ამის საშუალება არ ექნებათ, მაშინ ნურც „ვეფხისტყაოსანს“ გამოატანენ — წიგნის ფითხვა მეც არ მიყვარს და ჩემი შვილები მეზობლებს ხომ არ დაუმსგავსებინან (იკინის)?..



ქათი, 16 წლის:

— მზითვეი არა, ის. ჩემს საქმროს და მის ოჯახს რალაც ნივთების გარეშეც უნდა მოვწონდე. მიჩვენია, მათ თავი ჩემი ადამიანობით, კარგი ხასიათითა და გარეგნობით მოვანონო, ვიდრე ბინითა და მამიკოს ფულებით.

ლელა, 36 წლის:

— მზითვეი რომ არ მაქვს, ამიტომაც ვრჩები გაუთხოვარი. ყველას ისეთი ქალის შერთვა სურს, რომელსაც ზურგს მამიკოს ფული უმაგრებს. მოკლედ, დღეს კაცები ნაზ არსებებს კი არა, საყრდენ კედელს ეძებენ და სიყვარულსა და გრძნობას არად დაგიდევენ. ასე მგონია, ვაჟკაცები სადღაც გაქრნენ.

— დავიჯერო, 36 წლის ქალს საკუთარი არაფერი გაქვთ?

— რას გულისხმობ?

— თუნდაც, თეთრეულს, რაიმე ნივთს.

— აბა, დღეს „უატის“ თეთრეულით ან საბან-ლეიბებით ვის გააკვირვებ? კაცებს და მათ ოჯახებს ეს აღარ აკმაყოფილებთ, უფრო მეტი სურთ...

— ასე მგონია, უმზითვობის გამო ვიღაცამ გული გატკინათ.

— გაგეცინებათ, რა დროს გარიგებააო, მაგრამ ჩემი ასაკის ქალს ასე თუ შეამჩნევს და შეირთავს ვინმე. ჰოდა, ჩემთანაც ბევრი მამაჩნევი მოდის, მაგრამ როგორც კი გაიგებენ, რომ მზითვეში მხოლოდ სამოსსა და

ვინ არიან გოთები

XX საუკუნის 70-იან წლებში, როცა ინგლისში პანკის ეპოქა დასრულდა, მან აბსოლუტურად განსხვავებული სახე მიიღო, რომელსაც თავდაპირველად, პოსტ-პანკად მოიხსენიებდნენ. ამ პერიოდშივე გამოჩნდა ისეთი ჯგუფები, როგორცაა: *Siouxsie & the Banshees, Bauhaus, Sex Gang Children, Joy Division, Southern Death Cult, Specimen* და ა.შ. სწორედ ამ ჯგუფებმა შექმნეს გოთიკ-პოსტ-პანკ მოძრაობა, მაგრამ სულ მალე გოთიკა პანკს საერთოდ გამოეყო და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი მიმდინარეობა. პირველი გოთიკ-როკ-ჯგუფები იყვნენ: *Sisters of Mercy, Fields of the Nephilim, The Mission* და სხვა.

გოთებს თავისებური იმიჯი აქვთ: მათ ტანისამოსში შავი ფერი ჭარბობს. ზოგერთი მათგანი ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელ აქსესუარებს — მაქმანს, ხელთათმანს, ცილინდრს — იყენებს; ქალები გრძელ კაბას, მამაკაცები კი ფრავს ანიჭებენ უპირატესობას. ყურადღებას იქცევს რკინის სამკაულები და მკვეთრი მაკიაჟი, რომელსაც მამაკაცებიც იკეთებენ. გრ-

ძელ თმას შავად ან წითლად იღებდნენ, უცნაურ ვარცხნილობას ატარებენ.

სწორედ გოთების სუბკულტურაში წარმოიშვა პირსინგი (რა თქმა უნდა, იგი ადრეც არსებობდა, მაგრამ თანამედროვე მოდერნი სწორედ გოთებმა დაამკვიდრეს); ასევე გოთების შემოღებულია ტყავის სუცი-ფიკური სამაჯურები, შარვლები და ა.შ. გოთებს ცხოვრების თავისებური ფილოსოფია, მუსიკა და მსოფლმხედველობა რომ აქვთ, ამაზე არაფერს დავთ. გოთური სტილი გავრცელებულია როგორც ლიტერატურაში — ედგარ პო, ენ რაისი, ბრემ სტოკერი, მერი შელი, — ისე კინემატოგრაფიაში („დრაკულა“, „ფრანკენშტეინი“ და ა.შ.), მულტიფილმებსა თუ კომიქსებში.

გოთებს აქვთ განსაკუთრებული შეხედულება სიკვდილსა და სიცოცხლეზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ უყვართ სიკვდილი, რომ სუიციდისკენ მიდრეკილნი არიან.

გოთების სიმბოლოდ ანხი მიიჩნევა — ძველი ეგვიპტური ჯვარი ანუ „ნილო-სის გასაღები“, როგორც მას ეგვიპტელები ეძახდნენ, მოდური ფილმის — „შიმ-შილი“ — გამოსვლის შემდეგ გახდა.



თეთრეულის ნაღება შემოდის, უკან-
მოუხედავად გარბიან. ამას წინათ ჩემმა
ძმამ მითხრა: ერთი ბინა უნდა გიყი-
დო და იქნებ, როგორმე გაგასალო.
გული საოცრად მეტყინა. აბა, გასასაღ-
ბელი რა მჭირს?

— დავიჯერო, თქვენს ცხოვრ-
ებაში ისეთი არაფერი გამოჩენილა,
ვინც თქვენი მზითვეით არ იყო
დინტერესებული?

— ასეთი მხოლოდ ცხოვრებული კუკუ-
რი იყო. მართალია, სიმპათიური გახლ-
დათ, მაგრამ სახელის გამო დავინუნე და
ისე გამიბრაზდა, ჩემკენ აღარც გამოუხე-
დავს... ისე, კარგი ვქენი, რომ არ გავეცი,
თორემ ახლა ქვრივი ვიქნებოდი...

თინეი, 43 წლის:

— ახლანდელ ახალგაზრდებს მზ-
ითვეი სულ არ ადარდებთ, მაგრამ
ჩემს ახალგაზრდობაში ამას დიდი
მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, ჩემმა
მშობლებმა კარგი „სპალნა“ გამაყოლეს,
მაგრამ დედამთილმა მაინც მიკბინა:

რა მოხდებოდა, ერთი კარგი პიანინო
რომ მოეტანათ? ალბათ, ამდენიც არ
უღირდითო. ჰოდა, დედაჩემს პიანინო-
ც რომ ეყიდა, დედამთილი ხომ
ხელისგულზე დამისვამდა? სასაყვედურო
ხომ აღარაფერი ექნებოდა?

— თქვენმა რძალმა მზითვეი
რომ არ მოიტანოს, სახლიდან
გააგდებთ ან უსაყვედურებთ?

— დედამთილმა ისე გამაშწარა,
დარწმუნებული ვარ, რძალს იმავეს
არ გავუკეთებ. თუმცა, ურიგო არ
იქნება, თუ მის ოჯახს ექნება შესა-
ძლებლობა, შვილს რაიმე ღირებუ-
ლი უყიდოს, თუ არადა, ამის გამო
ნამდვილად არასდროს ვუსაყვედურებ.
მთავარია, კარგი ადამიანი იყოს და
დანარჩენს მოეველება.

— ქალიშვილი თუ გყავთ?

— მყავს.

— როცა გათხოვდება, მზითვეში
რას გაატანთ?

— რომ გითხრა, მზითვეს აქედანვე

ვუგროვებ-მეთქი, მოგატყუებ. დრო
იცვლება და ის, რაც ადრე ფასეული
იყო, გაუფასურდა. ასე რომ, დავულო-
დები იმ დღეს, როცა ოჯახს შექმნის
და მერე გადავწყვეტ, რა უნდა ვუყი-
დო და რა — არა. ყოველ შემთხვევა-
ში, მის დედამთილს არ ვათქმევინებ,
უნიფსვო რძალი შემხვდაო...

ბიზო, 35 წლის:

— მე ტრადიციების მიმდევარი მა-
მაკაცი ვარ და ცხადია, დასაძრახს ვე-
რაფერს ვხედავ იმაში, თუ ჩემს ცოლს
კარგ მზითვეს გამოატანენ. მეტიც, ჩემი
აზრით, აუცილებელია, მშობლებმა ქალ-
იშვილზე წინასწარ იზრუნონ და ისე
არ მოიშორონ თავიდან, როგორც მძი-
მე ტვირთი. ქალზეც ისევე უნდა
ზრუნავდნენ, როგორც კაცზე —
რომელსაც ოჯახს ან საცხოვრებელ
ფართს მაინც უტოვებენ.

— მაინც, რა უნდა მოჰყვე-
ბოდეს შენს ცოლს მზითვეში?

— მთავარია, სიდედრი ან ბავშვე-
ბი არ მოყვებოდეს და დანარჩენი
ყველაფერი მისაღებია...

— სიამბრიც და საყვარელიც?

— არა, არა, მე სასურველსა და
მისაღებში ნივთებს ვგულისხმობ და
არა სულიერ არსებებს.

— თუ მის მშობლებს იმდენი
საშუალება არ ექნებათ...

— (მანყვეტინებს) დავიჯერო, იმ-
დენი საშუალებაც არ ექნებათ, შვილს
თეთრეული რომ გამოაყოლონ? ვფიქ-
რობ, თუ მატერიალური პრობლემა
გაქვს, შვილებიც არ უნდა გააჩინო,
მათი ცოდვა არ უნდა დაიდო.

ნია, 15 წლის:

— დედა მზითვეს უკვე მიგროვებს.
ვეუბნები, ხომ არ გადაირიე, რალა
დროს ეგეთებია, რომელ საუკუნეში
ცხოვრობ-მეთქი, მაგრამ ჯოჯოხეთად მიმ-
ეორებს: აი, ნახავ, ეს ყველაფერი
როგორ ნაგადგება. დრო მოვა და ამ
ყველაფერისთვის მადლობას მეტყვიო.

— საინტერესოა, რას გი-
გროვებს?

— მაგალითად, უკვე მიყიდა უთო,
ბლენდერი, ფენი და ა.შ. თურმე,
დედამისმა მზითვეი ვერ მოუშადა
და ამის გამო დედამთილიც საყვე-
დურობდა და მამამთილიც. ჰოდა,
ალბათ არ უნდა, მომავალმა „დედ-
მამამ“ მეც ცუდ დღეში ჩამაგდოს. ის
კი არ იცის, რომ ქმრის მშობლებს
მის მსგავსად, ყველაფერს არ მოუუთ-
მენ. უფრო მეტიც, ჭკვიანად თუ არ
იქნებიან, შეიძლება, მათ საქმე ისე
გავეხადო, რომ საკუთარი სახლიდან-
აც კი გავაქციო და სულ თავბედი
ვანყველინო. აბა, ახტაჯანას ტყუი-
ლად კი არ მეძახიან (იცინის).

უსწაური პანკები

სიტყვა „პანკი“ ნარჩენებს ნიშ-
ნავს. პანკების ანუ ქუჩაში მცხ-
ოვრებ თავნება ადამიანთა მუსიკა
ცალკე მიმართულებად XX საუკუ-
ნის 70-იან წლებში, ამერიკასა და
დიდ ბრიტანეთში ჩამოყალიბდა,
ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებშიც
გავრცელდა. პანკები სხვებისგან
განსაკუთრებული ჩაცმის სტილით,
ვარცხნილობით და ქცევებით გამო-
იორჩევიან, თავისუფლების მოყ-
ვარულები არიან. პროტესტის გა-
მოსახატად, მათ საკუთარი მუსიკა-
ლური მიმდინარეობა — პანკ-როკი
შექმნეს. ეს არის ემოციური მუსიკა
თავისუფლებაზე, სიყვარულზე,
მშვიდობაზე, სამართლიანობაზე.

ნამდვილი პანკები გამოხატავენ
პროტესტს კონსერვატიზმის, ნაციონ-
ალიზმის, რადიკალური კაპიტალი-
ზმის, ანტირასიზმისა და ანტი-
ფაშიზმის იდეალების წინააღმდეგ.
არსებობენ ნაცისტი პანკებიც —
აქ საქმე გვაქვს ანომალიასთან,
რადგანაც პანკ-კულტურა თავისთა-
ვად უარყოფს ყველანაირ რასო-
ბრივ, რელიგიურ დაყოფას. მათი
ისტორია 1978 წლიდან იწყება.
ნაციონალური მუსიკის ლიდერებად
WHITE POWER SKINHEAD დაჯგუფე-
ბის წევრები იქცნენ.

დახეული ჯინსი, ტატუ, პირსინ-
გი, ხმაურიანი მუსიკა, საზოგადოე-
ბის დიდი ნაწილისათვის გამაღიზ-
იანებელი საქციელი პანკი ახალ-

გაზრდების დამახასიათებელ ნიშნად
იქცა. პანკები პროტესტის ყველანაირ
ხერხს იყენებენ — ნარკოტიკი, ალკო-
ჰოლი, თავისუფალი სექსი, ჭოჭყიანი
ტანსაცმელი — რაც ცხადია, სა-
ზოგადოების აგრესიას იწვევს. მათი
ვარცხნილობაც თვალში საცემია —
თმას ძირითადად, ნითლად ან სუ-
ლაც, ყვითლად იღებდნენ და ასიმ-
ეტრიულ ვარცხნილობებს იკეთებენ...

მიუხედავად იმისა, რომ პანკები
საზოგადოებაში აგრესიას იწვევენ,
მათ მიერ შექმნილ მუსიკას მილ-
იონობით ადამიანი უსმენს. პანკ-
როკის სიყვარულის გამო, ბევრი
ახალგაზრდა თავს პანკად მიიჩ-
ნევს და ცდილობს, განსხვავებული
იყოს, თუმცა ბევრი მათგანისთვის
პანკური იდეოლოგია უცხოა.

საქართველოში პანკურმა კულ-
ტურამ XX საუკუნის ბოლოს მოიკიდა
ფეხი. ჩვენი საზოგადოების დიდი
ნაწილისთვის პანკები ბინძურ, უნე-
სო, თავზედ თინეიჯერებთან ასო-
ცირდება. მათ აკრიტიკებენ არა
მარტო უფროსი თაობის წარმო-
მადგენლები, არამედ მოზარდებიც,
მაგრამ „ნარჩენებს“ ეს დიდად არ
ადარდებთ, რადგან მიაჩნიათ, რომ
ჯობია, გამოჩრჩეული იყო და სა-
ზოგადოებას აღიზიანებდე, ვიდრე
უფერულად იცხოვრო. თუ მოზარდ-
ების გარეგნობის მიხედვით ვიმ-
სჯელებთ, თბილისში პანკები ძა-
ლიან მომრავლდნენ.



ულვაშიანი სასიძო და გაჯიუტებული მშობლები

„გიო ჩემს სიყვარულს ნამდვილად იმსახურებს“

ენო, 18 წლის:

„გამარჯობა, „გზავ“ და ამ უურნა-ლის გემოვნებიანო მკითხველებო. სიმართლე გითხრათ, მგზავნელი არა ვარ, მაგრამ თქვენს წერილებს თვალს ვადევნებდი და... მიკვირდა, რჩევისთვის ერთმანეთს რომ მიმართავდით, საკუთარი პრობლემები სამზეოზე რომ გამოგქონდათ, მაგრამ ახლა მივხვდი, რომ ზოგჯერ ესეც საჭიროა თუნდაც იმისთვის, რომ ვილაცას გული გადაუშალო და რჩევები მხოლოდ ახლობლებისგან (რომელთაც ამქვეყნად შენზე უკეთესი არავინ ეგულებათ) კი არა, უცხო ადამიანებისგანაც მიიღო. მოკლედ, მეც გადავწყვიტე, საკუთარი პრობლემა გაგიზიაროთ და იმეღია, რჩევებს არ დაიშურებთ. ერთი ჩვეულებრივი, დედისერთა გოგო ვარ, მაგრამ ჩემებს ჰგონიათ, რომ ამქვეყნად ჩემზე უკეთესი არავინაა, რომ

მხოლოდ პრინციის ცოლობას ვიმსახურებ, არადა, ერთი ბიჭი მიყვარს, თანაც — სიგიჟემდე, ის კი პრინცი ნამდვილად არაა: ერთი სოფლელი, მაგრამ ძალიან მაგარი ტიპია. მასაც ვუყვარვარ და მეუბნება, — შენებთან უნდა მივიდე და მამაშენს შენი ხელი ოფიციალურად ვთხოვო. როცა ეს ჩემებს ვუთხარი, ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს: იმ უნიფხვოს სიძედ ნამდვილად ვერ დავისვამთო. შევეცადე, მათთვის დამემტკიცებინა, რომ გიო ჩემს სიყვარულს იმსახურებს, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ახლა ორ ცეცხლშუა ვარ: არც შეყვარებულის დაკარგვა მინდა და არც — მშობლების. „ლოვეს“ ვერ ვეტიყვი, რომ ჩემები ინუნებენ — თავმოყვარე ბიჭია და ზუსტად ვიცი, შეიძლება ამის გამო დამშორდეს. ამას წინათ ვუთხარი: არ მიყვარს ნიშნობა და ეგეთი პონტები. მოდი,

გავიპაროთ-მეთქი. მიპასუხა: გასაპარი არაფერი გვჭირს. თუ დავეორწინდებით, მხოლოდ ტრადიციების დაცვითო. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? ჩემს ადგილას, თქვენ რას იზამდით და საერთოდ, მაინტერესებს, ახლა ვინმე იცავს ამ გაცვეთილ ტრადიციებს? P.S. გიო ისეთი მასტია, რომ მიკვირს, ჩოხა-ახალუხით რომ არ დადის. მართალია, მხოლოდ 24 წლისაა, მაგრამ ულვაშებს იყენებს ხოლმე და ამაყად ამბობს: ჩვენი მამა-პაპა ატარებდა წვერულვაშს და მე რატომღა არ უნდა ვატარო? ამის გამო ჩემი დაქალაქი დასცინიან კიდეც, ის კი ამბობს: იცინეთ, იცინეთ, დაცინვას კაცი არ მოუკლავს. მე მაშინ ვიცინებ, როდესაც ცოლად ბისექსუალებს გაჰყვებითო. სიმართლე გითხრათ, გიო ულვაშის გარეშე ვერც წარმომიდგენია და სხვათა შორის, ძალიანაც უხდება. რჩევებისთვის წინასწარ გიხდით მადლობას.“

„ქმრისგან გულნატკენი ყოფილ თაყვანისმცხველს ვხვდებოდი“

ნუკი:

„თქვენი რჩევა ძალიან მჭირდება. გთხოვთ, ჩემი ტკივილი გულთან მიიტანეთ და ნუ გამკიცხავთ. ჯგუფულ ბიჭს 7 წელი ვუყვარდი, მაგრამ ჩემი გული ვერაფრით მოიგო, უფრო სწორად, ვმეტიჩრობდი და მის სიყვარულს ვითომ არაფრად ვაგებდდი, სინამდვილეში კი მისი ყურადღება ძალიანაც მსიამოვნებდა. ის კოლეჯის დამთავრების შემდეგაც მეკონტაქტებოდა. ერთ დღეს გავთხოვდი, უფრო სწორად, მომიტაცეს და მიუხედავად იმისა, რომ არ მიყვარდა, მშობლებმა მასთან დამტოვეს (ასე ხომ ბევრი ქართველი დედა და მამა იქცევა). ჩემი მეუღლე იყო ადამიანი, რომელიც 7 თვის ორსული ქალის ცემასაც არ ერიდებოდა და დღემდე ასე გრძელდება, მაგრამ სიმართლეს ვერავის ვეუბნები, ყველაფერს გულში ვინახავ ჩემი 2 წლის შვილის ხათრით — არ მინდა, მას მამა დავაკარგვინო... ერთხელ, სრულიად შემთხვევით, ჩემს ყოფილ ჯგუფულს შევხვდი. მთხოვა, — შენი ტელეფონიდან ხარი გამაშვებინეო. თურმე, თავის ტელეფონზე დარეკა და ჩემი ნომერი დააფიქსირა. ამის შემდეგ ჩვენ შორის

ძველებური ურთიერთობა დაიწყო, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ ის ჩემი მესაიდუმლე გახდა, ქმრისგან მოყენებულ ტანჯვას მას ვუზიარებდი და ჩემდა უნებურად, ამ კაცს სხვა თვალთაც შევხედე. ჩემდა საუბედუროდ, მას უკვე სხვა ჰყავდა ანუ შეყვარებული იყო გოგონაზე, რომელიც დარწმუნებული ვარ, მის სიყვარულს იმსახურებს. ჩემს ყოფილ ჯგუფულს გაორება დაეწყო — „ლოვესთანაც“ ჰქონდა ურთიერთობა და შეხვედრას მეც მთხოვდა ხოლმე. რალა დაგიმალეთ და, მას ხშირად ვნახულობდი, მაგრამ მერწმუნეთ, სხვანაირი ურთიერთობა არ გვქონია. ყოველთვის ვეუბნებოდი: ჩვენს შეხვედრას აზრი არა აქვს, შენ მალე იმ გოგოს მოიყვან ცოლად-მეთქი. ამაზე მპასუხობდა: ჩემი ბავშვობის დროინდელი სიყვარული ხარ და შენთან ურთიერთობას არ გავენწყვიტო!.. ერთი კვირის წინ სადღაც დაიკარგა: აღარც შემეხმინა, აღარც ჩემს ზარს

პასუხობდა. მერე შემთხვევით, მისი ფოტოები „ოდნოში“ ვნახე და მივხვდი — თურმე, დაოჯახდა. იმ დღის შემდეგ ჩემს თვალს ცრემლი არ შემშრობია. ახლა ვხვდები, რომ 7 წლის წინაც მიყვარდა, მაგრამ მაშინ თავში მიქროდა და... ამას წინათ მომწერა: შენი ნახვა მინდაო, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგანაც პირობა დავდე: როგორც კი ცოლს მოიყვანს, მასთან ურთიერთობას შევწყვეტ-მეთქი! ამ ადამიანს იმიტომ ვხვდებოდი, რომ ქმართან ბედნიერი არა ვარ, მასთან ლაპარაკში ვპოულობდი შვებას, მაგრამ არ მინდა, ჩემდა უნებურად, მის ცოლს ტკივილი მივაყენო, ბოლოს და ბოლოს, მას ხომ ჩემთვის არაფერი დაუშავებია... მართალია, მის გარეშე ყოფნა მიჭირს, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, უნდა დავივიწყო. მირჩიეთ, როცა შემეხმინება, როგორ მოვიქცე, რა ვუთხრა ან საერთოდ, როგორ დავივიწყო?“

P.S. მაშ ასე, თუ ენოსა და ნუკის წერილის წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.



სამყარო

იტალიელი, რომალის ქართველმა პარტიზანმა გადაარჩინა

მინილ ლაპაპი

გასულ კვირას ქობულეთში ერთი ახალგაზრდა იტალიელი წყვილი გავიცანი, რომელსაც თან ბაბუაც ახლდა. როგორც იტალიელებს სჩვევიათ, ისინც საოცრად ხალისიანი და ენაწყლიანი ადამიანები იყვნენ, თუმცა-ლა ბაბუა უფრო აქტიურობდა. მან რუსული იცოდა და სხვათა შორის, ქართულად ალაპარაკებდასაც ცდილობდა. სინორ ჯოვანი (ასე ერქვა მას) გარეგნულად იმდენად ჰგავდა ჩვენებურს, რომ პირველი შეხვედრისას ქართულად მივმართე და ჩვენი ნაცნობობაც შედგა. სინორ ჯოვანიმ გადაწყვიტა, ჩემთვის მოეთხორო ამბავი, რომელიც ძალიან მომეწონა და ახლა მას თქვენც გაიმზობთ.

1943-1945 წლებში, ჩრდილო იტალიაში მიმდინარე პარტიზანულ გამოსვლებში ქართველთა მონაწილეობაზე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ბევრი იწერებოდა, მაგრამ ცხადია — ტენდენციურად. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია ფორე მოსულიშვილის გმირობის ამბავი, რომელიც ჩრდილო იტალიის „წითელ ბრიგადებში“ (იმხანად ასე ეძახდნენ მემარცხენე პარტიზანების რაზმებს) იბრძოდა და სიკვდილის შემდეგ იტალიის ეროვნულ გმირად გამოაცხადეს. თუმცა, საბჭოთა ისტორიკოსები არაფერს ამბობდნენ იმაზე, რომ იტალიაში სხვა

ქართველი გმირებიც იბრძოდნენ, ოღონდ არა „წითელ ბრიგადებში“, არამედ „მშვიდობის მოხალისეთა კორპუსში“, რომელიც მემარჯვენე მიმართულებისა იყო და შესაბამისად, ძირითადი მხარდამჭერები დასავლეთში ჰყავდა.

როგორც ცნობილია, II მსოფლიო ომში იტალია გერმანიის ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე გახლდათ. მთავრობის მეთაური, პრემიერ-მინისტრი ბენიტო მუსოლინი, რომელიც საკუთარ თავს „დუჩეს“ (წინამძღოლს) და „იმპერიის მამამთავარს“ უწოდებდა, მიიჩნევდა, რომ იტალიას ძველი რომის იმპერიის დიდება უნდა დაებრუნებინა და გერმანიის მხარდამხარ სწორედ ამიტომაც იბრძოდა. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ნაცისტური გერმანიისგან განსხვავებით, იმხანად იტალიაში უფრო მეტი საღად მოაზროვნე აღმოჩნდა და 1943 წელს ბენიტო მუსოლინი თავისივე პარტიის წევრებმა დაატუსაღეს, ჩრდილო იტალიის მთებში გადაშალეს. დუჩეს მოტაცება ჰიტლერმა პირად შეურაცხყოფად მიიღო და მის გამოსახსნელად იტალიაში ოტო სკორცენი და ორი

სამთო ბატალიონი გაგზავნა. სკორცენიმ დავალება ბრწყინვალედ შეასრულა — მუსოლინი ჰიტლერს ჩაუყვანა, სამთო ბატალიონები კი იტალიის მთიანი ტერიტორიების გასაკონტროლებლად დატოვა. აღსანიშნავია, რომ გერმანელ მეომრებს შორის ქართველებიც იყვნენ — ბატალიონ „ბერგმანის“ წევრები, რომლებიც ანტიგერმანულ შეთქმულებაში არ მონაწილეობდნენ და კუნძულ ტექსელზე, ტყვეთა ბანაკში გადაყვანასაც გადაურჩნენ.

იტალიაში მოხვედრილ „ბერგმანელთა“ შორის იტალიელ პარტიზანთა ორივე დაჯგუფებამ — მემარცხენე „წითელმა ბრიგადებამაც“ და მემარჯვენე „მშვიდობის მოხალისეთა კორპუსმაც“ პროკლამაციები გაავრცელეს და მეზობლებს იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მხარეზე გადასვლისკენ მოუწოდეს: „თქვენი ბრძოლა უშედეგოა — ფაშისტებისა და ნაცისტების დღეები დათვლილია! მოგინოდებთ, დატოვოთ ვერმანტის რიგები და მასობრივად გადმოხვიდეთ ჩვენს მხარეზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგიძნარჩუნდებათ ღირსება და სიცოცხლე“, — ეწერა პროკლამაციაში, რომელიც გერმანულ და რუსულ ენებზე იყო შედგენილი. მოწოდებებმა მართლაც, უდიდესი გამოხმაურება პოვა და სწორედ ასე მოხდნენ ქართველები იტალიელ პარ-



„მშვიდობის მოხალისეთა კორპუსის“ პარტიზანები. მარცხნიდან მესამე — ქართველი მეთაური „სალვატორე“

ტიზანთა რიგებში. ვგონებ, დღევანდელი გადასახედიდან გასაგებია ის მიზეზიც, თუ რატომ აღმოჩნდა მათი უმეტესობა „წითელ ბრიგა-

ბატონობდა. დუჩეს მომხრე ფაშისტები და კრიმინალები ერთმანეთს კი მტრობდნენ, მაგრამ უბრალო ნეაპოლელებს თანაბარი სისასტიკით აწიოვებდნენ. გადმოცემით, იმ დროს ნეაპოლის ლარიბულ გარეუბნებში მხოლოდ შავ პურს აცხობდნენ და თანაც, ძალიან იშვიათად, რადგან ყველა საცხობს „კამორას“ ნევრები აკონტროლებდნენ და პროდუქ-



გენერალ ჯულიანო მაცოლას ჯარისკაცები ნეაპოლის ქუჩებში, 1943 წლის ფოტო

დებში“ — „ბერგმანის“ ნევრები მიიჩნევდნენ, რომ ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება გაუჭირდებოდათ, თუ მემარჯვენე პარტიზანებთან თანამშრომლობაზე დათანხმდებოდნენ.

მიუხედავად ამისა, ცხადია, ბევრი იყო ისეთი ქართველიც, რომელსაც საბჭოთა კავშირში დაბრუნება, იდეური თუ სხვაგვარი მოსაზრებით, აღარც სურდა — სწორედ ეს ხალხი განევრდა „მშვიდობის მოხალისეთა კორპუსში“. აქვე უნდა ითქვას, რომ თუკი „წითელი ბრიგადები“ ძირითადად, ჩრდილო იტალიაში მოქმედებდნენ, „მშვიდობის მოხალისეთა კორპუსი“ სამხრეთს აკონტროლებდა და იქ პარტიზანებს არა მარტო გერმანელებთან უწევდათ ბრძოლა, არამედ სხვადასხვა კრიმინალურ დაჯგუფებასთანაც, რომლებიც ქაოსით სარგებლობდნენ და მოსახლეობის დაშინებას ცდილობდნენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ იტალიაში, რომელიც ამჟამადაც კი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონია, მოსახლეობა ისეთ მძიმე დღეში იყო, რომ თუ სინიორ ჯოვანის სიტყვებს მოვიშველიებთ, — მაკარონიანი ლობიოც (ეს იტალიელი გლეხების საყვარელი საჭმელია) კი ენატრებოდა.

„მშვიდობის მოხალისეთა კორპუსის“ პარტიზანები ქალაქ ნეაპოლთან ახლოს 1943 წლის დასასრულს გამოჩნდნენ. იმხანად ქალაქის ცენტრს დუჩეს მომხრეები აკონტროლებდნენ, ლარიბულ გარეუბანში კი კრიმინალური დაჯგუფება „კამორა“

ციასაც თავადვე, „სანდო პირებზე“ ანანილებდნენ. თუკი ადამიანი „კამორას“ ნდობით არ სარგებლობდა, მშვიერი უნდა დარჩენილიყო. ნეაპოლელები იძულებულნი იყვნენ, უვარგისი შავი პური „კამორას“ ხელდასხმული გადაამყიდველებსგან, ცეცხლის ფასად შეეძინათ. ამავდროულად, ფაშისტების ბრძანებით, ყველას, ვინც პურს გადაამყიდველისაგან შეიძენდა, როგორც „კრიმინალთა მხარდამჭერს“, სოლიდური ჯარიმა უნდა გადაეხადა. ჰოდა, ადგნენ მხიარული ნეაპოლელებიც და ეს ყველაფერი გაეშარეს — შეთხზეს სიმღერა, ასეთი ტექსტით: „კამორა“ და დუჩეს ფაშისტები ხელი-ხელჩაკიდებული დადიან და ძარცვავენ სანყალ მოქალაქეებსა და გლეხებს...“

ერთ მშვენიერ დღეს, ნეაპოლის ერთ-ერთ ლარიბულ გარეუბანში, პარიკმახერისა და მრეცხავის მრავალშვილიან ოჯახში მშვიდე ბიჭი დაიბადა, რომელსაც ჯოვანი დაარქვეს. ახალდაბადებულის მამა შინ უქმად იჯდა, რადგანაც „კამორასთან“ ურთიერთობა ვერ ააწყო და იძულებული გახდა, პროფესიაც დაევიწყებინა. ამგვარად, ოჯახმა გადანყვიტა, ჩვილი ერთ-ერთი ცნობილი ფაშისტი გენერლისთვის, ვინმე ჯულიანო მაცოლასთვის მიეშვილებინა და შიმშილით სიკვდილისაგან ასე გადაერჩინა. ოჯახის უფროსმა მართლაც წაიყვანა ჩვილი და ნეაპოლის ცენტრში, გენერლის ვილის ჭიშკართან დატოვა. აღსანიშნავია, რომ თურმე, მისი ცოლი მშობიარობის შემდეგ თავს ძალიან ცუდად

გრძნობდა და ბავშვის გაშვილებას ისე დათანხმდა, ხეირიანად ვერც აღიქვა, რა ხდებოდა.

ერთი სიტყვით, ლარიბმა ნეაპოლელმა პარიკმახერმა ჩვილი გენერლის ვილის ჭიშკართან დააწვინა, მერე ზარი დარეკა და იქვე დაიძალა. ის სამალავიდან მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა, როცა დაინახა, როგორ გაალო კარი მსახურმა და აღნავლებული ჩვილი ხელში აიყვანა. პარიკმახერმა ყელში მოწოლილ ბოლმას სძლია და ქუჩას აცრემლებული ჩაუყვა. ჩვილს შიმშილით დაღუპვა აღარ ემუქრებოდა, მაგრამ მამას სინდისი მაინც ქენჯნოდა. ალბათ, რამდენჯერმე უკან მიბრუნებაც დააპირა, მაგრამ თავი შეიკავა. მივიდა სახლში და როგორც ყოველთვის, თავის სავარძელში უქმად მიეგდო.

გენერალ ჯულიანო მაცოლას შვილი არ ჰყავდა და „ღვთის საჩუქარმა“ ძალიან გაახარა. მისი ბრძანებით, ქალაქში მაშინვე დაიწყეს ისეთი ახალგაზრდა ქალის ძებნა, რომელსაც ძუძუთა ბავშვი ჰყავდა — მას პატარა ჯოვანი უნდა გამოეკვება. ბედის ირონიით, ძიძად პატარა



პიტაგორა და მუსოლინი (1943 წელს)

ჯოვანის ბიოლოგიური დედა აიყვანეს და სხვათა შორის, საქმე რომ გაჩარხულიყო, მამამ იცრუა კიდევ — ჩემს მუელეს გოგონა შეეძინა, მაგრამ ორიოდ საათში დაგველუპა და რძეც ამიტომ აქვსო. ასე გახდა მისი ცოლი საკუთარი შვილის ძიძა. ცხადია, პატარა ჯოვანის ამბები



აქ არ დასრულებულა — გენერალი ჯულიანო მაცოლა პარტიზანებისა და „კამორას“ წინააღმდეგ მებრძოლი ბატალიონს ედგა სათავეში, რომელიც იმხანად ნეაპოლში იყო ბა-

ლაპარაკობდა, მიუხედავად იმისა, რომ თანამებრძოლები იტალიურ სახელს — სალვატორეს ეძახდნენ. როგორც მიხვდით, სალვატორე ქართველი იყო და „მშვიდობის მოხა-

ბამისად გამოენყო და კრიმინალთა ბოსთან „ამერიკიდან გამოგზავნილი სტუმრის“ ამპლუაში წარდგა. ამავე დროს, ეკლესიაში, სადაც ნათლობა უნდა გამართულიყო, ბერის ანაფორაში გამოწყობილი რამდენიმე პარტიზანი შევიდა. ყველანი ძალიან ფრთხილობდნენ და შედეგად ბრწყინვალე იყო — ბაპტიტერიუმშიდან (ადგილი კათოლიკურ ეკლესიაში, სადაც მოსანათლავი ბავშვები შეჰყავთ) ჩვილი შეუმჩნევლად გამოიყვანეს, მის ადგილას კი თეთრულში გახვეული თოჯინა დადეს. ერთი სიტყვით, ბავშვი იმ დღესვე, ნამდვილ მშობლებს დაუბრუნდა და მათაც, საერთოდ დატოვეს ნეაპოლი — თავი მშობლიურ სოფელს შეაფარეს და სასწაულით გადაარჩენილი უმცროსი შვილი სამაგალითოდ აღზარდეს. მათ არც ქართველი პარტიზანი დავიწყებით — ომის დამთავრების შემდეგ ის იტალიაში დარჩა, ნეაპოლში დასახლდა და ყოველ შაბათ-კვირას სტუმრობდა გადარჩენილი ბავშვის ოჯახს; რასაკვირველია, უკვე ოფიციალურად, იტალიურ სახელსა და გვარს ატარებდა, მაგრამ ახლობლებთან ქართველობას არ მალავდა.



„მშვიდობის მოხალისეთა კორპუსის“ კიდე ერთი ქვედანაყოფი. მარცხნიდან პირველი და მარჯვნივ, განაპირას ჩამუხლული პირები ქართველები არიან

P.S. ჩემმა ენაწყლიანმა ნაცნობმა — სინიორ ჯოვანიმ (როგორც მიხვდით, სწორედ მას გადახდა ეს ამბავი), სამწუხაროდ, ვერაფრით გაიხსენა „სალვატორეს“ ქართული სახელი, თუმცა მითხრა, რომ მას ქართულადაც თითქმის ასევე ერქვა (?); ამასთანავე აღნიშნა, რომ ბავშვობაში ოჯახის მეგობარმა მას მშობლიურ ენაზე რამდენიმე გამოთქმაც კი ასწავლა. ბუნებრივია, დამაინტერესა, რა გამოთქმებს გულისხმობდა იტალიელი ბაბუა და მანაც, ნახევარი ქობულეთის გასაგონად, მჭექქარე ხმით შემოსძახა: „პაი, შე მამაძალო!“ და „როგო კა, ბიჩო!“ ამ ყველაფერმა გვარიანად კი გამამხიარულა, მაგრამ სტატიის დაწერა არც კი მიფიქრია, რადგან სინიორ ჯოვანის მონათხრობის დაჯერება ვერაფრით შევძელი. ბოლოს, ინტერვიუ ვთხოვე, მაგრამ არ დამთანხმდა. სამაგიეროდ, მისი ნაამბობის სიმართლეში რომ დავრწმუნებულიყავი, იტალიაში შვილს დაურეკა და სთხოვა, — ძველი სურათები გამომიგზავნეო. ფოტოები იმავე საღამოს, ელექტრონული ფოსტით მივიღე და მათი დათვალიერების შემდეგ გადავწყვიტე, ეს ყველაფერი ისე დამეწერა, როგორც სინიორ ჯოვანიმ მიაბო.

ზირებულები და უალრესი სისასტიკით გამოირჩეოდა. ამის გამო, გენერალს ცალკე პარტიზანები დასდევდნენ მოსაკლავად, ცალკე — კრიმინალები. ერთხელაც, „კამორას“ წევრები მის ვილას დაესხნენ თავს და ჯულიანო მაცოლას დაშანტაჟების მიზნით, პანანინა ჩვილი გაიტაცეს. იმ დროს გენერალი და მისი მეუღლე სახლში არ იმყოფებოდნენ, შინ დაბრუნებულებმა კი, როდესაც ყველაფერი შეიტყვეს, ძიძას მოსდეს შარი — კრიმინალებს შენ დაუკავშირდებოდი და ბავშვსაც შენ გაატაცებინებდიო. გენერალმა სანყარი ქალი ჯარისკაცებს ქალაქგარეთ გააყვანინა და საკუთარი ხელითვე გაათხრევინა საფლავი.

გაშვილებული ჩვილის დედამ აღიარა, რომ ბავშვის ნამდვილი მშობელი იყო და ამან მდგომარეობა უფრო გაართულა — გენერალი გაცოფდა, რევოლვერი ამოიღო და ისიც იყო, უნდა გაესროლა, რომ სროლის ხმა სულ სხვა მხრიდან გაისმა. ნამიჯ და, გენერალი და მისი ჯარისკაცები მოცელილივით დაეცნენ ძირს, ნანამებ ქალთან კი ვილაც შავგვრემანი, უღვაშა პარტიზანი მიიჭრა. ის იტალიურად კარგად ვერც

ლისეთა კორპუსის“ ერთ-ერთ ქვედანაყოფს მეთაურობდა.

ნანამებმა ქალმა, რალა თქმა უნდა, პარტიზანს დანვრილებით უამბო საკუთარი ძუძუთა ბავშვის გამოვიღებისა და ჩვილის გატაცების ამბები. სალვატორემ ქალი შეძლებისდაგვარად ანუგეშა და ბავშვის გამოსახსნელად ოპერაციაც დაგეგმა — პარტიზანებს როგორმე უნდა დაედგინათ, სად ჰყავდათ კრიმინალებს ჩვილი და მერე უხმაუროდ უნდა „მოეპარათ“: „ჩვენ რომ „კამორას“ ქალაქში სროლა ავუტეხოთ, დაპირისპირებაში ფაშისტები ჩაერევიან და ყველაფერი წყალში ჩაგვეყრება; ამიტომ ეს საქმე უხმაუროდ უნდა გაკეთდეს“, — უთხრა ქართველმა მეთაურმა პარტიზანებს.

ბავშვის ადგილსამყოფელი სრულიად მოულოდნელად დაადგინეს — „კამორას“ ბოსმა, როგორც კი გენერალ ჯულიანო მაცოლას სიკვდილის ამბავი შეიტყო, მაშინვე გადაწყვიტა, ჩვილი ეშვილებინა და ყველა ოჯახისთავი ნათლობის ცერემონიაზე დაბატიჟა. „მშვიდობის მოხალისეთა კორპუსის“ პარტიზანთა ქვედანაყოფის ქართველ მეთაურს ბევრი აღარ უფიქრია — შესა-



სიასლაები

„ინფინიტიისგან“

ნდება რესტაილირებული Infiniti EX. სავარაუდოდ, ამ მოდელების ახალი თაობის დებიუტი 2014 წელს შედგება. 2013 წელს წარმოდგენილი იქნება ელექტროკარიანი „ინფინიტი“, რომელსაც Nissan Leaf-ის ბაზაზე ააგებენ. ორივე მანქანას საერთო აგრეგატი დაუმონტაჟდება, თუმცა ისინი განსხვავებული იქნებიან დიზაინით, გაფორმებითა და მოწყობილობებით. საგულისხმოა, რომ 2 წელიწადში ყველაზე კომპაქტურ „ინფინიტისაც“ ვიხილავთ. ადრე გავრცელებული ცნობით, კომპაქტ-ავტო პროტოტიპი Ethelea-ს სტილისტიკით შეიქმნება. ეს უკანასკნელი პირველად მიმდინარე წლის მარტში, ჟენევის მოტორშოუზე წარმოადგინეს. კომპაქტური „ინფინიტი“ ერთი საფეხურით ქვემოთ იქნება G-ს ოჯახში და Audi A3-სა და Lexus CT 200h-ს გაუწევს კონკურენციას. ახალი სედანი Infiniti G-ს პრემიერა 2013 წლისთვის იგეგმება (კუპესა და კაბრიოლეტს პუბლიკა მოგვიანებით იხილავს). „ინფინიტის“ განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, კომპანია 2016 წლიდან წელიწადში 500 ათასი ავტომობილის გაყიდვას გეგმავს.

უახლოესი ორი წლის განმავლობაში კომპანია „ინფინიტი“ თავისი ყველა ავტომობილისთვის რესტაილინგს ჩაატარებს და ბაზარზე ორ ახალ მოდელს გაიყვანს. პირველი სიახლეა 7-ადგილიანი კროსოვერი JX, რომელსაც მიმდინარე წლის 18 აგვისტოს, კალიფორნიულ პებლ-ბიჩზე გამართულ ელექსტრობის კონკურსზე წარადგინენ. ადრე გავრცელებული ცნობით, ავტომობილს 2,5-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი ბენზინის ძრავა, კომპანია „რენოსგან“ მითვისებული 3-ლიტრიანი ტურბოდინამო და ჰიბრიდული აგრეგატი ექნება. Infiniti JX-ის წარმოებას ტენესის შტატში მდებარე ქარხანაში დაიწყებენ. ამერიკულ ბაზარზე კროსოვერის გაყიდვა 2012 წლის გაზაფხულზე დაიწყება. მიმდინარე წლის ოქტომბერში დილერთა სალონებში განახლებულ კროსოვერ FX-ს შეიყვანენ, ხოლო 2012 წლის სექტემბერში ბაზარზე გამო-


მომავალი თაობის i30

კომპანია „ჰიუნდაიმ“ მომავალი თაობის ჰეჩბეკ i30-ის პროტოტიპის პირველი გამოსახულება გაავრცელა. ამ ავტომობილის დებიუტი სექტემბრისთვის, ფრანკფურტის ავტოსალონზე იგეგმება. ჰეჩბეკს ძარას წინა ნაწილის უფრო აგრესიული დიზაინი აქვს. სავარაუდოდ, i30 წინამორბედი თაობის მოდელის მოტორების გამას შეინარჩუნებს, თუმცა ამავე დროს მიითვისებს ახალ აგრეგატებს i40-ის ოჯახიდან. უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია ახალ ძრავაზე, რომელიც 117 და 136 ცხძ-ს განავითარებს.

შემქმნელთა მოსაზრებით, ახალი Hyundai i30 სერიოზულ კონკურენციას გაუწევს გოლფ-კლასის ბესტსელერებს — Ford Focus-სა და VW Golf-ს. მათ სურთ, მომავალი ავტომობილის შეფასებისას „ხარისხსა“ და „პრაქტიკულობას“ დაემატოს სიტყვები — „ემოცია“ და „სტილი“. Hyundai i30 სპეციალურად ევროპული ბაზრისთვის შეიმუშავეს. ამ მოდელის ასაწყობად სამხრეთკორეულმა ბრენდმა ჩეხეთში ცალკე ქარხანა ააშენა, რომელმაც ფუნქციონირება 2008 წლის ნოემბრიდან დაიწყო.



კონსეპტუალური ელექტროავტო Urban



კომპანია „აუდიმ“ კონსეპტუალური კომპაქტური ელექტროავტოს — Urban-ის პირველი ოფიციალური გამოსახულება გაავრცელა. ავტომწარმოებლის ჩანაფიქრით, მანქანამ თავის თავში უნდა გაერთიანოს „სარბოლო ბოლიდის, როდსტერისა და ქალაქის ავტომობილის ელემენტები“. იგი ახალ პლატფორმაზეა აგებული. ოფიციალური ინფორმაციით, ელექტროავტოს წონა მაქსიმალურად შეამცირეს. კონსეპტ-ავტო მოძრაობაში ორი ელექტროძრავით მოძრავი, რომლებიც ლითიუმ-იონური აკუმულატორებით იკვებება. ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა მანძილის დაფარვა შეუძლია მანქანას დატენის გარეშე. კარის ნაცვლად, ელექტროავტო „ურბანს“ უკან გასაწვეი სახურავი ექნება. მას ორი სავარძელი დაუმონტაჟეს, რომლებიც ჭადრაკის დაფის პრინციპითაა განლაგებული. ცნობისათვის, სწორედ ასე იყო დამონტაჟებული 2011 წლის აგვისტოს დასაწყისში, ბერლინში გადაღებული ავტომობილის პროტოტიპი. წინასწარი ინფორმაციით, ეს მანქანა ელექტროავტო Audi E1-ის წინამორბედად იქცევა. სიახლის პრემიერა მიმდინარე წლის სექტემბერში, ფრანკფურტის ავტოსალონზე იგეგმება.



სად იპარავდა ივა კუზანოვი წიგნებს

ბოლო დროს ამ რუბრიკაში მსახიობების სიჭარბე შეინიშნება. გადავწყვიტე, ჩემი შემდეგი რესპონდენტი სხვა პროფესიის ადამიანი შემერჩია. — ექიმებიდან ვინ შეიძლება ჩავწერო? — ვკითხე საკუთარ თავს და იმწამსვე ივა კუზანოვი გამახსენდა. ჩემი შეთავაზება სიამოვნებით მიიღო და მეორე დღისთვის საკუთარ კლინიკაში დამიბარა.

„ბვინი კალიან არ უნდა დაასაქმო“

თამუნა კვინიკაძე

პრაკტიკული გაზიარება

— ბატონო ივა, ინტელექტუალური თამაშები გიყვართ?

— კი, მიყვარს. მასსოვს, ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში ვმონაწილეობდი, რალაც კითხვებზე უნდა გაგვეცა პასუხები და მეორე ადგილზე გავედი.

— ბევრით ბავშვი იყავით?

— ზომიერად. რომ გითხრათ, წიგნების დიდი მოყვარული ვარ-მეთქი, — მოგატყუებთ. ერთ ადგილზე დიდხანს ჯდომა არ შემიძლია, მოძრავი ადამიანი ვარ. VIII კლასში ვიყავი, როცა წავიკითხე ერთი ამერიკელი მწერლის მოსაზრება: ტელეფონის ნომრის, დაბადების დღის, მანქანის ნომრის და ა.შ. დამახსოვრებით ადამიანმა თავისი ტვინი ძალიან არ უნდა დაასაქმოსო. ეს ტვინში ისე ჩამიჯდა, რომ მას შემდეგ ამ წესით ვცხოვრობ; მხოლოდ იმას ვიმახსოვრებ, რაც მინდა და მაინტერესებს.

— თქვენი საყვარელი ავტორები ვინ არიან?

— რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული. ძალიან მომწონს პუშკინი, ტოლსტოი, რემარკი და დიუმა.

— წიგნი მოგიპარავთ?

— (იცინის) როგორ არ მომიპარავს, თან — რამდენიმე. აი, იქ ვინახავ (თვალთ წიგნების თაროსკენ მანიშნებს). მოსკოვში მოვიპარე. ეს პროფესიული ლიტერატურა ძალიან მომწონდა, არსად იშოვებოდა და იქ ხომ არ დავტოვებდი? სხვათა შორის, წიგნი ჩემთვისაც მოუპარავთ. შვილიშვილებისთვის საჩუქრადაც ხშირად ვყიდულობ. ამ ბოლო დროს ძალიან კარგად ილუსტრირებული წიგნები გამოვიდა.

— რომელ ლიტერატურულ პერსონაჟთან იმეგობრებდით?

— ეს კითხვა ჩემთვის სტუდენტობის წლებში რომ დაესვათ, რემარკის „სამ მეგობარს“ ავირჩევდი, რადგან კარგი და საინტერესო პერსონაჟები არიან.

— ძველი დროის ცნობილი მოაზროვნე პუბლიუსი ამბობდა: „ლამაზი გარეგნობა მუწვი“

— ეს გამონათქვამი არ ვიცი.

— „რეკომენდაცია“.

— კარგად უთქვამს, ვეთანხმები. გარეგნობა ადამიანის ცხოვრებაში, მის წარმატებაში დიდ როლს ასრულებს.

— რა არის ადამიანის ორგანიზმში ეპითელური, კუნთოვანი, შემავრთველი და ნერვული?

— ესოვილი.

— რა ერქვათ ძველ საბერძნეთში მხატვრებს, რომელ ბიკ კურტიზანებს მაკაჟს უწოდებდნენ?

— ვერ გიპასუხებთ.

— პორნოგრაფები.

— მართლა? პირველად მესმის.

— რას ეძახდნენ XIX საუკუნეში ჰომოსექსუალებისტებს?

— ვერც ამას გეტყვით.



— მწვანებს.

— მერე ფერი იცვალეს და ცისფრები გახდნენ (იცინის)? რატომ?

— არ ვიცი, სახელი რატომ შეიცვალეს. რა ჰქვია ჯანმრთელობის ღმერთს ბერძნულ მითოლოგიაში?

— პიგია.

— ძალღმერთებისებრთა ოჯახის ამ წარმომადგენლის გარეშე დღეს ქართული სამხარეულო წარმოდგენილია. იტალიურიდან მისი სახელწოდება ითარგმნება, როგორც „ოქროს ვაშლი“. დასახელებთ ეს ბოსტნეული.

— პომიდორი იქნება.

— გამოიცანით ადამიანის რომელ ორგანოში ხდება ნაწლავებიდან შეწოვილი მაცნე ნვთიერებების გაუფრებლება?

— ლევილში.

— წარსულში ქმრის მოლაღატე ცოლებსა და მსუბუქე ყოფაცქცვის ქალებს შუბლს უდაღვენდნენ, რათა მათი უღირსი საქციელის შესახებ ყველას სცოდნოდა. სწორედ ამის შემდეგ წარმოიშვა და დღემდე არსებობს ვარცხნილობის ეს ფორმა. რომელ ფორმაზეა ლაპარაკი?

— ალბათ, „ჩოლკაზე“, არა?

— დიახ. თუ იცით, ამ ვარცხნილობას ქართულად რა ჰქვია?

— არა.

— წინაში.

— მე ვიცი, რომ უწესო ქალებს ინდოეთში ცხვირს აჭრიდნენ. მასთან არც ერთ მამაკაცს ურთიერთობის სურვილი რომ აღარ ჰქონოდა.

— რომელია ფართობით ყველაზე დიდი სახელმწიფო მსოფლიოში?

— რუსეთი.

— რომელმა ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვა-



ნემ უთხრა საფრანგეთის მოხუცებულ მეფეს — ლუდოვიკო XIV-ს შემდეგი სიტყვები: „ისეთი მოხდენით ატარებთ ასაკს, რომ ყველა ინტრუბდა თქვენს ადგილზე ყოფნას“.

- სულხან-საბა ორბელიანიმ.
- რა ნოდება ჰქონდა ლაფრენტი ბერას?
- საბჭოთა კავშირის მარშალი იყო.

— ჟორჟ სიმენონის აზრით „ამის გაკეთებას იწყებ იმისთვის, რომ დაამტკიცო, შენ ხარ მამაკაცი შემდეგ ცდილობ გადაეჭვიო, რომ დაამტკიცო, შენ გაქვს დიდი ნებისყოფა“. ადამიანს რომელი ჩვეულების შესახებ წერდა ამას სიმენონი?

- კითხვა გამიმეორე (გამეორების შემდეგ), ვერ ვხვდები.
- მინწინებისთვის ემერსონის გამოჩინებამაც გავისხენებ „როცა ამას აკეთებ, გგონია, რომ რაღაცას აკეთებ მაშინ, როცა არაფერს აკეთებ“.
- თამბაქოს მოწვევას ხომ არ გულისხმობდა?
- გამოიცანით. თავად თუ გაქვთ ეს მენე ჩვევა?
- იშვიათად ვწმევი.

— ეს დაავადება სისხლის შედეგების უნარის დაქვეითებით ვლინდება. ავადმყოფი შეიძლება უმნიშვნელო დაზიანების შემთხვევაშიც კი სისხლისგან დაიცალოს დაავადება მემკვიდრეობით გადადის. პათოლოგიური გენის მატარებლები ქალები არიან, ხოლო კლინიკურად მხოლოდ მამაკაცებში ვლინდება ამ გენის მატარებელი იყო ნიკოლოზ II-ის მეუღლე მათი ვაჟი — ალექსი კი ამ დაავადებით იტანჯებოდა. რომელ დაავადებაზეა ლაპარაკი?

- ეს არის ჰემოფილია.
- ასეთი პაციენტი გყოლიათ?
- პირადად მე, არ მყოლია, მაგრამ მედიცინაში ეს ცნობილი დაავადებაა. ასეთ ადამიანებთან მუშაობის თავისებური მეთოდიც არსებობს.

— რომელ მდინარეზეა გაშენებული ავსტრიის დედაქალაქი ვენა?

- დუბაიზე.
- ამ მდინარეზე ნავთი გასივრნათ?
- არა, მაგრამ ვენაში ნაყიფი ვარ.
- ნიზამი, ომარ ხაიამი, საიათნოვა — ამ პოეტთაგან, რომელი იყო მათემატიკოსი?
- თუ სწორად მახსოვს, ხაიამი.
- დიას „მე თქვენ მიყვარდით, უმელოდ რდიით, მალულად/ ხან ეჭვი მკლავდა, მაგრამ ტრფობა მქონდა მხურვალე/ მე თქვენ მიყვარდით, ისე წრფელად, ისე სათუთად/ ღმერთმა ქნას, ასე მომავალში სხვასაც უყვარდეთ“ — რომელი ცნობილი რუსი პოეტი ამ სტროფის ავტორი?

- ალექსანდრე პუშკინი.
- ინგლისის სათავადანზაურო ივრარქიაში, რომელი ტიტული იყო ბარონსა და რაინდს შორის?
- არ ვიცი.
- ბარონეტი. რა ჰქვია კომპს, საიდანაც მუსლიმანებს სალოცავად მოუხმობენ?
- მინარეთი.
- მუსლიმანებში მამაკაცი მონამებრე სიკვდილს მხოლოდ ბრძოლის ველზე ეზარება. რა შემთხვევაში უთანაბრდება მას ქალის სიკვდილი?

- ვერ გიპასუხებთ.
- თუ მშობიარობისას დაიღუბება. ტყეში 17 პარტიზანია, 5 მათგანი დიდ ლოდს ამოეფარება. რამდენი პარტიზანი დარჩება ტყეში?
- 12.
- 12 რატომ?
- აბა, რამდენი?
- 17.

- ეგ როგორ?
- 5 პარტიზანი განა სადმე წავიდა, ლოდს ამოეფარა.
- (იციინის) მართალია, 17 დარჩებოდა.
- რა დრო სჭირდება დედამიწას მზის გარშემო ერთი სრული ბრუნის გასაკეთებლად?
- 24 საათი.
- დაფიქრდით, ბატონო ივა.
- (პაუზის შემდეგ) 1 წელი.
- დიას, 365 დღე და 6 საათი „არის რაღაც საერთო ლენინს სმსა და კითხვას შორის. მე მგონი ის, რომ ოროვეს ენ. პიროვნების თავისუფლებასთან მიყვარათ. ოლინდ ერთი — მიშვეული, აგდებული, ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული. მეორე კი — შემართებული, გამოცდილი და ყოვლისშემძლე ამაღლებული“ — გურამ დიონანშვილის რომელ ცნობილ ნაწარმოებში გვითხულობთ ამ სიტყვებს?
- ვერ გიპასუხებთ.
- „კაცო, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

რომელია ფართობით ყველაზე დიდი წყალსაცავი საქართველოში?

- ნალკის.
- რას ნიშნავს „ფაგი“ სიტყვაში — „ბაქტერიოფაგი“?
- შთანთქმელს.
- ნელინადის რამდენი თვეა ისეთი, რომელიც 30 რიცხვს შეიცავს?
- (ფიქრობს) ალბათ 11 იქნება. ასე არ არის?
- დიას. გამოჩინების თებერვალია. ვინ აღმოაჩინა რენტგენის სხივები?
- რენტგენმა.
- „ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ანტიქრისტე მოწათლეს“, — წერდა 1725 წელს თავის დღიურში ერთ-ერთი ვენციელი მღვდელი, რომელსაც ცოტა ხნის წინ მოწათლა 2 კვირის ჩვილი, სახელად ჯაკომო. მან 73 წლის მანძილზე სარეცელი 122 ქალთან გაიყო, მათ შორის იყვნენ წარჩინებული მანდილოსნები, მსახიობები, მოცეკვავეები. ის მომალადე არასდროს ყოფილა — „მსხვერპლების“ უმეტესობას უყვარდა. სახელისა და სომდიდრის ძიებაში, მან თითქმის მთელი ევროპა მოიარა. იყო ჯარისკაცი, ბიბლიოთეკარი, მუსიკოსი. არაერთხელ იჯდა ციხეში. დაასახელოთ ვისზეა ლაპარაკი?
- კაზანოვაზე.
- ტოკიოს ზოოპარკი წელიწადში ერთხელ, 2 თვით იკეტება რატომ?
- (ფიქრობს) ისვენებენ?
- ვინ უნდა დაისვენოს?
- მუშახელმა. არა, ამის გამო არ დაკვებენ (პაუზის შემდეგ) ცხოველებს ხომ არ ასვენებენ?
- გამოიცანით, ცხოველებს დამთავლიერებლებისგან ასვენებენ.
- კარგი წესი ჰქონიათ.
- დაბოლოს, დასრულეთ ლინკოლნის ცნობილი გამოჩინებამი: „თუ გინდა იცხოვრო ბედნიერი ცხოვრებით, გახადე ბედნიერება შენი ცხოვრებისა“.
- „...მთავარი მიზანი“. დასრულდა?
- დიას.
- ყოჩაღ! კარგი რუბრიკა გაქვთ. ჩემი პასუხებით თქვენს რეიტინგში მერამდენე ადგილზე ვიქნები?
- ამას წლის ბოლოს გაგიგებთ. სხვათა შორის, გაცემული პასუხების მიხედვით „წლის ერთდღესა“ და „ანტიერუდიტს“ ვაღვწნო.
- საინტერესოა! ვფიქრობ, არც ერთი ვიქნები და არც — მეორე.



სიმღერა „პატარა ქალო“ და განაწყინებული სოლები

პაატა და შოთა დუნდუების სახელი და გვარი თუ არაფერს გეუბნებათ, გეტყვით, რომ ისინი ძმები და ჯგუფ „მირაჟის“ წევრები არიან. ეს ჯგუფი მურმან ლებანიძის ლექსზე — „ციცო“ — შესრულებული სიმღერის შემდეგ გახდა პოპულარული. მსმენელმა უცებ შეიყვარა „პატარა ქალო“ (როგორც თავად დაარქვეს) და რა გასაკვირობა, რომ მათ ნამღერს რადიოტალღებზეც სმირად ატრიალებენ.

პაატა და შოთა წარმოშობით აბაშიდან არიან და ახლო მომავალში კონცერტის ჩატარებას სწორედ მშობლიურ კუთხეში გეგმავენ.

ინერჯიანი

— როდის შეიქმნა თქვენი ჯგუფი და რატომ დაარქვით მაინცდამაინც მირაჟი?

შოთა:

— „მირაჟი“ 2001 წელს შეიქმნა. ვფიქრობ, სახელს ვამართლებთ, რადგან შოუბიზნესიდან პერიოდულად ვქრებით ხოლმე.

— პროფესიით ვინ ხართ?

— პროფესიით მუსიკოსი ვარ — შოთა მილორაგას სახელობის საცირკო-საესტრადო სასწავლებელში ვსწავლობდი. მე და პაატამ მუსიკალური შვიდწლიანი დაგამთავრეთ.



ერთი კარგი საქმე მაინც გააკეთეთ და გენიალური პოეტის შემოქმედება კიდევ ერთხელ გაგაცოცხლეთ

პაატა ეკონომისტი, მაგრამ პროფესიით არასდროს უმუშავია. მუსიკალურ ოჯახში გავიზარდეთ. ჩვენთან ყველა მღერის — ბებია, ბაბუა, მშობლები. ქართული სიმღერის, ფოლკლორის სიყვარული თავიდანვე გვექონდა. პოპსიმღერებშიც შეგვისრულდება, მაგრამ ძირითადად, მაინც ფოლკლორით ვართ დაინტერესებული. ალბათ გასსოვთ 2004-2005 წლებში განხორციელებული პროექტი, როცა ქართველმა მომღერლებმა კონცერტი ენგურის ხიდზე გამართეს. მაშინ ჩვენც შევასრულეთ სიმღერა — „საქართველოს შვილები“, რომლის მუსიკაც და ტექსტიც ჩვენ გვეუთვნოდა და მას დიდი მონონება ხვდა წილად. მომდევნო სიმღერა — „დედა“ კი ორი წლის შემდეგ ჩავენერეთ.

— გამოდის, რომ ერთი სიმღერის ჩანერას, სულ მცირე, 2 წელი უნდებოდა.

— გვინდა, რაღაც განსაკუთრებული, განსხვავებული შევქმნათ და ამაზე ვმუშაობთ, თორემ სხვა პრობლემა არა გვაქვს. ტექსტებს და მუსიკასაც ძირითადად, თვითონ ვწერთ, საკუთარი სტუდია გვაქვს და არანაირი სხვადასხვა ვაკეთებთ. მოკლედ, ჩვენი სიმღერები საკუთარი შვილებივით გვიყვარს და ალბათ, „მირაჟის“ წარმატების ერთი მიზეზი ესეც არის.

— ყველაზე მეტად მაინც, „პატარა ქალომ“ გაგხანდათ პოპულარულნი. როგორ შეიქმნა ეს სიმღერა?

— მურმან ლებანიძის ეს ლექსი ყველას ძალიან უყვარს და პირველ რიგში, ამ სიმღერის ჩანერა ამ ფაქტმა გადაგვანყვევინა. ვფიქრობდით, რომ მსმენელს მოეწონებოდა, მაგრამ ვერც წარმოვიდგენდით, ასეთი პოპულარული თუ გახდებოდა.

— თუმცა ზოგი ძალიან გააღიზიანა იმ ფაქტმა, რომ ტექსტი თქვენებურად შეცვალეთ.

— კორექტირება შევიტანეთ, რადგან ვიფიქრეთ, რომ სიმღერა ასე უკეთესი გამოვიდოდა და პრინციპში, ამან გაამართლა კიდევ. „ციცო“



დაუზუსტებელი ინფორმაციით, ბაზრობებზე ჩვენი სიმღერების დაახლოებით, მილიონნახევარ დისკი 5-6 ლარად გაიყიდა

„პატარა ქალოთი“ შევცვალეთ და რადიოშიც სწორედ ამ სახელწოდებით ითხოვენ სიმღერის გაშვებას.

პაატა:

— არა მგონია, ამის გამო ვინმემ გვისაყვედუროს; ეს ლექსი ყველამ ძალიან კარგად იცის და როგორც უკვე აღვნიშნე, ყველას უყვარს. ჩვენზე უმცროსმა თაობამ კი, რომელიც სამწუხაროდ, წიგნებთან ნაკლებად მეგობრობს, სწორედ ამ სიმღერით შეიყვარა ლებანიძის არაჩვეულებრივი პოეზია. ეს ერთი კარგი საქმე მაინც გავაკეთეთ და გენიალური პოეტის შემოქმედება კიდევ ერთხელ გავაცოცხლეთ. სხვათა შორის, მისი ოჯახის წევრებთან დაკავშირებასაც ვცდილობთ, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოვახერხეთ. მუსიკის ავტორთან, გელა დაიაურთან კი ყველაფერი რიგზეა. თავიდან არ ვიცოდით, ვინ იყო ავტორი და გადავწყვიტეთ: — მოდი, ვიმღეროთ და მისი ავტორის ვინაობა მერე მაინც გაირკვევაო. მართლაც, ასე მოხდა.

— ალბომი თუ გაქვთ?

შოთა:

— საკმაოდ ბევრი სიმღერა დაგვიგროვდა და ალბომზე სწორედ ახლა ვმუშაობთ, მასში შესატან სიმღერებს ვარჩევთ. ზოგი გვირჩევს, მხოლოდ პოპი ან მხოლოდ ფოლკი შევიტანოთ, ზოგი კი ამჯობინებს, ორივეს ნახავი იყოს ალბომში.

პაატა:

— დაუზუსტებელი ინფორმაცი-



თაბორის ნათელი იყო გამოვლინება სღვთო ნათლისა

ით, ბაზრობებზე ჩვენი სიმღერების დაახლოებით, მილიონნახევარი დისკი 5-6 ლარად გაიყიდა, მაგრამ ჩვენ არანაირი სარგებელი არ მიგვიღია.

— როგორც ვიცი, ახალი სიმღერაც ჩანერეთ...

— „აყვავებულა არაგვზე დეკა“ — ამ სიმღერის ტექსტისა და მუსიკის ავტორი ელგუჯა უძილაური გახლავთ. ამ ნამუშევართან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გვაქვს — მას წლების მანძილზე, გიორგი ჩიტაური ასრულებდა და სიმღერა სწორედ მან შეაყვარა მსმენელს. გიორგიმ არ იცოდა, ვის ეკუთვნოდა ლექსი და რადგანაც ავტორის უნებართვოდ მღეროდა, ამან ბატონი ელგუჯა გაანაწყენა და მან მხოლოდ ჩვენ მოგვცა უფლება, „აყვავებულა არაგვზე დეკა“ ვიმღეროთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგის რაიმეს აუკრძალავს. იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება, მანამდე კი მსმენელს შეუძლია, ჩვენი ახალი ნამუშევარი ინტერნეტის საშუალებით მოისმინოს და შეაფასოს.

— დაბოლოს, თქვენს ოჯახებზეც მითხარით რამე — ვხედავ, საქორწინო ბეჭდები გიკეთიათ? უკვე პოპულარულები ხართ და საინტერესოა, ცოლები ხომ არ ეჭვიანობენ?

— პოპულარობა ნამდვილად, კარგი რამ არის. როგორ შეიძლება მოგებზრდეს ხალხის სიყვარული და ის, რომ გეუბნებიან: მოგვწონს თქვენი სიმღერები, კარგები ხართ, მადლობა, ახალგაზრდებს ქართული სიმღერა ასე რომ შეაყვარეთ, გთხოვთ, კვლავაც ასე გააგრძელოთ... ეს ყველაფერი სულაც არ არის შემანუხებელი. სიტბოსა და სიყვარულისთვის ხალხს მადლობას ათასჯერ უნდა ვუხდიდეთ. რაც შეეხებათ ცოლებს — როცა „კომედი შოუს“ ბიჭებთან ერთად სიმღერის ახალი ვერსია ჩაგწერეთ, ცოტა არ იყოს, გაგვინაწყენდნენ.

— რატომ?
— შეცვლილ ტექსტს გაგახსენებთ და მიხვდებით: „ისე ჩაიცვამს, სუნთქვა შეგეკვრება/ რომ დააკვირდები, თითქოს არ აცვია/ შენს ცოლს კი სანოლში როლინგი აცვია/ ცოლი აგეთია და ნაშა იგეთია!...“ ჰოდა, გაგვინაწყენდნენ — ცოლებზე ასე რატომ იზაყირეთო (იციინან)?!

— წარმატებებს გისურვებთ!
— გმადლობთ!

როგორც სახარება გვაუწყებს, ჯვარზე ვნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მაცხოვარმა თაბორის მთაზე იწვინა ფერისცვალება — ღვთაებრივი ნათლის გამოვლინება, მაგრამ ამ უდიდეს მოვლენას 19 აგვისტოს ვდღესასწაულობთ. საეკლესიო წყაროებით, ფერისცვალების დღესასწაულს უძველესი დროიდან აღნიშნავდნენ. უტყუარი ცნობები ამ დღესასწაულის არსებობის შესახებ V საუკუნიდან მოგვეპოვება — ცნობილია V საუკუნეში მოღვაწე პატრიარქ პროკლეს სიტყვა ფერისცვალების დღესასწაულზე...

შორენა მერკვილაძე

როგორც ვთქვით, მაცხოვრის ფერისცვალება მოხდა მაცხოვრის ვნებამდე რამდენიმე ხნით ადრე — ე.ი. გაზაფხულზე. წმინდა ეკლესიამ მისი აღნიშვნის თარიღი იმის გამო შეცვალა, რომ გაზაფხულზე დაწესების შემთხვევაში იგი დაემთხვეოდა დიდი მარხვის პერიოდს, რაც არათავსებადი იქნებოდა დიდმარხვის მსახურებასთან.

წმინდა მამებმა ფერისცვალების დღესასწაულის ძველი სტილით 6, ახალი სტილით კი — 19 აგვისტოს დაწესება იწვევს შემდეგი გარემოების გამო: ძველი სტილის 14 სექტემბერს (ახლით — 27 სექტემბერს) აღნიშნება ჯვართამაღლების დღესასწაული, რომლითაც მოვიხსენიებთ მაცხოვრის ვნებას. რადგან მაცხოვრის ფერისცვალება მოხდა ჯვარცმამდე 40 დღით ადრე, წმინდა მამებმა სწორედ ეს პერიოდი აითვალეს და ასე მიიღეს თარიღი — 6 (19) აგვისტო.

მამა მაყარი (ბაბაძე):

— თაბორის ნათება — ის უჩვეულო, თვალისმომჭრელი ნათელი, რომელმაც მაცხოვრის ფერისცვალების ჟამს თაბორის მთა გაანათა, იყო უფლის ნათება, შეუქმნელი ანუ — გამოვლინება ღვთაებრივი, მარადიული ნათლისა — ნათელში გამოცხადებული თავად უფალი. თაბორის მთაზე ფერისცვალებით, იესო ქრისტემ თავისი ღვთაებრივი დიდება და ბრწყინვალეობა უჩვენა, მაგრამ არა სრულად, არამედ ისეთი განცდის ფარგლებში, რისი დატევაც ადამიანს შეუძლია, როგორც ამის შესახებ ფერისცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილ

„ტროპარსა“ და „კონდაკშია“ მითითებული: „მთასა ზედა ფერი იცვალე ქრისტე ღმერთო და უჩუენე მონაფეთა შენთა დიდებაი შენი ძალისაებრ მათისა“ (ტროპარიდან). „მთასა ზედა ფერი იცვალე, ქრისტე ღმერთო, და რაოდენ ძალ-ედვა მონაფეთა შენთა, დიდებაი შენი უჩვენე“. ღვთის დიდების სრულად დატევნა არათუ ხორცში მყოფი ადამიანისთვის, არამედ ანგელოზთათვისაც კი შეუძლებელია.



თაბორის მთა აღმართულია გალილეის ცენტრში. მისი სილუეტი თითქმის ყოველი მხრიდან მოჩანს

ნათელი ორი სახისაა: ხილული ანუ მინიერი და უხილავი — ანუ ზეციური. მინიერია მზის ნათელი, ცეცხლის სინათლე, ყველაფერი, რასაც თვალით ვხედავთ, ზეციური ნათელი კი არიან ანგელოზები. შექმნილ ნათელს არაფერი აქვს საერთო შეუქმნელ, ღვთაებრივ ნათელთან, გარდა იმისა, რომ სწორედ საღმრთო ნათელი იქმნა მიზეზი შექმნილი ნათლისა, რომელიც უფალმა თავისი მრავალმომწყალებითა და დიდებით ქმნა.

რაბო მწოროდ ვებრა, იოანე და იაოზი

— როგორც სახარება მოგვითხრობს, მაცხოვარმა თავის მონაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იოანე და ია-



კობი, მათთან ერთად ავიდა მაღალ მთაზე და ფერი იცვალა. მისი სახე მზეზე უბრწყინვალესი გახდა, სამოსელი კი — თოვლზე უსპეტაკესი. ამგვარად, მაცხოვრის ფერისცვალების ხილვის ღირსი მხოლოდ ეს სამი მოწაფე



ამ უდიდესი სასწაულის ხილვა ასეთი შემადრწუნებელი რომ არ ყოფილიყო, უფლმა მათ ძილი მოჰგვარა

შეიქმნა. შემდგომში, გეთსიმანიის ბაღში ლოცვის დროსაც პეტრე, იოანე და იაკობი წაიყვანა თან, დანარჩენები კი ბაღის მახლობლად დატოვა. რატომ სწორედ ისინი? იმ დროს სწორედ ეს სამი მოციქული იყო ყველაზე მეტად მიმღები და სულიერად დამტვევი იმ სასწაულისა, რისი დატყენის ძალა და უნარიც ადამიანს შესწევს...

ვიცით, რომ სულიწმიდის გადმოსვლამდე მოციქულები მაცხოვარს უფრო ხორციელი, ფიზიკური თვალთუყურებდნენ; მათგან ყველაზე მეტად სულიერი ხედვა სწორედ ამ სამ მოციქულს ჰქონდა, ამიტომაც, როდესაც ჯვარზე ვნების დრო მოახლოვდა, უფალმა იწება, რომ მათთვის ღვთაებრივი დიდებაც გაეცხადებინა, თან გააფრთხილა — არავის უთხრათ, ვიდრე ძე კაცისა არ ამალღდებო. აქ იგულისხმება არა მაცხოვრის ზეცად ამალღება, არამედ — ჯვარცმა. იესო ქრისტე პეტრეს, იოანესა და იაკობს აფრთხილებს, თაბორის ნათების, ფერისცვალების შესახებ დანარჩენ მოციქულებს ჯვარცმამდე არაფერი უთხრან, რათა სასოწარკვეთილებას არ მიეცნენ იმის გამო, რომ ის, ვისაც ისინი

მხსნელს უწოდებდნენ, ვისიც სჯერათ, დასაჯეს და მოკვდა. მან მოციქულებიდან სწორედ ისინი გამოარჩია და კიდევ მეტად განამტკიცა, ვისაც მეტად სწამდა მაცხოვრისა. პეტრე სარწმუნოებით უპირატესი გახლდათ მოციქულთა შორის. მის მტკიცე რწმენას, სარწმუნოებას ძე ღვთისას მიმართ უფალმა „კლდე“ უწოდა; იოანე სიყვარულითაა უპირატესი, იაკობი კი — მონამბრიობით, უფლის სარწმუნოებისადმი მოშურნეობითაა გამორჩეული.

— **სახარებიდან ვიცით, რომ ვიდრე მაცხოვარი თაბორის მთაზე ლოცულობდა, მოციქულებს ჩაეძინათ. რამ მოჰგვარა მათ ძილი?**

— თაბორის მთა საკმაოდ მაღალი და კლდოვანია. ვიდრე იქამდე მიხვალ, კარგა მანძილი უნდა გაიარო. ამჟამად იქ მისვლა მსუბუქი ავტომობილითაც შესაძლებელია, მაგრამ მაშინ ამისთვის ბევრი დრო და ენერჯია იყო საჭირო. ერთი მხრივ, სწორედ ამან მოჰგვარა უფლის მონაფეებს ძილი, მაგრამ ეს საღვთო განგებულებითაც მოხდა: როგორც მამები ბრძანებენ, ადამიანმა პირდაპირ რომ იხილოს უხილავი, მიღწერი სამყარო — კეთილი იქნება თუ დაცემული, — ერთ შემთხვევაში სიხარულით, მეორე შემთხვევაში კი — შიშით, სული და სხეული ერთმანეთს გაეყრება; მოციქულებისთვის უფლის ფერისცვალების — ამ უდიდესი სასწაულის ხილვა ასეთი შემადრწუნებელი რომ არ ყოფილიყო, უფლმა მათ ძილი მოჰგვარა.

მოსა და ელია წინასწარმეტყველთა გამოჩინება

— ჩაძინებული მოციქულები ძლიერმა ნათებამ გამოაღვიძა და იხილეს, რომ იესოს ფერი ეცვალა — უჩვეულო, სპეტაკი ნათელი ადგა. ამ დროს უფლის წინაშე წარდგნენ წინასწარმეტყველნი — მოსე და ელია, რომლებიც მაცხოვარს იმ ვნებების შესახებ ესაუბრებოდნენ, იერუსალიმში რომ მოელოდა... რატომ სწორედ მოსეს და ელიას მოვლინება იწება ღვთის განგებულებამ და არა რომელიმე სხვა წინასწარმეტყველისა?

— მოსემ სჯული მისცა ერს, მან გამოიხსნა ისრაელის ერი, გამოიყვანა ეგვიპტელთა მონობისგან; ელია

კი იყო წინასწარმეტყველი, რომელსაც ხორციელი სიკვდილი არ განუცდია, ცოცხლად იქნა ატაცებული ზეცად. უფალი ამით მიგვანიშნებს, რომ ის არის ღმერთი ცოცხალთა და გარდაცვლილთა, ღვთის წინაშე ცოცხლები და გარდაცვლილები არაფრით განსხვავდებიან. ამ ორი უდიდესი წინასწარმეტყველის იესო ქრისტესთან — თავიანთ მოძღვართან ხილვა მოციქულებისთვის უნდა გამხდარიყო საფუძველი იმისა, რომ დაესკვნათ, — მათი მოძღვარი იყო არა უბრალო ადამიანი ან წინასწარმეტყველი, არამედ განკაცებული ღმერთი.

თაბორის მთაზე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა გამოჩენა იმასაც მიანიშნებს, რომ იმას, რასაც ძველი აღთქმა გვასწავლიდა, ახალი აღთქმის მომცემი — იესო ქრისტე აგვირგვინებს, იგი თავადაა ჩვენი მაცხოვრებელი და მომცემელი ორივე აღთქმისა. როგორც წმინდა გრიგოლ პალამა ბრძანებს, თაბორის მთა იქცა ერთგვარ ხატად ეკლესიისა, რომელზეც ქრისტემ ორი აღთქმა — ძველი და ახალი შეახვედრა და შეაერთა. აქ ერთმანეთს ხომ ძველი აღთქმის ორი უდიდესი წინასწარმეტყველი და სამი რჩეული მოციქული შეხვდნენ, უფალ იესო ქრისტესთან ერთად.

წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ამბობს: — თაბორის მთაზე წარმოჩინდა ცხოვნების სამი გზა: სათნოების, შემეცნებისა და ღვთისმეტყველებისა. პირველ ორს ელია და მოსე წინასწარმეტყველნი წარმოადგენენ, ღვთისმეტყველებისას — უფალი იესო ქრისტე.

— **საინტერესოა, როგორ შეიცნეს მოციქულებმა იმ ადამიანებში მოსე და ელია წინასწარმეტყველები, რომლებიც მაცხოვართან საუბრობდნენ? იმ დროს ხომ არც ხატები არსებობდა და არც სხვა რამ, რისი მეშვეობითაც მათ შეცნობას მოახერხებდნენ?**

— წმინდა ეკლესია გვასწავლის, რომ მოციქულებმა ეს საღმრთო განგებულებით, სულიწმიდის მადლით გახსნილი გონებით შეიმეცნეს.

— **პეტრე მოციქული უფალს მიმართავს: „უფალო, კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა. თუ გნებავთ, გავაკეთებ სამი კარავი: ერთი შენ, ერთი მოსეს და ერთი ელიას“...**

— პეტრეს სურდა, სამუდამოდ გაგრძელებულიყო ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც იმჟამად დაუფულა მათ.



ხმა ზეციდან

— შემდეგ ყოველივე ღრუბელმა დაფარა, ზეციდან კი გაისმა ხმა:

„ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“. როგორც ვიცით, ზეციდან ეს სიტყვები მაცხოვრის ნათლისღების დროსაც გაისმა, როდესაც ყოვლადწმიდა სამების საიდუმლო გაცხადდა...

— ნათლისღების დროს ადამიანები, მათ შორის ისინიც, რომლებიც შემდგომში მაცხოვრის მოციქულები შეიქმნენ, მზად არ იყვნენ მის მისაღებად, ხოლო ფერისცვალებისას, როდესაც იგივე სიტყვები მოციქულებს ესმათ, რომლებიც უკვე მაცხოვრის მონაწევრები გამხდარიყვნენ და მისი სასწაულებიც ეხილათ, ზეციდან გარდამოსული სიტყვები უფრო დიდმნიშვნელოვანი იყო. ნათლისღებისას ზეციით გარდამოსული სიტყვები იყო მოსამზადებელი, ფერისცვალების ჟამს კი — გვირგვინი. „მაგისი ისმინეთ“ — ამ სიტყვებით ღმერთმა მიგვანიშნა, რომ განკაცებული უფლის სწავლების გარდა, სხვა სწავლება არ მივიღოთ.

თაბორის მთა

— თაბორის მთა აღმართულია გალილეის ცენტრში. მისი სილუეტით თითქმის ყოველი მხრიდან მოჩანს. იგი დაბლობზე ოკეანიდან ამომართული კუნძულებითაა ამალღებული. მთიდან მთელ გალილეაზე თვალწარმტაცი ხედი იშლება. თაბორის მთაზე პირველი მართლმადიდებლური ტაძარი, რომელიც შემდგომ, უსჯულოთა შემოსევების დროს დაანგრიულა, ელენე დედოფალსა და კონსტანტინე დიდს IV საუკუნეში აუგიათ. 1911 წელს, უფლის ფერისცვალების ადგილას, ქრისტიანული ტაძარი კვლავ აუგიათ.

ფერისცვალების დღეს, თაბორის მთასა და უფლის ფერისცვალების ადგილზე აღმართულ ტაძარს მთელი დღესასწაულის განმავლობაში, ღრუბელი ადგას, არადა, ამ დროს ისრაელში, როგორც წესი, უნალექო პერიოდი, გაზაფხულიდან შემოდგომამდე ციდან წვეთიც არ ჩამოვარდება. ეს არის მონშობა, დასტური მართლმადიდებლური სარწმუნოების ქვმარტებისა და იმისა, რომ ფერისცვალება, როგორც ყველა სადღესასწაულო მოვლენა, არ არის მხოლოდ

დროში ერთჯერადად მომხდარი ფაქტი, არამედ ყოველწლიურად მეორდება; როგორც ვიცით, მაცხოვრის ფერისცვალების ჟამს, როდესაც უფალი ღვთაებრივი ნათლით გაბრწყინდა, ღრუბელი დაადგა თავს, რადგან საღმრთო ნათელმა თვალნი დაუბრმავე მოციქულებს.

— სახარებაში ნახსენები არ არის იმ მთის სახელი, სადაც უფალმა მონაწევრების წინაშე ფერო იცვალა. **საინტერესოა, რატომ მიიწინევა მაცხოვრის ფერისცვალების ადგილად სწორედ თაბორის მთა?**

— სახარებაში მართლაც, პირდაპირ არ არის მინიშნებული, თუ რომელ მთაზე იცვალა მაცხოვარმა ფერი; იქ მხოლოდ წერია: „ნაიყვანა იესომ მონაწევრები პეტრე, იაკობი და იოანე და ავიდა მათთან ერთად მალაღ მთაზე“... გალილეაში კი ყველაზე მალაღი — თაბორის მთაა. ამასთან, ამის შესახებ არსებობს პირველი საუკუნეებიდანვე საეკლესიო გარდამოცემა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქრისტიანებისთვის, წმინდა ეკლესიისთვის.

— **რატომ იწინევა უფალმა, რომ ღვთაებრივი ნათელი და ბრწყინვალეობა სწორედ მთაზე გამოეცვლინა?**

— ამას მინიერი მიზეზიც ჰქონდა და სულიერიც. დედამიწაზე ქადაგების პერიოდში უფალს ყოველთვის თან ახლდნენ ადამიანები. მისი ქადა



გებისას უამრავი ხალხი იყრიდა თავს და სწორედ კაცთაგან განსარიღებულად იწინევა უფალმა, რომ ეს უდიდესი სასწაული მალაღ მთაზე მოეხდინა. რაც შეეხება მთის, სიმაღლის სულიერი მნიშვნელობას, მაცხოვარმა მისი არჩევით მიგვანიშნა, რომ ადამიანი ამქვეყნიურზე უნდა ამაღლდეს — ლოცვით, მარხვით, სინანულით, — რათა ღირსი შეიქნას საღვთო ნათლის, უფლის ბრწყინვალეების ხილვისა, რომელიც ზეციურ თაბორზე — ღმრთის სასუფეველში ელოდება.

ადამიანმა, თითოეულმა ჩვენგანმა საკუთარ თავზე უნდა განიცადოს სულიერი ფერისცვალება, რათა ცხოვრება; ნათლობისას ადამიანს ადამის ცოდვა კი მიეტივება, მაგრამ ამ ცოდვის შედეგად დაზიანებული ბუნება კვლავ ცოდვისკენ მიდრეკილი რჩება. სულიერი ფერისცვალება არის სწორედ ის, რამდენად მივდრეკეთ ჩვენს ბუნებას უფლისკენ, განვემორებით ცოდვას. სულიერი ფერისცვალების მისაღწევად მთავარია ადამიანის სურვილი, ნება და სასოება ღვთისადმი, დანარჩენში თავად უფალი შეგვეწევა. შესაძლოა, სულიერი ფერისცვალება „ბოლო ჟამსაც“ მოხდეს, ადამიანმა აღიაროს უფალი და მისი ნების შესაბამისად იცხოვროს და აღესრულოს, მაგრამ რადგან არ ვიცით, როდის დადგება ჩვენი ამა სოფლიდან გასვლის დრო, ყოველწამიერად მზად უნდა ვიყოთ სულიერად ღვთის წინაშე წარსადგომად. ამისთვის უფალი ყველა გზას და საშუალებას გვაძლევს, ყველა პირობას გვიქმნის და თავადვე შეგვეწევა ღვთაებრივი ნათლით შემოსვისთვის.

რატომ იკურთხება ფერისცვალების დღესასწაულზე ხილი?

ფერისცვალების დღესასწაულზე, საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ იკურთხება ხილი. ერთი მხრივ, ეს არის გაგრძელება ძველალექსიკონული წესისა; მითითება ამ წესზე გვხვდება მოციქულთა მე-3 კანონში. ამასთანავე, ფერისცვალების დროისთვის თითქმის ყველა სახეობის ხილი მნიშვნელოვანია შესული. მორწმუნეებს ტაძარში ხილი მოაქვთ ნიშნად ღვთისადმი მადლიერებისა და ნაყოფთა მიღებისთვის. საკუთრივ ყურძნის კურთხევა კი ხდება ევქარისტის საიდუმლოსთან მისი პირდაპირი კავშირის გამო. გარდა ამისა, ეს წესი სიმბოლურად მიანიშნებს, რომ კურთხევით განიწმინდება ადამიანის ქმნილი ცოდვით შებღინული ხილი და იმ სინამდვილეს იბრუნებს, რომლითაც ედემის ბაღში იყო მოსილი.




ანტიდუკანსანი

გზაში საკითხავი კოლაქი

ქპლერელი ოქსი ივანიძე

1. კულა-ლუმპური მალაიზიის დედაქალაქია.
2. „ძენა“ და „მტირალა ტირიფი“ სინონიმებია.
3. გამოთქმა — „მეიდ ინ მეიდან“ კოტე ყუბანეიშვილს ეკუთვნის.
4. მუნდი, ტვიბი, შტვილი და ფანაგა ლენტეხის რაიონის სოფლებია.
5. მომღერალი თეოდორ შალიაპინი 1938 წელს, პარიზში გარდაიცვალა.
6. დუმალა, ჩხერიმელა და ხელმოსმულა მდინარე ძირულას შენაკადებია.
7. „პადდელანა ვ კიტაე“, — დასცინიან ჩინეთში წარმოებულ პროდუქციას რუსები.
8. ეუენ პოტიეს „ინტერნაციონალი“ ქართულად 1906 წელს, აკაკი წერეთელმა თარგმნა.
9. „ამიკო ჩოხარაძე ჯეკსონის ოფიციალური ქვერვივა საქართველოში“, — გაიძახის თემო მუავია.
10. ძაუჯიყაუ ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქ ვლადიკავკაზის სახელწოდება იყო 1944-დან 1954 წლამდე.
11. იტალიელი რეჟისორების მიერ გადაღებულ ვესტერნებს კინოკრიტიკოსები „სპაგეტი ვესტერნს“ ეძახიან.
12. ტრაგიკულად დაღუპული ჰამლეტ გონაშვილი თავდაპირველად საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს, 2001 წელს კი დიდუბის პანთეონში გადაასვენეს.



13. მონღოლების ბატონობის პერიოდში ქალაქი თელავი მონღოლთა მოხელის, ეროვნებით ქურთი სადუნ მანკაბერდელის საკუთრება იყო.
14. გუდარეხის ტაძარი XIII საუკუნეში მოღვაწე ქართველი ხუროთმოძღვრის, ჭიჭაფორისძის აგებულია. მისი გვარი სამხრეთის კარის წარწერაშია მოხსენიებული.
15. ჰაჯიმურათ ძუნათი ოსი საბჭოთა პოეტი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე იყო. მას გალაკტიონის, ტიცინან ტაბიძისა და ირაკ-

როგორ ვიმკურნალოთ თიხით

ადამიანები თიხას უხსოვარი დროიდან იყენებდნენ არა მარტო ჭურჭლის დასამზადებლად ან სამშენებლო მასალად, არამედ სამკურნალოდაც. მაგალითად: ლუდოვიკო XIV თიხას საჭმლის მომწელებელ საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდა; 1914-18 წლებში, ომიანობის დროს, ფრანგი ჯარისკაცები მდოგვში მცირე რაოდენობით თიხას უმატებდნენ — დიზენტერიის პროფილაქტიკის მიზნით და ა.შ. თიხაში არსებული მინერალური ნივთიერებების სიუხვე და ანტიტოქსიკური თვისებები მას უნივერსალურს ხდის. მინერალური ნივთიერებების შემცველობის მიხედვით, თიხა რამდენადმე სჯობნის ბოსტნეულსა და ხილს, ხოლო არაჩვეულებრივი აბსორბციის უნარის წყალობით ადამიანის ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებები გამოაქვს.



თიხის გარეგანი გამოყენება

გარეგანი გამოყენებისთვის თიხა შეგიძლიათ მოათავსოთ დოღბანდზე ან დაიდოთ პირდაპირ კანზე. 1,5-2 სმ სისქის თიხის ფირფიტა უნდა მოათავსოთ დაზიანებულ ადგილას. გაითვალისწინეთ, ფირფიტა დაზიანებულ კერაზე ოდნავ დიდი უნდა იყოს.

ფირფიტები შეიძლება იყოს ცივი ან ოდნავ შემთბარი. თბილი ფირფიტები იდება ღვიძლზე, თირკმელზე, შარდის ბუშტისა და ძვლებზე. გულსისხლძარღვთა დაავადებებისა და კონტუზიის დროს, თიხის ფირფიტების მოთავსებამდე თიხანარევი წყლის კომპრესები უნდა დაიდოთ. კომპრესების პროცედურა გრძელდება 2-3 საათის, ხოლო მძიმე შემთხვევებში — 24 საათის განმავლობაში.

გახსოვდეთ! უსიამოვნო შეგრძნების ან ტკივილის დროს კომპრესი უნდა მოიხსნათ. მისი გამოკრება შეგიძლიათ 12-24 საათის შემდეგ. სხვადასხვა წარმოშობის ჩირქოვანი აბსცესები საჭიროებს კომპრესის შეცვლას ყოველ ნახევარ ან ერთ საათში ერთხელ.

კომპრესების დადება მუცელზე, ღვიძლზე, ლუმბალურ (წელის) ზონებზე და ქვედა კიდურებზე ხდება ერთხელ, მხოლოდ 2-3 საათის განმავლობაში.

გახსოვდეთ! ერთხელ გამოყენების შემდეგ თიხა აუცილებლად უნდა გადაიყაროს, რადგანაც მასში გროვდება მომწამვლელი ნივთიერებები.

კოსმეოქიური ნიღაბი

ერთმანეთში აურიეთ წყალი და კიტრის წვენი თანაბარი რაოდენობით. დაუმატეთ იმდენი თიხა, რომ მიიღოთ პასტის კონსისტენციის ნაზავი. ამ ნაზავის თხელი ფენა დაიდეთ სახეზე და გაიჩერეთ, 10-30 წუთის განმავლობაში (გამრობამდე), შემდეგ კი ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეს პროცედურა ჩაიტარეთ კვირაში ერთხელ. თუ სახეზე მუწუკები ან ფვრიმჭამელები გაქვთ, ნიღაბი მოიშორეთ ზეითუნის ზეთით.

თიხის აბაზანები

იმ შემთხვევაში, როდესაც რადიქტიური ტალახის თბილი აბაზანების მიღება შეუძლებელია, თიხა გახსენით წყალში და მიღებული ხსნარი გამოიყენეთ რამდენჯერმე. ასეთი აბაზანის მიღება დაიწყეთ 5-10 წთ-დან და თანდათან გაზარდეთ 15-20 წთ-მდე. პროცედურა ჩაიტარეთ კვირაში 2-ჯერ, ერთი თვის განმავლობაში, შემდეგ კი 3-4-კვირა შეისვენეთ.

თიხის აბაზანები დაგეხმარებათ ართრიტის, რევმატიზმისა და ანემიის დროს. თუ კიდურების რევმატიზმი განუხებთ, თიხის აბაზანაში ჩაამატეთ ზღვის მარილი. გაუნმენდავი ზღვის მარილი კურნავს ბევრ დაავადებას, რადგანაც შეიცავს მაგნიუმს, ბრომს, იოდს, ოქროს, ნიკელს, კობალტს, გო-



გირდს, ფოსფორს, კალციუმს, ნატრიუმს (მარილების სახით) და მოქმედებს როგორც კატალიზატორი.

თიხით მკურნალობის დროს განვითარებული კრიზისისას პროცედურების ჩატარება არ შეწყვეტოთ, რადგანაც ეს კრიზისები აღიქმება როგორც მომწამვლელი ნივთიერებებიდან განმდის სასურველი სიგნალი.

თიხის შინაგანი გამოყენება

შინაგანი გამოყენებისთვის იხმარება მხოლოდ ცხიმოვანი თიხა, ხოლო თუ მასში ქვიშაა შერეული, საჭიროა გაცივრას დოლბანდში.

აიღეთ 1 ჩ/კ თიხა და გახსენით 1 ჭ წყალში (12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის კი, 1/2 ჩ/კ თიხას და დაამატეთ ფეტვის ბურახი).

მიღების წესი:

მიიღეთ 200 მლ დღეში სამჯერ, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

თიხისა და ფეტვის ბურახის ნარევის სვამენ საქმლის მომწველებელი სისტემის, წყალულის, დიუნტერიის, ქროლოზების, კოლიტისა და ენტერიტის დროს.

სასარგებლო რჩევები თიხით მკურნალობის დროს:

1. აბსცესი, ძირმაგარა, კარბუნკული — კარგია, თუ ამ წარმონაქმნებზე 1 საათის განმავლობაში, თიხის სქელ ფირფიტას დაიდებთ. პროცედურა დღეში 4-6 ჯერ უნდა ჩაიტაროთ.

2. აბსცესები პირის ღრუში — აიღეთ თიხის ფირფიტები და დაიდეთ სახეზე, ხოლო რბილი თიხა შეგიძლიათ, პირში ჩაიდოთ, მაგრამ შეეცადეთ, წერწყვი არ გადაგყლაპოთ. ფირფიტები გამოცვალეთ ყოველ 2 საათში ერთხელ.

3. აკნე (ფერმჭამელა) — გამოწყარზე დაიდეთ თიხა, გააჩერეთ 20 წუთის განმავლობაში ანუ მანამ, სანამ გამრება, შემდეგ კი ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ეს პროცედურა კვირაში 2-3-ჯერ უნდა ჩაიტაროთ.

4. ნერვული სისტემის დაავადებები: ტიკი, სპაზმი, ეპილეფსია, დამბლა, ქორეა — თიხის ფირფიტები დაილაგეთ კეფაზე, ხერხემალსა და მუცლის ქვედა ნაწილზე. პარალელურად გაიკეთეთ მასაჟი ხერხემლის ორივე მხარეს.

5. ანგინა და ლარინგიტი — თიხის ფირფიტები დაიდეთ კისერზე, ხოლო პირის ღრუსა და ყელში გამოიკეთეთ თიხიანი წყალი, რომელშიც

ცოტაოდენი ზღვის მარილიც უნდა გაურთოთ.

6. კბილისა და ღრძილების დაავადებები — თიხა, კბილის პასტა და მარილიანი წყალი ერთმანეთში აურიეთ, შემდეგ კი ამ ნახავით კბილები გაიწმინდეთ.

პირის ღრუსა და ყელში გამოიკეთეთ მარილიანი ხსნარი.

კბილისა და პირის ღრუს დაავადებების (სტომატიტი, პიორეა და ა.შ.), ანგინის, ნუშურა ჯირკვლების ანთების დროს ეფექტიანია თიხის ბურთულების განუწნა.

7. ბრონქული ასთმა — თიხის ცივი ფირფიტები დაიდეთ გულმკერდზე და ზურგზე, დღეში 2-3-ჯერ.

8. დამწვრობა — თიხის სქელი ფირფიტები გაახვიეთ დოლბანდში და დაიდეთ დამწვარ ადგილას. ფირფიტები გამოცვალეთ ყოველ 2 საათში ერთხელ, ყოველდღიურად და მანამ, ვიდრე ახალი კანი არ წარმოიქმნება. ამის შემდეგ გაიკეთეთ თიხისა და ფეტვის ბურახის კომპრესი და გაიჩერეთ 2 საათის განმავლობაში. პროცედურა ჩაიტარეთ დღეში 3-4-ჯერ. მძიმე დამწვრობის დროს ერთი თიხის ფირფიტა საკმარისი არ არის.

9. გულის დაავადებები — თავდაპირველად გაიკეთეთ თიხისა და ფეტვის ბურახის ნარევის კომპრესი, შემდეგ კი გადადით თიხის ფირფიტებზე. კომპრესები გაიჩერეთ 1-2 საათით. პროცედურა გაიკეთეთ კვირაში რამდენჯერმე.

10. მზის დაკვრა — თიხის თხელი ფირფიტები დაიდეთ სახეზე 1 საათით. გარდა ამისა, ფირფიტები დაილაგეთ მუცელზეც; დღეში 2-ჯერ, 2-2 საათის განმავლობაში.

11. მძიმე ყაბზობა — თიხის ცივი ფირფიტები დაილაგეთ მუცელზე, დღეში 2-ჯერ.

12. კონტუსია — დაზიანებულ ადგილას დაიდეთ თიხის ცივი ფირფიტები 2 საათის განმავლობაში, დღეში 2-3 ჯერ, ხოლო ღამით გაიკეთეთ კომპრესები — თიხის ხსნარით.

სასარგებლო რჩევები

ინფექციური დაავადებების დროს, თიხანარევი წყალი უნდა დალიოთ ყოველდღიურად.

თიხის საშუალებით შეგიძლიათ განმინდოთ ჭუჭყიანი წყალი. ამისათვის 1 ლ ჭუჭყიანი წყალში ათავსებენ თიხის ერთ ნაჭერს.

ანტიდეპრესანტი

გზაში საკითხავი კოლექი

ქეპლერელი თუკო ივანიძე

ლი აბაშიძის ლექსები აქვს ნათარგმნი ოსურ ენაზე.

16. „ამაოების ბაზარი“ ინგლისელი მწერლის, უილიამ თეკერის შემოქმედების შედეგად არის აღიარებული. თეკერეი კარიკატურების ხატვის დიდოსტატი გახლდათ და საკუთარ ნაწარმოებებს უმეტესად, თავად ასურათებდა.

17. საქართველოში ბუნებრივად ნაბლის მხოლოდ ერთი სახეობა იზრდება — საქმელი ნაბლი. უსისტემო ექსპლუატაციის გამო ნაბლის გავრცელების არეალი მკვეთრად შემცირებულია, რის გამოც, იგი „საქართველოს წითელ წიგნშია“ შეტანილი.

18. მაკროფილია მახოზიზმის ერთ-ერთი თავისებური ფორმაა. მაკროფილით შეპყრობილი ადამიანი განიცდის დაუძლეველ სურვილს, რომ სექსუალურმა პარტნიორმა ფეხებით გათელოს.

19. კუნძულ ოკინავაზე იაპონელთა ბანზაი შეტევის მოგერიების შემდეგ ამერიკელები გაიძახოდნენ, — ომის განმავლობაში ასე ძალიან არასდროს გაგვჭირვებიაო. უმცირესობაში დარჩენილი ამერიკელები თავიანთ თანამებრძოლ უილის მარალის ანდოზდნენ ხელყუმბარების სროლას, რომლის მარაგიც კატასტროფულად მცირე იყო. მარალის პროფესიონალი ბეისბოლისტი გახლდათ.

20. საქართველოში ელოდნენ ალამაჰად-ხანის გამოლაშქრებას და მრავალრიცხოვანი ჯარის შეგროვებაც შესაძლებელი იყო, მაგრამ რუსეთის დახმარების მომლოდინე ერეკლე II-მ დროული და საჭირო ღონისძიებები ვერ გაატარა და მტერს მოუშადა ბელი დახვდა. ქართველთა ლაშქარი 5 ათასამდე კაცს ითვლიდა, აქედან 2 ათასი იმერეთის სამეფოდან იყო და მათ სოლომონ II მეთაურობდა. ალამაჰად-ხანს თავიანთი ჯარით თან ახლდნენ: განჯის მმართველი ჯავად-ხანი, ერეენის ხანი და ყარაბაღელ სომეხთა მელიქები მეჯლუმი და ჰაბოვი.



P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



გიგლუსი

გიგლუსი — იგივია, რაც პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ქალაუ, შენმა მერდინმა



ქალაუ, შენმა მერდინმა
ჰაერში გაიფრიალა,
სახე გამოჩნდა, თოლებმა
ელვასებრ გაიყრიალა.

ცხელმა ნიავმა დამქროლა,
გზად შენკენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემოაყარა
და ჩატლად ამბარიალა.

ხალხური

სახსოვარი

შოთა რუსთაველი



- ◆ მოყვარე მტერი ყოვლისა, მტრისაგან უფრო მტერია, არ მიენდობის გულითა, თუ კაცი მეცნიერია.
- ◆ მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს!
- ◆ მაგრა თქმულა: — კარგის მქნელი კაცი ბოლოდ არ წახდების.
- ◆ ოდეს ტურფა გაიფედეს, აღარა ღირს არცა ჩირად.

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტავითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენელი თეიმურ ივანიძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-32, 2011

- მალხაზი** — სიცოცხლით სავსე, ცქვიტი, კოხტა და ლამაზი.
- მამამჟღე** (ძვ.) — გამზრდელი მამაკაცი, — ლალა.
- მამაოხერი** — სალანძლავი სიტყვა.
- მამასისხლად** — ძალიან ძვირად.
- მამასწარა** — დაბალი გვიმრა; გავრცელებულია კლდის ნაპირებსა და ხრიოკ ადგილებში.
- მამითადი** (ძვ.) — მუშები (ჩვეულებრივ, მეზობლები), რომლებიც უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ ყანის პატრონს მკაში.
- მამულა** — სარეველა ბალახი.
- მანა** — მომცრო მარგილი, სარი, პალო.
- მანანა** ებრ. — 1. ბიბლიის მიხედვით — ტკბილი და ნოყიერი საჭმელი, რომელიც უცვიოდათ ზეციდან ებრაელებს უდაბნოში მოგზაურობისას; 2. ხორბლის წმინდა ბურღული ერთგვარი; 3. დანაწევი ზოგი მცენარის ფოთლებზე.
- მანდიკურად** (ძვ.) — აქეთ-იქით, სურჯინივით (იტყოდნენ გადაკვიდებულზე).
- მანეული** — დაბალი ხე ან ბუჩქი ტირიფის გვარისა; მის ტოტებს ხმარობენ გოდრებისა და კალათების დასაწნავად.
- მანიფესტი** ლათ. — საპროგრამო ხასიათის წერილობითი მიმართვა, მოწოდება.
- მანკი** — უარყოფითი თვისება, — ნაკლი, ზადი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გიორგი შაბაჩაშვილი

ჩემი პირველი მსაჯული

(მოგონება მიხეილ ჯავახიშვილზე)

ჩემ წინ ცალხაზიანი საწერი ქაღალდის ერთი ფურცელი დევს. ფურცელი გახუნებულია... გახუნებულია ფურცელზე მსხვილი ასოებით მიწერილი ჩემი სახელი და გვარიც.

ვანგარიშობ...

დიდი დროა, ოცდათექვსმეტი წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც ამ ფურცელზე ჩემი სახელი და გვარი დაინერა.

დაინერაო, იმიტომ ვამბობ, თვითონ არ დამინერია; ჩემი ხელი არ მომწონდა. ჩემს უფროს დეიდაშვილს გიორგი ლომიძეს შევეხვეწე და გადავანერინე ჩემი ბალღური ლექსები. მან ლამაზი მონაფური ხელით გადამინერა „პირველი წიგნი“ და მისი თავფურცელი ამგვარად შეამკო: „გოგია შატბერაშვილი, ლექსები, 1925 წელი“.

მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი. შინ და სკოლაში უკვე „ცნობილი პოეტის“ სახელი მქონდა. ჩემი პირველი ლექსი „აკაკის საფლავს“ სწორედ იმ წელს დაიბეჭდა გაზეთ „მონაფის ხმაში“...

პირველმა ადვილმა წარმატებამ გამაბედვინა მთელი ჩემი „პოეტური შემოქმედების“ ერთ რვეულში თავმოყრა.

საკმაოდ მოზრდილი რვეული მალე ჩემი ნათლის — ცნობილი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის ხელში მოხვდა. ამგვარად, ჩემი პირველი ლექსების ჭაშნიკის გასინჯვა შატბერაანთ საოჯახო საბჭომ სამხედრო პირს მიანდო... მე ამ ქვეყნისა ბევრი არაფერი გამეგებოდა. ვერც იმას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი უმნიშვარი ლექსების პირველი მსაჯული ეს მრავალმგადახდილი გენერალი კი არა, ქართული პროზის ერთი გამოჩენილი გენერალი იქნე-

ბოდა. მოუთმენლად ველოდი განაჩენს.

მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ გენერალმა დამიბარა... აღფრთოვანებული დამხვდა, იმდენად გახარებული, რომ გადამეხვია და შუბლზე მაკოცა.

გაბრუებული ვიდექი. ეს კოცნა ჩემთვის დიდი ჯილდო და პირველი უანგარო ჰონორარი იყო, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა, როგორ გადამეხადა მადლობა, რა მეთქვა. უნებურად ხელი დავავლე ჩემს რვეულს და კარისკენ გავიხდე.

— მოიცა, — ღიმილით შემაჩერა გენერალმა, — ლექსები დამიტოვე... მე ამ საქმის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ შენი ლექსების კითხვის დროს რაღაც კარგი ვიგრძენი, ამიტომ საჭიროა, ვინმე მწერალს წავაკითხოთ.

მიხეილი ჯივის დანას მავიდაზე დებს. შუბლს შვიკრავს, ალარ ილიშვას. სიტყვასთან შეურიგებელი ჭიდილისა და ფიქრის ერთი საღამო ეპარგება.

გენერალი ჩაფიქრდა, მერე მკითხა: — კვაჭი კვაჭანტირაძე წაგიკითხავს? ჯაყო წაგიკითხავს?

გამელიმა, მივხვდი, თავი დავუქნიე.

— ჰოდა, ამ რომანების დამწერი ჩემი მეგობარია. მოდი, იმას წავაკითხოთ. თუ მიშას მოეწონა, საქმე გათავებულია, წიგნს დაგიბეჭდავენ!

სული შემიგუბდა. სუნთქვა მიჭირდა. ჩემთვის ამ ცნობილი კაცის აზრიც საკმარისი იყო. მისი აღფრთოვანება ალბათ დიდხანს გამყვებოდა საგ-



ზღადა, მაგრამ ცდუნებაც დიდი იყო. რვეული ისევ მაგიდაზე დავდე.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი რვეულის თავფურცელზე კოსტად გამოყვანილი ასოების გვერდით შავი ფანქრით, გაკრული ხელით ნაწერი გაჩნდა. წარწერა მხოლოდ თავფურცელზე კი არა, თითქმის ყველა ლექსის ბოლოში იყო გაკეთებული. ახლა, როცა ამ მოგონებას ვწერ, თვალწინ მიდგება თვალთ უნახავი, მაგრამ ადვილად წარმოსადგენი ერთი საღამო ათას ცხრაას ოცდახუთი წლისა.

...გენერალმა ვერის ხიდაზე გადმოიარა, აღმართს აუყვავა. აი, იგი ძველ ცირკს გამოსცდა, ქუჩა გადასჭრა... იქვე ვერის დაღმართზე, მაღალი სახლის მესამე სართულზე ცხოვრობს მიხეილი. საღამოს 7-8 საათია, სამუშაო მაგიდას უზის და ფანქრებს წვერს უთლის. მოჭუტული, ჭკვიანი თვალეებით საფიქრალს უღიმის, საწერად ემზადება.

ისმის ზარის ხმა და პატარა ქეთინოს ძახილი.

მიხეილი ჯივის დანას მაგიდაზე დებს. შუბლს შეიკრავს, ალარ ილიშვას. სიტყვასთან შეურიგებელი ჭიდილისა და ფიქრის ერთი საღამო ეპარგება.

ოთახში შემოდის დაბალი, ჯშუხი გენერალი. ღიმილით, ამყად მიაბიჯებს მეგობრისაკენ. ჯიბეში უდევს...

სხედან: ალექსანდრე აბაშელი, გიციან გაბიძე, პავლე ინგოროყვა, ნიკოლოზ მიწიშვილი, მარიამ ორახელაშვილი, მაქსიმ გორკი, სილიბისგრო თოდრია, შალვა რაღიანი, გ. რუხაძე; დგანან: პლატონ კეშელავა, კარლო კალაძე, ვ. ასირბეკოვი, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონ გაბიძე, მ. ბუაჩიძე, ალ. სულავა, სიგოქოესკი, გ. კრეიგანი, გიორგი ქუჩიშვილი





ჩემი ლექსები. მიხეილიც ილიმება...
— მობრძანდით, გიორგი ივანოვიჩ, მობრძანდით! დაბრძანდით, აი, აქა... აქა სჯობს, გეთაყვა!

მიხეილი ილიმება, იცინის, მასპინძლობს, მაგრამ ეს სხვა ღიმილია, წელანდელი მარტოობის ღიმილი თვალს უკან მიიმალა, გულში ჩაბრუნდა, ჩუმად ფათურობს სადღაც, ფიქრის სვეულებში, თავის საოცნებოს დასტრიალებს. ამიტომაც უშტერდება თვალი. ხანდახან ავინყდება კიდეც, რომ მის წინ სახელგანთქმული მხედარი ზის.

გენერალი ჯიბიდან ჩემს რვეულს იღებს...

...
ნეტავ რა თქვა, რა ჰკითხა მიხეილმა იმ საღამოს გენერალს?

— ეს ჩემი ნათლულის ლექსებია... პატარა ბიჭია... აი, იმის შვილი, არ იცნობ?..

...
ასე იყო?

ალბათ, სულ ასე არა, მაგრამ რაღაც მსგავსი იქნებოდა. ის კი ცხადია, მიხეილის ერთი საღამო, საღამოს დიდი ნაწილი მაინც შეენირა ჩემი რვეულის კითხვას...

შემდეგ გაჩნდა წარწერები ჩემს ლექსებზე. ცალკეული შენიშვნები, წამოძახილები, ხანდახან უკმაყოფილო წამოძახილებიც:

- „ასე არ ვარგა!“
- „ეს მეტისმეტია!“
- „ამას არა უშავს რა!“
- „ან ერთს უმღერე, ან მეორეს!“
- ბოლოს კი დასკვნა...

დასკვნა რვეულის ბოლოში კი არა, იმ თავფურცელზეა, წელან რომ ვახსენე. ჩემი სახელისა და გვარის გვერდით. გაკრული, ნაჩქარევი ხელით, შავი უბრალო ფანქრით...

არა, ეს საწყენი არ უნდა იყოს. ის ხომ თავის რომანებსაც ფანქრით წერდა. ფანქრით კარგია წერა. ფანქარი რბილად მიცურავს ქალაღზე, საჭირო არ არის ხშირ-ხშირად სამელნეში კალმის ჩანება. ზედმეტი მოძრაობა, თვალის ერთი მიმოვლვაც კი სხვაგან გაიტყუებს ფიქრს, ან კალენდრის დღეებანდელ ფურცელზე ნაწერილს მოჰკრავს თვალს: „ხვალ ხელოვანთა სასახლეში...“ ან...

ფანქარი რბილად მიცურავს ქალაღზე.

მაშინ მუდმივი კალმები არ იყო... მუდმივი კალმები არ იყო, მაგრამ სამუდამო, წარუშლელი რამ ინერებოდა იმ ფანქრებით... ათობით, ოცობით, ფაქიზად წვერნათილი ფერად-ფერადი ფანქრებით.

ჰოდა, ნაჩქარევი ხელით არის ნა-

წერი დასკვნა... ეს დასკვნა გენერალმა გადმომცა.

გენერალი მოწყენილი დამხვდა. რვეული დამიბრუნა და მიჩნია, ყურადღებით ნამეკითხა შენიშვნები.

მივხვდი.

რა კარგი დღე იყო ჩემთვის, როცა მან შუბლზე მაკოცა. ალბათ მისთვისაც კარგი იყო ის დღე. ის მაშინ ნამდვილად იყო გახარებული და კარგი ხომ იმ დღეს ჰქვია, რომელიც კაცს გაახარებს.

ვიგონებ. გამხდარი ბიჭი დგას ჩემ წინ... იმ ბიჭს დიდხანს ეგონა, რომ მისმა ლექსებმა გაუთენა ერთი კარგი დღე მისი ლექსების პირველ შემფასებელს. ისიც დიდხანს ეგონა, რომ გენერალი მოწყენილი იყო თავისი

**მხარაპიანი და
ხუჭუჭთმიანი სანდრო
ახმეტელის გვირდით
პატარა, მხრეში
მოხრილი კაცი იჯდა...
მიხილ ჯავახიშვილი.**

ნათლულის იმედების გაცრუებით. დიდალ, მეტი სასიხარულო და მეტი საწყენი არაფერი ჰქონდა!

— გული არ გაიტეხო, — მითხრა გენერალმა და კარებამდე მიმაცილა. მუხლები მითრთოდა.

რად უნდა გამტეხოდა გული? რა მოხდა? რა ამბავია ჩემს თავს?

გზადაგზა ვკითხულობდი შენიშვნებს. ჯერ შენიშვნებს, მერე ლექსებს, მერე საერთო დასკვნას. ნელ-ნელა ვშვიდდებოდი და თვალწინ შენუხებული გენერლის სახე მედგა.

არა, ამ შენიშვნებში ისეთი რამ არ სწერია, რომ ის ასე შენუხებულიყო.

იქნებ მას ეგონა, მხოლოდ ამ პატარა რვეულზე იყო დამოკიდებული ჩემი ბედი და მომავალი... არ შესრულდა მისი დანაპირი: არ გამოვიდოდა ჩემი ლექსების წიგნი. ეგონა და სწუხდა თავისი ნათლულის ბედით, ფერმკრთალი და სუსტი ბიჭის ბედით, რომელიც დაღონებული მიაბიჯებდა თბილისის ჩაბნელებულ ქუჩებში.

ვკითხულობდი დასკვნას, ვწუხდი და მიხაროდა.

„ნიჭი მოსჩანს...“ ასე იწყება დასკვნა.

მაგრამ?

ჰო, დასკვნაში ამ ორი სიტყვის შემდეგ მართლაც „მაგრამ“-ია.

მერე რა, რომ „მაგრამია“ ჩაჩხირული ჩემს ანწყოსა და მომავალს შორის, ვფიქრობდი მე. ნამდვილად

ასე ვფიქრობდი. უნდა გადავლახო ეს ზღუდე. შევძლებ?

მაგრამ, აი დასკვნაც:

„ნიჭი მოსჩანს, მაგრამ ჯერ დიდი გზა აქვს გასავლელი და მრავალი აქვს დასაძლევია. ჯერჯერობით თავი დაანებოს ლექსების წერას და ისწავლოს, იშრომოს, შეისწავლოს პოეზია და მისი კანონები. ეს ლექსები ძველი ტექნიკით არის დაწერილი, ესაა ასე აღარავინ სწერს. თუ იბეჯითა, გაიმარჯვებს. ვინ იცის, შეიძლება პროზაში უფრო იმძლავროს. გულს ნუ გაიტყებს: ჯერ შრომა, შრომა და ისევ შრომა“. შემდეგ ინიციალები: მ. ჯ.

„ნიჭი მოსჩანს“... ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მიხეილმა ჩემს უმნიფარ ლექსებში რაღაც დაინახა, იგრძნო... დაინახა, მაგრამ ძალიან შორს, შორს... თორემ უფრო გაბედულად იტყოდა, დასწერდა: ავტორი ნიჭიერიაო.

„დიდი გზა აქვს გასავლელი და მრავალი აქვს დასაძლევია“.

ვკითხულობდი ამ სიტყვებს, მივაბიჯებდი და ოცნების თვალთ გავეყურებდი ჩემ წინ გადაშლილ დიდ, გრძელ, ძნელად დასაძლევ გზას, გავყურებდი და რატომღაც არ მაშინებდა ეს გზა, რადგან დასკვნაში გარკვევით ეწერა — ნიჭი მოსჩანსო..

მაგრამ ეს რაღას ნიშნავს:

„ჯერჯერობით თავი დაანებოს ლექსების წერას“.

კარგით, მესმის, ვისაც უნდა მწერალი გამოვიდეს, უნდა „ისწავლოს, იშრომოს, შეისწავლოს პოეზია და მისი კანონები“... მაგრამ წერას რაღად უნდა დაანებოს თავი? განა ვარჯიში და პრაქტიკა საჭირო არ არის? იქნებ ეს კილოკავად თქმული ფრთხილი რჩევაა, წერას მოეშვი, მწერლობა შენი საქმე არ არისო! მით უმეტეს, თურმე „ესაა ასე აღარავინ სწერს“. ყოფილა რაღაც „ახალი ტექნიკა“. სად, სად სწერია ახალი პოეზიის კანონები?

არა, არაფერი გამოვა ჩემგან... „ნიჭი მოსჩანსო“, ალბათ, გენერლის საამებლად ჩანწერა თავის განაჩენში კეთილმა მწერალმა!

ეს რაღაა?

„ვინ იცის, შეიძლება პროზაში უფრო იმძლავროს“.

მე ხომ მოთხრობებიც მაქვს. რატომ ლექსებთან ერთად არ მივუტანე ჩემი „დიდი“ (თოთხმეტგვერდიანი!) ისტორიული რომანი „ქართველი გმირი ბუჟანი“, რომელიც შინ და გარეთ ყველამ მომიწონა?

ხომ შეიძლება ახლა მივუტანო?

მაგრამ ჩემი „რომანი“ მიხეილ ჯა-



ვასილშვილს თვალთაც არ უნახავს, ჩემი პროზის ქაშნიკი არ უგემნია და სალამო აღარ დაუკარგავს.

ძველი ლექსები დავხიე, წერას ვუკელი და კითხვას შევუდექი.

ამ დასკვნის დახვევა კი არ შეიძლებაოდა, ვგრძნობდი და ვინახავდი. არ დავხიე, ვუფრთხილდებოდი როგორც ძვირფას სახსოვარს, მაშინაც კი, როცა ამ გახუნებულ ფურცელზე მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი არაერთი ქალაქი იხეოდა საქართველოში.

მიხეილ ჯავახიშვილი პირველად უკვე დაჭაბუკებულმა და ახლად უღვაშამომდინარმა ვნახე.

ხშირად ვხედავდი მახაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის ბაღში, სადაც (როგორც ახლა) დამწყები „ბედის მაძიებლები“ ვიკრიბებოდით, ვსაუბრობდით და ვკამათობდით. „ახალი ლექსი“ და მისი დაუნერული კანონები იყო ჩვენი გაუთავებელი პაექრობის საგანი... შემოვიდოდა, გვერდით ჩაგვივლიდა, შუბლქვეშ გამოგვხედავდა და უცნობებსაც კი უსათუოდ მოგვესალმებოდა.

ჩვენ ერთმანეთს დიდხანს არ ვიცნობდით, მანამდე, სანამ ის „ძნელად დასაძლევ კვან“ ნაწილობრივ არ დავძლიე. მე არასოდეს მივსულვარ მასთან და არ მიტყვამს, რომ ჩემმა ლექსებმა მას ერთი სალამო წაართვა, არ მიტყვამს, რამდენი საფიქრალი გამიჩინა მისმა დასკვნამ, არც მას უთქვამს არაფერი ჩემთვის. ალბათ აღარც ახსოვდა. ვინ იცის, რამდენი რვეული წაუკითხავს, რამდენი დასკვნა დაუწერია. რამდენი სალამო დაუკარგავს?

დაუკარგავს? არა, დაკარგულად არ ჩაითვლება ის სალამოები, ალბათ არც თვითონ თვლიდა დაკარგულად. ის თავის დიდ რომანებს მათთვის სწერდა, ვინც მისი სახლის კართან გულისცემით მიდიოდა და აკანკალებულ ხელში თავისი ლექსებისა და მოთხრობების პირველი რვეულები ეჭირა.

1933 წლის დეკემბერი იწურებოდა.

რუსთაველის თეატრი ჩემს პიესას „დუშმანს“ ამზადებდა დასადგმელად.

პრემიერა ახალი წლის ღამეს იყო დანიშნული.

არც ერთი რეპეტიცია არ მენახა. არ ვიცოდი, რა ხდებოდა სცენაზე, რას ვნახავდი, გაიმარჯვებდა თუ დამარცხდებოდა ჩემი პირველი ცდა.

სპექტაკლის გენერალურ რეპეტიციაზე მეც მიმინვიეს. უკვე ოცდასამი წლის ჭაბუკი ვიყავი, გული იმედებითა და სიყვარულით მიჩქროლავდა, ღონე მერჩოდა, მაგრამ ფეხები ძლივს შევიტანე თეატრში, ველავადი, მრცხვენოდა: ფეხზე წითელი სპორტული ფეხსაცმელი მეცვა, დამსწრე საზოგადოებას მოვერიდე და უკან, პარტერის ბოლო რიგში მივიკუნტე.

წინა რიგებში მხარბეჭიანი და ხუჭუჭთმიანი სანდრო ახმეტელის გვერდით პატარა, მხრებში მოხრილი კაცი იჯდა... მიხეილ ჯავახიშვილი. იგი ჩემი გულისთვის ამ სალამოსაც კარგავდა.

სპექტაკლი დამთავრდა... მე გაბრუნებული ვუსმენდი სპექტაკლსაც და მის მსაჯულებსაც. იმდღევანდელი აღარაფერი მახსოვს. ალღევებამ და გულისცემამ შთანთქა ყველაფერი. მახსოვს მხოლოდ ერთი: მიხეილმა სიტყვა მოითხოვა. ხელში უბის წიგნაკი ეჭირა, მალიმალ ჩახედავდა, თან ლაპარაკობდა. როგორც მახსოვს, ცუდი არაფერი უთქვამს. უმთავრესად ქართულზე ილაპარაკა. მისთვის ხომ ქართული იყო წყალი, ჰაერი, მზე და სიცოცხლე. ქართულით სუნთქავდა და ქარ-

თულისთვის იბრძოდა ხმალომლე-ბული.

„სცენიდან კარგი ქართული გავიგონე, მაგრამ შენიშვნებიც მაქვსო“, — თქვა და უბის წიგნაკში ცერად ჩაიხედა... სხვა შენიშვნები აღარ მახსოვს, ერთი კი ასეთი იყო: ჩემი პიესის გმირი ამბობდა: „ის შეიძლებაო, უნდა ვთქვათ: ბიჭები მიყვარს, მშობლები მიყვარს...“ „მიყვარან“ კუთხურიო.

სანდრო ახმეტელმა უკან მოიხედა, თითი დამიქნია და დამიძახა: ეი, ქართულეო, კარგად დაიხსომეო!.. მე თავი ჩავლუნე...

„ახლა ავტორი გაგვაცანითო“, — თქვა მიხეილმა.

ახმეტელმა მანიშნა. მე ჩემს წითელ სპორტულს დავხედე...

მიხეილმა ხელი გამომიწოდა. გამხდარი, ძლიერი ხელი. დაკვირვებით, უღიმილოდ შემომხედა. მერე, სათვალის მინის იქით დავინახე, როგორ მოხუჭა ცალი თვალი. ოდნავ, შეუმჩნევლად... მზერა უკან, სადღაც ხსოვნის ხვეულებში გააბრუნა. ჩაფიქრდა, მერე კეთილად გაიღიმა.

იქნებ ლექსების პატარა რვეული გაახსენდა. თავისი დასკვნა, დაკარგული სალამო. არ ვიცი, არაფერი უთქვამს, არც მე მიტყვამს რამე. არასოდეს გამიხსენებია, რომ ჩემი ლექსების პირველი მსაჯული იგი იყო.

18-დან - 25 აპვისტომდა

„ჩემი რჩეული“

ძარბაზი კლასიკოსების რჩეული ტომეულები.

ყოველ ხუთშაბათს უურნალ „გზასთან“ ერთად.


მაგარი ბარეკანით

შედეგი - მიხეილ ჯავახიშვილი ტომი №5

№4 მიხეილ ჯავახიშვილი შვიდტომეული

უკვე გამოსული ტომები (ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ბაქაძის ხუთტომეული, მიხეილ ჯავახიშვილის I, II, III ტომი) შვიდტომით შვიდნობილი გალაზიანო!

წიგნის ფასი: **5 ლარი**
შურნალთან ერთად: **6 ლარი**



ნანარბოვებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

ურჯუპი

ურჯუპი — ურწმუნო, უღმერთო, დაუნდობელი, შეუბრალებელი

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

დასაწყისი ნი. „გზა“ №31-32

რუსუდან პერიკა

ამირეჯიბმა ანიკო ივანიშვილს ილურიძეების მკვლელობის ღამის გახსენება სთხოვა.

— აბა, ახალი რა უნდა გითხრათ?! — მხრები აიჩჩია ქალმა. — უკვე უჩემოდაც ყველაფერი გეცოდინებათ.

მაგრამ გამომძიებელი მაინც არ მოეშვა და ანიკომაც უამბო, როგორ მიიღობინა გამთენიისას მათთან რატის საცოლემ და ილურიძეების სახლში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ შეატყობინა.

— კონკრეტულად მაინც რა გითხრათ?

— ვახტანგმა სანადირო თოფით ჯერ თინა მოკლა და შემდეგ თავი მოიკლა, რატი კი ისეა ამ საშინელებით გაგიჟებული, მასაც რომ რამე არ ჩაედინა, იარაღი სასწრაფოდ გამოვარიდეო... მე და ილოს თავზარი დაგვეცა და მაშინვე ილურიძეებთან გავქანდით. სახეშემოილი რატი შუა ოთახში უაზროდ გადიგამოდოდა, ვახტანგისა და თინას საძინებელში კი ისეთი საშინელება ტრიალებდა, რომ იმის ნახვის შემდეგ კარგა ხანს საერთოდ ველარ ვიძინებდი...

— სროლის ხმა თუ გაიგონეთ?

— როგორ არა! ძალიან კარგად

გავიგონე. ორჯერ ისროლეს.

— შემთხვევით ისიც ხომ არ გახსოვთ, პირველიდან მეორე გასროლამდე რა დრო გავიდა?

— აბა, როგორ გითხრათ?..

— ჩაფიქრდა ანიკო. — თითქოს დრომ ძალიან სწრაფად გაიბრინა...

— მაინც რამდენი წუთი გავიდა?

— რა წუთი, რის წუთი?.. პირველ გასროლას მეორე თითქმის მაშინვე, ასე, სამოთხ წამში მიჰყვა...

— ზუსტად გახსოვთ? — ისევ ჩაეძინა ქალს გამომძიებელი.

— თუ არ გჯერათ, ჩემს ქმარს ჰკითხეთ. დარწმუნებული ვარ, ისიც ზუსტად ასე გეტყვით. არ მესმის, რატომ უნდა მოვიტყუო? — ხმაში

წყენა დაეტყო ანიკოს.

ილო ივანიშვილმა ცოლის ნათქვამი დაადასტურა და იმასაც დაბეჯითებით გაუსვა ხაზი, რომ პირველიდან მეორე გასროლამდე 4 წამზე მეტი არაფრით გავიდოდა...

— ისე, სწორედ ილურიძეებზეა ნათქვამი, გველი გარედანაა ჭრელი, ადამიანი კი — შიგნიდანო, — შენიშნა ივანიშვილების დაკითხვის შემდეგ საგამომძიებო ჯგუფის ერთერთმა წევრმა, გამომძიებელმა ავთო შათირიშვილმა.

— რას გულისხმობ? — დაინტერესდა ამირეჯიბი.

— რას და, თუ მათ ოჯახში მართლა ყველაფერი ფულით იზომებოდა, მაშ, ის გულისხმიერება და სიკეთე სადღა იყო, რაზეც სხვა მეზობლები თუ ახლობლები ასე გაუთავებლად ლაპარაკობენ?

— როგორც ჩანს, სიკეთეს მხოლოდ ვიღაც-ვიღაცებისთვის თავის მოსაწონებლად სჩადიოდნენ და სტუმრადაც მხოლოდ ამ ადამიანებს ეპატიუებოდნენ. და რადგანაც ვახტანგ ილურიძე ბევრ ასეთ ადამიანს იცნობდა და ოსტატურადაც იყენებდა, მის ოჯახში სუფრა სუფრაზე ამიტომაც იშლებოდა.

— თუ ასე იყო, მაშინ თითქოს ყველაფერი გასაგებია. მაგრამ მაინც მიკვირს, ისე როგორ უნდა დანვრილმანებულიყვნენ, რომ ბავშვის ძველ კაბაში მეზობლისთვის ფული გამოერთმიათ?! აგურების ამბავი ხომ საერთოდაც, ანეკდოტია...

— გეთანხმები. თუმცაღა მე პირადად ის უფრო არ მაძლევს მოს-

ვენებას, რაც ივანიშვილებმა სროლებს შორის ინტერვალზე გვითხრეს.

— და თუ არ ცდებიან, მაშინ ილურიძის მიერ ცოლის მოკვლისა და შემდეგ სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულების ვერსია სერიოზულ ეჭვქვეშ დგება.

— ასეა... — წამით ჩაფიქრდა ამირეჯიბი და შემდეგ დასძინა: — სულ სამი-ოთხი წამი თუ გავიდაო, ირწმუნებიან... ასე მოკლე დროში კი ადამიანის მოკვლა, შემდეგ საწოლში ჩანოლა და თავის მოკვლა, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

— თუმცაღა ალბათ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დროის შეფასება მაინც ყოველთვის სუბიექტურია და, ძირითადად, ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე დამოკიდებული. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ დრო თითქოს უსწრაფესად გარბის, ზოგჯერ კი უსასველოდ იწელება.

— ამიტომ კიდევ ვინმესთან უნდა გადავამოწმოთ ეს ყველაფერი.

— ილურიძეების გვერდით ვინმე ჩხეიძეების აგარაკიც დგას.

— მკვლელობის ღამეს ისინიც შინ იყვნენ?

— კი. და ილურიძეებთან ერთერთი პირველებიც გაჩნდნენ. როგორც რატი ამბობს, ივანიშვილებს ფეხდაფეხ მოჰყვნენო.

— თუ ასეა, რაღას უცდი?

— ახლა ჩხეიძეები აქ არ არიან. როგორც კი დაბრუნდებიან, მაშინვე დავკითხავ.

— კარგს იზამ.

— კიდევ რას ვფიქრობ, იცით, ბატონო მიხეილ?

— რას?

— თუ დავუშვებთ, რომ ეს მკვლელობა იყო, მაშინ... — რატომღაც სათქმელი აღარ დაასრულა შათირიშვილმა.

— მაშინ რა?

— რა და, თუ ილურიძეებმა ივანიშვილები გადასაყრელი აგურების გამო ისე გააცოფეს, რომ მამაკაცები ერთმანეთს კინალამ ხელით შეეხნენ, მაშინ ხომ შეიძლება, ილო ივანიშვილს გულში ბოღმა ჩაედო და...

— არ გამოვრიცხავ... ივანიშვილს მეზობლებიც არ აქებენ: ერთი თავ-შეუკავებელი, შარიანი კაციაო.

— აი, ხომ ხედავთ?

— მაგრამ ორი ადამიანის სასიკვდილოდ გამეტება მაინც არ არის ადვილი საქმე... — თავი დაეჭვებით გადააქნია ამირეჯიბმა. — მოკლედ,



აქაც ყველაფერი გულდასმით უნდა შევამოწმოთ...

თინა ილურიძის დეიდა, მარო ლალიაშვილი გამოძიებულმა შათირიშვილმა დაჰკითხა. გარდაცვლილი სიძის მიმართ აგრესია ქალს თავიდანვე არ დაუმაღლავს:

— ამ ქვეყნიდან წასულზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო, მაგრამ ვახტანგზე კარგს მაინც ვერაფრით მათქმევინებთ.

— ასეთი მაინც რა დაგიშვავთ?

— რომელი ერთი ჩამოგიტავალოთ?.. თუნდაც ის არ კმარა, რომ თინიკო სწორედ მის ხელში გახდა ასეთი წუნურაქი და დაუნახავი?.. არადა, მანამდე სულ სხვა ადამიანი იყო... სხვათა შორის, ალბათ არ იცით, რომ ჩემი დისშვილი ვახტანგის მეორე ცოლია, უფრო სწორად — იყო...

— ნამდვილად არ ვიცოდი. პირველი რა იქნა?

— მის წუნურაქობას ვერ გაუძლო და მალევე გაეყარა. თინიკო კი ბოლომდე ჩაჰყვა სიძუნისა და უსინდისობის მორევში. ისე, მთლად არც გაემტყუებოდა სანყალს: ვახტანგს რომ გაჰყვა, ერთი გულუბრყვილო სოფლელი გოგო იყო. მშობლებმა ქალაქში სასწავლებლად გამოუშვეს და მაშინ გადაეყარა... წლისთავზე უკვე რატი ჰყავდათ. თუმც კი ამის შემდეგ სამი წელი კიდევ ხელმოუწერლად ცხოვრობდნენ. თინიკოს ხშირად ვეკითხებოდი, ხელს რატიმ არ აწერო, არ გეშინია, რომ ერთხელაც ადგეს ეგ შენი სათაყვანებელი ვახტანგი და ბავშვთან ერთად მიგატოვოს-მეთქი? არ მიმატოვებსო, მპასუხობდა, ხელს კი მხოლოდ იმიტომ არ ვაწერო, რომ ასე, როგორც მარტოხელა დედა, სახელმწიფო დახმარებას ვიღებო. ხვდებით, თავიდანვე რას მიაჩვია ცოლი იმ ღვთის პირიდან გავარდნილმა?!

— შვილებს როგორღა ექცეოდა? — დაინტერესდა შათირიშვილი.

— ერთი შეხედვით, თითქოს შვილებზე გადამკვდარ მამას ჰგავდა, მაგრამ სინამდვილეში ისე არაფერს გაუკეთებდა, თუ საფასურს რაიმე სახით მაინც არ გადაახდევინებდა. მაგალითად, თუ რატი ნაყინის ან კინოს ფულს სთხოვდა, ჯერ ღობე შელებზე ან ეზოში ხეებიდან ჩამოყრილი ფოთლები მოაგროვებდა და მერე მიიღებო, ევაჭრებოდა. სულ ვეუბნებოდი, რას აჩვენებ ბიჭს? რომ გაიზრდება, ხომ შეიძლება, თქვენც

ყველაფერში ფული მოგთხოვოთ-მეთქი?!

— ამას ვახტანგს ეუბნებოდიო? — არა, თინიკოს.

— და რას გასუსობდათ?

— დუმდა, — ამოიხრა მარომ.

— ან კი რა უნდა ეთქვა?! ქალი ხომ ქმარზე ხატივით ლოცულობდა... რატი ექვსი წლის რომ გახდა, დაბადების დღეს ყულაბა აჩუქეს: ფულის მოგროვებასა და ყაირათიანობას ისწავლისო. არადა, სანყალი ბავშვი ყელგამონვდილი ეხვენებოდა, სათამაშო მანქანა მიყიდეთო. არ უყიდეს. ჰოდა, ყაირათიანი კი არა, ისეთი წუნურაქი გაიზარდა, რომ მგონი, მამამისსაც კი გაასწრო.

— მაკა?

— მაკა?.. — კითხვზე კითხვითვე უპასუხა გამოძიებულს მარომ და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა.

— მაკა მაგ ოჯახში ერთადერთი ადამიანი იყო, ძალიან კეთილი და სათნო... ხანდახან მეჩვენებოდა, რომ საკუთარ შვილიშვილებზე მეტადაც კი მიყვარდა.

— მაკას დაკარგვა ვახტანგმა ძალიან განიცადა?

— აბა, რა გითხრათ?.. — მხრები აიჩჩა მარომ. — „გიჟი მამის“ როლის თამაში არც მანამდე უჭირდა... ისე, სულო ცოდვილო, მისმა შემხედვარემ ერთი-ორჯერ ისიც კი გავიფიქრე, ნამეტანი როლში არ შევიდეს და მართლა არ გაგიჟდეს-მეთქი...

— მის ფსიქიკურ აშლილობაზე მანამდე თუ გსმენიათ რამე?

— ვის ფსიქიკურ აშლილობაზე?

— ვახტანგ ილურიძის.

— რაო?! — გაოგნდა მარომ.

— ეს პირველად თქვენგან მესმის!.. დარწმუნებული ვარ, რომ ვახტანგს არანაირი ფსიქიკური პრობლემები არ აწუხებდა. საერთოდაც, კაჟივით კაცი იყო. შესაშური ჯანმრთელობა ჰქონდა...

— მის ძმას ვანოსაც?

— ვანო რალა შუაშია?

— მან ხომ ნამდვილად შიზოფრენიის ნიადაგზე მოიკლა თავი?

— აი, კიდევ ერთი სისულელე! — ხელები გაოცებით გაშალა მარომ. — ეს ვინდა გითხრათ?.. ვახტანგისა არ იყოს, ვანოც სრულიად ნორმალური და ჯანმრთელი იყო.

ნადირობისას დაიღუპა. უფრო სწორად — მგონი, იარაღს წმენდდა და შემთხვევით გაუფარდა...

მარო ლალიაშვილის ჩვენების გადამონებით დადგინდა, რომ ვახტანგ ილურიძის ძმა ივანე ნამდვი-

ლად უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა და არც შიზოფრენია და არც სხვა ფსიქიკური დაავადება არ სჭირდა. თავად ვახტანგ ილურიძის მკურნალი ექიმის თქმით კი ერთადერთი, რასაც ის ხანდახან უჩიოდა, მომატებული არტერიული წნევა იყო, ფსიქიკური აშლილობის შესახებ კი არც ექიმს და არც გარდაცვლილის ნაცნობ-მეგობრებსა და კოლეგებს სმენოდათ რამე.

„მაშ, რის საფუძველზე დაუსვეს ასეთი მძიმე დიაგნოზი? — უკვირდა გამოძიებულს. — შიზოფრენია ხომ სურდო არ არის, რომ ერთხანს გჭირდეს და მერე გაგიაროს? მით უმეტეს, თუ არ იმკურნალავ. ილურიძე კი არც ფსიქიატრთან იდგა აღრიცხვაზე და არც მკურნალობდა“.

ვახტანგ ილურიძის სულით ავადმყოფობაში გამოძიება განსაკუთრებით მას შემდეგ დაეჭვდა, რაც მიხეილ ამირეჯიბმა გარდაცვლილის ერთ-ერთ ძველ სამსახურში შემორჩენილ მის პირად საქმეს მიაგნო. საქმეში იყო ავტობიოგრაფია, რომლის მიხედვითაც ვახტანგ ილურიძე თავის დროზე, მოსკოვის მახლობლად, ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში მსახურობდა, საიდანაც სასწავლო სროლების



დროს მიღებული კონტუზიის შემდეგ გაუთავისუფლებიათ. მაშ, რა შუაში იყო სვერდლოვსკის ფსიქიატრიული საავადმყოფოს დასკვნა ილურიძის შიზოფრენიით დაავადების შესახებ, რომელიც გამოძიებას მისმა ვაჟმა წარუდგინა? ან როგორ შეიძლება, რომ ერთი და იგივე ადამიანი სამხედრო სამსახურიდან



ერთ შემთხვევაში კონტუზიის გამო, მეორეში კი — შიზოფრენიის დიაგნოზით გაეთავისუფლებინათ? ამდენად, გამოძიებისთვის უკვე სრულიად ცხადი გახდა, რომ ილუზიის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არსებული ორი დოკუმენტიდან ერთ-ერთი ყალბი იყო. მაგრამ რომელი?.. სამწუხაროდ, ამის გარკვევას გამოძიება ძნელადღა თუ შეძლებდა, რადგან ილუზიე საბჭოთა ჯარში მსახურობდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი მამინდელი მოკავშირე რესპუბლიკების თავდაცვის სამინისტროებში დაცული ყველა დოკუმენტი საბჭოთა კავშირის ერთადერთი სამართალმემკვიდრის — რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს ხელში აღმოჩნდა.

— ცუდია, რომ სიმართლის ბოლომდე დადგენას ვერ შევძლებთ, — უკმაყოფილოდ გადააქენია თავი ამირეჯიბმა.

— ცუდია, — დაეთანხმა მას შათირიშვილიც, — მაგრამ რაც გავარკვიეთ, არც ისაა მთლად პატარა საქმე. ყოველ შემთხვევაში, უკვე ის მაინც ზუსტად ვიცით, რომ ერთ-ერთი ცნობა ყალბია. და რადგანაც თავად ილუზიე ორივეს გულმოდგინედ ინახავდა, ჩანს, რომელიც დასჭირდებოდა, იმას იყენებდა.

— ამას მეც არ გამოვრიცხავ. მით უმეტეს მას შემდეგ, რაც გავარკვიე, რომ ეს ილუზიის ერთადერთი მაქინაცია როდია. მაგალითად, მის პირად საქმეში არის კიდევ ერთი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, შრომითი საქმიანობა თხუთმეტი წლისას დაუწყია. რა-რა და იმ დროს არასრულწლოვანს სამუშაოდ, თანაც ოფიციალურად, არავინ მიიღებდა. მაგრამ როგორც ჩანს, ილუზიის ესეც რაღაცაში დასჭირდა და სასწრაფოდ „გამოიწერა“ ყალბი საბუთი.

— კიდევ იცით, რას ვფიქრობ, ბატონო მიხეილ? — თვალეები ეშმაკურად მოწკურა შათირიშვილმა.

— რას?

— იქნებ ეს შიზოფრენიაც და კონტუზიაც ვახტანგ ილუზიემ თავად „გამოუწერა“ საკუთარ თავს?

— და სინამდვილეში არც ერთი სჭირდა და არც — მეორე?

— სულ ადვილი შესაძლებელია: ადამიანს, რომელიც მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე იხევდა, ყალბი დოკუმენტების შოვნა გაუჭირდებოდა?! თანაც — საბჭოთა დროში! ან იმას გამოვრიცხავთ, რომ...

— მგონი, უკვე საერთოდ აღარაფერს გამოვრიცხავ... — შეაწყვეტიანა ხელქვეითს შეფიქრებულმა ამირეჯიბმა.

იმას, რომ მაკა ილუზიის გაუჩინარებასა და მისი მშობლების დაღუპვასთან შეიძლება, ერთსა და იმავე ადამიანს ჰქონოდა კავშირი, ამირეჯიბი თავიდანვე არ გამოვრიცხავდა. ამიტომ პოლიციიდან მალევე გამოითხოვა დაკარგული გოგონას ძებნის საქმეც, შათირიშვილს კი იმ მამაკაცზე ინფორმაციის მოპოვება დაავალა, ვისთანაც მაკა თითქოსდა გაუჩინარებამდე მცირე ხნით ადრე ნახეს. თუმცა, დიდი მცდელობის მიუხედავად, შათირიშვილმა ამ კუთხით წინ ერთი ნაბიჯითაც კი ვერ წაინია:

— საქმე ისაა, ბატონო მიხეილ, რომ იმ მამაკაცის შესახებ, პრაქტიკულად, არავინ არაფერი იცის. უფრო მეტიც — მთელ სააგარაკო დასახლებაში ერთი ისეთი ადამიანიც კი ვერ აღმოვაჩინე, ვინც ის და მაკა ილუზიე ერთად საკუთარი თვალით ნახა.

— ანუ ეს მხოლოდ ჭორი იყო?

— როგორც ჩანს...

— მაგრამ მაკა ილუზიის შესაძლო შემცდენლის არსებობა ბოლომდე მაინც არ უნდა გამოვრიცხოთ და მისი ძებნაც უნდა განვაგრძოთ.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა უფროსს შათირიშვილი და თან, გაეღიმა, — მაგრამ ხომ იცით, რა ძნელია შავი კაბის ძებნა ბნელ ოთახში, როცა...

— როცა ის იქ საერთოდ არ არის, ხომ? — გაეღიმა ამირეჯიბსაც. — მაგრამ ხომ გახსოვს, ილუზიის ძებნის მეზობლები რომ ამბობდნენ, გოგონა თავის ასაკთან შედარებით უფრო ზრდასრულად გამოიყურებოდა და უკვე ბიჭებსაც ეპრანჭებოდაო?..

— ისე, მაკასი რა გითხრათ, მაგრამ, როგორც გავარკვიე, მის ძამიკოს სასიყვარულო ამბებში მართლაც დიდი გამოცდილება ჰქონია. მშობლები კი რატომღაც ჯიუტად ხუჭავდნენ თვალს იმაზე, რომ რატიმ ქალებს გემო ძალიან ადრე გაუგო და მას შემდეგ აღარც გაჩერებულა.

— და ამის დამადასტურებელი ფაქტებიც გაქვს?

— რა თქმა უნდა. როგორც ილუზიის ძებნის მეზობლებმა და ახლობლებმა მითხრეს, როცა ოჯახის წევრები აგარაკზე იყვნენ, რატის ქალები თბილისის ბინაში მიჰყავდა, ხოლო როცა აგარაკი ცარიელდებოდა,

იქ უკვე მთელი კომპანიით ადიოდა და ნამდვილ ორგებს აწყობდა. თანაც, ყოველ ჯერზე სულ ახალ-ახალი ქალები აჰყავდა, რომელთაგან ზოგი მასსა და მის მეგობრებზე ბევრად უფროსიც იყო.

— იქნებ უმცროსი ილუზიის თავაშვებული ცხოვრების შესახებ მშობლებმა მაინც არაფერი ან ძალიან ცოტა იცოდნენ?

— ძნელი დასაჯერებელია... მეტსაც გეტყვი: როგორც ჩანს, მშობლები ვაჟიშვილის აღვირახსნილი ცხოვრების მეტ-ნაკლებად ასატან კალაპოტში მოქცევასაც კი არ ცდილობდნენ.

— თუ ასეა, მაშინ იქნებ... — წამით ჩაფიქრდა ამირეჯიბი.

— ახალი იდეა ხომ არ გაგიჩინდა, ბატონო მიხეილ? — დაინტერესდა შათირიშვილი.

— რას ვფიქრობ, იცი? — განაგრძო ამირეჯიბმა. — იქნებ ამ საქმეში სულაც ეჭვიანობამ შეასრულა გადამწყვეტი როლი ან უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ვილაცამ ეჭვიანობის ნიადაგზე იძია შური?

— ადვილი შესაძლებელია, — დაეთანხმა უფროსს შათირიშვილი. — სულაც არ გამოვრიცხავ, რომ იმ ვილაცამ დის, ქალიშვილის ანდა სულაც ცოლის შებლაღული ღირსების გამო, უშუალოდ რატიზე კი არა, მის დასა და მშობლებზე იძია შური. მიიჩნია, რომ ილუზიე-უმცროსს ასე უფრო გაამწარებდა.

— მეც სწორედ ამას ვგულისხმობდი, — დაეთანხმა ხელქვეითს კმაყოფილი გამოძიებელი. — ამიტომ ამ მიმართულებითაც აუცილებლად უნდა წავიშუაოთ...

რამდენიმე დღის შემდეგ შათირიშვილმა გარკვია, რომ ერთი წლის წინ რატი ილუზიეს 18 წლის გოგონა, ვინმე თამუნა ზურიაშვილი შეეცდინა. ამ გაზაფხულზე კი თამუნას უფროსი ძმა, გელა დაბრუნებულიყო უცხოეთიდან და დაეჭადა, რატის ყველაფერზე პასუხს ვაგებინებო. უფრო მეტიც — საშინელი ტრაგედიის დატრიალებამდე რამდენიმე დღით ადრე, გელა ზურიაშვილი ვილაცებს თითქოს ილუზიეების აგარაკის სიახლოვესაც კი ენახათ.

ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ მიხეილ ამირეჯიბმა თამუნა ზურიაშვილთან გასაუბრება გადაწყვიტა. გოგონა დათრგუნვილი ჩანდა და შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების გაცემას ყველანაირად გაურბოდა. თუმცა, გამოძიებელი მას



მაქსიმალურად ტაქტიანად მიუდგა და თითქმის ყოველგვარი ზედმეტი ძალდატანების გარეშე მოახერხა ჩვენების ჩამორთმევა.

— შარშან, როცა ეს მოხდა, საავადმყოფოში ვინეჩი... — უხალისოდ დაიწყო მომხდარის გახსენება ზურიაშვილმა.

— რა განუხებდა?

— რალაც რევეტული... ექიმებმა დიაგნოზი ბოლომდე ვერ დამისვეს...

— სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეც ხდება... საავადმყოფოში დიდხანს იწევი?

— არა. დიდხანს იქ რა გამაძლებინებდა?! კიდევ კარგი, რომ საავადმყოფოს პატარა, მაგრამ ძალიან ლამაზი ეზო ჰქონდა, სადაც სეირნობა შეიძლებოდა, თორემ მოწყვნილობისგან ალბათ სულიც ამომხდებოდა. ერთ საღამოსაც ეზოში, ხის ძელსკამზე ვიჯექი და უეცრად, ექიმის ხალათში გამოწყობილი რატი ილურიძე დავინახე...

— ერთმანეთს ადრეც იცნობდით?

— დიახ. ისიც ვიცოდი, რომ სამედიცინოზე სწავლობდა. რატი მაშინვე მომიახლოვდა, მომესალმა და მკითხა, აქ რა გინდა, რაზე სერიოზული ხომ არ გჭირსო? ვუთხარი, რაც მანუხებდა და რომელ პალატაში ვინეჩი. თვითონ კი საავადმყოფოში პრაქტიკაზე იყო თურმე და სწორედ იმ ღამეს უნდა ემორიგევა. როცა ვივახშმე და უკვე დასაძინებლად ვემზადებოდი, რატი ჩემს პალატაში შემოვიდა და მითხრა, ჯერ რა დროს ძილია, წამადი ჩემთან, მაგნიტოფონი მაქვს და მუსიკას მოვუსმინოთ.

— და შენც გაჰყევი?

— დიახ... — თავი მორცხვად დახარა თამუნამ. — რატიმ სხვა სართულზე, ავადმყოფების გასასინჯოთახში ამიყვანა. იქ კიდევ ერთი პრაქტიკანტი ბიჭი დაგვხვდა.

— ხომ არ გახსოვს, რა ერქვა?

— მარტო გვარი მახსოვს, იმიტომ, რომ რატი მას სულ გვართობდა — ლომიძე — მიმართავდა. ჰო, მართლა, იქ კიდევ ერთი ექთანიც იყო — ტატა; მაგიდაზე კი ლობიანები და ორი ბოთლი წითელი ღვინო იყო. ვიკითხე, მაგნიტოფონი სადღაა-მეთქი? რაზეც ლომიძეს გაეცინა, — ჯერ არ გვიყიდიო და ღვინოთ სავსე ჭიქა მომანოდა.

— დალიე?

— არა, ჭიქაც კი არ გამომიერთმევა, რადგან ექიმებმა მკაცრად გამაფრთხილეს, — მკურნალობის პერიოდში სასმელს არ გავკაროო. ეს

რომ ვთქვი, რატიმ ჯერ გადაიხარხარა, შემდეგ კი სრულიად სერიოზულად გამომიცხადა, — რა სისულელეა, ნამდვილად, ექიმები ჩმახვენ რალაცას, თორემ შენისთანავე რატიმ სავსე გოგოს სამკურნალო რა უნდა სჭირდესო?!.

— ანუ დაღვებაზე მაინც დაგითანხმდა, ხომ?

— ყველა სვამდა და ბოლოს ცოტა მეც დავლიე...

— თავის მართლება სცადა თამუნამ. — მე რე კარტი ვითამაშეთ... მე რე კიდევ დავლიეთ... ვერც კი ვიგრძენი, როგორ დავთვერი... მე რე ლომიძე და ტატა სადღაც გავიდნენ და უკან აღარ დაბრუნებულან... რატიმ კი ისევ სასმელი დამაძალა... უკვე მართლა აღარ შემეძლო, მაგრამ ჩემი გამოჯანმრთლების სადღეგრძელო დალია და მეც უარი ვეღარ ვუთხარი... მე რე კოცნა დამიწყო... მე რე უცბად ყველაფერი დატრიალდა და... აღარაფერი მახსოვს... რომ გამოვფხიზლდი, ოთახში ბნელოდა და იქ, ჩემ გარდა, აღარაფერი იყო. ავადმყოფების გასასინჯო ვინრო ტახტზე სრულიად შიშველი ვინეჩი...

ამის შემდეგ თამუნამ თავი დახარა და დაღუშდა.

— რატი სადღა იყო? — ხმადაბლა ჰკითხა მას გამომძიებელმა.

— არ ვიცი... ძალიან ცუდად ვგრძობიდი თავს, მთელი სხეული საშინლად მტყუნდა და მტკიოდა... მე რე, როგორც იქნა, მივხვდი, რა მოხდა და ძალიან შემეშინდა, ეს ამბავი კიდევ ვინმეს არ გაეგო...

თამუნა ზურიაშვილის ჩვენებიდან ისიც გაიკვია, რომ მისი და რატის ამბავმა ვილაცების, მალე კი — საავადმყოფოს მთავარი ექიმის ყურამდეც მიაღწია. ამის შემდეგ მართლა სერიოზული ხმაური ატყდა და რატის ბედზე ბუნებურად დაეკვიდა, მაგრამ საბოლოოდ, მამამისმა მაინც ყველაფრის ჩაფარცხვა მოახერხა. რატისა და მის ძმაცაცს მომხდარი ხახვივით შერჩათ, სამაგიეროდ, ტატა დაისაჯა და სამსახურიდან „პირადი განცხადების“ საფუძველზე გაათავისუფლეს, თამუნა კი საავადმყოფოდან სასწრაფოდ განურეს.

— რალა თქმა უნდა, ამ ყველაფრის შემდეგ გოგონას ძმას შურისძიების საფუძველი ნამდვილად ჰქონდა, — დაასკვნა თამუნა ზურიაშვილის ჩვენების გაცნობის შემდეგ შათირიშვილმა.

— და იქნებ იმდენად რატიზე არა, რამდენდაც მამამისზე შურისძიების, — დასძინა ამირეჯიბმა. — ილურიძე-უფროსმა ხომ შვილის დანაშაულის ჩასაფარცხავად მართლა ყველა ღონე იხმარა... ასეა თუ ისე, სასწრაფოდ უნდა გავარკვიოთ, გელა ზურიაშვილი რა სულის კაცია,



ვისთან მეგობრობს, სად იყო მკაცრად დაკარგვის დღეს და იმ ღამეს, როცა ცოლ-ქმარი ილურიძე დაიღუპა.

— აუცილებლად გავარკვევ.

— იმის გაგებაც საინტერესო იქნება, რატი ილურიძე მსგავს უსიამოვნებებში ადრეც ხომ არ გახვეულა?

— დარწმუნებული ვარ, ეს მისი ერთადერთი ავკაცობა არ იქნება, მაგრამ მაინც ყველაფერს გულდასმით შევამოწმებ.

ამის შემდეგ ავთო შათირიშვილმა ილურიძეების ზოგიერთი ნათესავი კიდევ ერთხელ დაჰკითხა და საკმაოდ საინტერესო ინფორმაციით დაბრუნდა უკან.

— აბა ვნახოთ ერთი, რა გაარკვიე? — ხელქვეითის მოსასმენად საგარძელში მოხერხებულად მოეწყო ამირეჯიბი.

— ჯერ განსაკუთრებით საინტერესოთი დავიწყო თუ „ისე რათი“? — თვალეები ეშმაკურად მოწკურა შათირიშვილმა.

— შენ როგორ ფიქრობ?

— ვფიქრობ, პირველ რიგში, ის უნდა გახაროთ, რომ მგონი, ჩვენი ვერსია მართლდება.

— რომელი ვერსია?

— რომ მკვლელობასა და თვითმკვლელობასთან კი არა, ორი ადამიანის მკვლელობასთან უნდა გვეკონდეს საქმე.

— ვითომ? — ხელქვეითს, ცოტა არ იყოს, დაეჭვებით შეხედა ამირეჯიბმა. — აბა, ერთი დანვრილებით ამიხსენი ყველაფერი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სვეტა კვარაცხელია
ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

ყალბი ლტოლვა

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-32

ჩემდა გასაოცრად, ნანას მაგივრად, ნუკრი შემრჩა ხელთ. გამიკვირდა, მეგონა, უკვე გაემგზავრა ლონდონში.

— ანა, როგორ ხარ? — დაღლილი ხმა ჰქონდა.

— კარგად, გმადლობ, — დავიბენინი.

— ნახვა მინდა შენი, სად ხარ? მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ვუპასუხე.

— ნახევარ საათში შინ ვიქნები. — მისამართი მითხარი, საქმე მაქვს. ვუკარნახე, თუმცა არ ვიცოდი, რატომ ვაკეთებდი ამას.

— კარგი, ერთ საათში შენთან ვარ, — მითხრა და გამითიშა.

ისედაც დამძიმებული ვიყავი დედაჩემის საქციელით, ახლა კიდევ უფრო დავმძიმდი. მტკიოდა იქ, სადღაც, გულის სიღრმეში. ამ ტკივილის გატოლება მხოლოდ კანქვეშა ტკივილთან თუ შეიძლებოდა, რომელსაც ვერ ხედავ, ვერ შეეხები, მაგრამ იცი, რომ იქ არის, შენს სხეულში და რაც უნდა ეცადო მის დავიწყებას, თავს არ დაგავიწყებს. ნებისმიერ დროს გაგვრავს და მწვავედ შეგახსენებს თავს. აი, ამნუთას სწორედ ასეთი ტკივილი ვიგრძენი... და იგი ნუკრის ზარმა გამოინწვია.

იმ დღის მერე გამუდმებით შთავაგონებდა ჩემს თავს, რომ არ ღირს, იფიქრო დედაზე, რომელმაც ორჯერ უარყო თავისი შვილი. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ეს არ მშველოდა.

სამაგიეროდ, სხვა რაზე მშველოდა.

ვასიკო... მის გვერდით ყოფნა მიმსუბუქებდა მდგომარეობას, მასზე ზრუნვა, მასზე ამაგი. როცა მის გაცისკროვნებულ ბავშვურ თვალებს ვუყურებდი, სითბო მეღვრებოდა გულში.

ნუკრი ზუსტად ერთ საათში მოვიდა. არც მომსალმებია, პირდაპირ საყვედურებით დაინცო.

— ანა, რატომ გააკეთე ეს? ხომ გთხოვე, არა? თანაც არავის გვითხარი, ასე უკითხავად... — და მძიმედ ჩაეშვა სავარძელში.

— უკითხავად? ეს მან გითხრა? თვითონ? — თვალეზი გამიფართოვდა გაოცებისგან.

— აბა, როგორ ავსხნათ შენი საქციელი? დაგერეკა მანაც ნანასთვის.

— ტასიკომ იცოდა.

— ტასიკო რა, ჩვენი ოჯახის ნევრია? იმას არავინ ეკითხება, ვინ წავა და ვინ დარჩება! ხომ შემპირდი, შენს ჩამოსვლამდე მივხედავო?

— მე შეგპირდი? — პირი დავაღე, — მე არაფერს შეგპირებოვარ!

— კი, შემპირდი. არ მითხრა ახლა, დამავინწყადო.

გამეცინა.

— შენ და შენი ოჯახის ნევრებს რალაც განსაკუთრებული მესხიერება გაქვთ! — ირონიულად შევნიშნე, — ჯერ ერთი, მე პირობა არ მომიცია და მეორეც, ახლა შენ მე კი არ უნდა მელაპარაკებოდე, არამედ დედაშენს. ეს მან დამითხოვა სამსახურიდან.

იგი დაჟინებით დააჩერდა იატაკს. კიდევ კარგი, სახლი დალაგებული მქონდა და იატაკი მოწმენდილი, თორემ იფიქრებდა, ამას თავისი ბინა

ვერ დაულაგებია და ჩვენი რატომ მოიკლავდა თავსო.

— ასეც ვიფიქრე... უბრალოდ, ნანამ არ დამიჯერა, — თქვა შეფიქრიანებულმა.

— ყავას დალევ? — რბილად ვკითხე.

— არა, არ მინდა.

— აი, მე კი დავლევდი, — რატომღაც, გავიღიმე.

— კარგი, შენ თუ დალევ, მეც არ ვიტყვი უარს.

წამში მოვადულე ყავა და სამზარეულოდან გამოვქახე.

— შაქარი რამდენი კოვზი ჩაგიყარო?

— არ მინდა შაქარი, უშაქრო მიმიტანე.

— რატომ, თავად ხარ ტკბილი? — მწარედ გავეხუმრე.

არ მიპასუხა, თითები ერთმანეთში გადახლართა და კვლავ იატაკს დააჩერდა.

ერთი ყლუპი მოსვა და დაიჯღანა. ასე მოუხდება! აბა, რა ეგონა, ჩემი „ესპრესო“ უშაქროდ ასე ადვილი დასალევი იქნებოდა?

— ნანას უნდა, რომ დაბრუნდე, — ნუკრიმ ფინჯანი დადგა და ალაპარაკდა, — მთხოვა, გადმომეცა, რომ ჩვენთვის ძალიან საჭირო ადამიანი ხარ.

— დიდი მადლობა, მაგრამ დაბრუნებას არ ვაპირებ.

— ყველანი გთხოვთ. შენ დედას სჭირდება.

— ეს მან თქვა?

— არა, მისთვის ჯერ არაფერი გვითქვამს... — დაიბნა ლამაზი ბიჭი.

— გამოდის, მან არ იცის, შენ რომ ახლა აქ ხარ.

— ანა, შენ ხომ იცნობ მას, როგორი ჭირვეულია... მაგრამ გარწმუნებ, როგორც კი სახლში მივალ, მაშინვე ვეტყვი. ძალიან ვნერვიულობთ მასზე.

— თუკი ასე ნერვიულობთ, რატომ მასთან არ ცხოვრობთ? მისი შვილები არ ხართ? ეს თქვენ გაგზარდათ მან და არა მე! — ჩემდა უნებურად, ზედმეტად ხმაშლილად მომივიდა.

— ჩვენ ვერ ვახერხებთ... ამიტომაც გენდეთ შენ.

— ძალიან გთხოვ, წადი აქედან, ნუკრი! — გავნიშნა მადი, — იქამდე წადი, სანამ არ მიიქვამს ის, რასაც შემდეგ ვინანებ!

— თუკი ფული გეცოტავა...

— წადი, გთხოვ!

ფაქტობრივად, ჩემი ნახევარძმა ჩემივე სახლიდან გავგადე. გავიდა თუ არა, კარი ჩაკვეტე და კედელს ღონე-მისდელი მივეყრდენი. ერთიანად ვცახ-



ცახებდი. რამდენიმე წუთის შემდეგ მოულოდნელად კარზე კაკუნის გაისმა. ისევ ნუკრი მეგონა და გაცოფებულმა გაგაღე კარი... სადარბაზოში საშკა იდგა. ეს უკვე მეორე სიურპრიზი იყო ერთი დღის განმავლობაში. იმდენად უეცარი აღმოჩნდა მისი გამოჩენა, რომ ვიგრძენი, როგორ ავჭარხლდი.

— ხმა არ ამოიღო, არაფერი მითხრა, — გაშლილი ხელისგულები ცხვირწინ „ამიფრიალა“, — ჩიცვი, რესტორანში გეპატიჟები.

წარბები თეატრალურად ავზიდე.

— მართლა? მერედა, მე არ მეკითხები, მინდა თუ არა?

— არა, არ გეკითხები. დანარჩენზე იქ ვილაპარაკოთ.

— დალილი ვარ, დაძინება მინდა.

— ერთი ღამე არ დაიძინო ჩემი გულისთვის, არ შეგიძლია?

— შენი გულისთვის ბევრი რამ შემიძლია, მაგრამ ძილს ამაღამ ვერ მოვიკლებ, ხვალ ვმუშაობ.

— მაგრამ მხოლოდ დღის მეორე ნახევარში. მოასწრებ გამოძინებას. წამო, წამო, — მაჯაში ჩამავლო ხელი.

წინააღმდეგობის განვიცხი ძალაც არ მქონდა. ერთი ღრმად ამოვიოხრე, ვითომ ამწუთას ყველაზე მეტად მასთან ერთად სავანშიოდ წასვლა მეზარებოდა და ზანტად დავაველე ჩანთას ხელი...

მიუხედავად იმისა, რომ საშინელ ხასიათზე ვიყავი და ამის დამალვას საგულდაგულოდ ვცდილობდი, მაინც მომეშვა ოდნავ. გემრიელი კერძები ყოველთვის მიბრუნებდა ხვალისდელი დღის რწმენას. ახლაც ასე მოხდა.

ყველაფერზე ვილაპარაკეთ, ჩემს ახალ სამსახურზე, დედაჩემზე, ვასიკოზე, „სალ კლდეზე“... ჩვენზე არ გვილაპარაკია მხოლოდ. საშკა აშკარად გაუბრბოდა, შეხებოდა ამ თემას. არც მე ჩამოვაგდე საუბარი და ისე ჩავამთავრეთ ვახშამი, „ჩვენ“ არ გვიხსენებია.

როცა გარეთ გამოვედით და მის მანქანაში ჩავსხედით, კიდევ ერთი სიურპრიზი მელოდა თურმე.

— ახლა ჩემთან წავიდეთ, — ღიმილით მომიბრუნდა.

კიდევ ერთხელ, ამჯერად არა თეატრალურად, არამედ ბუნებრივად, ავზიდე წარბები.

— შენთან? რა მინდა შენთან?

— როგორ ფიქრობ, რა უნდა გინდოდეს? რატომ ეპატი-

ვება მამაკაცი საყვარელ ქალს თავისთან? — ღიმილი არ შორდებოდა სახიდან.

საათს დავხედე. თორმეტი ხდებოდა.

— გვიანაა უკვე, ხვალ ვერ მოვასწრებ...

— მოასწრებ. შენ ყოჩალი გოგო ხარ. მე გაგიყვან მანქანით.

— არა! — მთელი ხმით ვიყვირე. შემეშინდა, მასთან ერთად დავენახე ლადოს. არ მინდოდა, ეფიქრა, რომ კაცები მემსახურებოდნენ.

— რა გჭირს? — შემფოთდა.

— ჩემთან წავიდეთ, — ერთი ამოსუნთქვით წარმოვთქვი.

— კარგი, შენთან წავიდეთ, რა პრობლემაა, — მორჩილად მომიგო და მანქანა დაქოქა.

ულამაზესი ღამე მქონდა. ამდენი სააღერსო სიტყვა ჩემთვის მას არასდროს უთქვამს, ამდენს არასდროს მომფერებია. ეტყობოდა, რომ მონატრებული იყო. ისე დაგვათენდა თავზე, ვერც ვიგრძენით. ორიოდვე საათით წავეუძინე მხოლოდ. როცა თვალი გავანიღე, საშკა უკვე წასული დამხვდა. წერილი დაეტოვებინა მაგიდაზე: „სალამოს არ დაგვიანო, არ მალოდინო. არ მიყვარს ლოდინი“ და ყურებადე გალიმებული კაცუნა მიეხატა ბოლოში... გაქეღმი.


ვასიკო ახალი მოსული იყო სკოლიდან, სადილობდა, მე რომ მივედი. ამჯერად არ დამიგვიანია. ჩემს დანახვზე სკამიდან გიყვივით წამოხტა, მაგრამ დაგტუქსე და ადგილზე დავაბრუნე, ჯერ ჭმამს მორჩი-მეთქი.

მერე ცოტა ხნით დავასვენე, ვათამაშე და შემდეგ გაკვეთილების მომზადებას შევუდექით. დიდხანს ვამეცა-

დინებდი. როცა ყველაფერს მოვრჩით, „პატარა უფლისწულის“ კითხვა დავინწყე, ის კი ინვა თავის საწოლზე, ხელები თავქვეშ ამოედო და გულისყურით მისმენდა. მოულოდნელად ზურგს უკან მწვავე მზერა ვიგრძენი. ბავშვმაც წამოწია თავი და უხერხულად წამოჯდა საწოლზე. თავი ნელა მოვაბრუნე და ლადო დავინახე. მას ასე სჩვეოდა — ყოველთვის მოულოდნელად გამოჩნდებოდა და გაუჩინარდებოდა ხოლმე... და ყოველთვის უდროოდ დროს. საშინლად დაძაბული მომეჩვენა. როგორ გავბრაზდი! მომზებრდა, გამუდმებით რომ მაკონტროლებდა და მითვალთვალებდა. თითქოს კვალში მედგა და თითოეულ ჩემს ნაბიჯს აკვირდებოდა. ნეტავ თავს დამანებებდეს ეს კაცი-მეთქი, გავიფიქრე გულში და ზურგი შევაქციე, თითქოს არც შემემჩნიოს. ვერ ვიგრძენი, როდის გავიდა. ამას მხოლოდ იმით მივხვდი, რომ ვასიკო კვლავ წამოწვა და გამიღიმა...

ჩემი და როზას ურთიერთობა თანდათან უფრო მყარი გახდა. ქალი აშკარად მომენდო. ისე უხაროდა ჩემი მოსვლა, თითქოს ცაზე ცისარტყელა გამოჩენილიყო. ის უკვე მიყვებოდა რაღაც-რაღაცებს. ლევანი მართალი აღმოჩნდა. თურმე, საუკუნეა, იგი ამ სახლში ცხოვრობს, ბავშვობიდან ვზრდიდი „სალ კლდეზე“. გაიხსენა, როგორი ბავშვი იყო, როგორ სწავლობდა, როგორ იქცეოდა... გოცებულ ვიყავი, როზას არაფერი დავინწყებოდა. მე ჩემს ასაკში უჭიოდი სკლეროზს. ისეთი რამეები არ მახსოვდა, რაც, წესით, ჩემი ასაკის ადამიანს არ უნდა ავინყდებოდეს, მას კი რიცხვები და თვეებიც კი ახსოვდა. ის კი არა, იმ დღეს როგორი ამინდი იყო, იმასაც კი აღწერდა. საყვარელი და ბუნჩულა ბავშვი იყო, მითხრა. ამან გამაოგნა. ვერაფრით წარმომედგინა მისი საყვარელი და ბუნჩულა ბავშვობა, რადგან ჩემს თვალში ლადო უხეშ, აუტანელ ადამიანთან ასოცირდებოდა. როგორ არ ვეცადე, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგინე ცელქი, მხიარული და ეშმაკუნა „სალი კლდე“. ასე მეგონა, ყოველთვის საშიში და პირქუში იყო, ბავშვობაშიც კი. მიუხედავად ამისა, როცა როზა მას დადებოდა ახასიათებდა, მსიამოვნებდა. რატომ, ამის ახსნა გამიჭირდება.

სალამოს კი საშკა მელოდა შინ. ეს კიდევ უფრო მახარებდა. ის ჩემზე ადრე მოდიოდა, ცხელ ვახშამს მახვედრებდა და სანამ არ მოვიდოდი, პირს არ დააკარებდა. მერე ერთად ვუყურებდით ტელევიზორს ან ვლაპა-





რაკობდით, ან ლოგინში ვკოტრია-
ლებდით.

ისე მომწონდა ჩემი ასეთი ცხოვრე-
ბა, ყველაფრით კმაყოფილი ვიყავი,
მაგრამ ერთხელაც უეცრად დაირღვა
ჩემი სიმშვიდე.

სალამოს, შინ მოსულს, საშკა არ
დაძვდა. გამიკვირდა, ეს პირველი შემ-
თხვევა იყო, რომ დააგვიანა. მობი-
ლურზე დავურეკე. გამორთული ჰქონ-
და. ავწრიალდი. ბოლო სამი დღე
ცოტა უხასიათოდ მეჩვენებოდა. ცოლს
ხომ არ შეურიგდა? დამარტყა უცებ
თავში. ამის გაფიქრებაზე შემამცივნა.
სწორედ ამ დროს შემოალო კარი, ერ-
თიანად გაფითრებულმა.

— რა მოგივიდა? რა მოხდა? —
მივაჭერი.

— არაფერი... რაზე უნდა მომხდარი-
ყო? — კითხვაზე კითხვით მომიგო მან,
მაგრამ ამასობაში თვალი ამარიდა.

— აბა, რატომ გაქვს ასეთი სახე?
რატომ დააგვიანე? რაღაცას მიმაღავ...
— ეჭვი გამოვთქვი.

— არც კი მომესალმე, არ გრცხვე-
ნია? — ნაძალადევი ღიმილით შე-
ნიშნა და ლოყაზე მიჩქმიტა.

ყურადღებით ვაკვირდებოდი. ასე-
თი რამ არ ახასიათებდა. თვალის არი-
დება რაღა იყო? რაღაც ხდებოდა და
უჭირდა თქმა.

— ნუ აჭიანურებ, საშკა, მითხარი,
რა მოხდა, — შევუბღვირე, — ურიგ-
დები?

— ვის?

— ვის და იცი შენ, ვისაც.

— ოოო! დაიწყო ახლა! საიდან
მოგაქვს ასეთი აზრები? ვურიგდები
არა ის!

— აბა, რა გჭირს?

— მოკლედ, შენ ვერაფერს გამოგა-
პარებს ადამიანი, რა... კარგი, გეტ-
ყვი... ფული მჭირდება... რამდენიც შე-
გიძლია...

ვიგრძენი, რომ სულში რაღაც ამიტ-
რიალდა, თითქოს თვალთ დამიბნელ-
და და მეც ავყირავდი... ისეთი რა
გაუჭირდა, რომ ფულს მე მთხოვს?
რაღაც ხდება!

— რისთვის გჭირდება და რამდე-
ნი? — ფრთხილად შევეკითხე.

— ვითამაშე.

— რა ქენი? — საკუთარ ყურებს
არ ვუჯერებდი.

— კაზინოში ვითამაშე და წავაგე,
— ხვწმუნებულად ნარმოთქვა და წელ-
ზე დოინჯემოყრილი შუა ოთახში
გაიხიდა.

— როდის აქეთაა, თამაში დაიწყე?

— ეს გრძელი ისტორიაა, შენ ვერ
გაიგებ! — კონკრეტულ პასუხს თავი
აარიდა.

— მერე რა, მომიყვიე, მოგისმენ.
— არ გირჩევ, გული გეტკინება.
— გული უკვე მეტკინა.
— გთხოვ, არაფერი მკითხო. მით-
ხარი, თუ დახმარება შეგიძლია.

— რამდენი გჭირდება?

— რამდენიც შეგიძლია.

— მხოლოდ 300 ლარი.

— ეგეც საქმეა, თუ მომცემ. მალე
დაგიბრუნებ და მეტს აღარ ვითამა-
შებ. მორჩა, ეგ ბოლოა!

თავზარდაცემული ვიდექი. პირვე-
ლად მესმოდა მისი თამაშის ამბავი.
არასდროს არავის დასცდენია. არც
თანამშრომლებს, არც მის დას, არც
არავის. უხმოდ გაგვტრიალდი, შენახუ-
ლი ფულიდან 300 ლარი გადავთვა-
ლე, დანარჩენი არ გამოვაჩინე და
გამოვუტანე. მადლობა გადამიხადა და
კარისკენ დაიძრა.

— სად მიდიხარ?

— ახლავე უნდა მივუტანო. თან
კიდეე უნდა დავამატო, ეს არ მეყოფა.

— მობრუნდები?

— ჰო, აბა რა! აუცილებლად. აბა
სად წავალ? — ურწმუნოდ გამიღიმა.

ამ დროს დაბლიდან გაბმული სიგ-
ნალის ხმა მოისმა. ეს მისი მანქანის
სიგნალი იყო. მოულოდნელობისგან
სახე თვითონაც შეეცვალა.

— ვინ გიზის მანქანაში? — მკაც-
რად ვკითხე.

— არაფერი... შენ არ იცნობ, —
გაუბედავად მომიგო.

— ჩაგაცილებ, — კიდეე უფრო
მკაცრად ვთქვი.

— არ გინდა, მალე მოვალ, —
ხელები მკლაზე წამავლო და გამაჩე-
რა.

— უნდა ვნახო, ვისთან ერთად ხარ!
— ლამის ვიყვირე.

— არ გინდა ისტერიკები. გეტყვი,
ოლონდ არ ჩამომყვე, კარგი? შემპირ-
დი.

— კარგი, ეგრე იყოს. მითხარი,
ვინ არის.

— ჩემი ცოლია, — ყრუდ მიპასუ-
ხა.

— ვი-ინ? — ამოვიხავე ფერწა-
სულმა.

— მეხმარება ფულის შეგროვება-
ში, ნუ დაპანიკდი, გთხოვ...

— მე... მე ვერ დაგეხმარებოდი?

— არ მინდოდა შენი განერვიულე-
ბა.

— და ახლა მშვიდად ვარ? შენ
ეგრე გგონია?

— მოვალ და ყველაფერს აგიხსნი.
ახლა არ გინდა! დამელოდე! — ჩქარ-
ჩქარა მომაძახა, უკუსვლით გაემურა
კარისკენ და წამში ისე გაქრა, ვერაფ-
რის თქმა ვერ მოვასწარი.

ის ლამე თეთრად გავათენე, მაგრამ
საშკა არ დაბრუნებულა... ნუთუ ცო-
ლისთვის უნდოდა ფული? დამტანჯა
ეჭვებმა...

ვასიკომ მეორე დღესვე შემატყო,
რომ უხასიათოდ ვიყავი, რომ რაღაც
მანუხებდა.

— შენებზე ფიქრობ? — ბავშვუ-
რად მკითხა და თავი მუცელზე მომა-
დო.

მაშინვე ღიმილი ავიკარი სახეზე.
თუკი ბავშვმაც შემატყო, რომ უგუნე-
ბოდ ვარ, ესე იგი, ძალიან ცუდადაა
ჩემი საქმე. მით უმეტეს, სულ ვცდი-
ლობ, მასთან ასეთი რამეები არ გა-
მოვხატო. პატარამ რატომ უნდა იდარ-
დოს ჩემი პრობლემების გამო? გამო-
დის, ცუდად ვინილებები. რაც შემეძ-
ლო, ბუნებრივად გავუღიმიე.

— როგორი მიხედვრილი ბიჭი ხარ.
ჰო, ჩემები მენატრება. დედა, და, ძმა...

— დავახვავე ტყუილები.

— ჩემთვის მათზე არასდროს მო-
გიყოლია.

— არც შენ გიკითხავს არასდროს.
თუ გინდა, ერთხელაც მოგიყვები,
ოლონდ ახლა არა, ხო?

— კარგი.

— სკოლაში როგორ არის საქმეე-
ბი?

— მაგრად. დამრიგებელმა მით-
ხრა, ძალიან გონიერი ხარო. ისე სწრა-
ფად დაეწიე სხვა მოსწავლეებს, გან-
გან-ციფრებას ვერ ვძალავო.

— რასო, რასო? — გამეცინა.

— გან... ცვიფრებას, — თვალების
ფახულით და დამარცვლით ძლივს
სწორად წარმოთქვა.

— ძალიანაც კარგი. აბა, ერთი
გაბედა იმ შენს დამრიგებელს და
ცუდი რამ ეთქვა შენისთანა ყოჩად
ბიჭზე, მერე გეყურებინა სერიო!
ხითხითი დაიწყო.

— გუშინ ასე არ ფიქრობდი?! —
ემშაკურად ამომხედა უცებ.

— გუშინ... გუშინ სხვა იყო. დაგა-
ვინყდა, ფანჯრის მინა რომ ჩამატვირე?
ამის გამო ორივეს მოგვხვდა.

— ეგ ჩემი ბრალი არ იყო, ბურ-
თის ბრალი იყო. ძალით ხომ არ გა-
მიკეთებია.

— სწორედ ასე ვუთხარი ბიძაშენს,
მაგრამ არა მგონია, ამით კმაყოფილი
დარჩენილიყო. კარგი, შევუდგეთ საქ-
მეს.

თან ვამეცადინებდი, თან ლადოზე
ვფიქრობდი. ჯიუტი! ისევ თავისებუ-
რად აგრძელებს. არაფრად აგდებს
ძმისშვილს. ერთი მინის ჩამტვირევა
ვერ აპატიო. რა მოხდა მერე? დიდი
ამბავი! თვითონ არასდროს არაფერი



დაუშავებია? თვითონაც ხომ იყო ბავშვი! გუშინ კიდევ ერთხელ ვცადე, მასთან ამ თემაზე ლაპარაკი წამომეწყო, მაგრამ ისეთი მიფრინა, მტრისას! თუ კიდევ დააპირებ ამზე ლაპარაკს, ჩემი სახლიდან დაგიტოვო, გამოიციხადა! აი, დარდი! ეგ სულაც არ მანალვლებდა, მაგრამ ვასიკოს ვერ შეველოდი. ისედაც დათრგუნული იყო მისი დამოკიდებულებით და მეც რომ ზურგი შემექცია, უარესად ტრავმირებული აღმოჩნდებოდა.

უეცრად კარი გაიღო და ლევანი გამოჩნდა. მას ხელში უზარმაზარი ფრანი ეჭირა და მოაფრიალებდა.

— აი, რა მოგიტანე! მე თვითონ გავაკეთე ჩემი ხელით. ხომ მაგარია? — საზეიმო ტონით წარმოთქვა და წითლად აჭრელბული სათამაშო ბავშვს გადაულოცა.

— აუ, რა მაგარია! წამო, რა ავადრინოთ? გთხოვ, რა, გთხოვოვ! — ორი თითით ყელი გამოინია ბიჭუნამ.

— ახლა არა! წვიმს გარეთ. ხომ ხედავ, როგორ აცივდა. ზაფხული კი არ არის, შემოდგომაა უკვე. — ცივი უარი ვუთხარი, — როცა გამოიდარებს, მერე. გაგიფუჭდება ეგ ფრანი, საღებავი გადაუვს!

ამ დროს როზამ დამიძახა და მასთან გავედი სამზარეულოში. სოუზი გაეკეთებინა და მთხოვა, გემო გაუსინჯე, რამე ხომ არ აკლიაო. ხელისგულზე დავისხი ცოტა წვენი და შევხვრიბე. უგემრიელესი იყო. მოწონების ნიშნად ცერა თითი ავნიე. ამასობაში ვასიკოც შემოვიდა და ისეთი დაფეთებული შემომაჩერდა, გულმა რეჩხი მიყო, მივხვდი, რომ რაღაც გააფუჭა.

— რა მოხდა?
— ჩემი ფრანი... — ნიკაპი აუკანკალდა.

— რა იყო, გატყევი?
— არა, — შეშინებულმა გააქნია თავი, — ჭალზე დაეკიდა.

როგორც ჩანს, სასტუმრო ოთახში აუშვა.

— ვასიკო, ხომ გთხოვე, არა? — ვუსაყვედურე, — კარგი, წამო, ვნახოთ, ერთი, რა მოხდა, სანამ ბიძაშენი დაგვდგომია თავს.

ფრანის თოკი ორმაგად შემოხვეოდა ჭალს. როგორ მოახერხა ასე დახვევა, წარმოდგენა არ მქონდა. ახლა მთავარი იყო, ისე ჩამომეხსნა, რომ პლაფონები არ დამეტვრეოდა.

მაღალზურგიანი სკამი ოთახის შუაგულში გამოვარჩიე, ზემოდან ტაბურეტი დავადე და ძლივძლივობით ავბობლდი ზედ.

— რა ამბავია? — გრგვინვასავით გაისმა უეცრად.

ამ ხმის გაგონებაზე წონასწორობა დაკვარე, მაგრამ როგორღაც მოვახერხე თავის შემაგრება.

ჩემდა საბედნიეროდ, ლევანი აღმოჩნდა, მე კი გული გადამიქანდა. როგორც ჩანს, ქვეცნობიერად ლადოს გამოჩენის შიში მქონდა და ამიტომაც ვერ ვიცანი მისი ხმა.

— ლევან, გვიშველი!

— გაგიჟდი? ამხელა კაცი მანდ რომ ავიდე, ყველაფერს დავლენავ, გამორიცხულია! — შორს დაიჭირა.

— მაშინ ისევ მე ვცადო, ჯობია.

— არ დაიმტვრე, გოგო!

— უცებ ვიზამ, რა პრობლემაა, — ყურად არ ვილე მისი გაფრთხილება, — შენი ბრალია ყველაფერი. რა ფრანი აგიტყდა, ჰა? — ვუსაყვედურე და ამასობაში ჭალსაც მივხვდი, — შენი მეფისტოფელი სადღაა? მოვიდა?

— ვი-ინ? — ვერ გაიგო ლევანმა.

— შენი ბოსი.

— აა! თავის კაბინეტშია, ამიტომ ჯობია, იჩქარო, სანამ „შემოვლა“ დაუნყია, — უშნოდ გაიღრიჭა მამაკაცმა.

მანაც ძლივს ვწვდებოდი ჭალს, ისეთი მაღალჭირიანი იყო ოთახი. ფეხის წვერებზე ავინიე და ფრთხილად დავინიე თოკის შემოსხნა.

— რა ხდება აქ?

ლამის მივეყინე ჭერს... სწორედ ეს ხმა იყო, ასე რომ მზაფრავდა და მზარავდა. მანაც შემომისწრო! სუნთქვა შევიკარი და ნელა მოვბრუნე თავი. ლადო გამჭოლი მზერით მომჩერებოდა და გამოხედვაზე ეტყობოდა, რომ გაცოფებული გახლდათ. ვერაფერი მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ თვალისმომჭრელად გამეღიმა და ხალისიანად მეთქვა.

— გამარჯობა, ბატონო ლადო! ფრანის გათავისუფლებას ვცდილობ. უფრო სწორად, უკვე ჩამოვხსენი და რაც მთავარია, არაფერი დაგვიზიანებია.

თან ვლაპარაკობდი, თან ფრთხილად ჩამოვიდოდი სკამებიდან. ლევანმა ხელი შემავლეა. უკვე ვქმინავდი, ლანვებიც გამიხურდა ნერვიულობისგან. ამწუთას ისე ვიდექი მის წინაშე, როგორც დანაშაულზე წასწრებული ბავშვი.

— ლევან, შენც ჩაგითრიეს ამ საზიზღრობებში? — უხეშად მიმართა მამაკაცმა თანაშემწეს.

ამ უკანასკნელმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მუჯღუგუნე ვკარი და გაფიქრე, თუმცა „სალ კლდეს“ ჩემი მოძრაობა შეუშინეველი არ დარჩენია. როგორც ჩანს, ამან უფრო გააღიზიანა.

— დიდი ხანია, სათამაშოებით გართობა დაიწყე, ანა? — დამცინავდ მკითხა და თვალებით გამბურლა.



ნერწყვი ისე ჩუმად გადავგორე, თითქოს აკრძალული მქონდა ამის გაკეთება.

— მაპატიეთ... ისეთი ლამაზი ფრანი იყო, ვერ მოვიტომინე... — ჩემს თავზე ავილე დანაშაული.

— ლევან, დაგვტოვე ცოტა ხნით! — მიუბრუნდა ლევანს და როცა იგი ოთახიდან გავიდა, გვერდით დამიდგა და კბილებშუა გამოცრა, — როგორ მანტირესებს, რატომ იცავ მაგ სალახანას? ხომ ვიცი, რომ ბიჭის გაკეთებულია ეგ, როგორ მიბედავ მოტყუებას?

— მაგ ბიჭს ძალიან ლამაზი სახელი ჰქვია, — არ შევეპუე მეც, — და ის არაფერშია დამნაშავე. ეს მე ჩავიდინე, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა! — ჯიუტად წარმოვთქვი, თავი ავალერე და გამომწვევად შევხედე.

მისი გამჭოლი მზერა ალბათ კედელშიც კი გაატანდა, მაგრამ უკან არ დავიხიე, არამც და არამც არ შევიმჩნიე, რომ მეშინოდა. მიუხედავად იმისა, რომ მუხლები მითრთოდა, დათმობას არ ვაპირებდი.

— რამდენ ხანს აპირებ ჩემი მოთმინების გამოცდას? — მომეჩვენა, თითქოს კბილები გააკრაჭუნა.

— რადგან ვატყობ, რომ ძალიან ცოტა დაგრჩათ იგი, ვცდები, მეტად აღარ გამოვცადო, — მივუგე და წარბები ნიშნის მოგებით ავნიკიპე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

როგორ დავამარცხო მოწინააღმდეგე

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. ეს კვირა ჩემი ლანძღვის კვირა იყო, როგორც ვატყობ. ვისაც მესიჯის წერა არ ეზარებოდა და თანაც, ანგარიშზე 6 თეთრი მაინც ჰქონდა, ყველამ ჩემთვის მოიცალა. თუმცა, ახლა ალბათ ვიტყუები. აგერ, ერთი მკითხველი სიყვარულს მისხნის, მაგრამ გაუგებარი და გაურკვეველი მიზეზების გამო ჩემს ლანძღვასაც აყოლებს: „მარი, მე თემო მქვია, თუმცა შენ არ გაინტერესებს. ალბათ იფიქრებ, რომ ერთ-ერთი იდიოტი ვარ იმათგან, ვინც თავს გაბეზრებს. არც ისეთი ვარ, ვინმეს სიყვარულს ვიმსახურებდე. ჩემისთანა ადამიანს არ აქვს სიყვარულის უფლება, მაგრამ გაბედე და გითხარი. ალბათ ბევრი გწერს და შეჩვეული ხარ მესიჯებს და არც მიაქცევ ყურადღებას ჩემს SMS-ს. მიყვარხარ. ნეტავ, როგორი ხარ ცხოვრებაში, რეალურად? მაყუთის შოვნის ნიჭი და ყისმათი არაჩვეულებრივად კარგი გაქვს. ნეტავ, კეთილი ხარ? როგორ დაქრის იცით, ქარი? ისე დაქრის, როგორც მარი, მობილურით სმს-ებს ის იღებს ყოველ წამში, გოიმები გამრავლდაო, ფულებს სვეტავს, დაქრის მარი“. ამ მესიჯს იმავე ავტორისგან კიდევ ერთი მოჰყვა: ფულის შოვნის იოლი გზა მოგიფიქრებია, მარი. რამდენი იდიოტი გწერს „მობილიზაციაში“ თუ „ლაქლაქზაციაში“, შენ კი „დარმაზი“ „მაყუთს ლუნავ“. უტიწონებს ესახელებათ თავისი ვითომ ამბების მოწერა. სულელის ლუკმა ჭკვიანმა შეჭამაო, ნათქვამია და ამ სულელებით შენც ფულს აკეთებ. სალოო“. ბოლო მესიჯიდან მკითხველებისა და მგზავნელების სალანძღავი სიტყვები ამოვიღე და ამის გამო ცოტა შემოკლებით დავბეჭდე. ჰოდა, თემოს მინდა ვუთხრა: „მობილიზაციიდან“ შემოსული თანხა ჩემს ჯიბეში არ მიდის და ამიტომ შეუძლია, მშვიდად იყოს, ნუ დაიბოღმება და უშფოთველად დაიძინოს, რადგან ჩემი გამდიდრების დრო და ჟამი ჯერ კიდევ შორსაა. სხვა მკითხველმაც არ დაიშურა ჩემ მიმართ სალანძღავი სიტყვები, მაგრამ ის ზოგიერთი მკითხველისა და მგზავნელის მფარველობაში მდებებს ბრალს, თანაც დამემუქრა და გამაფრთხილა, არ გაბედო და ჩემი მესიჯი შესავალში არ გამოაქვეყნო (არადა, ჩემი ღრმა რწმენით, მისი მიზანი სწორედ ეს იყო). ამიტომ, „შეშინებულმა“, მის მესიჯს ადგილი მობილიზაციის „მიყრუებულ“, „ბნელ“ კუნჭულში მოვუძებნე. ახლა კი ამბები იმის შესახებ, თუ ვინ როგორ დაამარცხა მეტოქე.

სნაიპერას ზუსტი „ნასროლი“

„გამარჯობა. ჩემი ამბავი შესაძლოა, ბანალური იყოს, მაგრამ მაინც მოგწერთ. 2 წლის წინ ერთი ძალიან სიმპათიური ბიჭი გავიცანი. ისე მომეწონა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთი ნახვით შემიყვარდა. ერთმანეთი პირველად წყნეთში ვნახეთ. მე ჩემი მეგობრის მოსანახულებლად ვიყავი, რომელიც იქ ისვენებდა, გიგა კი შეყვარებულის სანახავად გახლდათ. მისი შეყვარებული და ჩემი მეგობარი ერთ სახლში ცხოვრობდნენ. გიგას ცხოვრებაში სხვა გოგოს არსებობა ჩემთვის დამაბრკოლებელი გარემოება არ იყო. ვიცოდი, თუ გულით მოვიწადინებდი, აუცილებლად გამოვიბირებდი. ჩემი გონიერებისა და გარეგნობის იმედი მქონდა და

კიდევ იმის, რომ ნატალია (გიგას შეყვარებული) რაიმე შეცდომას დაუშვებდა, რაც ჩემს ნისქვილზე დაასხამდა წყალს. ისე გავაკეთე, რომ წყნეთიდან გიგასთან ერთად წამოვედი. ვიცოდი, რომ კომპიუტერებში კარგად ერკვეოდა და ვთხოვე, ჩემი კომპიცი ენახა. შემპირდა და

ნომერი მომცა, ამ დღეებში დამირეკე და გესტუმრებო. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ვიცოდი, რომ შინ მთელი დღის განმავლობაში მართო ვიქნებოდი, გიგას შევუთანხმდი და დასახვედრად მოვემზადე. ხილი, ნამცხვარი და კონიაკი ვიყიდე და მოუთმენლად ველოდი მის გამოჩენას. როგორც იქნა, მოვიდა. კარგა ხანს ვიჭუკჭუკეთ, ვილაპარა-



სხვისი ამბავში მონღას და ამიჯომაც ვიყიდი



კეთ, ცოტა დავლიეთ (არ დავ-
მთვრალვართ) და წასვლის წინ მა-
კოცა კიდევ. ეს უკვე დიდი წარმა-
ტება იყო, თუმცა ბევრს არაფერს
ნიშნავდა. ამის შემდეგ ჩვენი ურ-
თიერთობა გაღრმავდა. ნატალიას

ბობდნენ. როცა პირველმა ქარიშ-
ხალმა გადაიარა, საქმეში მეც ჩა-
ვერიე და ნატალიას თავისი „პო-
ხოჟდენიების“ შესახებ შევახსენე. იმ
ბიჭების სახელები და გვარებიც კი
ვუთხარი, ვისაც ხვდებოდა. გიგა
გადაირია, სულ ცო-
ფები ყარა. მოკლედ,
სერიოზული უსიამოვ-
ნება მოუვიდათ. ვი-



საბროლოველად
მზად ვიყავი და
ომში „მძიმე
არტილერია“
ჩავრთე

ჩამოსვლამდე უკვე კარგად „დაძმა-
კაცებულები“ ვიყავით. კი ვიცოდი,
რომ ის გოგო ასე იოლად არ დათ-
მობდა შეყვარებულს, მაგრამ საბ-
როლოველად მზად ვიყავი და ომში
„მძიმე არტილერია“ ჩავრთე. ეს გახ-
ლდათ ჩემი მეგობარი, რომელსაც
შეეძლო, თბილისში ნებისმიერ ადა-
მიანზე ნებისმიერი ინფორმაცია მო-
ეპოვებინა. მოკლედ, ნამდვილი
„ჭორტრესტი“ იყო, რა! ჰოდა, იმას
ვთხოვე დახმარება. შედეგმაც არ
დააყოვნა და სულ მალე ისეთი ამბე-
ბი გავიგე მასზე, რომ ამჟამად ბე-
დის ბორბალი ჩემს სასარგებლოდ
ბრუნავდა. თურმე, ნატალია, გიგას
გარდა, კიდევ 2 ბიჭს ხვდებოდა. ეს
ამბავი გიგასთვის არ მიმიხლია,
„კოზირად“ შემოვიწახე და მოვლე-
ნების განვითარებას დაველოდე. გი-
გასგან აშკარა სიმპათიას ვგრძნობ-
დი და გამარჯვებას წინასწარ ვზე-
იმობდი. ერთ დღეს მე და გიგა
ვსეირნობდით, როცა ნატალია შეგ-
ვხვდა. იქ ამბავი ატყდა! სამამუ-
ლო ომი მონაგონია. მე ხმას არ
ვიღებდი, გიგა და ნატალია ჩხუ-

ცი, რომ შემდეგ კი-
დევ შეხვდნენ ერთმა-
ნეთს, საქმე ხელახლა
გაარჩიეს და დაშორ-
დნენ. ამის შემდეგ გი-
გას ხელიდან როგორღა გავუშვებ-
დი? ჰოდა, ახლა, დღე-დღეზე (სექ-
ტემბრის ბოლოს) ქორწილსაც ვგეგ-
მავთ. ასე დავამარცხე და ჩამოვი-
შორე მეტოქე. პატივისცემით, სნა-
იპერა“.

თვით სიკეთე და კლება

„ირაკლი ჩვენს ქალაქში ყველა-
ზე პოპულარული ბიჭია. როდესაც
სასწავლებლად იმ ქალაქში გადა-
ვედი, თვალი დამადგა და ჩვენი
ურთიერთობა 4-თვიანი არშეყოფის
შემდეგ შედგა. ირაკლის გვერდში
მუდამ ჰყავდა დაქალი, რომელიც
გარდა იმისა, რომ მისი ბავშვობის
მეგობარი იყო, თანაკლასელებიც იყ-
ვნენ. ამიტომ, მისგან სულ მესმო-
და: „ირინკა ყველაზე ლამაზია, ირინ-
კა ასე იტყოდა, ირინკა ისე გააკე-
თებდა“... მეც ვცხოვრობდი ირინ-
კას აწრდილთან ერთად და ერთ
წამსაც არ მშურდა მისი. ის ხომ
ირინკა იყო... ჩემი და ირაკლის

ურთიერთობაში უამრავმა ადამი-
ანმა შეიტანა წვლილი (ბოროტუ-
ლი). დავშორდით, თუმცა ხანდახან
ისევ ვეკონტაქტობდით ერთმანეთს,
რადგან ერთმანეთი გვიყვარდა. ერთ
დღეს ირინკა გამომეცხადა (ის ჩემ-
თანაც დაქალობდა), ურცხვად მი-
ამბო, როგორ სთხოვა ირაკლიმ კოც-
ნა და როგორ დაუწყო ჩალიჩი.
მეც მაშინვე ირაკლისთან გავვარ-
დი და აცრემლებულმა ვკითხე —
რატომ? იკამ ყველაფერი უარყო
და მეც ერთი წამითაც არ შემპარ-
ვია მის სიმართლეში ეჭვი. ირაკ-
ლი კეთილი ადამიანია, 3 წელია,
ერთად აღარ ვართ, მაგრამ მის
ყურადღებას დღემდე ვგრძნობ, მი-
უხედავად იმისა, რომ სხვა მიყ-
ვარს. ერთი წლის შემდეგ კი ირინკა
აცრემლებული და მთვრალი მო-
მიჯდა გვერდით და პატიება მთხო-
ვა. მე და იკამ ერთმანეთი სწორედ
მის გამო დავკარგეთ. ამიტომ არც
მიცდია, შევკვამათებოდი და არ
მიტქვამს, როგორ გაპატიო-მეთქი?
მე ირინკა ყოველთვის მეცოდებო-
და — ფულით განებივრებული და
საყვარელი ადამიანისგან მიტოვე-
ბული გოგო. ახლა ინგლისში ცხოვ-
რობს, ცოტა ხნით იყო ჩამოსული
და გულთბილად გამომკითხა, რო-
გორ მიდის შენი საქმეებიო? მეც
ზრდილობიანად ვუპასუხე. მე ჩემი
თავმდაბლობით დავამარცხე, ჩემი
დუმილითა და სიკეთით საბოდი-
შოდ გავუხადე საქმე. ახლა საოც-
რად ბედნიერი ვარ, რადგან ჩვენი
ქალაქის PLAYBOY მსოლოდ ჩემი
იყო ოდესღაც, პირველი სიყვარუ-
ლი ვიყავი და მის თვალეში დღემ-
დე ვხედავ სიყვარულს, რომელიც
ხალხმა წაგვართვა. მარად თქვენი
კოკროჩინა“.

ტყუპის მამა

„მინდა, ჩემს დასა და მის ტკი-
ვილზე მოგიყვეთ. მას თქვენი ყურ-
ნალი ძალიან უყვარს და ყოველ
ხუთშაბათს ელის. მე ვყიდულობ
ხოლმე და მიმაქვს. მოუთმენლად
ველი თქვენს რჩევებს. ჩვენ იმერე-
თის ერთ-ერთი სოფლიდან ვართ.
სკოლა ოქროს მედალზე დაამთავ-
რა. ოჯახს მისი მომზადების საშუ-
ალებაც არ ჰქონდა და თავისით
ჩააბარა. უნივერსიტეტში მალაღი
ქულებით მოხვდა. შემდეგ თანა-
კურსელმა წაიყვანა თავისთან სამ-
სახურში, პრაქტიკის გასავლელად.
იქაურ კოლექტივს ძალიან შეაყვა-
რა თავი და ყველა ცდილობდა,

ძალღობის მომ ლაქანასი დაიხუ-
ან, ადამიანი უყნასხნეთ ძეგობამ-
საც დაყამგვდა



მუდმივ შტატში დაეტოვებინათ. ასეც მოხდა. იქ გაიცნო მომავალი ქმარი — ლევანი. თათა ბედნიერად გრძნობდა თავს. ჩვენ ამ დროს რუსეთში წასული მამიდაშვილის ბინაში ვცხოვრობდით. მე ქმარს გაშორებული ვარ, რადგან ნარკომანი აღმოჩნდა და ვერ გავუძელი მასთან ცხოვრებას. მას შემდეგ ოჯახის შექმნაზე აღარც მიფიქრია. ერთი ცოლს გაცილებული კაცი მთხოულობდა და უარი ვუთხარი იმის გამო, რომ შესაძლოა, ოდესმე ცოლს შერიგებოდა. მოკლედ, ჩემი დის ამბავს დავუბრუნდები: მას და ლევანს 3 წელი შვილი არ ეყოლათ. შეხმატვბილებულად ცხოვრობდნენ. 3 წლის შემდეგ ტყუპი გოგონა შეეძინათ — მ-თვიანები. ბავშვები სამშობიარი ტრავმებით დაიბადნენ და სულ ავადმყოფობდნენ. ხშირად ხვდებოდნენ საავადმყოფოში. ზოგჯერ ორივე ერთად ეწვინათ ხოლმე. მეც, როგორც შემძლო ვეხმარებოდი, რადგან ლევანი უმუშევარი იყო. შემდეგ სამსახური იშოვა. თათა ძირითადად შინ იყო, ბავშვებთან ერთად, მე კი გზაზე ვიყავი გამოკიდებული — ხან ბავშვებთან და ხანაც — ავადმყოფ მშობლებთან. ლევანი ერთ-ერთ თანამშრომელს — მადონას განსაკუთრებულად დაუახლოვდა, რომელიც თავის მხრივ, თათასთან დაქალობდა. თათას ვეჩხუბებოდი მეც და მისი მეგობრებიც, ამ ქალს შინ ნუ უშვებო, მაგრამ მას ჩვენი არ ესმოდა. მადონას ნასესხები ფულით დაბადების დღეც კი გადაუხადა. ბავშვების გარდა არაფერი ახსოვდა, ამიტომ ვერაფერს ამჩნევდა. ცოტა ხანში ერთი ტყუპისცალი — ნონიკო გარდაიცვალა. დაგვრჩა ნანიკო, რომელიც ტყუპისცალის გარდაცვალების შემდეგ ძალიან დამძიმდა, მაგრამ ღვთის მადლით, გადარჩა. ამასობაში ლევანმა ფული იშოვა, 2 ბინა იყიდა. ჩემს მშობლებზე ისე ზრუნავდა, როგორც საკუთარზე. რადგან თათას ჩემი დახმარება აღარ სჭირდებოდა, მშობლებთან დავბრუნდი. ერთ დღეს კი ჩემმა

დამ დამირეკა და მითხრა, თურმე ლევანს მადონასთან გოგო ჰყოლია და ერთი სახლი მათთვისაც უყიდაო. ნანიკოს მართლა არაფერს აკლებს, თათაც უყვარს და ვერ ელევა, მაგრამ ხასიათი დაუმიმდა. ახლახან გავიგეთ, რომ თურმე

საქმესა და ფულის დაკარგვის შიშს გყუილად ვაბრალებ ამ ამბავს

მადონა მეორე ბავშვს ელოდება. ის ლევანის ოჯახამაც მშვენივრად მიიღო და მისი შვილის მზეს იფიცებენ. თათა ძალიან გამწარებულია, ნევროზი აქვს, ხერხემალი და თირკმელი აღარ უვარგა. პატარა ნანიკოს მხედველობა და სმენა არა აქვს, ვერ დადის, თათა კი ზის და ტირის, თან მადონაზე ბრაზობს — ჩემს სახლში ღამეს ვათენებინებდი, ყველაზე კარგად მან იცოდა, როგორი გამწარებული ცხოვრება მქონდაო. ლევანი ახლა ხან თათასთან რჩება, ხან — მადონასთან. წინასწარ მადლობას გიხდით გამოქვეყნებისთვის და ბოდიშს ვუხედი მათ, ვისზეც ეს იმოქმედებს. მიჩივთ, თათას ოჯახი როგორ გადავარჩინო? ან ღირს კი ამ ოჯახის გადარჩენა? თათა ამბობს, აღარ ვაპატიებო. ველი თქვენს გამოხმაურებას“.

ანგარებამ გაიმარჯვა?

„მაგარი თემაა და ჩემს ამბავს ზედმიწევნით შეეფერება. ერთ მშვენიერ დღეს ვიღაცამ მობილურზე დამიმესიჯა. უცნაური ტექსტი იყო და მივხვდი, რომ მე არ მეკუთვნოდა. იმასაც მივხვდი, რომ მაშაკაცის გამოგზავნილი იყო და პასუხი დავუბრუნე — გავეკვლეუცე. იმანაც მომწერა და... ალბათ მსგავსი დასაწყისი არც ისე ცოტაა. გარკვეული ხნის მესიჯობანას მერე შევხვდით. გადავირიე, ისე მომეწონა. იმასაც მოვეწონე. ჰო, იმის თქმა დამავინწყდა, რომ ქმარს გაცილებული ვარ და ერთ შვილს ვზრდი. ის უცოლო გახლდათ. ურთიერთო-




ბის აწყობას კიდევ რამდენიმე ხანი დასჭირდა და ბოლოს დაემეგობრდით. გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ რაღაცას მიმალავდა. კუთხეში მივიმწყვდიე და გამოვტყეხე, რომ თურმე ჩემს გაცნობამდე საყვარელი ჰყოლია, რომელთანაც ურთიერთობა არ დაუმთავრებია — საბაბი ვერ ვიპოვეო. რა თქმა უნდა, ძალიან გავბრაზდი. ეს იგივე იყო, რომ ცოლის არსებობა დაემალა. ამ პერიოდისთვის საერთო საქმე გვქონდა წამოწყებული, სადაც მასაც გარკვეული თანხა ჰქონდა ჩადებული. ამიტომ, როდესაც ულტიმატუმი წავუყენე, ან მე, ან — ის-მეთქი, უყოყმანოდ მითხრა, შენი დაკარგვა არ მინდაო. სიმართლე რომ ვთქვა, შესაძლოა, ახლა ვცოდავ და საქმესა და ფულის დაკარგვის შიშს ტყუილად ვაბრალებ ამ ამბავს, რადგან ვგრძნობ, რომ მთელი გულით ვუყვარვარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ გარკვეული როლი ითამაშა. მოკლედ, იმ ქალის ჩამოსაშორებლად დახმარება მე მთხოვა. იმ ქალს ქმარი ჰყავდა და შანტაჟზე წავედი — დავემუქრე, თუ თავს არ დაანებებ, ოჯახს დაგინგრევ-მეთქი. არ შემეპუა, შენი მუქარა სულ არ მაშინებსო, მითხრა, მაგრამ ფაქტია, რომ იმის შემდეგ დათოსთან კავშირი განწყვიტა. ასე ვაჯობე მეტოქეს. რით — ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია“.

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ფრცვლი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „მოულოდნელად გაცნადებული საიდუმლო“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com



ფოტო, ხომეღმაც ნახნეხა დაკახგა



„გენიოსები ფურცლებზე არ წერენ“.

„დაგვიანებული დახმარება აღარაა საჭირო, მაგრამ ეგ სტრიპტიზ-ნაკოლკ-შოუ გადამდები არ აღმოჩნდეს, აბიტურიენტთათვის“. კიბორჩხალა.

„ტანის მოხატვას, გერჩინათ, თვალი გადაგველოთ მაგ ნიგნებისთვის და ისე დახმარებით აბიტურიენტებს, თავის დროზე“. კიბორჩხალა.

„ქალები ინსტრუქციით“. ლუნა.

„შპარგალკა სვანურად“. ნიკოლო.

„როგორ უნდა ჩაჭრა აბიტურიენტი ბიჭები“. ნიკოლო.

„გაგაბრაზა? ზურგი უჩვენე!“

„და დადგინდა ფორმულა: ჭიპიდან ერთი მტკაველით ქვემოთ“.

„აინშტაინის ოთხი ქალიშვილი“.

„ნინ წყალი, უკან მენყერი, ცოდნას სად დაემალები“.

„თუ გსურთ ბიჭებს, რომ დაიპყროთ ამ გოგონების გულეები, გახადეთ და გაუშიფრეთ სიყვარულის ფორმულები!“.

„გაშიფრე და გამჟიმე“.

„გამოვიდა“ ახალი შპარგალკა“. კაცუნა.

„შეკვეთილი სწავლება, არას გვარგებს, მგონი. ამიტომაც ახლა დაგვკარგავია გონი“. რუსთავი. ნორეთა.

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა, დაკარგულია“.

„ნიგნები“ მექალთანეთათვის“.

„ბოლო ზარზე პერანგისჩაც-მადავინეებულები“.

„რამდენი კაცი მყოლია ცხოვრებაში? გამოთვალე!“

„აბა, ვისაც თვალის გასწორება არ უტყდება, გადაინეროს!“

„ნატურშიცები, სამხატვრო აკადემიის გამოცდებზე დაიშვებიან“.

„ახალი სწავლების ახალი მეთოდი, ზარმაცი ბიჭებისთვის“.

„რომელ განტოლებასაც ამოხსნი, ის ქალი შენია“.

„მიეჩვიე დაბრკოლებების გადალახვას“.

„ლექციაზე 100%-ანი დასწრება გარანტირებულია“.

„ქალებო, ჩვენი გულისთვის რომ გაიხადეთ, თქვენ გაგიმარჯოთ“.

„ვისაც სუსტი გული აქვს, ლექციაზე არ დაიშვება“.

„ოეეე, გამგეე, აქ სად მოვხვდი, ტო?“

„ვაა, ჰოოოდა, გამომელვიძაა“.

„ვინ თქვა, მეცნიერი ქალები არ არსებობენო?“

„ქალმა თუ სწავლა გადანყვიტა, 9 უღელი ხარ-კამეჩი ვერ შეაჩერებსო“.



„შეყვარებული სისულელის გამო არ შორდებიან“

„გზის“ №31-ში დაიბეჭდა მისი ჯინგლსის მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „რა უცნაური და მოულოდნელობებით სავსეა ცხოვრება. „გზის“ წინა ნომერში ვამბობდი, თუ როგორი ბედნიერი და აღფრთოვანებული ვიყავი ჩემი 9-თვიანი სიყვარულით, ახლა კი აღარ ვიცი, რა ვქნა. რაღაც სისულელის გამო ვიკამათეთ და 10 დღე გაბუტულები ვიყავით. მართალია, მერე შემირიგდა, მაგრამ საოცრად შეცვლილია, ჩემ მიმართ უყურადღებო გახდა. ვიცი, რომ ვუსაყვედურო, მეტყვის, — რას ამბობ, რაღაც გელანდებო. დავიბენი. არ ვიცი, ასე რატომ შეიცვალა“.

„შეცადა, მის მიმართ უყურადღებო გახდა“

ნაპა:

„საინტერესოა, რის გამო იკამათეთ? შეყვარებულები, თუ მათ ერთმანეთი მართლა უყვართ, სისულელის გამო არ შორდებიან“.

პასუხის ავტორი:

„რად გინდა ისეთი „ლოვე“, რომელიც შენ მიმართ უყურადღებოა? ალბათ თქვენ შორის გრძნობა განელდა და ამიტომაც შორდებით ერთმანეთს. მართალია, გაგიჭირდება, მაგრამ კარგი იქნება, თუ დაივიწყებ“.

ნიკოლო:

„ორი ვარიანტი: ან ბოლომდე ვერ გაპატია (მით უმეტეს, თუ კამათის ინიციატორი შენ იყავი), ან ეს 10-დღიანი თავისუფლება მოეწონა და მიხვდა, რომ ვალდებულებების გარეშე ცხოვრება ბევრად სასიამოვნოა; მესამე და ყველაზე ნაკლებსავარაუდოა, რომ მან ვინმე ახალთან გააბა ფლირტი. არაფერი უსაყვედურო (თან, ისედაც იცი, რა პასუხსაც გაგცემს). გირჩევ, შენც შესაბამისად მოექეცე და მერწმუნე, დრო თქვენს ურთიერთობაში ყველაფერს გააჩვენებს. ეტყობა, ჯერ ისიც დაბნეულია და არ იცის, რა უნდა, ამიტომ აჯობებს, ზედმეტი მოთხოვნებითა და ეჭვებით თუ არ შეაწუხებ“.

ლოცპირა აპა:

„ჯობია, გულწრფელად დაელაპარაკო. შეიძლება ასე იმიტომ იქცევა, რომ დაგანახოს, — შენზე ნაწყენი ვარო. შენს ადგილას ვეტყვოდი: რადგანაც ასე იქცევი, ე.ი. არ გიყვარვარ და ჯობია, დავშორდეთ-მეთქი. ჰოდა, თუ უყვარხარ, ამის შემდეგ აუცილებლად შეგირიგდება, თუ არადა, დაგშორდება. იცოდე, შენგან წასვლას თუ გადაწყვეტს, არ ინერვიულო, სხვას იპოვი“

ინო:

„აბა, შეეცადე, მის მიმართ თავადაც უყურადღებო გახდე. „ლოვეს“ წინაშე თავი უფრო დაიფასე და თუ უყვარხარ, შენს დასაბრუნებლად ყველაფერს გააკეთებს“.

ბაცვატუნა:

„დააკვირდი და შეეცადე, ამ ცვლილებას რაღაც ახსნა მოუძებნო. იცოდე, ადამიანები უმიზეზოდ არ იცვლებიან. და კიდევ, შეყვარებულებს შორის ასეთი ჩხუბი მოსული პონტია“.

ლუნა:

„ზოგჯერ ბიჭები ამოუცნობები არიან და ვერ გაიგებ, რა უნდათ. აბა, რა გითხრა, ჩემო კარგო, თუ უბრალო კამათის გამო გაგებუტა, შემდეგ კი შენ მიმართ რადიკალურად შეიცვალა, სათანადოდ არ ჰყვარები ხარ და ეგაა. იცი, რა? ადქი და აუჭვიანე; შეეცადე ისე მოიქეცი, რომ გამოფხიზლდეს და ყურადღება მოგაქციოს. ლამაზ სიყვარულს გისურვებ!“

კარინა:

„ეტყობა, თავი მოაბეზრე. როცა ადამიანი გიყვარს, მას რაღაც სისულელის გამო კი არ უნდა ეკამათო, არამედ ყველაფერი უნდა გააკეთო იმისათვის, რომ ასიამოვნო. დღეს ნამდვილი მამაკაცის პოვნა ძალიან ძნელია და თუ კიდევ გაქვს რაიმე შანსი, გირჩევ, მის დასაბრუნებლად იბრძოლო. წარმატებები!“

სალი:

„არ მესმის იმ გოგონების, რომლებიც კაცებს მისტირიან. აღარ უნდა შენთან ურთიერთობა? — გაუშვი, იფრინოს! რად გინდა ისეთი კაცი, რომელიც ცდილობს, გული გატკინოს? ის შენი ღირსი არაა და ჯობია, სხვა მოძებნო“.

საინტერესო მოსაზრება სსოპრებაზე

გაბრიელ ბარსია მარანის 13 ციბაბა

- მიყვარხარ არა იმიტომ, რომ შენ ხარ, არამედ ვინ ვარ მე, როცა შენ გვერდით ვარ.
- არავინ იმსახურებს ცრემლებს, ხოლო ვინც იმსახურებს, არასდროს აგატირებს.
- მხოლოდ იმიტომ, რომ ვილაცას არ უყვარხარ ისე, როგორც გინდა, რომ უყვარდე, იმას არ ნიშნავს, რომ მთელი გულით არ უყვარხარ.
- ნამდვილი მეგობარი ისაა, რომელსაც შენი ხელი უჭირავს და შენი გულის ძვრას გრძნობს.
- ყველაზე საშინელი მონატრება ისაა, იყო მის გვერდით და აცნობიერებდე, რომ ის არასდროს იქნება შენი.
- გაიღიმე, მაშინაც კი, როცა სევდიან განწყობილებაზე ხარ, რადგან შეიძლება ვილაცას უყვარდეს შენი ღიმილი.
- შეიძლება, ამ სამყაროში მხოლოდ ადამიანი ხარ, მაგრამ ვილაცისთვის — მთელი სამყარო.
- არ დაკარგო დრო იმ ადამიანზე, რომელიც არ ისწრაფვის იმისკენ, რომ დრო შენთან ერთად გაატაროს.
- შეიძლება ღმერთს სურს, რომ იმ ერთადერთის შეხვედრამდე უვარგის ადამიანებს ვხვდებოდეთ, რათა, როცა მას შეხვდებით, მადლიერნი ვიყოთ.
- ნუ ტირი იმის გამო, რომ ეს დასრულდა. გაიღიმე იმიტომ, რომ ეს იყო.
- ყოველთვის მოიძებნება ადამიანი, რომელიც ტკივილს მოგაყენებს, მაგრამ ნუ დაკარგავ ადამიანების რწმენას, უბრალოდ გაფრთხილდი.
- გახდი უკეთესი და მიხვდები, ვინ ხარ მანამდე, სანამ შეხვდები იმ ადამიანს, რომელიც შეგიცნობს.
- ნუ დაიხარჯები წვრილმანებზე. ყველაფერი საუკეთესო მოულოდნელად ხდება.



„სიყვარულს ფულით ვერ იყიდის“

„გზის“ №31-ში დაიბეჭდა 19 წლის თავის მესიჯი. იგი გვწერდა: „მყავს შეყვარებული, რომელიც სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და დარწმუნებული ვარ, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ... მშობლები სხვას, შეძლებული ოჯახის შვილს მირიგებენ. მართალია, ის ბიჭი არ მიყვარს, მაგრამ ვერც მშობლებს ვწინააღმდეგები. ახლა მე და ჩემი „ლოვე“ გაპარვას ვაპირებთ. არ გვინდა, ერთმანეთს დაგვაშორონ...“

„გარიგებული ბიჭი ბედნიერებას ვერ მოგიტანს“

ლეკო 27:

„ჩემო კარგო, ოჯახის შესაქმნელად მთავარი სიყვარულია და არა სიმდიდრე. მეც გოგოს დედა ვარ და ჩემი სიმდიდრე ჩემივე ქალიშვილის ბედნიერება იქნება. თუ გიყვარს, გაჰყევი. სიყვარული ყველა პრობლემის დაძლევაში დაგეხმარებათ. იცოდეთ, უსიყვარულოდ არავითარ შემთხვევაში არ გათხოვდე. წადი შენს „ლოვესთან“ ერთად და ადრე თუ გვიან, მშობლებიც გაგიგებენ. უდიდეს ბედნიერებას გისურვებ!“

აურა:

„ბედნიერებისთვის იბრძოლე! ნუ დაკარგავ მას, ვინც გიყვარს. მშობლების გარიგებული ბიჭი დაივიწყე, ის ბედნიერებას ვერ მოგიტანს. რადგანაც „ლოვე“ გიყვარს, მასთან ერთად დიდ სიყვარულს უნდა ეზიარო. ბედნიერებას გისურვებ!“

ლუნა:

„ცოტა არ იყოს, გამოაცე. შენს მესიჯს რომ ვკითხულობდი, თავი XIX საუკუნეში მეგონა. აბა, რაღა დროს ეგეტებია? შენი მშობლები შეცდომას უშვებენ და ნუთუ, ამას ვერ ხვდებიან? მერწმუნე, სიყვარულს ვერ იყიდი. ფულის გამო მთელი ცხოვრება იმის გვერდით უნდა იყო, ვინც არ გიყვარს? ნუღარ დააყოვნებ, შეყვარებულთან ერთად გაიპარე (ოღონდ, თუ ის მატერიალურად ვერ უზრუნველგყოფს, მოცდას გირჩევ) და სიყვარულით დატკბი. იმედია, მშობლები ყველაფერს გაპატიებენ და შენს გაგებას შეძლებენ. გკოცნი.“

მაცმაცუნა:

„მისი ფული ხომ არ გხიბლავს? მართალია, გათხოვებისთვის სახარბიელო ასაკი არ გაქვს, მაგრამ თუ ერთმანეთი ასე გიყვართ, ღმერთმა გაბედნიეროთ.“

ნიკოლო:

„სულ ერთი და იგივე პრობლემა, რა... შესაძლოა, „ლოვეთი“ უბრალოდ, აღფრთოვანებული ხარ და გგონია, რომ მისი სახით რაღაც საუნჯეს მიაგენი, მაგრამ თუ დარწმუნებული ბრძანდები, რომ ის ნამდვილად ის არის, ადექი და გაიპარე; ამით მშობლებსაც ასწავლი ჭკუას! P.S. დეიდებო და ბიძიებო, შუა საუკუნეების ბნელი წლები დიდი ხანია, დამთავრდა! რა დროს გარიგებაა?!“

ანანო:

„თუ მართლა ისე გიყვარს, როგორც ამბობ, ადექი და გაჰყევი. უსიყვარულო გათხოვებაზე უარესი არაფერია!“

თათუშკაი:

„მშობლებმა არ იციან, შეყვარებული რომ გყავს? მათ ყველაფერი აუხსენი და იქნებ, გაგიგონ კიდევ, თუ არადა, შენი



სიყვარულისთვის იბრძოლე და ისე მოიქეცი, როგორც გული გიკარნახებს. წარმატებები!“

ნინკა 18:

„იმედია, საკუთარ გრძნობაში და იმ ბიჭის სიყვარულშიც დარწმუნებული ხარ. მშობლების წინააღმდეგ ნუ წახვალ. მათ აუხსენი, რასაც განიცდი და აუცილებლად გაგიგებენ!“

უცნობი:


„თუ საკუთარ გრძნობებში დარწმუნებული ხარ და ის ბიჭი მართლა გიყვარს, მაშინ მშობლებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. რატომ უნდა გაცვალო საყვარელი ადამიანი ფულიან ბიჭზე?“

თაპო, 23 წლის:

„შენი გრძნობა არ დამალო. მშობლებს უთხარი, რომ გიყვარს და მათ „ლოვე“ გააცანი კიდევ. სიყვარულის გარეშე ოჯახის შექმნა არ ღირს. გაპარვას ყოველთვის მოასწრებ, ეს არ იჩქარო. მერწმუნე, ოდესმე მშობლები აუცილებლად გაგიგებენ. წარმატებებს გისურვებ!“

კნინი:

„გირჩევ, მშობლებს გულახდილად დაელაპარაკო... და მანც, თუ გარიგებაზე ალაპარაკდებიან, მაშინ მოიქეცი ისე, როგორც გული გიკარნახებს. P.S. დაფიქრდი, იმ ბიჭს მართლა უყვარხარ?“





მოხილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოხილი-ზასიაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ გრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მისიჯის ფასი 50 თეთრი

ქალები



1. გაეცნობ სიმბათიურ, მოსიყვარულე მწვეთვალე ბიჭს, თბილისელს, 18-დან 24 წლამდე ვარ ლამაზი და საყვარელი გოგო.
2. მინდა, გაეცნო ოჯახის შექმნის პურსაქტით 43-50 წლამდე ასაკის, სერიოზული, დამოუკიდებელი მამაკაცი. ვარ ქვრივი, ბინით, დადებითი მონაცემებით. ანა.
3. ვარ 19 წლის, ცოტა პუტუნა, სასაიამოვნო გარეგნობის, მაღალი გოგო. მინდა, გაეცნო ახვე სასაიამოვნო გარეგნობის ბიჭი, არანაკლებ 190 სმ სიმაღლის.
4. ვარ 20 წლის, გაეცნობ 25 წლამდე ბიჭს. ლიკა.



მამაკაცები

5. ოჯახის შექმნის მიზნით გაეცნობ 35 წლამდე ასაკის, ქართველ, მართლმადიდებელ გოგონას. ვარ 46/165/75, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი მამაკაცი.
6. ვარ 30 წლის, მაღალი, უცოლო, თბილისელი ბიჭი. გაეცნობ 19-25 წლამდე გოგოს. ვარ კარგი ხასიათის.
7. გაეცნობ მარტო მცხოვრებ ქალბატონს. ცუდი ტიპი არ ვარ, უზრალად, მარტო ვარ. დათა.
8. ვეძებურები „გზა“ №28-ში დაბეჭდილ, მე-3 SMS-ის ავტორს. ვარ 23 წლის, სახელად — გიორგი. თუ შეგიძლიათ, ჩემი ნომერი მიეცით ან მე მომეცით მისი ნომერი.
9. ვარ 46 წლის ვეძებურები 28-ე ნომრის 1-ელი SMS-ის ავტორ ქალბატონს. თუ სურვილი

4. აქვს, დამიკავშირდეს. ზაზა.
10. გაეცნობ ლამაზ მანდილოსანს, 20-დან 40 წლამდე. ვარ 32 წლის. ვცხოვრობ თბილისში, მარტო.
11. ვარ ლამაზი, ცისფერთვალე, მაღალი. მაქვს ბინა თბილისში და აგარაკი — რაჭაში. ვარ 23 წლის.
12. ვეძებურები „გზა“ №31-ში მე-3 სმს-ის ავტორს. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. 23 წლის თბილისელი დათო.
13. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი 31-ე ნომრის მე-2 სმს-ის ავტორს. დათო.
14. გთხოვთ, მომცეთ 30-ე ნომრის მე-17 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
15. გთხოვთ, მომეცით „გზა“ №31, 1-ელი სმს-ის ავტორის ნომერი.
16. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №31, მე-2 სმს-ის ავტორის ნომერი.
17. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №31, მე-2 და მე-3 SMS-ის ავტორების ნომრები.
18. ოჯახის შექმნის მიზნით გაეცნობ გაუთხოვარ ან მარტოდ დარჩენილ, აუცილებლად უშივილო და აუცილებლად პატიოსან(ს) ქალბატონს. 57 წლის ზურაბი.
19. გაეცნობ გოგოს, 35 წლამდე. თბილს, მოალერსეს და მოსიყვარულეს.
20. მინდა, გაეცნო კახეთში მცხოვრები გოგონა, სასაიამოვნო ურთიერთობისთვის, 20-დან 30 წლამდე. სასურველია, იყოს განათხოვარი. გელთ მოუთმენლად. ზურა.
21. ვეძებურები „გზა“ №31-დან მე-3 სმს-ის ავტორს, თაშუნას. გთხოვთ, მისცეთ ჩემი ნომერი. გმადლობ.
22. ვეძებურები №31 უფრნალში გამოქვეყნებული, მე-10 მესიჯის ავტორს. ვარ 33 წლის. გთხოვთ, მისცეთ ნომერი.
23. ვარ ყველანაირად მონესრიგებული, დასაქმებული ბიჭი. ვცხოვრობ თბილისში. გაეცნობ მანდილოსანს, თუნდაც პუტუნას.
24. გაეცნობ 21-25 წლამდე მანდილოსანს. დათო.
25. გთხოვთ, მომცეთ 32-ე ნომრის მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი. ვარ თბილისელი, მყავს მანქანა ფერარი. ასე ვაცნობის არ მჯერა.
26. გაეცნობ ერთგულ და მოსიყვარულე გოგონას, რომელსაც ერთხელ უკვე არ გაუშართლა და გული აქვს ნატყენი. სასურველია, იყოს 25-33 წლის. ვარ 35 წლის, სიმბათიური მამაკაცი.
27. ოჯახის შექმნის მიზნით, გაეცნობ 35 წლამდე ქართველ, მართლმადიდებელ გოგონას.

- ვარ 46/165/75, სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი, თბილისელი მამაკაცი.
28. ვარ 30 წლის, 184/91, დასაქმებული ბიჭი. გაეცნობ უპრეტენზიო, დამოუკიდებელ გოგოს.
29. გაეცნობ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 29 წლის, 168/59, ქერა.
30. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ 31-ში გამოქვეყნებული, მე-3 სმს-ის ავტორის ნომერი.
31. ვარ სიმბათიური მამაკაცი, 32 წლის. გაეცნობ მხოლოდ თბილისელ მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ წესიერი და ზრდილობიანი. იყოს თუნდაც განათხოვარი.
32. ვეძებურები 32-ე ნომრის მე-3 სმს-ის ავტორს, ცისფერთვალე გოგოს. გთხოვთ, მომცეთ მისი ტელეფონის ნომერი.
33. ვარ 22 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილი, ფოთელი, ოჯახის შექმნის მიზნით, გაეცნობ ქართულ ტრადიციებზე აღზრდილ გოგონას, სასურველია, ფოთელს.
34. გაეცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს. გიორგი.
35. გთხოვთ, მომცეთ მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი.
36. ვეძებურები 32-ე ნომრის მე-3 სმს-ის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ ნომერი.
37. ვეძებურები 32-ე ნომრის მე-3 სმს-ის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი.

ყურადღება! გათავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილი-ზასიისთვის“ გამოსავლენილი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრიბილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

38. ვარ 33/190/90 თბილისელი, ბინიანი, საორტული აღნაგობის, ამჟამად ვიმყოფები პატემრობაში. ოჯახის შექმნის მიზნით, გავიცნობ ერთეულ და მოსიყვარულე გოგონას, 20-35 წლამდე, თუნდაც განათხოვარი. ჩემი კოორდინატები აქვს მარის. ველი თქვენს წერილებს. სასურველია, სურათთან ერთად. პატივისცემით, ნუგზარი.

39. დამინტერესა „გზა“ №29-დან მე-3, მე-5, მე-6 მსიყვების ავტორების გაცნობა.



ვეკვებ

მგზავნებო, ძალიან გთხოვთ, მომანოდეთ ინფორმაცია. ვუჭებ ჩემს მეგობრებს, გარგულია მაკა — 2003-ში ცხოვრობდა თბილისში, ვაზისუბანში. ვიქცია დალი — ცხოვრობდა თბილისში, საბურთალოზე, საპორტის სასახლის გვერდით, ბარაკებში და ლაქერბაია ივეტა — წარმოშობით გალიდან, ადრე ცხოვრობდა მოსკოვის პროსპექტზე, მერე წუცხბიძეს ალატოზე. თუ ვინმეს გაგაჩნიათ ინფორმაცია, მომწერეთ ან თვითონ მომწერონ. მისამართი მარის აქვს პატ. ნუგვამი.



სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო და თავლაკვერა, როგორ ხარ? დე, იცი, როგორ მიკაქალ? მთავრემდე, დე... მოკოლადის პტილი ხალ (ასე იცოდნი, პატარა რომ იყავი, გახსოვს?). დედას სიამაყე... შენ ხომ ჩემი ძლიერი ბიჭი ხარ... ჩვენ შენ გვერდით ვართ, მანძილი, ბადრაგი და გისოსები ვერ შეგვიშლის ხელს სიხალკვეში, დე... მთავრია, გული და სული რას გრძნობს. სულს და სიყვარულს ხომ გისოსები ვერ დააკავებს, დე... შემოძვრება შენთან დედას სიყვარული და სული და გეფერება ხოლმე, როცა გინავს, როცა გღვიძავს... შენს ქოჩორს ვეფერები, თვალეხს და მკერდზე გკოცნი... დარწმუნებულად ვარ, ჩემი ვაჟაკი ამ დროს გრძნობს, რომ დედა მასთანაა... მეც პატიმარი ვარ და შენთან ერთად ვინაწილებ სასჯელს, დე... უფრო შეგვიმსუბუქებდე... კარგი, მოვრჩები ახლა, თორემ უკვე სმაპალა ავტორები. საბუჯა გავაგაფებს ყველას, ნამდვილი გადარუულია. ქცევებითაც კი ისე გგავს, გაცოდები. საჭესთან დამსვიო, მისხოვს, კალთაში ჩავისვამ ხოლმე და ალიის თავიდან ერთად მოგვყავს მანქანა. აპიპინებს და უხარია უნდა ნახო, როგორ ატრიპლებს საჭეს. ისე, ტყუილად კი არა, მოსახვევს რომ დაინახავს, იქით ატრიალებს, მთელი ძალით, მერე გაასწორებს. ნამდვილი მაიმუნია. ბადრისთან ახალი არაფერია. დაგვირეცა, კარგად ვარო. წერილის გამოგზავნა გაძვირდა, 45 ლარი გახდა. შენც იცოდე, რომ თანხა დაიტოვო, როცა გამოგზავნას დააპირებ. ჩემო სიხა-

რულო, ღმერთი გვარავდე. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალეხს. დედა.

• ჩემო სიხარულო, როგორ ხარ? როგორ ძლებ მანდ, ამ სიცხეში? რომ ვფიქრობ, როგორც იქნები, გული მიკვდება. სიგიჟემდე მენატრები. ერთი სული მაქვს, როდის გნახავ და შორიდან მოგვეფერები. ჩვენი ლამაზი საბა იცი, რა მაგარი ტიპია? იზრდება და შენ გვსგავსება. ყველა პატარა ხულიგანს ეძახის. ისეთი შავია, ნამდვილი პატარა მუჟელია დღეს ნინელი ბებისას უთხრა, ცოლი უნდა მოვიყვანო და ბევრი ვაკოცო. ვითხეთ, ცოლი სად მიგყავსო და აქ, ბებიასთანო. მეონი, შენს მოსვლამდე მართლა დაგახვედრებს პატარა ცოლს (რაღა მიჭირს :) ამას მე ვწერ, დედა). ერთი წუთით არ ისვენებს, სულ მოძრაობს. ტანსაცმელს თვითონ ირჩევს და მაიკოს სუნამო დამასხიო, გარეთ ისე არ გადის. გვიყვარხარ ყველას და ველოდები იმ დღეს, როცა შენც და ბადრიც მოხვალთ ჩვენთან. არაფერზე იდარდო, თავს გაუფრთხილდი. მიყვარხარ ყველას და ყველაფერზე მუტად. გკოცნი ბევრს, ჩემი მაგარი ბიჭი ხარ. დროებით. ნინო.

• დათო, ძალიან მენატრები. ნეტავ როდის დასრულდება ეს ყველაფერი და ერთად როდის ვიქნებით? ახალი არაფერია ვერაფერობით და ვეცდები, მალე გნახო. ყველა კარგადაა. გკოცნი ხათო.

• 3.198გი, უზომოდ მენატრები, უშენობა საშინლად მორღუნავს. განვიცდი ყოველ წუთს და ყოველ წამს, უშენოდ გატარებულს. თავს გაუფრთხილდი, ბუუს. მიყვარხარ. შენი თეე.

• 3.198 ნეტავ როგორ ხარ გი, რა წელა მიიზღაზნება დღეები, თიდან თეემდე. მინდა მალე გნახო. საბამ და ნიამ მოგიკითხეს იყო ჩამოვიდა, ნიკუშაც ახლავს გკოცნი ბევრს. თეე.

• იკა, დე, როგორ ხარ? რომ გნახე, ახლაც არ ვარ გამოსული მდგომარეობიდან. ძალიან მიჭირს უშენობა. შენ მსეთი სასონარკვეთილი რომ გნახე, მას მერე ცრემლი არ შემშრობია თვალეხიდან. შენ მაქედან სტიმული უნდა მომცე, რომ ვიბრძოლო და დაგემბარო. არ უნდა გატყდე. დამიჯერე, ყველაფერი კარგად იქნება. გქონდეს ჩემი იმედი. ლუკა, ეთერი და გიო გურიამი ნავიდინენ.

• თეე... მხოლოდ მონატრებამ შეიძლება გაგრძობინოს, ვის და რის გარეშე არ შეგიძლია ცხოვრება... მე აღარაფერი გამაკვირებს ამქვეყნად, ჩემო, თუშეცა რაც არ გველაგს, ის გვაძლიერებსო, ასე ყოფილა, ჩემო... მიყვარხარ... მდლობელი ვარ იმ ბუნდირი წუთებისთვის, შენ რომ მაჩუქე მიყვარხარ იმიტომ, რომ ყოველთვის გტკოდა ჩემი ტკივილი, გინაროდა ჩემი სიხარული, ჩემი სიცილით იციხიდი და ჩემი ფიქრებით ფიქრობდი... მედარდები... ტკივილამდე მენატრები, გელოდები, ყოველ წუთს შენ გელოდები, ვიცი მოხვალ ჩვეული ღიმილით და დამავიწყებ, რაც იყო... უნდა დამთავრდეს ცული სიზმარი... ჩემო იმედო, მიყვარხარ, მიყვარხარ ძალიან, აბა შენ იცი, გელოდები, შენი ბუტია.

• მა... როგორ ხარ, ძალიან მომენტატრე, ყველა კარგად ვართ. შენ არ ინერვიულო, მიყვარხარ, ყველაზე კარგო, დედა კარგადაა, გკოცნი. დაკო, სანდარი.

• ზეჯსკი, როგორ ხარ? შენი იმედი მაქვს, რომ ყოველთვის კარგად იქნები და თავს გაუფრთხილდები. ტანსაცმელი იმიტომ არ შემოგანოდეთ, გვეგონა, სხვაგან გადაგიყვანდნენ. სვალ ნახვის უფლებას ავიღებთ. აქ ყველაფერი ძველებურად არის, ახალი არაფერია. აბა, შენ იცი დედი-

კო, თავს გაუფრთხილდი. ყველას გვენატრები. ღმერთი გვარავდე.

• თეე... აქ ყველაფერი ძველებურადაა, ველოდებით ყოველდღე სიხალეს, სამასხურში ყველაფერი რიგზეა, ბიჭებს ყოველი წუთი გათვლილი აქვთ, ენატრები ყველას ბუტია.

• თეე... სანდრი მაიკოს მიჰყავს სოფელში, უხარია ძალიან, 10 დღეს დარჩებიან ალბათ, შენი სიძლიერის იმედი მაქვს, ჩემო საყვარელო, მე კარგად ვარ, გელოდები, ბუტია.

• თეე... მინდა ბევრი მოგწერო, მაგრამ შესაფერის სიტყვებს ვერ ვპოულობ, იმედინად იყავი, გვარავდე ღმერთი, მე სულ შენთან ვარ, როგორ მომენტატრე გკოცნი ბუტია.

• იკა. მენატრები ძალიან! შენი ხმა, შენი სუნი, შენი ჩახუტება მენატრება... რას არ მიცვლდი იმის დასაბრუნებლად, რაც ადრე ყოველდღიურობა გვეგონა და რაც უდიდესი ბუნდირება ყოფილა გელოდები, საწუკვარო და მჯერა, რომ დაბრუნები ტკივილებს წამლი. გახსოვდე, რა გახსოვდეს, მე შენი ვარ და შენ ჩემი ან და მარადის! ტომირანდა.

• 3.198გი, როგორ ხარ? ძალიან მენატრები, ბუუს. ამწუთს ნიკოსთან ამხანაგები არიან მოსული და ხალისობენ ბავშვები. მე და ჯესი კი ვსხედვართ კიბეზე სახლის წინ და გაცურებთ ქუჩას. არაფრის ხალისი აღარ მაქვს უშენოდ. ნეტავ, რა მოუფერხო თავს? ძალიან მინდა აქ იყო. მომენტატრა შენთან საუბარი, შენი მსჯელობა. როგორ მაკვირხარ. სვლიდან გვადივარ შეგებულებაში. გადავივალე სამინლადა, თორემ არსად წასვლის სურვილი არ მაქვს. ბავშვებიც მეცოდებიან, როგორია, მუდმივად ცრემლიან თვალეხს დედის ცქერა? მენატრები ბუუს და არ ვიცი შენთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ყოველი გაღიმება უშენოდ, ნაძალადეგია. ნეტავ ჩემ გვერდით იყო და ნებისმიერ გასაჭირს გაუფრთხილდი. თეე.

• 3.198გი, თავს გაუფრთხილდი. იმ იმედით ვარსებობ, რომ მალე დამთავრდება ჩვენი ტკივილი. მომავალს იმედით ვუყურებ, მაგრამ მხოლოდ შენთან ერთად ყოფნის შემთხვევაში. თეე.

• 3.198გი, სამინლადა მომთქალა სვედა ამ დროს სულ ერთად მივდიოდით. ნეტავ რა ფიქრები განუხუხებს. ერთი განამდეს და გველოდეს, მუდამ შენზე ვფიქრობ და ვვარვარ. ნებისმიერ გადადგმულ ნაბიჯს შენი თვალთ ვუყვარდები და ვსაზღვრავ გი, ვცხოვრობ მხოლოდ შევიღებისა და შენი ცხოვრებით. ღმერთმა მალე დამიბრუნოს შენი თავი და დავარეული ხალისი. მენატრები, მიყვარხარ უზომოდ. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ და ამ განმორების თვეებმა იმაში დამარწმუნა, რომ უშენობა ჩემთვის ჯოჯოხეთია. გკოცნი. შენი თეე.

• თეე... ჩემს დარდს რომ შეველოს ნვიმად გადაქცევა... თქეშად დაუფლიდა ქუჩებს, ჩემო ფიქრო, ჩემო ნატვრავ და ჩემო იმედო, არ დამელალო გეხვეწები, შენი ბუტია.

• თეე რამდენი დამრჩა ნეტავ შენამდე... ნეტავ რამდენი? მენატრები, სიცოცხლედე ჩემო... ტკივილი ძილი გისურვო მინდა... მიყვარხარ ჩემო, შენი ბუტია.

• თეე... ვსხედვართ ოთახში მე და სიჩუმე... და უსასრულოდ ვსაუბრობთ შენზე, ჩემო იმედო, შენ სულ ჩემთან ხარ, ყველა ბილიკი შენით იწყება და ყველა გზიდან შენთან ვბრუნდები... ჩემო, ხომ იცი... ყველა მარცხი უფლის დარიგებაა... არაფერია, ეს დღეები გადავივლიან... მინდა ვიცოდე, რომ კარგად მყავარ... შენი ბუტია.

• თეე, გოგონები ნავიდინენ გურიამი, შენი



დედიკო კარგადაა, თვის ბოლომდე იქ დარჩებიან, არაფერზე ინერვიულო, მინდა მშვიდად მყავდე, ყველაფერი დალაგდება... ბუტია.

• თუ, ძამიკო, როგორ ხარ? იმედით შევყურებთ ყოველ დღეს. გოცნით და გვეფერებით, შენი საყვარელი კუთხიდან. ელენე კარგადაა ძალიან გვეჯატრები. გალაქტიონუნა 2 და 3.

• ჩემო საყვარელო და საამაყო ბიძია, ძალიან გვეჯატრებთ და გვაკლიხარ. მე ელიკა ბუბოსთან ვარ. დედიკო და ია დეიდაც აქაა მჯერა, რომ ძლიერი ხარ.

• დილა მშვიდობისა, ძამიკო. ჩვენ ახლა სამყაროს ცენტრში ვართ. შენ ხომ ასე ეძახი ჩვენს სოფელს. შენ აქ ყველა ძალიან უყვარხარ და ყველა გულით გლოვდება.

• შენ ჩემს მეტი ვრავინ შეგეყვარებს, სხვისი ღირსი შენ არა ხარ, იცოდეს! მე მარტე მგ თვალბის ელვარება, და ეგ გული ჯილდოდ გამოიწოდეს.

• ბიძი, როგორ მოგვანატრე თავი. ჩვენ ყველანი კარგად ვართ, ბაბაროში ვისვენებთ. მარიკუნა პატარა ქალია, გატლევკილი, ფეხებიც გაუსწორდა უყუ, რომ დასცილობდი. ჰმ... თველე.

• მარიკუნას მალე დაიკა ან ძამიკო ყოილება, მეც ცოტას ვინებოზ და შენს დაიკოს ვაბრახებთ სოლზე ყველა ერთად. ხვალ მამუკა ჩამოვა და ბარში გურუნდებით. თველე.

• ბაბაროში ჯიხეთის მონასტრის ნინამსღვარი, მამა ანდრეა გავიციანი, ხშირად ესაუბრობთ სოლზე ძალიან ბევრს ლოცულობს შენთვის. გოცნით უამრავს. თეო, ლია, მარიკუნა.

• მამიდა შემოგველოს, ჩემო საამაყო, კეთილო ბიჭო, შენ ფასდაუდებელი განძი, ჩემი გულის ნაწილი ხარ. შენს ღირსებას ჩრდილს ვრავფერი მიაყენებს. გეყვარხარ. ლოლუნტი.

• თვე, ჩემო გამარჯვებულო, უშენოდ არც ღამდება, არც თენდება შენ ხარ ჩვენი ფიქრი. უფალი გადმოგვცხადებს. მალე გიხილავთ, შენებური შემართებით. გოცნის შენი სიდედრი.

• 3.198გი, ახლა ბათუმში ვართ, იკოსთან ერთად. დღეს ჩამოვდით. შაბათია. ქსენი 2 დღით ადრე ჩამოვიდნენ. ნემსს სამინლადა. ვიფიქრე, იქნებ ადგილის შეცვლამ ცოტა გუნება გამოიხსნოროს-თეო, მაგრამ უარესად ვარ. აქ უფრო მეტად მაკლიხარ. საბამ შეიცხადა, გაის ნაყიდი უჭტონები დამაინყდაო. ბუუს, მე მგონი, აქ 5 დღეს ვერ დავრჩები. ისევ სასლში მიჩრქენია ყოფნა. ძალიან მეჩატრები ბუუს, მიყვარხარ. საშინლადა ვგრძობნო თავს უშენოდ. ბუუს, ყველაფერი შენს თავს მაგონებს და მნატრებს. თავს გაუფრთხილდი. გოცნი. თე.

• იკას. მალე გაივლის ნამება, ოხვრა, შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ხელებით! მოხვალ დალოლი, მეტყე: როგორ ხარ? მოხვალ და ვიცი, მომეფერები. ტომირანდა

• იკას. რამდენი ხანია, არ მინახავარ, ნეტავ როდის იქნები სასლში? ნეტავ როდის გავიგებ შენს საყვარელ ხმას? როგორ მინდა შენთან, როგორ მინდა შენთან, ჩემო მანგოლია...

• მითხარი, გიყვარვარ ძველებურად? მე ისევ ისე გავიყვით მიყვარხარ, იკა! გემუდარები, თავს გაუფრთხილდი, ხომ იცი, რამხელა სისარულის მოტანა შეგიძლია ჩემთვის? შორიდან გვეფერები და გოცნი დაუსრულებლად. ნუქელაც დამსიზმრე, ჩაგეტყუე, მაგრამ თან გული მწყდებოდა, ცივი ხარ, როგორც შენი სურათია ხოლმე, როცა გოცნი-მეთეი. არ ვარ, აბა, ახლა მაკოცე და ნახავო. მეც სულ დაგიკოცე უსაყვარლესი სახე, ყელი და სიზმარშიც ვიფრქვი შენი სითბო. ბედნიერებისგან ვტიროდი და თან გოცნიდი მუუს-

ვნებლად. როდის ამხდება ნეტავ სიზმრები? მე ყოველამე ვლოცულობ შენთვის. ღვთისმშობელს ვაბარებ შენს თავს ძველებურად და შენს დაბრუნებას ვთხოვ უფალს. ილოცე შენც ტომირანდა.

• იკას. მარტო მე კი არ მიყვარხარ იკა, ყველას, ყველას! დედაშენი რომ ჩამოვიდა, შენი კარადა გამოალო, ტანსაცმელს ეფერებოდა და ტიროდა. გული ჩამწყდა, ცუდადაა უშენოდ.

• იკას. შენ არ უნდა დაკარგო იმედი, შენ ჩვენთვის უნდა გუქლო და როცა დაგვიბრუნდები, მზისხელა სისარული მოგვტანო. ჩემი მაგარი ბიჭი რომ ხარ, არ დაგაფრწყდე!

• ვვაჭი, როგორ ხარ? ჩვენ ვართ, რა გუშინ როლოს დაბდე იყო და გვაკლდი ძან. აქეთ არაფერია ახალი. გვეჯატრები, ბიჭებმა მოგიკითხეს. დეა.

• ულიბკა, ძალიან უინტერესო გახდა „გზა“ უშენოდ, რატომ არაფერს წერ? ამათი ნაბოდეგის ნაკითხვას სულ რომ არ წაიკითხო, ჯობია დაგვიბრუნდი, რაააა.

• გამარჯობა, როგორ ხართ? აქამდე ვერ გწერდით, ტელეფონი გამიფუჭდა. თქვენთან დაახლოვებაც ამიტომ ვერ მოვახერხებ. ბაბულეცუნა.

• არის, ასრულდა! გადგაფრენდი ჩემს საყვარელ შავ ზღაში. : ზღვა ხომ მიყვარს და მიყვარს, მაგრამ შავი როა, მაგიტომ ვარ თლათ გადარეული. : ატარეუსია.

• პირველად გწერთ და ძალიან გამიხარდება, ჩემს მესიჯს „გზაში“ თუ ვიხილავ ყველანი მაგრები ხართ. PS. მოვიკითხავ რუისპირს, SEX BOY-ს და ნიკოლოს. მისის ბარბი.

• ხითი, ხითიუს : მიყვარს, პოზიციებს რომ თიბოვნ. მართალია, პირობა დადე, აღარ გახსენებო, მაგრამ ვიცოდი, ჩემს შარს რომ გულგრილად ვერ აუვლიდი გვერდს : ატარეუსია.

• ლი23-ს: გმადლობ, გენაცვალე, სიმპათიისთვის, სწორედ პირდაპირობას ვუზადელი იმას, რომ ვერ მიტანენ. : გინვდი მეგობრობის ხელს და წახოთ, რამე თუ გამოგვივა : ატარეუსია.

• აჩრდილს: დიდი მადლობა, ამ ადღეობილი მასისგან რომ გამომარჩიე. : ჩემს თავსაც მადლობა, გამოჩრქული რომ ვარ, იმიტომ. : საინტერესოა, ვისი ან რისი აჩრდილი ხარ? ატარეუსია.

• მე განდიდების მანია არ მაქვს, ქალღმერთებს მსგავსი სისუსტეები არ გვახასიათებს. : ატარეუსია.

• მოკითხვა იმ ხალხს, ვისაც ვუხარავარ აქ. : PS. და რაღა თქმა უნდა, არანორმალურებსა და რამეებთან მოვარდნილებსაც. : უყვარხართ ეგეთი ატარეუსია.

• მარი გამარჯობა, როგორ ხართ, თუ იკით? ლი23-ს მიგმართავ ლიზი, მაილზე მომწერე, რა INAKO.B@POSTAGE თუ შეგიძლიააააააა.

• აურას: რას ვმერები და ზღაზე ვისვენებსავით, გარკვეული და გაურკვეველი ეროვნების ხალხთან ერთად. : თავად როგორ გიკითხოთ? : ატარეუსია.

• რუისპირის: ჰო, ამბობენ. : ატარეუსია.

• SEX BOY-ს: ჩემს ძარღვებში მხოლოდ სამეფო სისხლი არ ჩქეცხვ, დანარჩენი კი ყველაფერი მაქვს იმისათვის, რომ დედოფლობა დავიმშვეწო. : ატარეუსია.

• დედოფალი ვარ, მა რა, ერთი დიადებს და სუფეველი მაკლია მარტო. : ატარეუსია.

• ცნობისათვის, ისტორიაში თითზე ჩამოსთველია ისეთი ფაქტები, როცა მეფემ ცოლად დედოფალი შეირთო. : ატარეუსია.

• უკვე ამომასხა! მე, პედერასტი ნიკოლო გაუბნები, რომ ნებისმიერი წერიანი, მეძვიე ქალი გჯობია შენ! ტელეფონი ჩართე, პასუხი გაქვს

გასაცემი! სულ მკიდა, გოგო ხარ თუ 7 თვის ჩვილი! ძველებში დამამტრევე შე არარაობაზე შენი სახელი და გვარი თუ გავიგე, სხვა რამესაც გავიგებ და მერე საკუთარ თავზე პასუხს აღარ ვაგებ. შენთვისაც ჯობია, ტელეფონზე დამლაპარაკო. იცოდე, გინება მინც არ აცდებდა, შეტეხამ PS. არ მინდოდა სახალხოდ მერჩია საქმეები, მაგრამ სხვა გზა არ დამიტოვე. ნიკოლო.

• მინდა, ასპინძაში მოვიკითხო XII-პ კლასი. როგორ ვეუბნები? ძალიან შენატრებით, ყველა მიყვარხართ. სვეტა.

• მაგისტრატურაზე ჩავაბარარე გვარებულ, ავითრებულ, აცემუტებულ და რა ვიცი კიდე ათასი ოსრობაზე. : ატარეუსია.

• აურა, მისარია ჩემზე ასე თუ ექირობ. მისის ბარბი და ინა, გახარეთ, მოკითხვა მიღებულია. რომ არ გიცნობთ, არ ტეხავს? უნდა გამოვასწოროთ ეს აშავი, ბავშვებო. : ნიკოლო.

• ლი23, უყვარხარ ნიკოლოს ძალიან. ნევიროზიანო, ჯიგარი ხარ. არ გინდა, დამკვირვებლის როლში ყოფნა, შემოგვიერთიდი. CRAZY GIRL, მარტვილელ-ჩოხსატურული ვარ. : შენ? ნიკოლო.

• მამცაცუნას და ყველა მგზავნელს უღრმესი მადლობა, ვინც შეეცადა წინ აღდგომოდა ბინტურ ინტერიანთა თარეშს, „გზის“ ფურცლებზე ძმები ხართ. ნიკოლო.

• მარ, იმედა, დამიბეჭდავ. : ვკითხულობ ხოლმე და რუისპირის სმ-ში მხედება თვალში. ალბათ იმიტომ, რომ რუისპირში ხშირად ვარ... : ბერძენა.

• კარგად ვარ, აურა, გმადლობ მოკითხვისთვის. შენც ხომ კარგად ხარ? პატივისცემით, ჯსავი PS. სატია, ცოცხალი ხარ? თათა, შენ?

• ნიკოლო, ატარეუსია, CRAZY GIRL, ლუნა, თქვენი გაცნობა მინდა. : გაფასებთ შორიდან. სუპერსთარ, დამკონტაქტე რუი, შე საზიზლარო, ნე იკარგები. გახარეთ. აუტანელი.

• აუ, საილორბე, შენ მინდა გავიცნო. როგორ დაგიკავშირდე? ერთად დაფუსათ ნერტილი ქალაქუნა რუისპირის და მავის დამქში ნიკოლოს პარაშს „გზაში“! არა მგონია, ლოვეები იყვნენ და ეს ჩემი საქმე არც არის. ფაქტი ის არის, რომ ვერც ერთს ვერ ვიტან. ეს ნიკოლო ხომ ვაფემ თავგასული, ქრეველი ღლაპია თავის ადგილზე უნდა მოესტავო.

• ბოღებო! შურიანებო! შუშვით ჩემს რუის და ვაბზე ყველას. პრინციპში, ცუდას რად უნდა მტრობა, კარგია მუდამ მტრიანი. ასე რომ... აუტანელი.

• უფრო მიყვარხარ, ჩემო ანგელოზო, ზღაბარი მგონია, რაც გავიგე. ორივეს გაღმერთებთ. ალი.

• დამიჯერე, მინაზე ფეხს არ ვაკარებ, ლამის გული გამისკვებს სისარულით. თვალისწინივით გაგიფრთხილდები, არ შემინდე, მიყვარხარ. ალი.

• ძველი მგზავნელები ახლებს არ გვადრულობთ? ავი მეგობრულები ხართ? მდა... ახლებო, დავოქვთ შეხვედრის დღე და ადგილი, ჰო და შეხვედეთ რაა, LIVE-ში დაფეგობრდეთ. ლი23.

• რა მალე გავიდა ზაფხული და საერთოდ, დრო ძალიან სწრაფად გადის. თუ შექვენება? ჰო, მოვიკითხავ დიდი სიყვარულით ბარამბოს, აურას, ინას, ატარეუსიას, ნაომის. თქვენი ლი23.

• მარი, რა ყველა გუწათალებული და უბრუნელია ამ „მოიბილი-ზაკიანი“? რა თქმა უნდა, სუყველას არ ვვულისხმობ. ძალიან მწყინს, ბოლომდე რომ არ მიბეჭდავ გზაწილებს. ძალიან ვთხოვ ახლა რაც დაგინერე, დამიბეჭდე აუცილებლად.

• მოგვსალმები! პირველ რიგში, მიგმართავ



„თეთროს“. ჩემო კარგო, რაც მე დაგწერე, არის ნამდვილი სიმართლე და ჩემი თუ არ გვერს, ძალიან არ მაღარდებს. ეტყობა, ვიღაც პატიმარ-მა მგერად გატყინა გული, გამოგიყენა და იმიტომ ხარ ასეთი დაგრუზული და გამწარებული. აქედან არ მელირსოს გასვლა, მე არ ვიტყუებ და სუყველა ერთნაირი არ არის. მე არავის შეშმას არ ვაპირებ, ნამდვილად მინდა გავიცნო მანდილოსანი, ვინც შემიყვარებს და გახდება ჩემი ცოლი, იცხოვრებს, თუ სურვილი ექნება, ჩემს ოჯახში. მე არ ვერთობი და არავის არ ვატყუებ. უბრალოდ, კარგად დაფიქრდი, არ ვარ მატყუარა და არავფრს არ ვიგონებ. ღმერთი გფარავდეს. პატ. ნუგოპი.

• მოგვალეებით, მგზავნილებო! პირველ რიგში მივმართავ ქვრივს, დიდი მადლობა რჩევებისთვის, დიდი სიამოვნებით გაიცნობდი მეგობრობისთვის. ასევე რჩევებისთვის მადლობა კუნველას. განსარეთ!!! ერთი მითხარით, მგზავნილებო, რადგან ამჟამად ვარ პატიმარი, არ მაქვს სიყვარულისა და ბედნიერების უფლება? ან ზოგიერთს რატომ ჰგონია, რომ ვინმეს ვაბა და ვატყუებ? იმ ვაკაცის დედა ვატყვ, ვინც გოგოს მოატყუებს და გამოიყენებს. აქ როგორც ვთქვამ, უმეტესობა ერთობა, სუყველა არ ვფულიანობ. ნამდვილად ერთგულება სიყვარული, გაგება ყველა ანგარების გარეშე ერთგულს შეუძლია გავიცნობდი ლი 23, ლიზი 123, ვიუტ-სტარს. თამუნა მიქელასე, რატომ არ მპასუხობ? გამოართვი ჩემს დიკოს, მარიკუნას ჩემი მისამართი და მომწერე წერილი ან შენი ტელეფონის ნომერი მომცეს. ვინც ფულის გულისთვის ცოლს მოიყვანს ან გათხოვდება, მერწმუნეთ, იმწუთსაც ის მათხოვრდება პატ. ნუგოპი.

• საღამო მის რეალ! როგორ ხარ, ჩემო კარგო? რა ხდება თელავში ახალი? მე შენ გიცნობ შორიდან, ადრე ნაციონალურთან ერთად ჩამოვდიოდი, კონცერტები რომ ტარდებოდა თელავში, ახლა კი პატიმარი ვარ. მის რეალ, შენთან სერიოზული საქმე მაქვს და აუცილებლად ან მომწერე ან მარი გეტყვის, სად ვიხდი სასჯელს და ვიდუბაპენით ვისაუბროთ. ნებისმიერ პრობლემის ბიურში მოითხოვ ვიდუბაპენს და ვბკამერის მეშვეობით განსავ და ვისაუბროთ. ვისაც კიდევ დაეხმება სურვილი, ჩემი ლაივში ნახვის, ანალოგიურად მიოქცეს. მის-რეალ, გკოცნი. პატ. ნუგოპი.

• მივალეებით სევდიან ქალს და ბიანკას. სევდიანი ქალი, მქმის შენი, ანალოგიურ სიტუაციაში და განცდებში მეც ვარ. რა იციან, რომ ჩემი გული მკვდარია და სიცილი ზოგჯერ ტირილზე მწარე? მონატრების ხეივანში ანთებული სიყვარულის უცნაური კვლამტარი, მერე უცხად ფიქრთა თოვა დაწყებულა, აღგზნებულა ოცნებათა თეთრი ქარი, ცრემლებს ღურჯი ტბის აუზი შეუქციათ, აფრენილან ზეცად მოგონებები, გრძობებს ჩუმიად სადღეგრძელო შესუსვიათ, უგალობდნენ ნახად თეთრი მტრელები, ჩავიძირე ამ ჯადოსნურ სამყაროში, კვლამტართან შენზე ფიქრებს ნავანყიდი, ჩემი გული დაიპყარი მოკლე დროში, შენთან სიყვარულის ომში დავმარცხდი. შენ გვიღვინება, სევდიანი ქალი. ბიანკა, მსურს შენთან მეგობრობა პატ. ნუგოპი.

• ტირიფი73ს, ლუნას, შვეთალება ნონას, ატარეისას, მსურს თქვენთან მეგობრობა და ძალიან გთხოვთ, მიპასუხოთ. MIS BEHOLDER, შენი ასაკი და გარეგნობა მაინტერესებს. სადაური ხარ წარმოშობით და სად ცხოვრობ? მე თბილისელი ვარ. წარმოშობით — რაჭიდან. ონის რაიონი, სოფ. გომი. ღმერთი გფარავდეთ. საღამო რაჭველებს. პატ. ნუგოპი.

• ელისოს: შხის სხივი ხარ ჩემი, ჩემო თვალსატულავ, მიიწყნე და მცირე, ილიმი და ვთბები, დაილოცოს ის დღე, საათი და წამი, 9 აგვისტოს დილა და შეხვედრა ჩვენი. ისე პატარას და ისე ერთი ციციქნას, თან მოგკინდა თურმე სიყვარულის ზრვები. ჩემო ფიქრის ფიქრო, ჩემო დარდის დარდო. ჩემო გულის გული, ჩემო სისარული, მოჩუქსუხე წყაროვ, ანკარავ და წმინდავ, გილოცავ და გკოცნი, ჩემო ცისფერთვალავ, იცი, როგორ მინდა შენთან, ხვდები, როგორ მტანჯავს სევდა, ვერ გადავალთ ღმერთის ნებას, მამატე, ვერ ვარ შენთან, გვერება დედა. ათენი 20116.

• მარი, მადლობა მინდა გადაგიხადო, რომ ჩემს გაუმართავ გზავნილებს რალაცას ამსგავსებ და ყოველთვის უძებნი ადგილს. მაშინ უსაფუქვლოდ გავბრაზდი შენზე და გისაყვედურე მომიტევე, ასე აღარ მოვიტევე. შენ უკეთ იცი, რისი და როდის დაბეჭდე ჯობია. ნიკოლო.

• ახლა კახეთი გამასწავდა ზოგჯერ საქვს გიუები უსხედან. მოკლედ, გურჯაანში მიმავალ ერთ მარშრუტკას მართავდა კაცი, რომელიც ხალხს აიძულებდა ან ეცეკვა, ან ექლერა, ან მთელი გზატამის დაკვირთი გაეტარებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში გამს ფესს აჭერს დიდი სიჩქარით მიქრის. ერთ დღეს ავარია მოუხდა და ერთ-ერთმა მგზავრმა ფეხი მოიტყება და ტკივილისგან კიოდა, მძლოლი კი მთელი ხმით უყვიროდა — რა გაკვილებს, ამ ბებრებს ვერ უყურებ, შენზე მტყად სტკივა, მაგრამ ხმას არ იღებსო და იქვე გარდაცვილილი მოხუცზე მოუთითა.

• ისე მომეწონა აქაური „დევიქნია“, რომ გადაწყვიტე, ჩემი სიყვარულის შესახებ ორიოდ სიტყვით მომეყოლა. 13 წლით უფროსი ბიჭი შემეყვარდა, მაგრამ მისი ასაკი მკვიდია. ვიცი, მასაც მოვწონვარ, მაგრამ თქმა უტყვდება. ერთხელ ლაპარაკი წამოიწყო და მოვაკეტინე ახლა ვნანობ... ნიკა, სიგაფემდე მიყვარხარ. ყველა მკვიდია. მათ შორის — უმწერი დედამწერიც. გაკოცე COOLGIRL.

• ლამაზი ქალი იმ გემრიელ ვაშლს ჰგავს, რომელიც ხოს კენწეროზე აბია ზოგიერთ კაცს ემინია კენწეროზე ასვლის, ამიტომ ისინი ძირნაყარი ვაშლით კმაყოფილდებიან. შეერგოთ! მალიშა.

• მარი, არ გრცხენია, მიკერძობული რომ ხარ? (სუთუ? არგუმენტები მჭირდება! — მკვ.) ზოგიერთ მგზავნიელს მფარველობა და ყველანაირი სისულელეს უბეჭდავ მაგალითად, რუისპარს, ლუნას, ლავასტას, სევდიან ქალს და ა.შ. (წამონათვალი არსარულია, მაგრამ ვინ იცის, რამდენი რამ არც მათთვის დამიბეჭდავს? — მკვ.) ბოლო ნომერში ნიკოლოს ნაბოდვარი რომ დაბეჭდა, რა იყო ეს? მაგის კრიშაც გახდი? (კიდევ ვისი კრიშა ვარ? — მკვ.) ცოტა მეტი ობიექტურობა გმართებს, ჩემო კარგო. ავერ ნახავ, რა ამბებს დავატრიალებ „მოზილი-ზაციაში“. თანამაზრებიც გამოიჩინდნენ უკვე და შენს რჩეულ მგზავნიელს ცუდი დღე ელთი. (ეს იგივეა, სახლში რომ შემომეჭრა და ჩემსავე მაგიდაზე მუშები მიბრაზუნო. 1-2 შენნარი მოგვცა ოპოზიციაში?! — მკვ.) ჩემი ნომერი ვისაც გინდა, იმას მიეცი, არავისი და არაფრის არ მემინია. არ გაბედო და შესაგალო ჩემზე არ ისაუბრო (წწუ, წწუ, წწუ... — მკვ.). ისე გამეცი პასუხი, თუ დავარჩა თავის გამამართლებელი საბუთი, საუროთოდ (ღადრ დამრჩა, სულ დავარივე — მკვ.) „გზაში“ ახალი სახეების დროა, ამოვიდა ყელში ეს ერთი და იგივე. შენ კიდევ ახლებს ბლოკავ და ანადგურებ (განადგურებულეობ, ხმა ამოიღეთ! — მკვ.) ციხე შინიდან

ტყდებო, ხომ გაგიგონია? მე ბევრი რამ ვიცი (აბა, მითხარი, რომელ წელს მოხდა ტრავალგარის ბრიძოლა? — მკვ.) ნაოში შენს მტოტბედ ვერ აქციე ხომ? ე.ი. დიქტატურა გაქვს დამყარებული (ძირს დიქტატორი მარი! — მკვ.) ლაქუცა ფინიებს მფარველობა და პირში მოქმელ, სიმართლის-მოყვარულ ადამიანებს თავზე უვლი. არ გრცხენია? შენი ანტიფანი.



გილოცავ!

• 12 აგვისტოს ჩემს დედიკოს ვულოცავ დაბადების დღეს. ლილო, მრავალს დესწარი და მიყვარხარ. მარიკა ვოჯუვა.

• ჩემს გოგონებს, ნათია და სოფო ზუბაშვილებს ვულოცავ ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულს. ამ დღის მადლი გფარავდეთ მუდამ. გისურვებთ ულევ სისარულს.

• მარი ჯავარიძეს, „გზას“ და მგზავნილებს ვულოცავ ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულს. მრავალს დესწარით, ამ დღის მადლი გფარავდეთ. მისის ფორტუნა.

• განცა და მარი ზუბაშვილებს ვულოცავ ფერისცვალების ბრწყინვალე დღესასწაულს მრავალს დესწარით, უფლისა და ამ დღის მადლი გფარავდეთ მუდამ. თაკო.

• გიორგი90ს: გიო, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. ძან გვენატრები და გვაკლხარ. ლამრო და სალო.

• ჩემო პატარა ნინიკო, 5 წელია, რაც ბუბოს არ ჩახუტებხარ და ისე არ მოულოცია დაბადების დღე მტანტრებით შენ და ნათია. 16-ში შენი დაბადების დღეა გილოცავ, ბუბო. გისურვებ ლამაზ ბავშვობას, ულევ სისარულსა და ბედნიერ მომავალს. თქვენზე ფიქრით დაღლილი მანანა ბუბო. მანანა იობიძე.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მქსჯის ნომერი და გაგზავნით ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მქსჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნით 8884-ზე. 1 მქსჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ფურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოიქვეყნდება. 1 მქსჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუზი

იქ, სადაც გაზაფხული იწყება ივნისში

ირმა ხარშილაძე

მარშრუტი თბილისი-ალვანი-ვერ-სოვანი ჩვენმა თუშმა მეგობარმა და კოლეგამ მიშო ხეცოიძემ შეგვირჩია. თვითონ ვერსოვანში გველოდა, მისი ბიძა, ქვემო ალვანის გამგებელი ანზორ კრიტიული — ალვანში. ბატონმა ანზორმა საუკეთესო ჯიპი და მძლოლი დაგვახვედრა, — ამ კაცს თვალდასუჭული ვანდობ სტუმარსო, — და ჩვენც მორჩილად მოვკალათდით მანქანაში. ბატონი ომარი შესანიშნავი ექსკურსიამძლოლიც აღმოჩნდა — მთისა და ბარის ამბავს ხალისიანად გვიყვებოდა. ვინ მოთვლის, რამდენი ცხრა მთა გადავიარეთ, ხან წყალში დაგსველდით, ხან — წყლის ქვეშ, ხან კლდის წყაროს წყალი შევსვით პეშვით, ხან — „ბოთლის“ (ბატონმა ომარმა გვითხრა, „ბოთლის წყალს“ ეძახიანო), ხანაც — „შევარდნაძის“ (რას არ გადაეყრები მგზავრო). მთებში პატარა ლითონის აბრასაც წავანყდით, „ფოსტა“ ეწერა და მთელი კაფე-შირგაბმულობის განყოფილებაც ეხიყო. იქიდან მთის დაბლობშიც დარეკავდი და ბარშიც — მთავარი იყო, ზურგჩანთაში მობილური გქონოდა. ჰოდა, „გადავძახეთ“ ცივილიზებულ ქვეყანას: არ იჯავროთ, მალე დაგიბრუნდებით თქო და გზა განვაგრძეთ.

მაგრამ დაბრკოლებამაც არ დაახანა: ჩვენს ყველგანმავალ ჯიპს „რემენი“ გაუწყვიტა და ქარაფზე გააშეშა. მაშველის ლოდინში პატარა ჩიხივით შევნიშნეთ, იქვე აბრაც გამოეკრათ: „თორღვას აბანო“ (ქარაფზე აბანო წარმოგიდგენიათ?). მალე ბატონი ომარის ნაცნობმა მძლოლმა ჩამ-

ოიარა და მანქანაც აგვიმუშავა.

ულამაზეს კლდეებს შორის მივდიოდით, ფოტოაპარატები ჩსაკაჩხუკით არ ამოვასუნთქეთ, კლდის ცივი „შხაპიც“ მივიღეთ (ესეც თუშური ნათლობა!) და ცოტა ხნით კახეთ-მთათუშეთის გზაგასაყარზე შევისვენეთ: მოშიშველებულ ფერდობზე ჯვარი აღემართათ, — აქ მალე ეკლესია აშენდებო. ღმერთს მადლობა შევნიჩეთ მშვიდობით მგზავრობისთვის, პირჯვარი გადავინერეთ, კვლავ კეთილი მგზავრობა ვისურვეთ და „ციმბირისკენ“ დავეშვით. არ გაიოცოთ, იმ ადგილს ტყუილად როდი ეძახიან ციმბირს: ისე ციოდა, კინალამ გავიყინეთ. ამასობაში აღმართს შევეყვით და თუშეთის „ალბებში“ აღმოჩნდით — ულამაზესი სერებიტა და ალპური ყვავილების კორდებით. მალე ომალოსაც მივაღვეით და კიდევ ერთ გზაგასაყარს: მარჯვნივ პირიქითა თუშეთის გზა მიდიოდა დიკლოსა და შენაქოსკენ, ჩვენ კი მარცხნივ, გომენრის ალაზნის ხეობა გველოდა — ჩალმათუშეთი ჩვენი მასპინძლებიანად.

ოთხი ჟურნალისტი — ნათია დოლიძე, რუსუდან დარჩიაშვილი, მაია ლულუნიშვილი და მე, ერთიც — ახალციხელი მასწავლებელი მზევიანარ მჟავანაძე ულამაზეს გომენრის ხეობას გაფაციცებით ვათვალისწინებდით. რაც უფრო შევეყვით გზას, ტყემ იმატა — ფოთლოვანისა და

ნინვოვანის ნაზავი ტალღასავით მონაცვლებდა. შიგადაშიგ, ტყეების შუაგულში, მოშიშველებულ ადგილებზე სოფლები მოჩანდა — რამდენიმე ქვით ნაშენი სახლი მთას თითქოს ქუდად



ერთ დღეში კრიტიულების „ღიბი თუშური ოჯახის“ ნაწილი გაეხდით

ეფარა. უცნობმა ქვეყანამ, რომელსაც დანახვისთანავე „ზლაპარი“ ვუნოდეთ, დაგვამუშავა.

შორიდან, გზის პირას რამდენიმე ცხენი და ბიჭი შევნიშნეთ. ესენი ნამდვილად თქვენ გელიანო, — მოგვახარა ბატონმა ომარმა. ჩამოქვეითებულ მხედრებში ჩვენს მეგობარ მიშოს ვეძებდით, მისი დეიდაშვილები კი აღმოჩნდნენ. სოფელ ვერსოვანის პირველი გამარჯობაც ულამაზესთვალელებიანი თუში ბიჭების „შემოფეთებისა იყო“ — ასე გავიცანიტ ნოდო, პანტო და ვახო. მანქანიდან გადმოვბარგდით, რადგან გზა („გზას ვამბობ, თორემ რა გზაა ვინრო ბილიკი კლდეზედა“) ან ფეხით უნდა გაგვეგრძელებინა, ან ცხენით, მაგრამ არ დაგვცალდა: მიშოც შემოგვეგება ლი-



კასა და ნინოსთან ერთად (ისინიც სტუმრები იყვნენ, ოღონდ უკვე გამოინაურებულნი), ჰუმარით და სულის მოთქმა არ გვაცალა, იქვე, მინდორზე სახელდასხელო სუფრა გაშალა, — ალაზანში მობიბინე კალმასს, ყიუხებში მონავარდე ჯიხვებს, სალოცავეებში ამოსულ მომლოცველებს, მოკლედ, ხინჭრიკოიან (სიპ ქვებს ნიმნავს) თუშეთს გაუმარჯოს თავისი ბუნებითა და სტუმრებით! — გვადღეგრძელა თუშურად და პაპამისის დამზადებული, თითისიგრძე ყანნებით შესვა და ჩვენც გვასვა არაყი. მთელი დღის მგზავრობის შემდეგ არყისგან ოდნავ შებუზბუზებულბმა თამამად გადავიარეთ „კონიალა ხიდი“ და ლილინით ავუყვით საცალფერო ბილიკს. სახლებამდე ერთი სალოცავი შეგვხვდა, — ღვთისმშობლის სალოცავია და აქ ქალების გავლა შეიძლება, მაგრამ ზემოთა სალოცავს არ გაეკაროთ, ხახმატისა და თუ იქვე ჩაუვლით, გაგინყრებათ და წვიმას გამოგიგზავნითო, — გაგვავრთხილა ჩვენმა მეგობარმა, რომელიც თავისი სოფლის დღეობის მასპინძელი — შულტა აღმოჩნდა. შულტაობა ძალიან მნიშვნელოვანი ტრადიცია ყოფილა თუშეთში. შულტად გამოცხადებაცა და ამით სალოცავში საკლავის დაკვლის უფლების მოპოვებაც დიდ პატივად მიიჩნევა თურმე. მიშოს სოფელში ვეღარ ავედით, უფრო სწორად, ვერ მოვასწარით ასვლა. გაცილებით მალა ყოფილა და სამომავლოდ გადავდეთ, ამჯერად კი ვერხოვანმა მიგვიღო.

ვერხოვანი ძალიან პატარა სოფელი აღმოჩნდა. ერთი კოშკი იდგა და გვერდიგვერდ — რამდენიმე ქვის სახლი. გეგონებოდა, ყველა სახლი ერთი ოჯახისააო, რადგან ერთმანეთისგან არაფერი ყოფდა. იქ მხოლოდ ზაფხულობით ადიან და კომფორტზე ვერც ვიოცნებებდით, არადა, კეთილმონყობილი სასტუმრო „ლამატა“ დაგვხვდა მუდმივი დენით, ცივი და ცხელი წყლით, საშხაპითა და თანამედროვე ტუალეტით. თურმე ჩვენს მასპინძლებს მზის ბატარეა შეუტენიათ — საკმაოდ დიდი ზომის დანადგარი, რომლის წყალობითაც ჩაღმა თუშეთის ბოლო დასახლება ზაფხულში გაჩახახებული იყო და ცხელი წყალიც კი მოდიოდა. კრიტიკულბში მიშოს დეიდა გემასპინძლობდა — პანტოსა და ვახოს დედა, მაია. მისი პატარა, უსაყვარლესი და, ერთი შეხედვით ასაკისთვის შეუფერებლად სერიოზული ანა კარგა ხანს შორიდან გვხვევრავდა, მერე კი ისე დაგვიმე-

გობრდა, ფოტოებზე გადაიღო ჩვენთან. ერთ დღეში კრიტიკულბის სამოსახლოში „დიდი თუშური ოჯახის“ ნაწილი გავხდით: სასტუმრო ოთახში გრძელ მაგიდას ვუსხდებოდით — მაია და მისი შვილები, მაიას ძმა ლოიდი, მიშოს და — ნანა, სიძე — მიშოკო, დეიდაშვილი ნოდო ბედოიძე, უკვე მასპინძლად ქცეული ლიკა და ნინო, სტუმრები — ჩვენ ხუთნი და მიშოს მეგობრები, არაჩვეულებრივი თუში ძმები აშაძეები — გიორგი და გურამი, და ერთმანეთს ვანაცვლებდით მთისა და ბარის სადღეგრძელოებს, ლექსებს, ცეკვა-სიმღერას — მაიას გარმონს, მიშოს იონიკასა და გურამის ბალალაიკას.

პირველად ყოველთვის სალოცავეებს ვადღეგრძელებდით, მერე თუშეთსა და მის სტუმრებს, მესამედ, — ვინც სიპი სიპზე დაადო და დღეს ცოცხლები აღარ არიან; ამას აუცილებლად, ცოდვილა-უპატრონოების სადღეგრძელოს მივაცოლებდით, — ვისაც ოჯახის წევრი მომგონებელი აღარავინ დარჩა, ცოდვილა-უპატრონოების, შინ ჭინჭარამოსულებისა და მძაღვანყვეტილების ანუ უპატრონი მიცვალებულების მოგონება იყოს-თქო... — და ასე, ნელ-ნელა „გავთუშდით“ მე და ჩემი მეგობრები. იქ ვიყავით, სადაც წარმართული შერწყმია ქრისტიანულსა და იქაურთა ქუდიც უნდა დაგვეხურა.

ალბათ ამიტომაც მოვინადინეთ მთის სალოცავისთვის ცხვრის შეწირვა. იმავე საღამოს დასტური მივიღეთ, მეორე დღეს კი ხახმატის წმინდა გიორგის სალოცავთან გასაოცარი და ჩვენთვის მძიმედ საცქერალი რიტუალი შესრულდა, რომელსაც მიშოს დედის ძმა — ლოიდ შაძე თავკაცობდა. მამაკაცები ხახმატის სალოცავში ავიდნენ, ქალები მოშორებით ჩამოვსხედით. მაიამ გარმონი მოიმარჯვა და დაამღერა: „რა ლამაზია თუშეთი, და ლამარობა თუშური, რქებდაგრებილი ყედილა, სანთლით შუბლგადატრუსული“...

მისი სიმღერა სულსა და გულში ატანდა. მამაკაცები ხახმატის სალოცავში ფუსფუსებდნენ, ქუდები მოე-



არავინ იცის, რა გვარის ხალხი ცხოვრობდა აქ

ხადათ, ცხვარი ნოდოს ეჭირა ყურით. არაყი ჩამოისხეს. ლოიდმა ჭიქა ასწია, ჩვენკენ გამოიხედა და, — ქალები საკლავს გიკლავენ, წყალობა გაატანე ყველასო, — ხახმატს მიმართა. მერე კი ყველამ ერთმანდ შექსახა: ადიდოს და სწყალობდეს, კიდევ და კიდევ სწყალობდეს, კიდევ და კიდევ სწყალობდეს! სიმღერა და გარმო-

ევალაფერი ევრობასკეტის მსახივნი
 144 გვერდი
 სავაჭრო აქტიუმი

ლიბხა 2011
 ევროპის ჩემპიონატი ჯალთაქიში

აქციონი
ჩვენი მახოქები
 სააქტიუმი ნახაბის ბზა

40 ბამახჩვა
56 ანათაქიტი
76 თაქაქი

20 ავკისოს!
ლესთან ერთად!

ფანი: 3 ლარი.
(ლესთან ერთად 3 ლარი და 80 თეთრი)



ნის ხმა გრძელდებოდა, ცხვარს შუბლი შეუტრუსეს, ყელი გამოსჭრეს და დაბლა დააგორეს... არათუ ცხვარს, ერთმანეთსაც ვერ ვუყურებდით, მაგრამ ვერაფერს ვიზამდით: მთის მკაცრ ტრადიციებს უნდა დავმორჩილებოდით...



მამაკაცები ხახმაგის სალოცავში ფუსფუსებდნენ

მთა ხახმაგის:

— თქვენ რომ საკლავის დაკვლის სურვილი გამოთქვით, მე ვერ გადაწყვეტიდი და ბევრს დავეკითხე. გამიხარდა, რომ მთელი სოფელი დათანხმდა. ძალიან დიდი მადლია, რომ სოფელმა ნება დაგართო და თანაც, ხახმაგის სალოცავში დაიკლა. მის სიახლოვეს ქალის გავლა არ შეიძლება. ვერ ნახეთ, დამსვენებელმა ქალმა რომ გაიარა, ნახევარ საათში განვიმდა?! აქ სადღეგრძელოს ასე ამბობენ: ჯერ შულტებს გაუმარჯოთ, მერე მის დამფასებლებს, მომლოცველებს გაუმარჯოთ, ვისაც არ სწამს და მაინც ამოდის სალოცავში, იმათაც გაუმარჯოთო.

იმ დღეს სოფელ წაროში წავედით. იმის იქით თურმე წოვათუშეთი იწყება. წოვათუშეები ანუ ბაცბები, ქართული ეროვნული ცნობიერების მქონე ტომი ყოფილა. მიშომ მითხრა, — ჩვენ ჩაღმათუშები ვართ, წოვებისგან დიალექტითაც განვსხვავდებით და ტრადიციებითაც; წოვებს ქისტებთან მეტი საერთო აქვთ, ვიდრე თუშებთანო. წარო ძალიან დიდი სოფელი აღმოჩნდა, მაგრამ სიცოცხლის ნიშანწყალს ვერ იგრძნობდი — გამოგნებელი სიჩუმე სუფევდა.

მთა:

— წარო ამოწყვეტილი სოფელია. არავინ იცის, რა გვარის ხალხი ცხოვრობდა აქ. მოდგმა საერთოდ დაი-

კარგა. ლეგენდად დარჩა, რომ ამ უზარმაზარ სოფელში შავი ჭირი გაჩენილა. ყოველი დაავადებული ადიოდა თურმე ზემოთ, აკლდამაში, სადაც ქვისავე საწოლები ტერასებად იყო, წვებოდა იქ და ელოდა სიკვდილს. მომდევნო დაავადებული ძველ გვამს დაბ-

და აგდებდა და მის ადგილს იკავებდა. ასე ამოწყდა მთელი სოფელი და მხოლოდ საძვალე აკლდამები და ნასახლარი დარჩა. ვარაუდობენ, რომ საუკუნეზე მეტი ხნისაა ეს ძვლები. ვინც იქ რამეს დააშავებს, იმას ცუდად ნაუვა საქმე. ფოტოსაც არავინ უღებს იმ ძვლებს, რადგან ვინც შეეხო, უბედურება დაემართა. ერთ-

ერთი სოფლის მცხოვრებმა ახალგაზრდა ბიჭმა, ძვლებს ათვალაიერებდა და, ყბის ძვალი მოიზომა. რალაც ხნის შემდეგ იარაღით თამაშობდა, გაუვარდა და ყბა შეეგრა. ახლა უყბოდაა და მხოლოდ პატარა ტუჩი მოუჩანს სახეზე. ვინც ფეხის წვივი მოიზომა, უფეხოდ დარჩა, ვინც მკლავი — უხელოდ. ამიტომ არ ღირს რამესთან შეხება, მხოლოდ უნდა დაათვალიერო.

ამ დროს მეზობელი გორიდან მწყემსებმა გადმოგვძახეს, — ქალები ზემოთ არ ახვიდეთ და არც ცხენები აიყვანოთო. უსიამოვნო გრძნობა დაგვეუფლა და სასწრაფოდ დავტოვეთ იქაურობა...

ყველაზე ეგზოტიკური, წამოსვლის წინაღამე აღმოჩნდა: კარგა ხანს ვისხედით კოცონთან მთელი სოფელი, მაია გარმონზე აცეკვებდა თითებს და თუშური სიმღერებით გვატკბობდა, ლოიდი კი საკუთარ ლექსებს გვიკითხავდა: „იქ, სადაც გაზაფხული იწყება ივნისში/ იქა ვარ და მივდექე ჯიხვების ნაკვალევს/ არც იქა მშორდება მიჯნურის აჩრდილი/ შორიდან ვუგზავნი მას კოცნას, ნაპარევს/ მე შენს განმორებას გაგუმხელ მწვერვალებს/ ყინულის ნაჟურებს მოკითხვას ვაბარებ/ აქ, საჯიხვებში, ყინულთ სამეფოში/ ქალავ, შენს სიყვარულს ბოლომდის ვატარებ/ თუ გასურდეს, ძვირფასო, მო-

გაფრენ ამ მთებში/ მწვერვალთა მახლობლად დაგიდგა კარავი/ მაშინ ხომ სულ ჩემთან იქნები, ქალაუ/ ცაზე მზე, მთვარისთვის სხივების მპარავი/ პატარა ზაფხული გავლიოთ ლხენითა/ დღეები ვალამოთ ცეკვით და მღერითა/ ღამე — ჯადოსნური სიზმრების ხედვითა/ მგელი ძილს დაგვიფრთხოვს, მთის შურთხი — სტვენითა/ მთის წყარო გადმოქუხს ქარაფზე ჩქეფითა/ მის ზემოთ ჯიხვი ჯიხვს ეძგერა რქებითა/ აბა, ვინ ვახსენო შენ გარდა ქებითა/ ვამაყო მენით და თუშეთის მთებითა“.

ლოიდი შააქა:

— ბევრი ვიცი ეგეთი, ეგაა, დაკვრა ვერ ვისწავლე... რატომ ვერ ვისწავლე, არ ვიცი... ბევრი მღერის ამ ტექსტზე. გადააკეთეს, გადმოაკეთეს, სხვა კუპლეტები ჩაურთეს... ლელა თათარიძეც მღერის, იმან გაუთქვა სახელი ამ სიმღერას... აქ, თქვენთან ჩემ დისშვილის სიყვარულში მოკვდი. ამ კაცმა იგეთი რამე გააკეთა, დღეობა ალადგინა და გადაიხადა. ჩემს სოფელს ჰქვია დიკლო. ადრე სხვაგან იყო სოფელი, ბევრი მოსახლე ჰყავდა და დიდოელების და ლეკების სოფლებს ესაზღვრებოდა. დიკლოს მოსახლეობას უფრო დიდოელებთან ჰქონია მისვლა-მოსვლა, ურთიერთობა. დიკლოში (ისევე, როგორც თუშეთის სხვა სოფლებში) აშენებდნენ სახლებს და მათგან მოშორებით — ბოსლებს, რომელსაც ათბობდნენ და ზამთრის სადგომად იყენებდნენ. ერთ წელს ლეკები შემოსევიან დიკლოს ბოსლებს და გაუფრანგებიათ იქაურობა. შემციურებულ სოფლის მოსახლეობას ცოტათი დაბლა ჩამოუნაცვლებია. ამბობდნენ, — დიკლო სოფელმა და დაბლა ჩამოინაცვლაო. ამიტომაც უწოდეს დიკლო...

კიდევ დიდხანს ვსაუბრობდით და ვლილინებდით კოცონთან. მერე ძილი მოგვერია და სტუმრებმა ამჯერად განათებულ თუშურ კომპლექსში გავათენეთ ღამე. სათოფურებიდან ულამაზესი არემარე იშლებოდა, არც ხვლიკები „გვანწყენდნენ“, არც ერთმანეთს შერწყმული ფრინველები-სა და ალაზნის ხმაური და, ჩვენდა გასაოცრად, წამითაც არაფრის შეგვმინებია. მგონი, მართლა „გავთუშდით“! შემდეგი დილა კი „ჩვენს ოჯახთან“ და გომენრის ხეობასთან გამომშვიდობებისა იყო. მხოლოდ მანია, პანტო, ვახო და პატარა ანა დავტოვეთ შინ, დანარჩენი სტუმარ-მასპინძელი კი ერთად დაუყვევით მთიდან ბარისკენ მოჩქარე ალაზნის ხეობას.

„გამოცემლობა ჰალიბრა L“-ის ახალი წიგნები




პიცა

გვ. რაოდ.: 124 გვ.
ყდა: ბალიშა



ფასი: 17.99

ამ წიგნში თქვენ იხილავთ პიცის 50-ზე მეტ იოლად მოსამზადებელ, ეკონომიურ, და, რაც მთავარია, უგემრიელეს რეცეპტებს, სადაც დეტალურად არის განხილული პიცის მომზადების ყველა ეტაპი. ეს ორიგინალური ფორმის წიგნი საუკეთესო საჩუქარია ყველა დიასახლისისათვის!



**მხიარული ხმაები
ზოოსახლი**

ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 10 გვ.
ფორმატი: 25.5X25.5
ყდა: მაგარი



მხიარული ხმაები წვეულა

გვ. რაოდ.: 10 გვ.
ფორმატი: 25.5X25.5
ყდა: მაგარი

ფასი: 19.99



ამ ხმოვანი, მოძრავი სურათებით გაფორმებული წიგნის საშუალებით თქვენი პატარები იუბილარნი ჯაჯუჩას ყველაზე მხიარულ და სასაცილო დღეობაზე ეწვევიან.

**სახალისო
ამოცანები**




ფასი: 16.99

გვ. რაოდ.: 30 გვ.
ფორმატი: 26X29.5
ყდა: მაგარი

ამ წიგნებში თავმოყრილია ლოგიკური და სააზროვნო ამოცანები, რომლებიც თქვენს პატარებს დაეხმარება გავარჯიშონ გონება, ყურადღება და კონცენტრაციის უნარი. პასუხების შემოწმება შესაძლებელია ელექტრონული ფანქრის დახმარებით, რომელიც წიგნს თან ახლავს.


**ზვიგენი, რომელსაც
სიღრმის ჯიბეოდა**



ფასი: 11.99

გვ. რაოდ.: 16 გვ.
ფორმატი: 24.5X25
ყდა: ბალიშა

**ჭირაფი, რომელსაც
სიმაღლის ჯიბეოდა**



ამ სიურპრიზებით სავსე, მოძრავი ნახატებით განწყობილი წიგნების საშუალებით თქვენი პატარები გაიგებენ თუ როგორ სძლია პატარა ჭირაფმა სიმაღლის, ხოლო პატარა ზვიგენმა სიღრმის შიშს და როგორ დაეხმარნენ მათ ამ შიშის დაძლევაში თავიანთი მეგობრები.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მანთხვალისათვის (აბთხვაბი)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვამისაქან არ გაგაქვთ თვალს

1. საქართველოს რომელი კუთხის ძველი სახელწოდებაა „თაკვერი“?
2. დასახელებთ ქვეყანა, რომელიც ძაღლების მოვლა-შენახვაზე დახარჯული ფულის რაოდენობით პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ეს თანხა წელიწადში 3 მილიარდ დოლარს აღემატება.
3. დაასრულეთ ანდრეი ალიაკინის სიტყვები: „დო სვადბი ია ლიუბილ ესეხ ჟენშინ, სეიჩას ლიუბლიუ ოდნუ...“
4. დასახელებთ ადამიანი, რომლის მმართველობის პერიოდში კამბოჯის მოსახლეობის 20% ამოწყდა.
5. ისტორიკოსთა გადმოცემით, მეორე მსოფლიო ომის დროს ამ ქალაქის ასაღებად გამართული ბრძოლებისას ყოველ 7 წამში ერთი ჯარისკაცი იღუპებოდა. დასახელებთ ეს ქალაქი.
6. დასახელებთ აშშ-ის პრეზიდენტი, რომელიც კომუნისტებს სულიერი დაავადების ერთ-ერთ ფორმას ეძახდა.
7. რომელ ქალაქში დაიბადა და გაიზარდა ელვის პრესლი?
8. რა არის „ვალდშნეპი“?
9. დასახელებთ რუსი მსახიობი, რომელსაც კოლეგები „ევსტი გენის“ ეძახდნენ.
10. რა ფერის ტანისამოსი აცვიათ ამერიკელ პატიმრებს?
11. ტრადიციულად როგორ ესალმებიან ერთმანეთს ესკიმოსები?
12. რომელ პოპულარულ, ლიტერატურულ პერსონაჟს ეკუთვნის სიტყვები: „ვირზე ამხედრებული გუბერნატორი სასაცილო სანახავია, მაგრამ როცა ვირი ზის გუბერნატორის ადგილზე, მხიარულება დიდხანს არ გასტანს“?

ანექდოტები



— მამიკო, რას ნიშნავს „ბუდრუნენტის მოგვაჯირება“?

— არ ვიცი.

— „დენტმეტორული კურვეში“?

— წარმოდგენა არა მაქვს! სად წაიკითხე?!

— მე თვითონ მოვიგონე.

ჭიჭიკია მრგვალ სახლს აშენებს.

— მრგვალი სახლი რა ჯანდაბად გინდა? — ეკითხება მეზობელი.

— სიდედრმა მითხრა, სახლს რომ ააშენებ, ერთი კუთხე მე დამითმეო!..

ისტორიის გაკვეთილი რუსეთის სკოლაში:

— ისტორიულად ქართველები ძალზე თავისუფლებისმოყვარულნი და ზარმაცები არიან. მათ ხშირად იტაცებდნენ და ყიდდნენ ტყვეებად, თუმცა ქართველები იქაც არ მუშაობდნენ...

ჭიჭიკია ეუბნება ბიჭიკიას:

— ანზორიე ხომ იცი, 180 კილოს რომ იწონიდა? გუშინ 30 კილო დაიკლო, 15 წუთში!

— როგორ, თუ კაცი ხარ?

— როგორ და ძალღიმი გამოვეკიდა.

— მერე, იმდენი ირბინა, რომ 15 წუთში 30 კილო დაიკლო?!

— ირბინა, არა, ის... სა შოუქლია მაგას სირბილი!.. წაიქცა და ძაღლმა მოაჭამა ის 30 კილო!..

კრიმინალური ქრონიკა: „წნო-

რის შხამიანი ობობების ფაბრიკის მძარცველებმა, სწრაფად დასტაცეს სეიფში შენახულ ათას დოლარს ხელი და წივილ-კივილით გაეცალნენ იქაურობას...“.

გენერალს შვილიშვილი შეეძინა. თვითონ ვერ მოიცალა და სანახავად ადიუტანტი გაგზავნა. უკან დაბრუნებული ადიუტანტი უყვება:

— ბატონო გენერალო, გაგიჟდებით, რომ ნახოთ! სულ თქვენ გგავთ: მელოტია, ლიპიანი, არაფრის აზრზე არ არის და მანც ბევრს ღრიალებს!..

ქურთმა მემანვემ აღდგომა დღეს ქართველის სახლის კარზე დააკაკუნა.

— ქრისტე აღდგა! — გამოეგება ქართველი.

— ჰკითხე ერთი, მანონი ხომ არ უნდა?!

მარო დილაუთენია მიხოს აღვიძებს:

— ადევ კაცო, მელამ ქათმები წაიყვანა!

— რამდენი, დედაკაცო?

— ათი!

— „სუშკით“ იყო მოსული, ეგ შობელძალი?!



ზარი კადრების განყოფილებაში:

— მუშახელი გჭირდებათ?

— დიახ, თქვენ ვინ ბრძანდებით?

— ზანგი ვარ.

— შავ მუშად იმუშავებ?



პატარა მიხო ტირილით დაბრუნდა სახლში და მშობლებს შესჩივლა, სკოლაში ბავშვები დამცინიან, სახე უკანალს მიგიგავსო.

— არ გრცხვენია, იმ სულელ ბავშვებს რომ უსმენ? შენზე ლამაზი ბიჭი საერთოდ არ მეგულება, — დაამშვიდა დედა.

— მაგენი ჭკუით იყვენენ, თორემ სკოლაში მოვალ და სულ დანით დავაჭრი ყურებს!.. — დამუჭრა თავის მხრივ მამა. — კარგი, ნულარ ტირი, მარანში შეირბინე და პაპაშენს მიეხმარე.

მიხო მარანში შევიდა. ხედავს, პაპამისი უზარმაზარ ქვევრშია ჩამძვრალი და რეცხავს. მიხომ ქვევრში ჩაიხედა. პაპამისმა ქვევრდან ამოხედა და აყვირა:

— ჰა, ჰა, აქ არა ქნა, შე შობელძალლო, შენა!..

— სახლში რომ მივედი, კარადაში უცხო კაცი დამხვდა.

— აუ, გილალატა ცოლმა?!

— სად მყავს ცოლი?

კაცი ტრაბახობს თავის მეგობართან:

— გუშინ უფროსის კაბინეტში შევედი და მაგიდაზე სულ მუშტები ვურტყი!

— მერე რა მოხდა?

— არც არაფერი. ხვალ ჩამოდის მივლინებიდან.

მალაზიაში:

— თუ შეიძლება, თოკი და საპონი მომეცით.

— თავის ჩამოსრჩობას ხომ არ აპირებთ?! — გადაირია გამყიდველი.

— არა ბატონო, უნდა ვიბანაო და მერე ალპინისტებს მივყვები მთაში.

— ექიმო, როგორ არის ჩემი სიდედრი?

— გამოჯანმრთელების გზაზეა, მაგრამ იმედი არ უნდა დაკარგოთ.

ახალი რუსი ბინას ყიდულობს:

— წყნარი ბინაა?


— კი, როგორ არა. ადრინდელი პატრონი ისე ჩაცხრილეს, კაციშვილს არ გაუგია.

ლამის ორ საათზე კაცი სამზარეულოს კარადებში იქექება. გამოდის ნამძინარევი ცოლი.

— აქ სადღაც არყის ბოთლი მქონდა შენახული.

— ეგ ხომ მამაშენის გასვენებაზე დალიე?

— ჰოო?.. მეც არა ვთქვი, ეს მამაჩემი სადღა დაიკარგა-მეთქი!..



კაცი სამსახურში ჩალურჯებულთვალვით მივიდა.

— ცოლმა გამალამაზა.

— რისთვის?

— შენობით მივმართე.

— კარგი, რა, თუ ძმა ხარ!..

— მეუბნება, რამდენი ხანია, ჩვენ სექსი აღარ გვქონიაო, მეც ვუთხარი, ჩვენ კი არა, შენ-მეთქი.

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ლეჩხუმის.
2. დიდი ბრიტანეთი.
3. „მეშვე“.
4. პოლ პოტი (წითელი კმერების ბელადი).
5. სტალინგრადი.
6. რონალდ რეიგანი.
7. ქალაქ მემფისში.
8. ტყის ქათამი.
9. ევგენი ევსტიგნევი.
10. ფორთოხლისფერი.
11. ცხვირებით ეხახუნებიან ერთმანეთს.
12. დონ კიხოტის საჭურველმტვირთველ სანჩო პანსას.

ჩვენი ფოტოგალერეა





ჰოროსკოპი

18-24 აგვისტო

ვიწი



საოჯახო და სამსახურებრივ საქმეებზე დრო თანაბრად გადაანაწილეთ. კოლეგების დახმარებით ახალი პროექტების განხორციელებას შეძლებთ. ოჯახისთვის ახალი ნივთები შეიძინეთ.

კუჩხი



კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, ახალი ხელობის შესასწავლად. მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას. მშობლების მიმართ დამოკიდებულება გაგიუმჯობესდებთ. უქმეები საოჯახო საქმეებს დაუთმეთ.

უხუცე



მატერიალური კეთილდღეობისთვის მეტი მუშაობა მოგიწევთ, მაგრამ ნურც დასვენებას დაივიწყებთ. მეტი მზრუნველობა, მატერიალური და მორალური დახმარება გამოიჩინეთ გარშემო მყოფების მიმართ.

კირჩხიბი



მეგობრების რჩევით ბიზნესში წარმატებას მიაღწევთ. კარგი პერიოდია ახალი იდეების განსახორციელებლად. კვირის ბოლოს ფინანსურად მოძლიერდებით და ოჯახისთვის საჭირო ნივთების შექენას შეძლებთ.

ლომი



გარშემო მყოფების მიმართ ყურადღებიანი იყავით. კონფლიქტი დიპლომატიურად მოაგვარეთ. კარგი პერიოდია გარდერობისა და ვარცხნილობის შესაცვლელად. საყვარელი ადამიანი არ აეჭვიანოთ.

ქაღვლე



მეტი დრო გაატარეთ მეგობრების გარემოცვაში. წვეულებებსა და ინტერნეტსაიტებზე ახალი ნაცნობობა გელით. კვირის ბოლოს მეგობარი პირად საიდუმლოს გაგიმხელთ.

სასწორი



მიზანმიმართულად იმოქმედეთ და აუცილებლად გაიმარჯვებთ. მეგობრები ახალი ბიზნესის წამოწყებაში დაგეხმარებიან. წარმატებას მიაღწევთ სპორტულ შეჯიბრებასა და შემოქმედებით კონკურსში.

მირიფი



კარგი პერიოდია იურიდიული დოკუმენტების გასაფორმებლად. შუა კვირაში საყვარელ ადამიანთან ერთად დასასვენებლად გაემგზავრეთ. წვეულებების ხშირი სტუმარი იქნებით და მხიარულება გელით.

მშვიდმოსახი



მოაწესრიგეთ სამსახურებრივი საბუთები. წარმატებას მიაღწევთ გამოცდის ჩაბარების ან გასაუბრების დროს. კარგი პერიოდია ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. უქმეებზე მეგობრებთან ერთად პიკნიკი მოაწყვეთ.

ოხრი



რომანტიკულ განწყობილებაზე ხართ. შესაძლოა, დაქორწინებაც კი გადაწყვიტოთ. დაქორწინებულები თაფლობის თვეს მოინწყობენ. კარგი პერიოდია საკურორტო რომანისთვის.

მეწყობი



აქტიურად ჩაებით საოჯახო საქმეებში. შესაძლოა, ნათესავების პრობლემების მოგვარებამ მოგიწიოს. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან კონფლიქტსა და მასთან საქმეების გარჩევას.

თევზი



სამსახურის საქმეები კოლეგებს გადააბარეთ და რამდენიმე დღით ქალაქგარეთ დასასვენებლად გაემგზავრეთ. რომანტიკული ნაცნობობა და დროის მხიარულად გატარება გელით.

პაემანი ზოდიაქოს ნიშნებთან

ვერძი მხიარული და აქტიური პარტნიორია. პაემანი შესაძლოა ნებისმიერ ადგილას დაგინიშნოს. ჩაცმულობას განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევს. მთავარია, დრო სასიამოვნოდ გაატაროს.

კუროს ერთი ნახვით არასდოს უყვარდება. ის ყველაფერს ანალიზებს და გონებით უფრო მოქმედებს, ვიდრე გულის კარნახით. თანაც გურმანია. ამიტომ, თუ მისი გვერდით ყოფნა გადაწყვიტეთ, გემრიელ სადილზე დაპატიჟეთ.

ტყუბს მალევე უყვარდება და სწრაფადვე ცივდება პარტნიორის მიმართ. მოუცვლელობის გამო პაემანს ათასჯერ მაინც გადაგადებინებთ. უყვარს სიახლეები. მის გვერდით ყოველთვის მზად უნდა იყოთ ავანტიურებისთვის. თქვენდამი ინტერესი რომ არ დაკარგოს, მისთვის ყოველთვის საინტერესო უნდა იყოთ.

კირჩხიბი პაემანს აუცილებლად მყუდრო რესტორანში დაგინიშნავთ. რომანტიკული გარემო მოსწონს.

უგონოდ შეყვარებულიც რომ იყოს, პირველ პაემანზე საკუთარ გრძნობებს არ გაგიმჟღავნებთ. ის ძალიან ფრთხილია. თქვენმა ერთმა უხეშმა სიტყვამ ან ქცევამ შესაძლოა გული ატკინოს.

ლომთან შეხვედრა ყველაზე მოდურ კლუბში მოგიწევთ. მასთან პაემანი პატარა წარმოდგენას ჰგავს. რა თქმა უნდა, მთავარ როლში თვითონ უნდა იყოს. აავსეთ ქათინაურებით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მას შესაფერისი პარტნიორი სჭირდება. ამიტომ, თავადაც ელეგანტურად და მდიდრულად უნდა გამოიყურებოდეთ.

ქალწული ზედმეტად კრიტიკულია. ყველა დეტალს ყურადღებას აქცევს და საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს. უყვარს ჭკვიან ადამიანებთან საინტერესო თემებზე საუბარი. გაუნათლებელ ადამიანთან მოინწყენს და რაც მთავარია, მასთან პაემანზე არ უნდა დააგვიანოთ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



				1. მკარონის მსგავსი პროდუქტი	2. სპირტიანი სასმელი	3. კენკროვანი ხილი	4. მაღალი ტემპერატურა	5. მტაცებელი ფრინველი	6. ამერიკის შტატი	
				7. საკონდიტრო ნაწარმი						
						8. სახედარი	9. უკრაინის პარლამენტი			
10. ამერიკელი მწვემეში				11. ჭრილობა	12. ჭადრაკის ფიგურა					
13. საფოსტო გზაგანილი	14. ტერორისტი თვითმკვლეელი	15. ვაზის ბალი	16. სტალინის ღვდა					17. აბონური ორთაბრძოლა	18. მაგნიტი	
				19. ქვეყანა ჩრდილოეთ ამერიკაში						
20. ვაშლის ვიში					21. იაპონური არაფი		22. საჯინბო	23. ავსტრიის დედაქალაქი	24. ძეგრომაველთა სამოსი	
			25. აშშ-ის კოსმოსური ცენტრი		26. ჯარის უფროსი ძველად					
27. ერთნახაი, სუსტი არაფი		28. სპორტის სახეობა	29. ... ვანჩელი					30. გრამატიკული კავშირი	31. ნაბიჯი ბალეტში	
					32. საბრძოლო ნაღველი					
33. სარწმუნოება	34. პატარა წიგნი									
	35. ციხის გალაგანი	36. ფულის ერთეული ინდოეთში								
				37. ხილი						
	38. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი	39. ნაგვის ყუთი								
				40. შექმნილი ნათესავი						

წინა ნომრის სკანოვრდის პასუხები

1. გარდერობი; 2. დუელი; 3. ტრიალი; 4. ჰორნი; 5. ბატონი; 6. ესპერანტო; 7. პერუ; 8. გრიაი; 9. კიი; 10. სოსისი; 11. ლამბი; 12. პორშე; 13. პომიდორი; 14. სინგაპური; 15. ტროსი; 16. კლინტონი; 17. ნოსტე; 18. კრიჭა; 19. იარისი; 20. ხალიჩა; 21. ფოსო; 22. ფხა; 23. ღარდი; 24. პროფილი; 25. პიონი; 26. პრესლი; 27. ჭრიჭინა; 28. ტუსალი; 29. იმედი; 30. ელიტა; 31. რულეტი; 32. ბჯა; 33. აგიდელა; 34. აუდი; 35. გელათი; 36. ალიფი; 37. რადიო; 38. ტიტა; 39. გოა.
სურათებზე: გვენ სტეფანი; ემინემი.



განქორწინების უსნაური მიზეზი

▲ ძველ რომში მამაკაცს განქორწინების უფლება ჰქონდა, თუ მას ცოლი ღალატობდა, მის ნივთებს დაუკითხავად იღებდა ან ღვინოს სვამდა.

▲ მანუს ტომის კანონით, ინდიელი ცოლს ოთხი მიზეზის გამო მიატოვებდა: თუ ქალი ქორწინების მერვე წელს ვერ დაფხმობდა; 10 წლის შემდეგ თუ მისი ცოლი მკვდარ ჩვილს გააჩენდა ან ქორწინებიდან მეტერთმეტე წელს თუკი გოგონა შეეძინებოდა. ინდიელს ნუნუნა ცოლთან განქორწინება მომენტალურად შეეძლო. დაახლოებით ასეთივე კანონი მოქმედებდა ძველ ჩინეთშიც. ნუნუნა და ჭორიკანა ცოლს ქმარს მომენტალურად გააშორებდნენ.

▲ დღესდღეობით მადაგასკარზე ცოლ-ქმრის განქორწინების მიზეზი შეიძლება, ქმრის ხანგრძლივი მივლინება გახდეს.

▲ იტალიაში ცოლი ქმარს გაეყრება, თუ ის საოჯახო საქმეების შესრულებას აიძულებს.

▲ ნილ დიუჰარტიმ ცოლი ვანდალიზმში დაადანაშაულა და გაეყარა: „ვანდალმა“ მეუღლეს ფეხბურთის მაისური გაურეცხა, რომელზეც ის საყვარელი გუნდის წევ-

რების ხელმოწერებს აგროვებდა.

▲ ამერიკაში ახალი კანონის თანახმად, გაყრისა და ქონების გაყოფის მიზეზად „კუბიკრუბიკი“ ითვლება, თუკი ერთ-ერთი მეუღლე გა-

სართობის გამო მეორე ნახევარს სათანადო ყურადღებას არ აქცევს. „კუბიკრუბიკი“ გონებასუსტ ბავშვებში ინტელექტის განვითარებას უწყობს ხელს. ჯანმრთელ ბავშვებში ცერა თითის ართროიტს იწვევს. სხვათა შორის, განქორწინების შემდეგ „კუბიკრუბიკი“ დაზარალებულ მხარესთან რჩება.

▲ კორეელი მამაკაცი ცოლს გაეყრება, თუ მისი ცოლი მშობლებს უდიერად მოექცევა.

▲ 30 წლის წინ ოკლაჰომის გაზეთში უცნაური შინაარსის სტატია დაიბეჭდა. ცოლი ქმარს განქორწინებით ემუქრებოდა, თუ იგი თმას არ შეიჭრიდა და წვერს არ გაიპარსავდა. წყვილი განქორწინდა და მამაკაცმა მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა დალაქს.

▲ თუ კანადელი მანდილოსანი დამატყიცებს, რომ მისი ქმრის ხვრინვა სარბოლო ავტომობილის ხმას უტოლდება, წყვილს განქორწინების ნებას დართავენ.

▲ დაბოლოს, ერთი ინგლისელი მამაკაცი დამატებით სამუშაოს ასრულებდა, ცოლისთვის იურიდიულ ფაქულტეტზე სწავლის საფასური რომ გადაეხადა. დიპლომის აღებისთანავე ქალი ქმარს გაეყარა.



იაკონური სენსაცია

sudoku

„გაის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

9	3	7	4	8	5	2	1	6
2	4	6	3	7	1	8	5	9
5	8	1	9	6	2	3	4	7
6	1	5	8	2	3	7	9	4
4	2	3	7	5	9	6	8	1
8	7	9	1	4	6	5	2	3
3	5	2	6	1	4	9	7	8
1	9	8	5	3	7	4	6	2
7	6	4	2	9	8	1	3	5

5	6	9	1	2	3	8	7	4
1	2	3	8	4	7	6	9	5
8	4	7	6	5	9	3	1	2
4	7	6	2	3	1	5	8	9
3	1	8	7	9	5	4	2	6
9	5	2	4	8	6	7	3	1
7	3	1	9	6	4	2	5	8
2	9	4	5	7	8	1	6	3
6	8	5	3	1	2	9	4	7

1	7	5	6	9	3	2	4	8
2	9	3	8	4	7	5	6	1
8	4	6	1	5	2	3	9	7
6	8	2	4	7	1	9	3	5
5	3	7	9	2	8	6	1	4
4	1	9	3	6	5	7	8	2
3	2	1	7	8	6	4	5	9
9	5	8	2	3	4	1	7	6
7	6	4	5	1	9	8	2	3

* მარტივი

		5		1				4
		9		3				6
		4	2					
		3		5				1
	8		7					3
	9		8		3	4		
					7	3		
	1			8		9		
2				4		7		


** საშუალო

		7			6	9		
	6		5			2		
		9		1				
		8			2		5	
		6		7		4		
	5		8	4		1		
				6		7		
		5			4		2	
		1	2			8		

*** რთული

6			4			7		
1			5			2		
		3			2			
		2		8			4	9
		5		6		1		
8	6					5		
			9			4		
		4			1			5
		9			3			6

ფოტოკუჩიონები



**„ბიბლუსის“
ყველა მაღაზიაში**

ბიბლუსი
Books

**დიდი
საზაფხულო
ფასდაკლება
50% -მდე**

**ნიგნები
1 ლარიდან!**

მისამართები:

- თბილისი:
 აღმაშენებლის № 121
 იოსებოძის № 49
 ბასტრიონის № 12
 რომაძის № 7
 რუსთაველის № 40/1
 თბილისი ცენტრალი, მ-3 სართული
 გლდანი ა მ/კ, I კვ № 50
 ოზურგეთი: 9 აპრილის პარკი
 რუსთავი: მებრძორობის № 12
 სამტრედიე: სააკაძის № 6
 სენაკი: რუსთაველის № 239
 ფოთი: ფარავაზ მეფის № 15
 ბათუმი: მამედ აბაშიძის № 62
 ბოლნისი: სულხან-საბას №106
 ზესტაფონი: აღმაშენებლის № 87
 სარგაჯო: თავისუფლების 1 № 17
 ქუთაისი: ლ. ნუსუბიძის № 1
 თამარ მეფის № 34
 ზუბლიდი: რუსთაველის № 87
 ხაშური: ქოსტავას ქუჩაზე არსებულ სკვერში
 რუსთაველის № 69

*ქალაქიდან გვღიხარ?
გაიყოლე ნიგნები!
წაიკითხე, გაეროთე,
უცუთესად იქნები!*

ტელ: 2 307-402
www.biblusi.ge

- CD 1 ფიქრები
- CD 2 ფხავი და ფხავილები
- CD 3 38 ლექსი
- CD 4 პირობა
- CD 5 ალუდა მეთელაური
გობოთურ და აფინს
- CD 6 გვლის - მფხველი
- CD 7 სტუმარ - მსხინძელი

სტუდია „სანო“ და
ბობი ხარაბაძე
წარმოებილიანთ:

**მეჩე-ფხავილე
150 ზელი**



მხოლოდ „ბიბლუსის“
წიგნის მაღაზიათა
ქსელში

ფასი:
29 ლარი

www.biblusi.ge
ტელ: 2 307 402

პლასტიკური ქირურგიის

კლინიკა „კარავს მედლაინი“ ბთაჰაზოზთ

სხეულის პლასტიკის თანამედროვე შესაძლებლობებს:
მუცლის პლასტიკა, ლიპოსაქცია და ბევრი სხვა რამ...

კლინიკა „მედლაინის“ პრიორიტეტული მიმართულებაა ესთეტიკური და რეკონსტრუქციული პლასტიკური ქირურგია, რომელსაც სათავეში უდგანან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პლასტიკური ქირურგი **ალექსანდრე პალანტაროვი** და პლასტიკური ქირურგი **კოტე მათითაშვილი**. კლინიკაში ტარდება ნებისმიერი სახის ესთეტიკური ოპერაცია – ცხვირის პლასტიკიდან დაწყებული მუცლის პლასტიკითა და მკერდის ნებისმიერი ოპერაციით დამთავრებული, აგრეთვე: ლიპოსაქცია-ლიპოსკულპტურა, სხეულის ნებისმიერი მიდამოს დეტალური პლასტიკა, სახის ენდოსკოპიური დაჭიმვა განაკვეთების გარეშე „KARLSTORZ“-ის ფირმის ულტრათანამედროვე აპარატურის გამოყენებით, ტუჩების პლასტიკა, ქუთუთოების პლასტიკა, სხეულის კონტურული პლასტიკა, ბოტოქსი, ბიოთაგსებადი გელის ინექციები, ცხვირის ფორმის კორექცია-რინოპლასტიკა, პაციენტის სურვილისამებრ ნებისმიერი შედეგის მიღებით, წინასწარი ვიზუალური შერჩევით, ცხვირით სუნთქვის აღდგენა და ცხვირის ფორმის ერთდროული კორექცია – სრული გაუტკივარებობა, დიდი ზომის ტამპონების და ნახევრების გარეშე, ოპერაციის შემდგომი პერიოდის მაქსიმალური გამარტივებით.

მჯერად შეყვრდებით სხეულის კონტურულ პლასტიკაზე: მუცლის წინა კედლის პლასტიკა, წელის გვერდითი მიდამოების პლასტიკა, ზურგის მიდამოს პლასტიკა, დაშვებული დუნდულოების და ბარძაყების პლასტიკა, აწვევა, დათხელება, მოდელირება. ამ ტიპის ოპერაციები საკმაოდ დიდი წარმატებით სარგებლობენ, გამომდინარე იქიდან, რომ ერთ ეტაპზე შესაძლებელია შეიცვალოს ადამიანის სხეულის დიდი ნაწილი, რაც საკმაოდ ეფექტურად ვლინდება მიღებული შედეგით. საბედნიეროდ, ქირურგიული ტექნიკის განვითარებასთან და დახვეწასთან ერთად ამ ტიპის ოპერაციები მინიმალურ ტრავმასთან არის დაკავშირებული, რადგან გამოიყენება სხედასხვა მეთოდის ერთობლიობა, მაგალითად, მუცლისა და წელის კონტურების გამოსაყვანად და დასაპატარავებლად კომბინირებულად კეთდება მუცლის პლასტიკა და წელის მიდამოების ლიპოსაქცია. ასევე დუნდულოების აწვევისას შესაძლებელია მათი პროთეზირება, რათა მეტად ეფექტურად გამოჩნდეს დუნდულოს მიდამოს მოყვანილობა. რაც შეეხება ბარძაყების და წელის ქვედა მესამედის პლასტიკას, უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ლიპოსაქციის მეთოდი, თუმცა როდესაც საუბარია დიდი მოცულობის ცვლილებებზე, იმავდროულად აუცილებელია და კეთდება ბარძაყების შიდა ზედაპირების დაჭიმვა და ჭარბი კანის მოცილება. როდესაც დაშვებულია მუცელი და ზურგის და დუნდულოების მიდამო, კეთდება სხეულის ცირკულარული პლასტიკა, ამ ოპერაციის შედეგად სხეული რადიკალურად იცვლება. ამ ტიპის ოპერაციები ძალზე გავრცელებული და პოპულარულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საბედნიეროდ, ჩვენს კლინიკას შეუძლია სრულყოფილად და უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე შემოგთავაზოთ ასეთი მომსახურება.

მეტად საინტერესო თემა – ლიპოსაქცია-ლიპოსკულპტურა. ეს არის პროცედურა, როდესაც სრულიად უმტკივნეულოდ 3 მილიმეტრიანი ნახსვლეტიდან შესაძლებელია 1-დან 8 ლიტრამდე ცხვიმოვანი ქსოვილის ამოღება. ეს სწორეს ის ცხიმი, რაც არ ექვემდებარება არც დიეტოლოგიურ, არც მედიკამენტოზურ მკურნალობას და არც ვარჯიშების ზემოქმედებას. ლიპოსაქცია არ არის წონაში კლების მეთოდი, ეს არის სწორედ სხეულის მოდელირებისა და გალამაზების საშუალება. ლიპოსაქცია არ იწვევს შემდგომში სხეულის არაპროპორციულ გასუქებას ან სხვა რაიმე გართულებას. რაც შეეხება იმას, თუ სხეულის რა მიდამოში არის შესაძლებელი ლიპოსაქციის გაკეთება, პასუხი მოკლეა: ნებისმიერ მიდამოში, სადაც არის ლოკალიზებული ჭარბი ცხვიმოვანი ქსოვილი. ლიპოსაქცია არანაირად არ საჭიროებს ზოგად გაუტკივარებას ან სტაციონარში წოლას, პროცედურის შემდგომ პაციენტი 2 საათში თავისით მიდის სახლში და აგრძელებს ყოველდღიურ ცხოვრებას, არანაირი ტკივილი და არანაირი ნაწიბური. იმ შემთხვევაში კი, როდესაც იმავდროულად საჭიროა ჭარბი კანის ან, მაგალითად, მუცლის წინა კედელზე არსებული სტრეისების მოცილება შესაძლებელია გაკეთდეს კომბინირებული ოპერაცია, რაც აგრეთვე მინიმალურ ტრავმასთან და რისკთან არის დაკავშირებული. ლიპოსკულპტურის მეშვეობით კი შესაძლებელია სხეულის ზოგიერთ უბანში არსებული კონტურული დეფორმაციები შევსებულ იქნას სხვა მიდამოდან ამოღებული საკუთარი ცხვიმოვანი ქსოვილით.

თუ მკითხველს გაუჩნდება შეკითხვა, მას შეუძლია მიმართოს კლინიკის საინფორმაციო სამსახურს ან გაიაროს კონსულტაცია ქირურგებთან.

577 22 99 22

222 44 17

ჭავჭავაძის ბაზ. 5

www.plasticsurgerygeo.com



უკვე გამოცხადებული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიაში!



წიგნი

რომელიც უღელს წინააღმდეგ,
სანამ ცოცხალი ხარ!

5-დან
12 საქმეებრამდე

ოქტომბერი
მოთხრობები

მ' ჰენი

19-დან
26 საქმეებრამდე

მეფისაღმადგინელი
მეფისაღმადგინელი

მეტეან ცვაიგი

სარვანტასი
მონ კიხოტი

22-დან
29 საქმეებრამდე

წიგნი 19 სარვანტასი (ტომი II)

29 საქმეებრამდე

წაიკითხეთ წიგნები
უფროსად იქნებით!

მხოლოდ "კვირის პალიტრის" მეითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი

8 000 მომხმარებელს- მოსწონს ეს

მაჩვენე 180-ვე კომენტარი

ანი ჯორბენაძე – ძალიან მომწონს, თან რა ლამაზი გამოვიდა! მართლა კარგად შევარჩიეთ...

